სს „საქართველოს სახელმწიფო
ელექტროსისტემა“

2017 წლის კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	6
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება	9
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	10

შპს „KPMG Georgia“
მე-2 სართული, ბესიკის ბიზნეს ცენტრი
ბესიკის ქუჩა 4,
0105 თბილისი, საქართველო
ტელეფონი: +995 322 93 5713
ინტერნეტი: www.kpmg.ge

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მმართველთა საბჭოს

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" (შემდგომში- „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში - „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტორული შემოწმება, რომელიც მოიცავს კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის და ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკისა და სხვა განმარტებითი ხასიათის ინფორმაციის შემცველ შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად ასახავს, ყოველგვარ მატერიალურ ასპექტში, ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მის კონსოლიდირებულ ფინანსურ საქმიანობას და კონსოლიდირებულ ფულად ნაკადებს დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად..

დასკვნის საფუძველი

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტორული შემოწმება აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტების ფარგლებში ჩვენს მიერ ნაკისრი პასუხისმგებლობა აღწერილია ჩვენი დასკვნის პუნქტში - *აუდიტორთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტორულ შემოწმებაზე.* ჩვენ ვსაქმიანობთ ჯგუფისგან დამოუკიდებლად ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს *პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის (IESBA კოდექსი)* შესაბამისად და ვასრულებთ ჩვენს ფინანსურ პასუხისმგებლობას IESBA კოდექსის შესაბამისად. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ის მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტის მსვლელობისას მოვიპოვეთ, წარმოადგენს აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს.

მნიშვნელოვანი გარემოება - შედარებითი ინფორმაცია

ჩვენ ყურადღებას ვაქცევთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების 22 შენიშვნას, რომელიც მიუთითებს, რომ 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი შედარებითი ინფორმაცია ხელახლა იქნა ფორმულირებული. ჩვენი დასკვნა არ არის მოდიფიცირებული აღნიშნულთან დაკავშირებით.

შედარებით ინფორმაციასთან დაკავშირებული სხვა საკითხები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების ჩვენი აუდიტის ფარგლებში 2017 წლით დასრულებული წლისათვის, ჩვენ აუდიტურად შევამოწმეთ 22 შენიშვნაში მოცემული კორექტირებები, რომელიც გამოყენებულია შედარებითი ინფორმაციის ხელახლა ფორმულირებისთვის, რომელიც წარმოდგენილია 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2016 წლის 1

შპს „KPMG Georgia“ წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის თანახმად დაფუძნებულ კომპანიას, შვეიცარიული საწარმოს „KPMG International Cooperative“-ის (შემდგომში – “KPMG International”) მიერ აფილირებული დამოუკიდებელი წევრი კომპანიების KPMG ქსელის წევრ კომპანიას.

იანვარს. ჩვენი დასკვნით, 22 შენიშვნაში მოცემული კორექტირებები შესაბამისია და სათანადოდ არის გამოყენებული.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციაზე. სხვა ინფორმაცია მოიცავს ხელმძღვანელობის ანგარიშში შეტანილ ინფორმაციას, მაგრამ არ მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებს და ჩვენს აუდიტურ დასკვნას მათ შესახებ. ხელმძღვანელობის ანგარიში ხელმისაწვდომი იქნება ჩვენთვის აუდიტური დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი დასკვნა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებების შესახებ არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და არ გამოხატავს გარანტირებულ დასკვნას მასზედ.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების ჩვენს აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობაა გავეცნოთ ზემოთ განსაზღვრულ სხვა ინფორმაციას, როდესაც ხელმისაწვდომი იქნება და ამის შემდეგ განვსაზღვროთ არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო კონსოლდიირებულ ფინანსური ანგარიშგებებთან და აუდიტის დროს მოპოვებულ ინფორმაციასთან ან სხვაგვარად აღმოჩნდება არსებითად არასწორად ფორმულირებული.

ხელმძღვანელობის და პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებების მართვაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობები

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად მომზადებასა და კეთილსინდისიერად წარდგენაზე და ისეთი შიდა კონტროლის სისტემაზე, რომელიც, ხელმძღვანელობის თვალსაზრისით, შესაძლებელს გახდის ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებას, რომელიც არ შეიცავს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებულ არსებით უზუსტობებს..

კონსოლიდირებული ფინანსური იანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჯგუფის შესაძლებლობების შეფასებაზე, განაგრძოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ და მოახდინოს მსგავსი შეფასების წარდგენა მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს ჯგუფის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებისა.

მმართველობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხს აგებენ ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადების და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტორულ შემოწმებაზე

ჩვენს მიზანს წარმოადგენს გონივრული რწმუნების მიღება იმის თაობაზე, არის თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალი თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან და აუდიტორთა დასკვნის გაცემა, რომელიც მოიცავს ჩვენს აზრს. გონივრული რწმუნება არის რწმუნებულების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებული არსებითი უზუსტობების გამოვლენას. უზუსტობები შესაძლებელია წარმოიშვას თაღლითობისან შეცდომის შედეგად დაარსებითად მოიაზრებოდეს, თუ მათ შეუძლია, ცალკე ან ერთობლივად, გონივრულ ფარგლებში გავლენა მოახდინოს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომელიც მიიღება აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას

და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთანავე ჩვენ:

- ვახდენთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობისან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთია უდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და მიზანშეწონილია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგადწარმოშობილი არსებითი უზუსტობების გაუმჟღავნებლობის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახუმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდაკონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას.
- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდაკონტროლის მექანიზმების გააზრებას არსებული ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა ჯგუფის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად.
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკის შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას.
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებთან და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლებელია ეჭვის ქვეშ დააყენოს ჯგუფის უწარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ შესაბამის ინფორმაციაზე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვალოთ ჩვენი დასკვნა. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი დასკვნების შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს ჯგუფი შეწყვიტოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მთლიან წარმოდგენას, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთო ფორმით, რომ უზრუნველყოფილი იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.
- ვიღებთ შესაბამის და სათანადო აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფის შიგნით არსებული კომპანიების ან ბიზნეს საქმიანობის ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით იმისათვის, რომ გამოვთქვათ აზრი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ პასუხს ვაგებთ ჯგუფის აუდიტის წარმართვაზე და მის ზედამხედველბაზე. ჩვენ ერთპიროვნულად ვაგებთ პასუხს ჩვენს აუდიტორულ დასკვნაზე.

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს გავუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენს მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

აუდიტის პარტნიორს, რომლის შედეგადაც მოცემული დამოუკიდებელ აუდიტორის დასკვნა გაიცა, წარმოადგენს:

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
გვერდი 3

ენდრიუ კოქსშელი

შპს „KPMG Georgia“
1 აგვისტო 2018წ.

'000ლარი	შენიშვნა	2017	2016 ხელახლა ფორმულირებული	1 იანვარი 2016 ხელახლა ფორმულირებული
აქტივები				
არამიმდინარე აქტივები				
ძირითადი საშუალებები	7	1,002,178	1,170,354	1,012,080
არამატერიალური აქტივები		2,243	1,489	1,189
გრძელვადიან აქტივებზე გადახდილი ავანსები		9,896	20,590	39,261
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	7,458	14,796	24,078
გადავადებული საგადასახადო აქტივები		-	-	9,872
სულ გრძელვადიანი აქტივები		**1,021,775**	**1,207,229**	**1,086,480**
მიმდინარე აქტივები				
მარაგები		6,629	6,988	7,347
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	21,538	31,818	35,227
მომწოდებლებზე გაცემული ავანსები		4,303	1,035	362
ფული და ფულის ექვივალენტები	9	47,295	25,275	15,081
სულ მიმდინარე აქტივები		**79,765**	**65,116**	**58,017**
სულ აქტივები		**1,101,540**	**1,272,345**	**1,144,497**
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი	10			
სააქციო კაპიტალი		639,052	599,984	574,422
დაურეგისტრირებელი კაპიტალი		11,259	11,259	6,259
უცხოური ვალუტის გადაცვლის რეზერვი		515	555	269
დაგროვილი ზარალი		(828,276)	(507,952)	(427,929)
სულ კაპიტალი		**(177,450)**	**103,846**	**153,021**
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები		-	-	1,622
სესხები და კრედიტები	12	610,002	790,727	670,100
რესტრუქტურიზებული ვალდებულებები	13	47,875	56,417	59,455
აქტივებთან დაკავშირებული გრანტები	14	107,797	108,533	104,296
სხვა საგადასახადო ვალდებულებები		1,165	1,618	1,646
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**766,839**	**957,295**	**837,119**
მიმდინარე ვალდებულებები				

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება იკითხება შენიშვნებთან ერთად და წარმოადგენს 10-დან 38 გვერდამდე წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ ნაწილს..

'000ლარი	შენიშვნა	2017	2016 ხელახლა ფორმულირებული	1 იანვარი 2016 ხელახლა ფორმულირებული
სესხები და კრედიტები	12	444,281	150,870	99,666
სავაჭრო და სხვა დავალიანებები	15	47,939	46,038	43,395
რესტრუქტურიზებული ვალდებულებები	13	15,000	10,000	7,000
აქტივებთან დაკავშირებული გრანტები	14	4,931	4,296	4,296
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**512,151**	**211,204**	**154,357**
სულ ვალდებულებები		**1,278,990**	**1,168,499**	**991,476**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**1,101,540**	**1,272,345**	**1,144,497**

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება იკითხება შენიშვნებთან ერთად და წარმოადგენს 10-დან 38 გვერდამდე წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ ნაწილს..

'000 ლარი	შენიშვნა	2017	2016
შემოსავალი	5	133,370	120,159
სხვა შემოსავალი		14,030	9,453
სახელფასო ხარჯები		(26,051)	(24,461)
ცვეთა და ამორტიზაცია		(56,010)	(51,801)
ძირითადი საშუალებების გაუფასურება	7	(250,117)	-
სხვა საოპერაციო ხარჯები		(29,498)	(31,581)
შედეგები საოპერაციო საქმიანობიდან		**(214,276)**	**21,769**
ფინანსური შემოსავალი	6	2,744	3,214
ფინანსური ხარჯი	6	(108,792)	(96,756)
წმინდა ფინანსური ხარჯი		**(106,048)**	**(93,542)**
ზარალი მოგების გადასახადამდე		**(320,324)**	**(71,773)**
მოგების გადასახადის სარგებელი		-	(8,250)
ზარალი წლის განმავლობაში		**(320,324)**	**(80,023)**
სხვა სრული (ზარალი) შემოსავალი			
ანგარიშგების ელემენტები, რომელთა რეკლასიფიკაცია შესაძლებელია მოგებაში ან ზარალში			
უცხოურ ოპერაციებთან დაკავშირებული უცხოური ვალუტის გაცვლის სხვაობები		(40)	286
სულ სრული ზარალი წლის განმავლობაში		**(320,364)**	**(79,737)**

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2018 წლის 1 აგვისტოს და ხელმოწერილია შემდეგი პირების მიერ:

მამუკა სხილაძე
მმართველთა საბჭოს
ხელმძღვანელის მოვალეობათა
შემსრულებელი

ნინო მაისურაძე
მთავარი ბუღალტერი

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება ეხება შენიშვნებთან ერთად და წარმოადგენს 10-დან 39-ე გვერდამდე წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ ნაწილს.

'000 ლარი	სააქციო კაპიტალი	დაურეგისტრირებელი კაპიტალი	საკურსო სხვაობის რეზერვი	დაჭროვილი ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	574,422	6,259	269	(427,929)	**153,021**
სულ სრული შემოსავალი მოცემული წლისთვის					
ზარალი წლის განმავლობაში	-	-	-	(80,023)	(80,023)
სხვა სრული მოგება					
უცხოურ ოპერაციებთან დაკავშირებული უცხოური ვალუტის გაცვლის სხვაობები	-	-	286	-	286
სულ სხვა საერთო მოგება მოცემული წლისთვის	-	-	**286**	-	**286**
სულ საერთო ზარალი მოცემული წლისთვის	-	-	**286**	**(80,023)**	**(79,737)**
შენატანები და განაწილებები მფლობელების მიერ და მფლობელებისთვის					
მფლობელის არაფულადი შენატანები (იხ. შენიშვნა 7)	30,562	-	-	-	30,562
შემცირებული სააქციო კაპიტალი	(5,000)	5,000	-	-	-
სულ მფლობელების შენატანები და განაწილება	25,562	5,000	-	-	30,562
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**599,984**	**11,259**	**555**	**(507,952)**	**103,846**
ნაშთი 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	599,984	11,259	555	(507,952)	103,846
სულ სრული ზარალი მოცემული წლისთვის					
ზარალი წლის განმავლობაში	-	-	-	(320,324)	(320,324)
სხვა სრული ზარალი					
უცხოურ ოპერაციებთან დაკავშირებული უცხოური ვალუტის გაცვლის სხვაობები	-	-	(40)	-	(40)
სულ სხვა საერთო ზარალი მოცემული წლისთვის	-	-	**(40)**	-	**(40)**
სულ საერთო ზარალი მოცემული წლისთვის	-	-	**(40)**	**(320,324)**	**(320,364)**
მფლობელების შენატანები და განაწილებები					
მფლობელის არაფულადი შენატანები (იხ. შენიშვნა 7)	528	-	-	-	528
აქციების გამოშვება ნაღდი ფულით (იხილეთ შენიშვნა 10(a))	38,540				38,540

კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება იკითხება შენიშვნებთან ერთად და წარმოადგენს 10-დან 40 გვერდამდე წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ ნაწილს.

სულ მფლობელების შენატანები და განაწილება	39,068	-	-	-	39,068
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**639,052**	**11,259**	**515**	**(828,276)**	**(177,450)**

კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება იკითხება შენიშვნებთან ერთად და წარმოადგენს 10-დან 40 გვერდამდე წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ ნაწილს.

'000ლარი	შენიშვნა	2017	2016
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
ზარალი მოგების გადასახადამდე		(320,324)	(71,773)
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		56,010	51,801
ძირითადი საშუალებების გაუფასურების ზარალი	7	250,117	-
ძირითადი საშუალებების გასხვისებით და ჩამოწერით გამოწვეული ზარალი		10,281	6,044
წმინდა ფინანსური ხარჯი	6	106,048	93,542
შემოსავალი გრანტების ამორტიზაციიდან	14	(4,979)	(4,377)
		97,153	**75,237**
ცვლილებები:			
მარაგები		359	359
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		17,132	14,969
აქტივებთან დაკავშირებული გრანტები	14	4,878	8,614
მომწოდებლებზე გაცემული ავანსები		(3,268)	(673)
სხვა საგადასახადო ვალდებულებები		(453)	(30)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		(1,147)	(6,041)
ფულადი ნაკადები განხორციელებული ოპერაციებიდან პროცენტის გადახდამდე		**114,654**	**92,435**
გადახდილი პროცენტი		(17,900)	(16,190)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		**96,754**	**76,245**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
მიღებული პროცენტი		2,744	3,214
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა		(133,873)	(160,368)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		**(131,129)**	**(157,154)**
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
შემოსავლები სესხებიდან		81,056	145,160
რესტრუქტურიზებული ვალდებულებების ანგარიშსწორება		(10,387)	(7,000)
გადახდილი სესხები		(53,290)	(48,537)
სააქციო კაპიტალის გამოშვებიდან მიღებული შემოსავლები		38,540	-
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		**55,919**	**89,623**
წმინდა ზრდა ფულში და მის ეკვივალენტებში		**21,544**	**8,714**
ფული და ფულის ექვივალენტები 1 იანვრის მდგომარეობით		25,275	15,081

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება იკითხება შენიშვნებთან ერთად და წარმოადგენს 10-დან 41-ე გვერდამდე წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ ნაწილს.

'000ლარი	შენიშვნა	2017	2016
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულზე და მის ეკვივალენტებზე		476	1,480
ფული და ფულის ექვივალენტები 31 დეკემბრის მდგომარეობით	9	**47,295**	**25,275**

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება იკითხება შენიშვნებთან ერთად და წარმოადგენს 10-დან 41-ე გვერდამდე წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ ნაწილს.

1. ანგარიშგების წარმდგენი ორგანიზაცია

(a) ორგანიზაცია და საქმიანობა

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ (შემდგომში - „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიები (შემდგომში - „ჯგუფი“) წარმოადგენენ მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული სააქციო და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებს და სააქციო საზოგადოებას რეგისტრირებულს და მოქმედს თურქეთის რესპუბლიკაში. იხ. შენიშვნა 20..

კომპანია წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 2002 წლის 12 ნოემბერს სს „ელექტროგადაცემისა“ და შპს „ელექტროდისპეჩერიზაცია-2000“-ის შერწყმის შედეგად დაფუძნებულ სააქციო საზოგადოებას და მათ სამართალმემკვიდრეს.

კომპანიის იურიდიული მისამართია - საქართველო, თბილისი 0105, ბარათაშვილის ქუჩა №2. კომპანისი რეგისტრაციის ნომერია # 5/4-3396.

კომპანიის მთავარ საქმიანობას წარმოადგენს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ელექტროენერგიის გადაცემა და დისპეჩერიზაცია, რაც რეგულირდება საქართველოს კანონით ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის შესახებ. შპს „ენერგოტრანსი“, ჯგუფის ძირითადი შვილობილი კომპანია, დაარსდა 2002 წელს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული საწარმოს სახით. შპს „ენერგოტრანსის“ ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ელექტროენერგიის გადაცემა, ექსპორტისა და ელექტროენერგიის მიწოდების ჩათვლით, ვარძიისა და ზეკარი 500-კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზებისა და მესხეთის 400-კილოვოლტიანი შემაერთებელი ხაზის საშუალებით თურქეთთან, რომელიც გაყვანილ იქნა „შავი ზღვის ელექტროგადამცემი ქსელის პროექტის“ (BSTN) შემადგენელი ნაწილის სახით. BSTN უზრუნველყოფს დამატებით უსაფრთხოებას საქართველოს ელექტროგადამცემი ქსელისთვის მეორე დასავლეთ-აღმოსავლეთ 500-კილოვოლტიანი ხაზის დამატების გზით და თურქეთში ელექტროენერგიის ექსპორტის შესაძლებლობის ხელშეწყობით. BSTN პროექტი დასრულდა 2013 წლის ბოლოს. ჯგუფი ახორციელებს თავის საქმიანობას ლიცენზიების საფუძველზე, რომლებიც მოპოვებული აქვს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიისაგან (შემდგომში - „სემეკი“) განუსაზღვრელი ვადით.

2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის მშობელ და საბოლოო მშობელ კომპანიას წარმოადგენს სს „საპარტნიორო ფონდი“ (მფლობელი). ჯგუფის მთავარ მაკონტროლებელ მხარეს წარმოადგენს საქართველოს მთავრობა. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია 19 შენიშვნაში.

(b) საქართველოს ბიზნეს გარემო

ჯგუფის საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, ჯგუფი დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც წარმოადგენენ განვითარებადი ქვეყნის ბაზრებს. სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი ბაზები ჯერ კიდევ ვითარდება და განიცდის სხვადასხვა ინტერპრეტაციებსა და ცვლილებებს, რომლებიც სხვა სამართლებრივ და ფისკალურ

დაბრკოლებებთან ერთად, სირთულეებს უქმნის საქართველოს ტერიტორიაზე მომუშავე კომპანიებს. მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ასახავს ჯგუფის ოპერაციებსა და მის ფინანსურ მდგომარეობაზე საქართველოს ბიზნეს გარემოს ზეგავლენის შეფასებას ხელმძღვანელობის მიერ. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებისგან ,

2. მომზადების საფუძველი

შესაბამისობა

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან („ფასს“) სრულ შესაბამისობაში.

3. ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტაა ქართული ლარი, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას და ვალუტას, რომელშიც წარმოდგენილია წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება. ჯგუფის ყოველი საწარმოს ფუნქციონალური ვალუტა წარმოადგენს ჯგუფის ეკონომიკური მდგომარეობის ამსახველვალუტას, რომელშიც აღნიშნული საწარმო ახორციელებს ოპერაციებს.

ქართულ ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე, გარდა სხვაგვარად განსაზღვრულიშემთხვევებისა..

4. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია “ფასს”-თან შესაბამისობაში, რაც მოითხოვს ხელმძღვანელობისაგან ისეთ მსჯელობების, შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენენ ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკაზე და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. რეალური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისაგან.

შეფასებებისა და ძირითადი დაშვებების გადახედვა ხორციელდება მუდმივად. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგებიაღიარდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა მათი გადახედვა და ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზეც მათ ექნებათ გავლენა.

სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას კრიტიკული მოსაზრებების შესახებ ინფორმაცია, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებზე, წარმოდგენილია შემდეგ შენიშვნებში:

- შენიშვნა 12- სესხების და კრედიტების სამართლიანი ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას..
- შენიშვნა 23 (i) (iii) – ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა.

ქვემოთ მოცემულ შენიშვნაში განსაზღვრულია დაშვებების ან შეფასებების გაურკვევლობა, რომლებსაც გააჩნიათ მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში არსებითი კორექტირების მნიშვნელოვანი რისკი:

- შენიშვნა 7 (გ) – ძირითადი საშუალებების გაუფასურების შემოწმება: მნიშვნელოვანი მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად უდევს ანაზღაურებად თანხებს, მათ შორის ძირითადი საშუალებების ანაზღაურებადობას.

სამართლიანი ღირებულების შეფასება

ჯგუფის გარკვეული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებები მოითხოვს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრას. სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა შეფასებისა და განმარტების მიზნებისათვის. სამართლიანი ღირებულება ჯგუფდება სხვადასხვა დონეების მიხედვით სამართლიანი

ღირებულების იერარქიაში, შეფასების მეთოდოლოგიაში წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე::

- *დონე 1*: კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე) აქტიურ ბაზარზე ანალოგიური აქტივებისა ან ვალდებულებებისთვის.
- *დონე 2*: მონაცემები გარდა იმისა, რაც შედის პირველ დონეში და რომლებიც თვალსაჩინოა როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირიბად (ფასებისაგან წარმოებული.
- *დონე 3*: მონაცემები აქტივისა ან ვალდებულებისთვის, რომელიც არ ეყრდნობა დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არადაკვირვებადი მონაცემები)..

იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული მონაცემების დაჯგუფება შესაძლოა სამართლიანი ღირებულების სხვადასხვა დონეებში, მაშინ სამართლიანი ღირებულების შეფასების დაჯგუფება ხდება მთლიანობაში რეალური ღირებულების იერარქიის იმავე დონეში, რომელშიც ყველაზე დაბალი დონის მონაცემებია, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

დამატებითი ინფორმაცია სამართლიანი ღირებულების შეფასების დაშვების შესახებ მოცემულია შენიშვნაში 16 (ა) – ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება.

.

5. შემოსავალი

'000ლარი	2017	2016
შემოსავალი ელექტროენერგიის გადაცემიდან	109,846	92,811
შემოსავალი ელექტროენერგიის ექსპორტიდან	10,776	7,989
შემოსავალი ელექტროენერგიის დისპეჩერიზაციიდან	8,096	8,918
შემოსავალი ტრანზიტიდან	4,642	7,654
სხვა შემოსავალი	10	2,787
სულ შემოსავლები	**133,370**	**120,159**

შემოსავალი ექსპორტიდან მოიცავს ელექტროენერგიის გადაცემიდან და დისპეჩერიზაციიდან მიღებულ შემოსავალს.

შემოსავლის გაანგარიშება ხდება საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის („სემეკი“) მიერ დადგენილი გადაცემისა და დისპეჩერიზაციის ტარიფების საფუძველზე.

6. ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯი

'000ლარი	2017	2016
აღიარებული მოგებაში ან ზარალში		
საპროცენტო შემოსავალი საბანკო ნაშთებზე	2,744	3,214
ფინანსური შემოსავალი	**2,744**	**3,214**
საპროცენტო ხარჯი სესხებსა და კრედიტებზე	(21,280)	(19,925)
დისკონტის ამორტიზაცია რესტრუქტურიზებულ ვალდებულებებზე	(6,220)	(5,989)
საკურსო სხვაობით გამოწვეული ზარალი	(81,292)	(70,842)
ფინანსური ხარჯი	**(108,792)**	**(96,756)**
წმინდა ფინანსური ხარჯი აღიარებული მოგებაში ან ზარალში	**(106,048)**	**(93,542)**

2017 წელს ჯგუფმა მოახდინა სესხებსა და კრედიტებზე პროცენტის კაპიტალიზაცია 3,331 ათასი ლარის ოდენობით (2016 წელს: 2,361 ათასი ლარი). იხ. შენიშვნა 7.

7. ძირითადი საშუალებები

'000ლარი	მიწა და შენობა-ნაგებობები	ელექტროგად ამცემი ხაზები	აღჭურვილობა, სატრანსპორტო საშუალებები და სხვა	მიმდინარე მშენებლობა	სულ
ღირებულება ან პირობითი ღირებულება					
ნაშთი 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	107,289	369,331	675,010	126,446	1,278,076
დანარიცხები	989	38	486	214,434	215,947
გასხვისებები	-	-	(405)	(6,029)	(6,434)
გადაცემები	22,300	24,592	99,709	(146,601)	-
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**130,578**	**393,961**	**774,800**	**188,250**	**1,487,589**

'000ლარი	მიწა და შენობა-ნაგებობები	ელექტროგად ამცემი ხაზები	აღჭურვილობა, სატრანსპორტო საშუალებები და სხვა	მიმდინარე მშენებლობა	სულ
ნაშთი 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**130,578**	**393,961**	**774,800**	**188,250**	**1,487,589**
დანარიცხები	219	214	-	147,465	147,898
გასხვისებები/ჩამოწერა	-	-	(1,500)	(9,072)	(10,572)
გადაცემები	8,079	64,580	69,514	(142,173)	-
ნაშთი 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**138,876**	**458,755**	**842,814**	**184,470**	**1,624,915**
ცვეთა					
ნაშთი 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(27,534)	(103,476)	(134,986)	-	(265,996)
ცვეთა წლის განმავლობაში	(3,642)	(15,878)	(32,113)	-	(51,633)
გასხვისებები	-	21	373	-	394
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**(31,176)**	**(119,333)**	**(166,726)**	-	**(317,235)**
ნაშთი 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**(31,176)**	**(119,333)**	**(166,726)**	-	**(317,235)**
ცვეთა წლის განმავლობაში	(4,258)	(24,161)	(27,253)	-	(55,672)
გასხვისებები	-	-	287	-	287
გაუფასურების ზარალი	(14,281)	(69,925)	(150,545)	(15,366)	(250,117)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**(49,715)**	**(213,419)**	**(344,237)**	**(15,366)**	**(622,737)**
საბალანსო ღირებულებები					
2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**79,755**	**265,855**	**540,024**	**126,446**	**1,012,080**
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**99,402**	**274,628**	**608,074**	**188,250**	**1,170,354**
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**89,161**	**245,336**	**498,577**	**169,104**	**1,002,178**

2017 წლის განმავლობაში მესაკუთრემ განახორციელა 528 ათასი ლარის ოდენობის შენატანი კომპანიის მიწებში, გადამცემ ხაზებსა და დაკავშირებულ აღჭურვილობაში (2016 წელს: 30,562 ათასი ლარის მიწის ნაკვეთებში და სხვა ძირითად საშუალებებში) საწესდებო კაპიტალის მატების სახით. ამ აქტივების ნომინალური თანხა არსებითად არ განსხვავდება აქტივების სამართლიანი ღირებულებისგან.

(a) უზრუნველყოფა

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებები, რომელთა საბალანსო ღირებულებები შეადგენს 61,102 ათასი ლარს (2016 წელს: 98,927 ათასი ლარი), (მიწის ნაკვეთები ელექტროგადამცემ ხაზებსა და შესაბამის ტექნიკურ აღჭურვილობასთან ერთად) დაგირავებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ სესხების, კრედიტებისა და რესტრუქტურიზებული ვალდებულებების უზრუნველყოფის სახით (იხილეთ მე-12 და მე-13 შენიშვნები).

(b) მიმდინარე მშენებლობა

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 169,104 ათასი ლარის ღირებულების (2016 წელს: 188,915 ათასი ლარი), მიმდინარე მშენებლობა მოიცავს 20,095 ათასი ლარის (2016 წ: 27,965 ათასი ლარი) სათადარიგო ნაწილებს და სარეზერვო აპარატურას ძირითადი საშუალებების მხარდასაჭერად, 145,698 ათასი ლარი (2016 წ: 158,283 ათასი ლარი) მიმდინარე მშენებლობა და 3,311 ათასი ლარი (2016 წ: 2,667 ათასი ლარი) კაპიტალიზირებული სასესხო ხარჯები მშენებლობასთან დაკავშირებით და ქსანის ელექტროგადამცემი ხაზების და ქვესადგურების მოდერნიზაციასთან, გადამცემი ქსელის გაძლიერების პროექტთან, ასევე სხვა გადამცემი ქსელების რეაბილიტაციის პროექტებთან დაკავშირებით.

(c) ძირითადი საშუალებების გაუფასურების შემოწმება

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელმძღვანელობამ მოახდინა ჯგუფის შვილობილი კომპანიის შპს „ენერგოტრანსის“ (შემდგომში - „CGU“) ძირითადი საშუალებების მაჩვენებლის გაუფასურების შესაძლებლობის იდენტიფიცირება იმის გამო, რომ 2017 წელს შპს „ენერგოტრანსის“ წმინდა საოპერაციო ფულადი ნაკადები დაგეგმილზე მნიშვნელოვნად ნაკლები იყო, რომელიც ძირითადად განპირობებული იყო ელექტროენერგიის ტრანზიტით გამოწვეული საბიუჯეტო ფულადი ნაკადების დეფიციტით. CGU-ს ანაზღაურებადი თანხა წარმოდგენილი იყო მისი გამოყენებული ღირებულების საფუძველზე, რაც განისაზღვრა CGU-ს უწყვეტი გამოყენებით გენერირებული სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებით.

CGU-ს საბალანსო ღირებულება, რომელიც შეადგენს 535,480 ათას ლარს, განისაზღვრა უფრო მაღალი ოდენობით, ვიდრე მისი ანაზღაურებადი თანხა, რომელიც შეადგენს 285,363 ათას ლარს და შესაბამისად გაუფასურების ხარჯი, რომელიც შეადგენს 250,117 ათას ლარს, აღიარებულია გაუფასურების ზარალში 2017 წლის განმავლობაში, რომელიც გაუნაწილდა CGU-ს პროპორციულ საფუძველზე:

შემდეგი მნიშვნელოვანი დაშვებები იქნა გამოყენებული ანაზღაურებადი თანხის შეფასებაში:

- ფულადი სახსრების მოძრაობა პროგნოზირებულია 28 წლის განმავლობაში. ხელმძღვანელობა თვლის, რომ 28 წლის გამოყენება დასაბუთებულია როგორც პერიოდი, რომელიც წარმოადგენს CGU-ს საშუალო შეწონილ დანარჩენ სასარგებლო გამოყენების ვადას, CGU-ში ინვესტიციების ანაზღაურებისთვის და ინვესტორების შემოსავლიანობის ნორმისთვის, როგორც განსაზღვრულია საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (შემდგომში - „სემეკი“) მიერ დამტკიცებული ტარიფის განსაზღვრის მეთოდოლოგიის საფუძველზე;
- დატვირთვის კოეფიციენტი 400 კვ ენერგოგადამცემი ხაზისთვის, რომელიც დაპროექტებულია პროგნოზულ პერიოდში, შეადგენს 17.53%-ს. დატვირთვის კოეფიციენტი გამოითვალა, როგორც წმინდა პროგნოზული ექსპორტის / იმპორტის მაჩვენებელი, რომელიც დაყოფილია გადამცემი ხაზის პოტენციურ სიმძლავრის საფუძველზე.
- ფულადი ნაკადების შემოდინება მოსალოდნელია შემოსავლის ორი ძირითადი

წყაროდან: ელექტროენერგიის ტრანზიტი და ექსპორტი; მაგრამ მნიშვნელოვანი დეფიციტის გამო საბიუჯეტო თანხებიდან და გარეშე საბაზრო ინფორმაციიდან, შემოსავლები ელექტროენერგიის ტრანზიტიდან სავარაუდოდ შეადგენს ნულს.

- შემოსავალი დაიგეგმა ფაქტობრივ საოპერაციო შედეგებზე და კომპანიის ხუთწლიან ბიზნეს გეგმაზე დაყრდნობით, რომელიც შემუშავებულია საქართველოს ელექტროგადამცემი ქსელის ათწლიანი განვითარების გეგმის მიხედვით, რომელიც, თავის მხრივ, საქართველოს მთავრობის მიერ არის დამტკიცებული;

- 12.2%-იანი დაბეგვრამდე დისკონტირების განაკვეთი გამოიყენება მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების განსაზღვრაში. დისკონტირების განაკვეთი ასახავს შემოსავლის ნომინალურ მოთხოვნილ განაკვეთს ლარში დენომინირებული ფულადი ნაკადებისთვის კომპანიების მიერ ინვესტირებულ კაპიტალზე.

ზემოაღნიშნული შეფასებები მგრძნობიარეა ცვლილებების მიმართ დისკონტირების განაკვეთში. დისკონტირების განაკვეთში 1% პუნქტის ზრდა გამოიწვევს გაუფასურების ზარალის ზრდას, რომელიც დაახლოებით შეადგენს 13,788 ათას ლარს.

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

'000ლარი	2017	2016
გრძელვადიანი მოთხოვნები		
დღგ-ს მოთხოვნა	**7,458**	**14,796**
მიმდინარე მოთხოვნები		
სავაჭრო მოთხოვნები	26,779	92,762
გაუფასურების რეზერვი სავაჭრო მოთხოვნებზე	(15,156)	(76,900)
სავაჭრო მოთხოვნები, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით	11,623	15,862
დღგ-ს მოთხოვნა	7,490	13,212
სხვა მოთხოვნები	4,466	5,329
გაუფასურების რეზერვი სხვა მოთხოვნებზე	(2,041)	(2,585)
	21,538	**31,818**

ჯგუფის მიდრეკილება საკრედიტო და სავალუტო რისკებისადმი, ასევე სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებული გაუფასურების ზარალი წარმოდგენილია მე-16 შენიშვნაში .

9. ფული და ფულის ექვივალენტები

'000 ლარი	2017	2016
მცირე ფულადი თანხები	-	9
ბანკსი ნაშთები	47,295	25,266
ფული და ფულის ექვივალენტები ფინანსური მდგომარეობის და ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში	**47,295**	**25,275**

ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების გაუფასურებას ან ვადაგადაცილებას არ ჰქონია ადგილი.

ჯგუფის მიდრეკილება საპროცენტო განაკვეთის რისკისადმი და მგრძნობელობის ანალიზი ფინანსურ აქტივებისა და ვალდებულებებისთვის წარმოდგენილია მე-16 შენიშვნაში.

10. კაპიტალი

(a) სააქციო კაპიტალი

აქციების რაოდენობა, თუ სხვა რამ არ არის მითითებული	ჩვეულებრივი აქციები	
	2017	**2016**
ნომინალური ღირებულება	ლარი 1	ლარი 1
31 დეკემბრის მდგომარეობით გამოშვებული, სრულად განაღდებული	**639,059,404**	**599,983,833**

ჩვეულებრივი აქციების გამოშვება

2017 წლის მარტში, სექტემბერში, ნოემბერში და დეკემბერში, აქციონერთა საერთო კრებამ დაამტკიცა 8,540,000, 14,000,000, 1,000,000 და 15,000,000 (მთლიანობაში 38,540,000) ჩვეულებრივი აქციების გამოშვება, თითოეული აქცია - 1 ლარის ნომინალური ღირებულებით (2016: ნული).

(b) დაურეგისტრირებელი კაპიტალი

დაურეგისტრირებელი კაპიტალი შედგება იმ აქციონერების მიერ გაკეთებული აქტივების შენატანებისგან, რომელიც არის კომპანიის მფლობელობაში, მაგრამ ჯერ არ არის რეგისტრირებული კომპანიის წესდებაში და ასევე სხვა განსხვავებები სააქციო კაპიტალის რეგისტრირებულ თანხასა და აქციონერების მიერ შეტანილი აქტივის სამართლიან ღირებულებას შორის .

(c) დივიდენდები

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, კომპანიის განაწილებადი რეზერვები შემოიფარგლება გაუნაწილებელი მოგების ნაშთით, რაც ასახულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების თანახმად კომპანიის მოქმედ ფინანსურ ანგარიშგებაში.

(d) საკურსო სხვაობის რეზერვი

საკურსო სხვაობის რეზერვი შედგება უცხოურ ვალუტასთან დალავშირებული ყველა სხვაობისგან, რომელიც წარმოიშობა უცხოური ოპერაციების ფინანსური ანგარიშგებების გადაყვანის შედეგად.

11. კაპიტალის მართვა

ჯგუფს არ გააჩნია კაპიტალის მართვის ოფიციალური პოლიტიკა, თუმცა ხელმძღვანელობა ცდილობს მოიძიოს საკმარისი კაპიტალის საფუძველი ჯგუფის საოპერაციო და სტრატეგიული მოთხოვნების, ასევე რეაბილიტაციის გეგმის მიზნების დასაკმაყოფილებლად (იხ. შენიშვნა 13). აღნიშნული მიიღწევა ეფექტური ფულადი სახსრების მართვის, ჯგუფის შემოსავლებისა და გასავლების მუდმივი მონიტორინგის და ძირითადად ჯგუფის საოპერაციო ფულადი ნაკადებით დაფინანსებული გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმების, ასევე სესხებისა და კრედიტების საშუალებით.

წლის განმავლობაში კაპიტალის მართვის მიმართ ჯგუფის მიდგომაში არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

არც კომპანია და არც მისი რომელიმე შვილობილი კომპანია არ ექვემდებარება გარედან დაწესებულ კაპიტალთან დაკავშირებულ მოთხოვნებს.

.

12. სესხები და კრედიტები

წინამდებარე შენიშვნა ითვალისწინებს ინფორმაციას ჯგუფის პროცენტიანი სესხების და კრედიტების სახელშეკრულებო პირობების შესახებ, რომლებიც განისაზღვრება

ამორტიზირებული ღირებულების მიხედვით. ჯგუფის საპროცენტო განაკვეთების, უცხოური ვალუტისა და ლიკვიდურობის რისკის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ იხილოთ მე-16 შენიშვნა.

'000ლარი	2017	2016 ხელახლა ფორმულირებული	1 იანვარი 2016 ხელახლა ფორმულირებული
გრძელვადიანი ვალდებულებები			
არაუზრუნველყოფილი სესხები ფინანსური დაწესებულებებიდან	580,607	730,273	602,011
უზრუნველყოფილი სესხები ფინანსური დაწესებულებებიდან	29,395	37,800	42,349
უზრუნველყოფილი სესხები დაკავშირებული მხარისგან	-	22,654	25,740
	610,002	**790,727**	**670,100**
მიმდინარე ვალდებულებები			
არაუზრუნველყოფილი სესხების მიმდინარე ნაწილი ფინანსური დაწესებულებებიდან	399,918	130,199	79,861
უზრუნველყოფილი სესხების მიმდინარე ნაწილი ფინანსური დაწესებულებებიდან	9,488	9,570	8,845
უზრუნველყოფილი სესხების მიმდინარე ნაწილი დაკავშირებული მხარისგან	34,875	11,101	10,960
	444,281	**150,870**	**99,666**

(a) პირობები და სესხის დაფარვის გრაფიკი

გადასახდელი სესხების ვადები და პირობები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

'000 ლარი	ვალუტა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის წელი	31 დეკემბერი 2017 ნომინალური ღირებულება	31 დეკემბერი 2017 საბალანსო ღირებულება	31 დეკემბერი 2016 ნომინალური ღირებულება	31 დეკემბერი 2016 საბალანსო ღირებულება
არაუზრუნველყოფილი სესხები ფინანსური ინსტიტუტებიდან:							
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - KfW	ევრო	KfW საორიენტაციო განაკვეთი +4%	2027	244,760	244,760	214,587	214,587
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - KfW	ევრო	2.2%	2025	75,052	75,052	46,764	46,764
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - EIB	ევრო	Euribor+0.75%	2033	216,626	216,626	208,567	208,567
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო- EBRD	ევრო	Euribor+1%	2025-2028	176,260	176,260	152,103	152,103
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო- KfW	ევრო	1%-1.5%	2025-2037	50,249	50,249	48,696	48,696
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო – ADB	აშშ დოლარი	1%-1.5%	2044	112,928	112,928	112,962	112,962
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო – IBRD	აშშ დოლარი	მსოფლიო ბანკის სასესხო სახაზინო განაკვეთები	2038	104,650	104,650	76,793	76,793

უზრუნველყოფილი სესხები ფინანსური ინსტიტუტებიდან:							
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო- KfW	ევრო	4%	2021	9,366	9,366	10,538	10,538
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო- IDA	აშშ დოლარი	მსოფლიო ბანკის სასესხო სახაზინო განაკვეთები	2022	29,516	29,516	36,832	36,832
უზრუნველყოფილი სესხები დაკავშირებული მხარისგან:							
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	ევრო	7.50%	2020	34,875	34,875	33,755	33,755
სულ საპროცენტო ვალდებულება				**1,054,283**	**1,054,283**	**941,597**	**941,597**

ფინანსური ვალდებულების დარღვევა

IBRD-დან მიღებულ სესხთან დაკავშირებით, სესხისა და შესაბამისი პროექტის განხორციელების შეთანხმებების თანახმად, ჯგუფმა უნდა უზრუნველყოს არანაკლებ 1 მიმდინარე აქტივების თანაფარდობა მიმდინარე ვალდებულებებთან, რომელიც გამოთვლილია როგორც დამოუკიდებელი, ასევე კონსოლიდირებული მაჩვენებლებისთვის.

შეთანხმების თანახმად, მიმდინარე აქტივები ნიშნავს ყველა აქტივს, რომლებიც, ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში შესაძლებელია გარდაიქმნას ნაღდ ფულად თორმეტი თვის განმავლობაში დებიტორული დავალიანებების, გაყიდვადი ფასიანი ქაღალდების, ინვენტარისა და წინასწარ გადახდილი ხარჯის ჩათვლით, რაც ჯეროვნად ერიცხება საოპერაციო ხარჯს მომდევნო საგადასახადო წლის განმავლობაში. მიმდინარე ვალდებულებები ნიშნავს ყველა ვალდებულებას, რომელიც დაექვემდებარება ანგარიშსწორებას ან რომლის გადახდაც შესაძლებელიამოთხოვნილი იქნას არსებულ ვითარებაში თორმეტი თვის განმავლობაში, კრედიტორული დავალიანებების, მომხმარებლის ავანსის, დავალიანების მომსახურების მოთხოვნების, გადასახადებისა და გადახდების ჩათვლით გადასახადებისა და დივიდენდების სანაცვლოდ.

ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს ზემოაღნიშნული ფინანსური შეთანხმების კალკულაციას ყოველი წლის დასასრულს როგორც კომპანიის განცალკევებული ფინანსური ინფორმაციის, აგრეთვე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად ჯგუფის მიერ მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიასა და ჯგუფს დარღვეული აქვთ ზემოაღნიშნული ფინანსური შეთანხმება, ვინაიდან მიმდინარე აქტივების თანაფარდობა მიმდინარე პასივებთან როგორც კომპანიის დამოუკიდებელი ფინანსური ინფორმაციის, აგრეთვე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად ჯგუფის მიერ მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე ნაკლები იყო 1-ზე (რადგან 2016 წლის 31 დეკემბრის და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

კომპანიასა და ჯგუფს ასევე დარღვეული აქვთ ზემოაღნიშნული ფინანსური შეთანხმება). 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სესხი 316,009 ათასი ლარის ოდენობით კლასიფიცირებულ იქნა მიმდინარეს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. გარდა ამისა, ჯგუფმა მოახდინა თავისი 2016 წლის 31 დეკემბრის და 2015 წლის 31 დეკემბრის ნაშთების ხელახლა ფორმულირება, ვალდებულებების დარღვევასთან დაკავშირებული შეცდომების კორექტირების მიზნით, რომელიც არ იყო გამოვლენილი წინა წლებში. დეტალებისთვის იხილეთ შენიშვნა 22.

2017 წლის განმავლობაში, ნაღდი ფულის დეფიციტის გამო, საკონტრაქტო თანხები, რომელიც გადასახდელია KfW სესხის საფუძველზე, რომლის დაფარვის ვადა დგება 2027 წელს, რომელიც გაფორმებულია შპს ენერგოტრანსსა და საქართველოს მთავრობას შორის, არ იყო გადახდილი დროულად. შპს ენერგოტრანსმა არ აწარმოა მოლაპარაკება სესხის პირობების რესტრუქტურიზაციის შესახებ საქართველოს მთავრობასთან 2017 წელს, შესაბამისად საქართველოს მთავრობისგან არ იქნა მოპოვებული ოფიციალური თანხმობა 2017 წელს დასაფარი გადახდების გადავადების შესახებ. საკონტრაქტო პირობების დარღვევა წარმოადგენს ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევას სესხის ხელშეკრულების შესაბამისად, რაც საქართველოს მთავრობას ანიჭებს უპირობო უფლებას მოითხოვოს სესხის დაუყოვნებლივ დაფარვა, რომელიც შეადგენს 276,166 ათას ლარს, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოხდა სესხის რეკლასიფიკაცია, როგორც მიმდინარე ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შპს ენერგოტრანსმა დაარღვია ფინანსური ვალდებულება (სესხის მომსახურების კოეფიციენტი), რომელიც წარმოდგენილია შემდგომ სასესხო ხელშეკრულებაში EBRD-თან. ხელმძღვანელობამ მიიღო უარი შეთანხმების დარღვევაზე 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ბოლომდე. ხელმძღვანელობა აწარმოებს მოლაპარაკებას EBRD-თან ფინანსური შეთანხმების მოთხოვნების ამოღების შესახებ ზემოაღნიშნული ქვე-სესხის ხელშეკრულებიდან.

(b) ვალდებულებების მოძრაობის შეჯერება ფულადი სახსრები მოძრაობასთან, რომელიც წარმოიქმნა ფინანსური საქმიანობებიდან

'000 ლარი	ვალდებულებები სესხები და კრედიტები	ვალდებულებები რესტრუქტურიზებული ვალდებულებები	კაპიტალი სააქციო კაპიტალი	სულ
ნაშთი 2017 წლის 1 იანვარს	**941,597**	**66,417**	**599,984**	**1,607,998**
შემოსავლები სესხებიდან	81,056	-	-	81,056
სესხების დაფარვა	(53,290)	-	-	(53,290)
რესტრუქტურიზებული ვალდებულებების დაფარვა	-	(10,387)	-	(10,387)
შემოსავლები სააქციო კაპიტალის გამოშვებიდან	-	-	38,540	38,540
სულ ცვლილებები ფულადი ნაკადებიდან ფინანსური საქმიანობიდან.	**27,766**	**(10,387)**	**38,540**	**55,919**
ცვლილების ეფექტი გაცვლით კურსში	**81,540**	**625**	**-**	**82,165**
საპროცენტო ხარჯი	21,280	-	-	21,280

დისკონტის ამორტიზაცია	-	6,220	-	6,220
გადახდილი პროცენტი	(17,900)	-	-	(17,900)
მფლობელის შენატანები	-	-	528	528
სულ სხვა ცვლილებები	**84,920**	**6,845**	**528**	**92,293**
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,054,283**	**62,875**	**639,052**	**1,756,210**

13. რესტრუქტურიზებული ვალდებულებები

'000ლარი	2017	2016
გადახდები სახელმწიფო ბიუჯეტში	48,995	58,622
სავაჭრო ვალდებულებები	28,765	28,593
სესხები და დარიცხული პროცენტი	3,586	3,983
	81,346	**91,198**
ამორტიზებული ხარჯების შესწორება	(18,471)	(24,781)
ნაშთი 31 დეკემბერს	**62,875**	**66,417**
მიმდინარე ვალდებულებები	15,000	10,000
გრძელვადიანი ვალდებულებები	47,875	56,417
	62,875	**66,417**

რესტრუქტურიზებული ვალდებულებები წარმოადგენს 2006 წლამდე წარმოშობილ თანხებს, რომელთა ანგარიშსწორებაც იქნა გადავადებული ჯგუფის რთული ფინანსური მდგომარეობის გამო. სარეაბილიტაციო გეგმის თანახმად, რომელიც შედგენილ იქნა თავდაპირველად 2006 წელს სამართალწარმოებიდან და შეთანხმდა კრედიტორთა უმრავლესობასთან, აღნიშნული სესხების ანგარიშსწორება გადავადებულ იქნა 2011 წლამდე, შესაბამისად თანხების ანგარიშსწორება მოხდება ნაწილ-ნაწილ 2023 წლამდე, სარეაბილიტაციო პერიოდის დასრულებამდე.

სარეაბილიტაციო გეგმაში მოყვანილია ჯგუფის სტრატეგიული მიზნები მომდევნო 15 წლის განმავლობაში, მასში ასევე განსაზღვრულია ჯგუფის ძირითადი საოპერაციო და ფინანსური მიზნები. სარეაბილიტაციო გეგმის თანახმად, რეაბილიტაციის მენეჯერი დანიშნულ იქნა ჯგუფის ხელმძღვანელობის მიზნით მთლიანი სარეაბილიტაციო პერიოდის განმავლობაში. ჯგუფის მთავარ კრედიტორს წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ გადასახდელ თანხებს წარმოადგენს გადასახადები და ბაჟები, აგრეთვე სესხები და დარიცხული პროცენტი. რესტრუქტურიზირებული ვალდებულებები წარმოდგენილია დისკონტირებული ღირებულებით. 2008 წელს ახალი სარეაბილიტაციო გეგმის დამტკიცების შემდეგ, ჯგუფმა შეაფასა გადავადებული ვალდებულებების რეალური ღირებულება, რათა განეხორციელებინა შესწორებები გადახდის პირობებში. სარეაბილიტაციო გეგმის დამტკიცების დღისთვის რეალურ ღირებულებად განსაზღვრულ იქნა მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულება 9.57%-იანი საშუალო საბაზრო საპროცენტო განაკვეთით.

14. აქტივებთან დაკავშირებული გრანტები

'000ლარი	2017	2016
ნაშთი 1 იანვრის მდგომარეობით	112,829	108,592
აღრიცხული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში	(4,979)	(4,377)
მიღებული წლის განმავლობაში	4,878	8,614
ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით	**112,728**	**112,829**

'000ლარი	2017	2016
გრძელვადიანი	107,797	108,533
მიმდინარე	4,931	4,296
	112,728	**112,829**

2017 წელს, KfW უზრუნველყო გრანტი 500/220 kV ჯვარის ქვესადგურის მშენებლობასთან დაკავშირებით, რომელიც შეადგენს 2,220 ათასი ლარს (2016: 8,614 ათასი ლარი). გარდა ამისა, 2,658 ათასი ლარი მიღებულ იქნა 2017 წელს KfW-დან გადამცემი ქსელის გაგრძელების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებისთვის.

ფინანსური შენატანი არ ექვემდებარება ანაზღაურებას გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჯგუფი არაჯეროვნად გამოიყენებს მიღებულ ფულად სახსრებს ან მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის პროექტის განხორციელებას.

15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

'000 ლარი	2017	2016
ვალდებულებები განხორციელებულ სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებით	38,168	40,542
მიღებული ავანსი და სხვა ვალდებულებები	9,771	5,496
	47,939	**46,038**

ჯგუფის სავალუტო და ლიკვიდურობის რისკი სავაჭრო და სხვა ვალდებულებებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მე-16 შენიშვნაში.

16. სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა

(a) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების გაანგარიშება მიზნად ისახავს სავარაუდო ფასის მიახლოებით განსაზღვრას, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გასაყიდად ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის თანმიმდევრული ტრანზაქციის გზით ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების დღეს. ამასთან, გაურკვევლობის გათვალისწინებით და სუბიექტური განსჯის მეშვეობით, რეალური ღირებულება არ უნდა იქნეს ინტერპრეტირებული, როგორც რეალიზებადი აქტივების დაუყოვნებელი ნასყიდობის გზით ანვალდებულებათა გადაცემის მეშვეობით .

ჯგუფმა განსაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულებები შეფასებითი მეთოდოლოგიის გამოყენებით. შეფასების მეთოდოლოგიის მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიცასახავს ფასს, რომელიც უნდა იქნეს მიღებული აქტივის გასაყიდადან გადახდილი ვალდებულების გადაცემისთვის თანმიმდევრული ტრანზაქციის ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების დღეს. გამოყენებული შეფასებითი მეთოდოლოგია არის დისკონტირებული ფულადი საშუალებების მოძრაობის მოდელი. ყველა ფინანსური აქტივის და ვალდებულებების რეალური ღირებულება და ანგარიშდება მომავალი ძირითადი თანხისა და დარიცხული პროცენტების ფულადი საშუალებების მოძრაობის საფუძველზე, რომელთა დისკონტირება ხდება ანგარიშგების დღეს არსებული

საბაზრო განაკვეთით.

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება მიახლოებით მათი საბალანსო ღირებულების ტოლია.

(b) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობიდან გამომდინარე, ჯგუფი დგას შემდეგი რისკების წინაშე::

- საკრედიტო რისკი – შენიშვნა 16 (b)(ii);
- ლიკვიდურობის რისკი – შენიშვნა 16 (b)(iii);
- საბაზრო რისკი – შენიშვნა 16 (b)(iv).

წინამდებარე შენიშვნა წარმოადგენს ინფორმაციას ჯგუფზე ზემოთ მოყვანილი თითოეული რისკის ზეგავლენის შესახებ, ჯგუფისმიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს მათი შეფასებისა და მართვისათვის, ასევე ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ კაპიტალის მართვას. სხვა თანხობრივად გამოხატული ახსნა-განმარტებები მოყვანილია წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურანგარიშგებაში.

(i) რისკის მართვის სტრუქტურა

(ii)

მმართველთა საბჭოს აკისრია ჯგუფის რისკების მართვის საზღვრების განსაზღვრისა და მიმოხილვის პასუხისმგებლობა.

ჯგუფის რისკების მართვის მეთოდები განისაზღვრება ჯგუფის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებისა და ანალიზის, შესაბამისი რისკებისსაზღვრებისა და კონტროლის დადგენისა და რისკების მონიტორინგისა და საზღვრების დაცვის მიზნით. რისკების მართვის პოლიტიკები დასისტემები განიხილებარეგულარულად საბაზრო პირობებში მომხდარი ცვლილებებისა და ჯგუფის მიერ განხორციელებული ღონისძიებების ასახვის მიზნით. ჯგუფი, მისი სასწავლო და მართვის სტანდარტებისა და პროცედურების საშუალებით, მიზნად ისახავს დისციპლინირებულიდა კონსტრუქციული მართვის გარემოს შემუშავებას, სადაც ყველა თანამშრომელს გაცნობიერებული ექნება მისი როლი და ვალდებულებები..

მმართველთა საბჭოს მის მიმოხილვის ვალდებულების განხორციელებაში ეხმარება შიდა აუდიტი. შიდა აუდიტი ახორციელებს რისკების მართვის კონტროლისა და პროცედურების როგორც რეგულარულ, ასევე საგანგებო მიმოხილვებს, რომლის შედეგებიც ეცნობება მმართველთა საბჭოს.

(iii) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს ჯგუფის მიმართ წარმოშობილ ფინანსურ ზარალის მშემთხვევაში, თუ მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის მონაწილე მხარე ვერ შეასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს დაწარმოიშვება ძირითადად ჯგუფის მიერ მომხმარებლებისგან მისაღები თანხებიდან და საბანკო ბალანსებიდან.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალური საკრედიტო რისკის გამოვლენას.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ჯგუფის დაუცველობაზე საკრედიტო რისკის მიმართ გავლენას ახდენს ძირითადად თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. გეოგრაფიულად, საკრედიტო რისკი ძირითადად კონცენტრირებულია საქართველოში .

ხელმძღვანელობამ განსაზღვრა საკრედიტო პოლიტიკა, რომლის საფუძველზეც ხდება ყოველი ახალი მომხმარებლის ინდივიდუალური ანალიზი კრედიტუნარიანობასთან დაკავშირებით ჯგუფის სტანდარტულ ანგარიშსწორებამდე და მიწოდების პირობების შეთავაზებამდე. ჯგუფის მიმოხილვა ითვალისწინებს გარე შეფასებებს, შესაძლებლობის შემთხვევაში, და ზოგიერთ შემთხვევაში, საბანკო რეფერენციებს. კომპანიის შემოსავლების დაახლოებით 28% (2016 წელს: 42%) უკავშირდება გაყიდვების ტრანზაქციებს ცალკეულ მომხმარებელთან.

ჯგუფის მომხმარებლების 70%-ზე მეტი აწარმოებს გარიგებებს ჯგუფთან ხუთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში. თითქმის ყოველ საკრედიტო ზარალს ადგილი ჰქონდა აღნიშნულ პერიოდამდე.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებებთან დაკავშირებით ზოგადად არ მოითხოვება რაიმე სახის უზრუნველყოფა.

ჯგუფი განსაზღვრავს რეზერვს გაუფასურებასთან დაკავშირებით, რაც წარმოადგენს მის მიერ წარმოშობილი ზარალის შეფასებას სავაჭრო და სხვა ვალდებულებებთან დაკავშირებით. მისი შეღავათის ძირითად კომპონენტს წარმოადგენს კონკრეტული ზარალის კომპონენტი, რაც უკავშირდება ინდივიდუალურად მნიშვნელოვან დაუცველობას.

მაქსიმალური დაუცველობა საკრედიტო რისკების მიმართ სავაჭრო ვალდებულებებთან დაკავშირებით ანგარიშგების დღისთვის გეოგრაფიული რეგიონის მიხედვით შეადგენდა:

	საბალანსო ღირებულება	
	2017	2016
'000ლარი		
შიდა	**11,623**	**15,862**

გაუფასურების ზარალი

ანგარიშგების დღისთვის სავაჭრო მოთხოვნების ხანდაზმულობა შეადგენდა:

	მთლიანი2017	გაუფასურება 2017	მთლიანი 2016	გაუფასურება 2016
'000 ლარი				
არავადაგადაცილებული	11,623	-	15,862	-
ვადაგადაცილებული ერთ წელზე მეტი პერიოდით	15,156	15,156	76,900	76,900
	26,779	**15,156**	**92,762**	**76,900**

მოძრაობა გაუფასურების რეზერვში სავაჭრო მოთხოვნებთან დაკავშირებით წლის განმავლობაში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ინდივიდუალური გაუფასურება	
'000ლარი	2017	2016
ნაშთი წლის დასაწყისში	76,900	76,284
გაუფასურების ზარალი	-	616

'000ლარი	ინდივიდუალური გაუფასურება	
	2017	2016
უიმედო ვალის ჩამოწერა	(61,744)	-
ნაშთი წლის დასასრულს	**15,156**	**76,900**

რეზერვის ანგარიში სავაჭრო მოთხოვნებთან დაკავშირებით გამოიყენება გაუფასურების შედეგად მიყენებული ზარალის აღრიცხვისთვის, სანამ არ ამოიწურება ყოველგვარი შესაძლებლობა ანაზღაურებისთვის; აღნიშნული თვალსაზრისით თანხები ჩამოიწერება უშუალოდ ფინანსური აქტივებიდან.

ისტორიულად ინფორმაციაზე დაყრდნობით, ჯგუფს მიაჩნია რომ ზემოაღნიშნულის გარდა სხვა დამატებითი რეზერვი არ არის საჭირო სავაჭრო მოთხოვნებთან დაკავშირებით..

ფული და ფულის ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები განთავსებულია ბანკში, რომლის რეიტინგი სარეიტინგო სააგენტო Fitch-ის მიხედვით არის B..

(iv) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, როდესაც კომპანიას შეექმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის პირობების შესრულებისას, რომელთა ანგარიშსწორებაც ხდება ფულის ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდებით. ჯგუფის მიდგომა ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით გამოიხატება იმ ფაქტის შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფაში, რომ მას ყოველთვის ექნება საკმარისი ლიკვიდურობა მისი ვალდებულებების შესასრულებლად მათი დადგომისას, როგორც ჩვეულებრივ, ასევე სტრესულ სიტუაციებში, მიუღებელი ზარალისა თუ ჯგუფის რეპუტაციის სარისკო შებღალვის გარეშე..

ჯგუფი მართავს ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს როგორც მოკლევადიანი, ასევე გრძელვადიანი პროექტების გამოყენებით. ხელმძღვანელობა რეგულარულად ახორციელებს ჯგუფის ფულადი ნაკადების ყოველთვიური პროგნოზების მონიტორინგს. კომპანიამ განსაზღვრა ყოველწლიური ბიუჯეტირების პროცესი მის აქციონერთან ერთად. ბიუჯეტს განიხილავს სამეთვალყურეო საბჭო და ამოწმებს აქციონერი. ბიუჯეტის განახლება ხდება ყოველთვიურად ფაქტიურ შედეგებზე დაყრდნობით. ჯგუფის მიზანს წარმოადგენს ფულისა და ფულადი ეკვივალენტებს დონის შენარჩუნება მომავალი 60 დღის განმავლობაში ფინანსურ ვალდებულებებზე მოსალოდნელ ფულად გადინებაზე გადაჭარბებული ოდენობით.

ხელმძღვანელობა თვლის, რომ 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს გააჩნია საკმარისი ლიკვიდურობა, რათა შეასრულოს თავისი ვალდებულებები დროულად, ვინაიდან მომავალ წლებში ხელმძღვანელობა ელოდება საოპერაციო საქმიანობიდან წმინდა ფულადი ნაკადების არსებით ზრდას. ასეთი მოლოდინები ეფუძნება ვარაუდს, რომ სემეკი თანახმაა ელექტროენერგიის გადაცემის და დისპეტჩერიზაციის ტარიფების ზრდაზე. სემეკი ითვალისწინებს დაგეგმილი ელექტონერგიის გადაცემის მოცულობების ოდენობას ტარიფების განსაზღვრის დროს. ხელმძღვანელობა ელოდება, რომ ელექტროენერგიის გადაცემის საქართველოში გაიზრდება მოხმარების საერთო ზრდის შედეგად, რაც შესაბამისად განაპირობებს

ტარიფების შემდგომ და კომპანიის შემოსავლების ზრას. მოხმარების ზრდა მატულობს მიმდინარე პერიოდებში და ხელმძღვანელობა ითვალისწინებს, რომ ეს ტენდენცია გაგრძელდება მომავალშიც.

გარდა ამისა, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს გააჩნია 14,948ათასი ლარის ოდენობის ანაზღაურებადი დღგ, რომლის საქართველოს საგადასახადო ორგანოებიდან უკან მოთხოვნა შესაძლებელია და დაახლოებით 488,632 ათასი ლარის ოდენობის გამოუყენებელი საკრედიტო ხაზი საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებში. გამოუყენებელი საკრედიტო ხაზი შესაძლებელია ჩამოიწეროს, კაპიტალური ხარჯის გაწევისას.

ჯგუფს ეკისრება ძირითადი საშუალებების შესყიდვის სახელშეკრულებო ვალდებულება 165,295 ათასი ლარის ოდენობით (იხილეთ მე-17 შენიშვნა). კაპიტალის ვალდებულებები უკავშირდება სხვადასხვა პროექტით გათვალისწინებულ სამშენებლო სამუშაოებს და დაფინანსდება გამოუყენებელი სესხებიდან საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებიდან.

როგორც მითითებულია მე-12 შენიშვნაში, შეთანხმებების დარღვევის გამო, სესხები და კრედიტები ეკლასიფიცირდა მიმდინარე ვალდებულებებად, რითაც გაიზარდა სხვაობა მიმდინარე აქტივებსა და მიმდინარე ვალდებულებებს შორის 432,386 ათას ლარამდე 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ხელმძღვანელობა თვლის, რომ კრედიტორების მხრიდნა სესხებისა და კრედიტების დაუყოვნებლივ გადახდის მოთხოვნის უფლების მიუხედავად, ფაქტობრივი მოთხოვნის ალბათობა მცირეა ჯგუფის შესაძლებლობიდან გამომდინარე - გამოასწოროს შეთანხმებების დარღვევა უარის განცხადების მოპოვების გზით კრედიტორებისგან. გარდა ამისა მიღებულია მხარდაჭერის წერილი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან (საბოლოო მაკონტროლებელი მხარე), რომელშიც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო გამოხატავს სურვილს და შესაძლებლობას დამატებითი ფინანსური და სხვა მხარდაჭერა გაუწიოს შპს ენერგოტრანსს, საჭიროების შემთხვევაში უფლება მისცეს შპს ენერგოტრანსს დაფაროს თავისი ფინანსური ვალდებულებები ვადის დადგომისას. სხვაობა შპს ენერგოტრანსის მიმდინარე აქტივებსა და მიმდინარე ვალდებულებებს შორის შეადგენდა 314,222 ათას ლარს 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ჯგუფის ზარალი 2017 წლის 31 დეკემბრის და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადად გამოწვეული იყო შპს ენერგოტრანსის ძირითადი საშუალებების გაუფასურების და სავალუტო კურსის მერყეობის უარყოფითი გავლენით (შენიშვნა 7). ხელმძღვანელობა თვლის, რომ აღნიშნული ფაქტორები არის არაგანმეორებადი თავისი ბუნებით და რომ კომპანია გახდება მომგებიანი 2019 წლიდან.

ქვემოთ წარმოდგენილია ანგარიშგების თარიღისთვის ფინანსური ვალდებულებების დაფარვის სახელშეკრულებო დანარჩენი ვადები. თანხები არის მთლიანი და არადისკონტირებული შეფასებული საპროცენტო გადახდების ჩათვლით და მოთხოვნებისა და ვალდებულებების ურთიერთკომპენსაციის შესახებ შეთანხმებების გავლენის გარეშე.

31 დეკემბერი 2017

'000ლარი	საბალანსო ღირებულება	სახელშეკრულებო ფულადი სახსრების ნაკადები	1 წლამდე	1-5 წელი	5 წელზე მეტი
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები					
სესხები ფინანსური დაწესებულებებიდან	1,019,408	1,485,038	414,117	273,683	797,238
უზრუნველყოფილი სესხი დაკავშირებული მხარიდან	34,875	35,178	35,178	-	-
რესტრუქტურიზებული ვალდებულებები	62,875	81,347	15,000	60,000	6,347
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	47,939	49,436	49,436	-	-
	1,165,097	**1,650,999**	**513,731**	**333,683**	**803,585**

31 დეკემბერი 2016 ხელახლა ფორმულირებული '000ლარი	საბალანსო ღირებულება	სახელშეკრულებო ფულადი სახსრების ნაკადები	1 წლამდე	1-5 წელი	5 წელზე მეტი
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები					
სესხები ფინანსური დაწესებულებებიდან	907,842	1,153,662	144,438	312,306	696,918
უზრუნველყოფილი სესხი დაკავშირებული მხარიდან	33,755	39,256	11,101	28,155	-
რესტრუქტურიზებული ვალდებულებები	66,417	91,152	10,000	70,000	11,152
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	46,038	46,038	46,038	-	-
	1,054,052	**1,330,108**	**211,577**	**410,461**	**708,070**

არ არის მოსალოდნელი, რომ ანგარიშსწორების ვადის დადგომის ანალიზში გათვალისწინებული ფულადი ნაკადები შესაძლებელია წარმოდგენილი იქნას მნიშვნელოვნად ადრე ან მნიშვნელოვნად განსხვავებული თანხებით .

(v) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი, რომლის შემთხვევაშიც საბაზრო ფასებში, როგორიცაა უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსები, საპროცენტო განაკვეთები და კაპიტალის ღირებულებები, მომხდარი ცვლილებები გავლენას ახდენს ჯგუფის შემოსავალზე ან მისი ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის ღირებულებაზე. საბაზრო რისკის მართვის მიზანს წარმოადგენს საბაზრო რისკების მიმართ დაუცველობის მართვა და კონტროლი დადგენილი პარამეტრების ფარგლებში, შემოსავლის ოპტიმიზების გზით.

ჯგუფი არ იყენებს ჰეჯირების ანგარიშგებას სარგებელსა თუ ზარალში მერყეობის მართვის მიზნით.

სავალუტო რისკი

უცხოური ვალუტის რისკი წარმოადგენს რისკს, რომელიც ითვალისწინებს ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების ან სამომავლო ფულადი ნაკადების ცვლილებას უცხოური ვალუტის გაცვლის კურსის მერყეობის მიზეზით. ჯგუფის დაუცველობა უცხოური ვალუტის გაცვლის განაკვეთში მომხდარი ცვლილებების მიმართ ძირითადად უკავშირდება უცხოურ ვალუტაში ნომინირებულ ფინანსურ ვალდებულებებს. ჯგუფი არ ახდენს ჰეჯირებას სავალუტო რისკის მიმართ მის მგრძნობელობაზე..

დაუცველობა სავალუტო რისკის მიმართ

ჯგუფის დამოკიდებულება სავალუტო რისკზე წარმოდგენილია შემდეგი სახით პირობით თანხებზე დაყრდნობით:

'000ლარი	აშშ დოლარში დენომინირებული 2017	ევროში დენომინირებული 2017	აშშ დოლარში დენომინირებული 2016	ევროში დენომინირებული 2016
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,578	95	4,187	17
ფული და ფულის ეკვივალენტები	12,383	99	12,419	3,374
სესხები და კრედიტები	(247,094)	(807,188)	(226,587)	(715,010)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(11,576)	(21,545)	(7,787)	(23,196)
რესტრუქტურიზებული ვალდებულებები	(7,052)	(4,041)	(7,676)	(3,777)
რისკის წმინდა სიდიდე	**(251,762)**	**(832,580)**	**(225,444)**	**(738,592)**

წლის განმავლობაში გამოყენებული იქნა შემდეგი მნიშვნელოვანი ვალუტების გაცვლითი კურსები:

ლარში	საშუალო კურსი		ანგარიშგების დღის კურსი	
	2017	2016	2017	2016
1 აშშ დოლარი	2.5086	2.3667	2.5922	2.6468
1 ევრო	2.8322	2.6172	3.1040	2.7940

მგრძნობელობის ანალიზი

ლარის გამყარება/შესუსტება, როგორც ეს ქვემოთაა ნაჩვენები, ევროსა და აშშ დოლარის მიმართ 31 დეკემბრის მდგომარეობით, გაზრდის (შეამცირებს) მოგებას ან ზარალს საშემოსავლო გადასახადამდე ქვემოთ მოცემული თანხების ოდენობით. გავლენა არ აღინიშნა სხვა საერთო შემოსავალსა თუ უშუალოდ კაპიტალზე. მოცემული ანალიზი დაფუძნებულია უცხოური ვალუტის გაცვლის კურსის ცვლილებებზე, რაც კომპანიამ მიიჩნია საკმაოდ შესაძლებლად ანგარიშგების პერიოდის დასასრულს. ანალიზის თანახმად ივარაუდება, რომ ყველა სხვა ცვლადები, განსაკუთრებით საპროცენტო განაკვეთები, რჩება უცვლელი სახით.

2016 წლისათვის ანალიზი განხორციელდა იგივე საფუძველზე.

'000 ლარი	გამყარება	შესუსტება
31 დეკემბერი 2017		
მოგება (ზარალი)		

'000 ლარი	გამყარება მოგება	შესუსტება (ზარალი)
აშშ დოლარი ((10% იანი მოძრაობა)	25,176	(25,176)
ევრო (10% იანი მოძრაობა)	83,258	(83,258)
31 დეკემბერი 2016		
აშშ დოლარი ((20% იანი მოძრაობა)	45,089	(45,089)
ევრო (10% იანი მოძრაობა)	73,859	(73,859)

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთებთან დაკავშირებით მომხდარი ცვლილებები ძირითადად აისახება სესხებსა და კრედიტებზე მათი რეალური ღირებულების (ფიქსირებული განაკვეთის დავალიანება) ან მათი სამომავლო ფულადი ნაკადების (ცვალებადი განაკვეთის დავალიანება) ცვლილებით. ხელმძღვანელობას არ გააჩნია ფორმალური პოლიტიკა იმისა, რომ განსაზღვროს თუ რა სახის უნდა იყოს ჯგუფის მგრძნობელობა ფიქსირებული ან ცვალებადი განაკვეთების მიმართ. თუმცა ახალი სესხის ან ახალი კრედიტის აღებისას, ხელმძღვანელობა გადაწყვეტს იქნება თუ არა ფიქსირებული ანცვალებადი განაკვეთი უფრო ხელსაყრელი ჯგუფისთვის მოსალოდნელი დროის განმავლობაში, ვადის ამოწურვამდე.

პროფილი

ანგარიშგების დღისთვის ჯგუფის პროცენტიანი ფინანსური ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთის პროფილი წარმოდგენილი იყო შემდეგნაირად:

'000ლარი	საბალანსო ღირებულება	
	2017	**2016**
ფიქსირებული განაკვეთის ინსტრუმენტები		
ფინანსური აქტივები	47,295	25,266
ფინანსური ვალდებულებები	(282,470)	(252,715)
	235,175	**(227,449)**
ცვალებადი განაკვეთის ინსტრუმენტები		
ფინანსური ვალდებულებები	(771,812)	(688,882)
	(771,812)	**(688,882)**

სამართლიანი ღირებულების მგრძნობელობის ანალიზი ფიქსირებული განაკვეთის ინსტრუმენტებთან დაკავშირებით

ჯგუფი არ აგებს პასუხს ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით სამართლიანი ღირებულების სახით მოგების ან ზარალის მეშვეობით ან გასაყიდად ხელმისაწვდომობის სახით. შესაბამისად საპროცენტო განაკვეთებში განხორციელებულ ცვლილებას ანგარიშგების დღისთვის არ ექნებოდა რაიმე გავლენა მოგებაზე ან ზარალზე კაპიტალში.

ფულადი სახსრების ნაკადების მგრძნობელობის ანალიზი ცვალებადი განაკვეთის ინსტრუმენტებზე

ანგარიშგების დღისთვის საპროცენტო განაკვეთებში 100 საბაზო პუნქტის ცვლილებამ გაზარდა (შეამცირა) კაპიტალი და გადასახადების შემოსავლის ან გადასახადის წმინდა ღირებულება ქვემოთ ნაჩვენები თანხის ოდენობით. აღნიშნული ანალიზის

საფუძველზე მტკიცდება, რომ ყველა სხვა ცვლილებები, კერძოდ, უცხოური ვალუტის გაცვლის განაკვეთები, რჩება უცვლელად. 2016 წლის ანალიზი ტარდება იგივე საფუძვლებზე..

'000 ლარი	მოგება ან (ზარალი) 100 საბაზისო პუნქტით ზრდა	100 საბაზისო პუნქტით შემცირება
2017		
ცვლადი განაკვეთის ინსტრუმენტები	(7,718)	7,718
ფულადი სახსრების ნაკადების მგრძნობელობა (წმინდა სიდიდე)	**(7,718)**	**7,718**
2016		
ცვლადი განაკვეთის ინსტრუმენტები	(6,889)	6,889
ფულადი სახსრების ნაკადების მგრძნობელობა (წმინდა სიდიდე)	**(6,889)**	**6,889**

17. კაპიტალთან დაკავშირებული ვალდებულებები

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს ნაკისრი აქვს გრძელვადიანი სახელშეკრულებო ვალდებულება 165,295ათასი ლარის ოდენობით (2016 წელს: 100,150 ათასი ლარი) ელექტროენერგიის გადამცემი ხაზების მშენებლობისა და რეაბილიტაციისთვის აღჭურვილობის შესყიდვასთან დაკავშირებით.

კაპიტალთან დაკავშირებული ვალდებულებები ეხება პროექტთან დაკავშირებულ სხვადასხვა სამშენებლო სამუშაოებს და დაფინანსდება საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისგან გაუცემელი სესხებით

18. გაუთვალისწინებელი გარემოებები

(a) დაზღვევა

საქართველოს სადაზღვევო ინდუსტრია განვითარების ეტაპზე იმყოფება და დაზღვევის მრავალი ფორმა, რომლებიც მიღებულია მსოფლიოს სხვა ქვეყნებში, ამჟამად არ არის ხელმისაწვდომი. ჯგუფი სრულად ვერ აზღვევს დანადგარებს, ბიზნესის გამართულ მუშაობას, მესამე მხარის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებს ჯგუფის ქონებაზე უბედური შემთხვევებისა თუ ჯგუფის მიერ განხორციელებულ ოპერაციების შედეგად წარმოშობილი, ასევე ბუნებრივი მოვლენებით გამოწვეული ზიანის შემთხვევაში. სანამ მოხდება ჯგუფის სათანადოდ დაზღვევა, არსებობს რისკი იმისა, რომ ზარალი ან აქტივების დაზიანება მატერიალურ ზარალს მიაყენებს ჯგუფის საოპერაციო და ფინანსურ მდგომარეობას.

(b) სასამართლო დავები

საქმიანობის ნორმალური მიმდინარეობის პროცესში ჯგუფი წარმოადგენს სამართალწარმოების, სასამართლო პროცესებისა და დავების მხარეს. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ აღნიშნული სამართალწარმოებიდან ან სარჩელებიდან წარმოშობილი საბოლოო ვალდებულება, ასეთის არსებობის შემთხვევაში, არ იქონიებს მატერიალურად არახელსაყრელ ეფექტს ფინანსურ მდგომარეობასა

ოპერაციების შედეგებზე..

(c) დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მისთვის დამახასიათებელია სასამართლო გადაწყვეტილებებისა და დებულებების ხშირი ცვლილება. საგადასახადო ნორმები ხშირად ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივია და სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ სხვადასხვაგვარად განიმარტება. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია კომპანიას დააკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან სამი წელია გასული..

ზემოთხსენებული საგადასახადო გარემო ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც საქართველოში უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობის აზრით, იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, ხელმძღვანელობს რა საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების ოფიციალური აქტებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად. თუმცა, შესაბამისი საგადასახადო ორგანოების კომპანიისაგან განსხვავებულმა პოზიციამ შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე, თუ აღნიშნული ორგანოები წარმატებით განახორციელებენ მათ ინტერპრეტაციებს.

19. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

(a) მაკონტროლებელ ორგანოებთან ურთიერთობა

კომპანიის უშუალო და ძირითად მშობელ კომპანიას წარმოადგენს სს „საპარტნიორო ფონდი“, ხოლო ძირითად მაკონტროლებელ ორგანოს წარმოადგენს საქართველოს მთავრობა. სს „საპარტნიორო ფონდი“ წარადგენს საჯაროდ ხელმისაწვდომ ფინანსურ ანგარიშგებას კომპანიის ვებ-გვერდზე.

(b) ოპერაციები მმართველ რგოლთან

(i) ხელმძღვანელობის ანაზღაურება

ხელმძღვანელობის მმართველმა რგოლმა წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც ჩართულია სახელფასო ხარჯებში:

'000ლარი	2017	2016
ხელფასები და ბონუსები	1,913	1,795

ოპერაციები მთავრობასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებთან

რომლებიც წარმოდგენილია საქართველოს ხელისუფლების კონტროლის, ერთობლივი კონტროლის ან მნიშვნელოვანი გავლენის ქვეშ. ჯგუფმა აირჩია ბასს (IAS) 24-ის მიხედვით დასაშვები გამონაკლისი დაკავშირებული მხარის გამჟღავნებული ინფორმაციები , რაც იძლევა შესაბამისი მხარის მიერ ინფორმაციის გამჟღავნების შემცირებულ შესაძლებლობას სამთავრობო ორგანოებთან განხორციელებულ ტრანზაქციებთან დაკავშირებით.

ჯგუფის ყოველგვარი სესხი და კრედიტი, ასევე აღნიშნულ სესხებსა და კრედიტებზე განსაზღვრული საპროცენტო ხარჯი ექვემდებარება ანგარიშსწორებას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ. აქტივებთან დაკავშირებით ჯგუფის [illegible]

ძირითადად მიიღება იმ ტრანზაქციებიდან, სადაც საქართველოს ხელისუფლება მოქმედებს შუამავლის სახით. ჯგუფის რესტრუქტურიზებული ვალდებულებები ძირითადად შედგება საქართველოს ხელისუფლების ან ხელისუფლების ორგანოების მიმართ განსაზღვრული გადასახდელებისგან.

ჯგუფის შემოსავლის დაახლოებით 34% (2016 წელს: 27%) მიიღება სამი საწარმოდან, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილიც წარმოდგენილია ან კონტროლდება საქართველოს ხელისუფლების მიერ..

20. შვილობილი კომპანიები

შვილობილი კომპანია	დაფუძნების ქვეყანა	2017 საკუთრება / ხმის მიცემის უფლება	2016 საკუთრება / ხმის მიცემის უფლება
შპს „ენერგოტრანსი“	საქართველო	100%	100%
სს „Karcal Energy“	თურქეთი	100%	100%

21. შეფასების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით..

22. ხელახლა ფორმულირება - შეცდომების გამოსწორება

2017, 2016 და 2015 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფმა და კომპანიამ დაარღვია ფინანსური შეთანხმება, იხილეთ შენიშვნა 12(ბ) (ჯგუფმა უნდა შეინარჩუნოს არანაკლებ 1 მიმდინარე ატქივების თანაფარდობა მიმდინარე ვალდებულებებთან), რომელიც წარმოდგენილია შემდგომ სასესხო ხელშეკრულებაში EBRD-თან. ხელმძღვანელობამ არ მოიპოვა უარი შეთანხმების დარღვევაზე 2015 წლის 31 დეკემბრით, 2016 წლის 31 დეკემბრით და 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ბოლომდე. ეს წარმოადგენს ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევას, რაც EBRD-ს ანიჭებს უპირობო უფლებას მოითხოვოს სესხის დაუყოვნებლივ დაფარვა.შეთანხმების დარღვევის ეფექტი არ აისახა ფინანსურ ანგარიშგებებში 2016 წლის 31 დეკემბრით და 2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის. შეცდომა გამოსწორდა თითოეული ზემოქმედებული ფინანსური ანგარიშგების პუნქტის ხელახლა ფორმულირებითწინა პერიოდებისთვის.
ქვემოთ ცხრილში შეჯამებულია ზემოქმედება ჰფუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

	31 დეკემბერი 2016		
	მანამდე წარმოდგენილი	კორექტირებები	ხელახლა ფორმულირებული
სესხები და კრედიტები	867,520	(76,793)	790,727
სულ არამიმდინარე ვალდებულებები	**867,520**	**(76,793)**	**790,727**
სესხები და კრედიტები	74,077	76,793	150,870
სულ მიმდინარე ვალდებულებები	**74,077**	**76,793**	**150,870**

	31 დეკემბერი 2015		
	მანამდე წარმოდგენილი	კორექტირებები	ხელახლა ფორმულირებული
სესხები და კრედიტები	688,549	(18,449)	670,100
სულ არამიმდინარე ვალდებულებები	**688,549**	**(18,449)**	**670,100**
სესხები და კრედიტები	81,217	18,449	99,666
სულ მიმდინარე ვალდებულებები	**81,217**	**18,449**	**99,666**

23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ წარმოდგენილი სააღრიცხვო პოლიტიკა გამოიყენება თანმიმდევრულად წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი პერიოდის განმავლობაში და უწყვეტად ხორციელდება ჯგუფში შემავალი საწარმოების მიერ.

(a) კონსოლიდაციის საფუძველი

შვილობილი კომპანიები

შვილობილი კომპანიები წარმოადგენენ ჯგუფის მიერ კონტროლირებად საწარმოებს. ჯგუფი აკონტროლებს საწარმოს, როდესაც ის დაკავშირებულია, უფლებამოსილია ცვალებად ამონაგებზე საწარმოსთან ჩართულობით და შესწევთ უნარი იმოქმედონ ხსენებულ შემოსავლებზე, საწარმოზე მათი უფლებების გამოყენებით. შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგებები გათვალისწინებულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში კონტროლის დაწყების თარიღიდან მისი შეწყვეტის თარიღამდე. შვილობილი კომპანიების სააღრიცხვო პოლიტიკა შეიცვალა საჭიროების შესაბამისად, ჯგუფის მიერ მიღებული პოლიტიკის გათვალისწინებით.

(i) კონტროლის დაკარგვა

კონტროლის დაკარგვისას, ჯგუფი აღარ აღიარებს შვილობილი კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებს, არაკონტროლირებად წილებსა და შვილობილ კომპანიასთან დაკავშირებული კაპიტალის სხვა კომპონენტებს. კონტროლის დაკარგვისას წარმოშობილი ნებისმიერი ნამატი ან დეფიციტი ჩაითვლება მოგებაში ან ზარალში. იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფი შეინარჩუნებს რაიმე წილს წინა შვილობილ კომპანიაში, მაშინ აღნიშნული წილი გამოითვლება იმ დღისთვის არსებული რეალური ღირებულების მიხედვით, როდესაც ადგილი ჰქონდა კონტროლის დაკარგვას. შედეგად ის აღირიცხება, როგორც კაპიტალში ჩათვლილი ინვესტიციების მიმღებად, ან გასაყიდად წარმოდგენილ ფინანსურ აქტივად, რომელიც დამოკიდებულია მიღებულ ურთიერთმონაწილეობის დონეზე.

(ii) კონსოლიდაციისას გაუქმებული ოპერაციები

შიდა ჯგუფური ბალანსები და ტრანზაქციები, ასევე ნებისმიერი არარეალიზებული შემოსავალი და ხარჯი, რომელიც წარმოიქმნება შიდა ჯგუფური ტრანზაქციებიდან, გაუქმდება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას.

(b) შემოსავალი

(i) მომსახურებები

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმ მოცულობით, რომლითაც ჯგუფი უზრუნველყოფს მომსახურებების გაწევას ხელშეკრულების თანახმად. შემოსავლის ოდენობა შესაძლებელია განისაზღვროს საიმედოდ და სავარაუდოდ მოხდება ოპერაციასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოდინება ჯგუფში. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული შეგებებული დაკმაყოფილების სამართლიანი ღირებულების თანახმად, სარეალიზაციო გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოკლებით.
ჯგუფი შემოსავლებს ღებულობს ძირითადად საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ელექტროენერგიის გადაცემისა და დისპეჩერიზაციის საფუძველზე. შემოსავლების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ადგილი აქვს მომსახურების ფაქტიურად გაწევას ანგარიშგების თარიღისთვის გადაცემული და დისპეჩერიზებული ელექტროენერგიის მოცულობის საფუძველზე.

(ii) სახელმწიფო გრანტები

სახელმწიფო გრანტების პირველადი აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულების მქონე გადავადებული შემოსავლის სახით, როდესაც არსებობს სათანადო საფუძველი ვარაუდისა, რომ ასეთი გრანტი იქნება მიღებული და ჯგუფი დააკმაყოფილებს გრანტთან დაკავშირებით არსებულ პირობებს და შემდგომ აღიარებული იქნება შემოსავალში ან ზარალში სხვა შემოსავლის სახით სისტემატიურად, აქტივის სრული საექსპლუატაციო ვადის განმავლობაში. გრანტები, რომლებიც ახდენენ ჯგუფის მიმართ გაწეული ხარჯების ანაზღაურებას, აღიარებული იქნება შემოსავალში ან ზარალში სხვა შემოსავლის სახით სისტემატიურად იმავე პერიოდით, რომელშიც ადგილი ჰქონდა ხარჯების აღიარებას..

(c) ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

ჯგუფის ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯი მოიცავს:

- ინვესტირებული ფულადი სახსრების საპროცენტო შემოსავალს;
- გაუფასურების ღირებულებით გამოთვლილ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებულ საპროცენტო ხარჯს;
- უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებულ სარგებელს ან ზარალს ფინანსურ აქტივებთან და ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებით.

საპროცენტო შემოსავლის ან ხარჯის აღიარება ხდება მის მოგებაზე ან ზარალზე დარიცხვისთანავე, ეფექტური პროცენტის გამოთვლის მეთოდის გამოყენებით. სასესხო ხარჯი, რომელიც პირდაპირ არ უკავშირდება კვალიფიციური აქტივების შესყიდვას, მშენებლობას ან წარმოებას, აღიარებული იქნება ეფექტური პროცენტის გამოთვლის მეთოდთან გამოყენებულ მოგებასა თუ ზარალში. უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული სარგებელი ან ზარალი წარმოდგენილია წმინდად, როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი, რაც დამოკიდებულია

ფაქტზე, წარმოდგენილია თუ არა უცხოური ვალუტის მოძრაობა წმინდა მოგების ან წმინდა ზარალის მდგომარეობაში.

(d) უცხოური ვალუტა

(i) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ტრანზაქციები კონვერტირდება ჯგუფის საწარმოების შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს დადგენილი ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი ერთეულები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. ფულად ერთეულებზე უცხოური ვალუტის მოგება ან ზარალი წარმოადგენს სხვაობას პერიოდის დასაწყისისთვის ფუნქციონალურ ვალუტაში წარმოდგენილ ამორტიზირებულ ხარჯს, რომელიც მორგებულია არსებულ პროცენტზე და პერიოდის განმავლობაში განხორციელებულ ანგარიშსწორებებზე, და უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილ ამორტიზირებულ ხარჯს შორის, რომელიც კონვერტირდება ანგარიშგების პერიოდის დასასრულს არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით.

უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი ერთეულები, რომლებიც დაანგარიშდება ისტორიული ღირებულებით, კონვერტირდება ტრანზაქციის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით.

ვალუტის გადაფასებით გამოწვეული საკურსო სხვაობა აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში..

(ii) უცხოური ოპერაციები

უცხოური ოპერაციებით გათვალისწინებული აქტივები და ვალდებულებები კონვერტირდება ქართულ ლარში ანგარიშგების თარიღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. უცხოური ოპერაციების შემოსავალი და ხარჯები კონვერტირდება ქართულ ლარში ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებული სხვაობები აღიარებულია სხვა საერთო შემოსავალში და წარმოდგენილია კაპიტალში უცხოური ვალუტის გადაფასების რეზერვში. იმ შემთხვევაში, თუ უცხოურ ოპერაციაზე შეწყდება ამგვარი კონტროლი, აღარ იქნება წარმოდგენილი მნიშვნელოვანი გავლენა ან ერთობლივი კონტროლი, აღნიშნულ უცხოურ ოპერაციასთან დაკავშირებულ გადაფასების რეზერვში წარმოდგენილი საერთო თანხა ხელახლა კლასიფიცირდება მოგებად ან ზარალად, გასხვისებაზე დარიცხული მოგების ან ზარალის ნაწილის სახით..

(e) თანამშრომელთა მოკლევადიანი სარგებელი

თანამშრომლის მოკლევადიანი სარგებლის ვალდებულებები აღირიცხება დისკონტირებულ საფუძველზე და გაიწერება ხარჯებში შესაბამისი მომსახურებების გაწევისთანავე. ვალდებულების აღიარება ხდება იმ თანხასთან დაკავშირებით, რომლის ანგარიშსწორებაც უნდა მოხდეს მოკლევადიანი ფულადი პირობით, ან სარგებლის გაზიარების გეგმებით იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფს გააჩნია აღნიშნული თანხის ანგარიშსწორების მიმდინარე სამართლებრივი ან

ვალდებულება თანამშრომლის მიერ წარსულში განხორციელებული მომსახურების შედეგად და ვალდებულება შესაძლებელია შეფასდეს საიმედოდ.

(f) რეზერვები

რეზერვის აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, თუ წარსულში მომხდარი შემთხვევის გამო, ჯგუფს გააჩნია სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება, რაც შესაძლებელია შეფასდეს საიმედოდ და სავარაუდოდ საჭირო გახდება ეკონომიკური სარგებლის გადინება ვალდებულებების ანგარიშსწორების მიზნით. რეზერვი განისაზღვრება ფულადი სახსრების მომავალი მოსალოდნელი ნაკადების დისკონტირებით, დაბეგვრამდე არსებული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ვალდებულებების დამახასიათებელი ფულის დროებითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებსა და რისკებს. დისკონტის ამორტიზაცია აღიარებულია ფინანსურ ხარჯში.

(g) მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადს. მიმდინარე და გადავადებული გადასახადი აღიარებულია შემოსავალში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის დაკავშირებულია კაპიტალში ან სხვა სრულ შემოსავალში უშუალოდ აღირებულ ობიექტებთან.

(i) მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადი არის მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება ან მოთხოვნა შესაბამისი წლის დასაბეგრ შემოსავალზე ან ზარალზე, დადგენილ ან არსებითად დადგენილ საგადასახადო განაკვეთზე ანგარიშგების თარიღისთვის, ასევე საგადასახადო ვალდებულების ყველა შესწორება დაკავშირებული წინა წლებთან. მიმდინარე გადასახადი აგრეთვე მოიცავს ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებას, რომლებიც წარმოიშვება დივიდენდებიდან..

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. აღნიშნული კანონი ძალაში შევიდა 2016 წელს და ამოქმედდა 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული საგადასახადო პერიოდისთვის ყველა საწარმოს მიმართ, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორიცაა ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომელთა მიმართაც კანონი ძალაში შევა 2023 წლის 1 იანვრიდან..

კორპორატიული მოგების დაბეგვრის ახალი სისტემა ითვალისწინებს არა კორპორატიული მოგების გადასახადისგან გათავისუფლებას, არამედ კორპორატიული მოგების გადასახადის დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე, ანუ ძირითად საგადასახადო ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას, როგორც აქციონერების / პარტნიორების მიმართ დივიდენდების სახით განაწილებულ მოგებას. თუმცა ზოგიერთი სხვა ოპერაცია აგრეთვე ჩაითვლება განაწილებულ მოგებად, მაგალითად, კონტროლირებად ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადებისგან გათავისუფლებულ პირთან აგრეთვე განიხილება განაწილებულ მოგებად.

კორპორატიული მოგების გადასახადის მიზნებისთვის. გარდა ამისა, საგადასახადო ობიექტი ითვალისწინებს ხარჯსა და სხვა გადასახდელს, რაც არ იქნება დაკავშირებული საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობასთან, უფასო მიწოდებასთან და ლიმიტზე გადაჭარბებულ წარმომადგენლობით ხარჯთან..

გადასახადის ანაზღაურება ხელმისაწვდომია 2008-2016 წლებში გაუნაწილებელ მოგებასთან დაკავშირებით გადახდილ მიმდინარე გადასახადთან მიმართებით იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული მოგება განაწილდება 2017 ან მომდევნო წლებში.

დივიდენდების ანგარიშსწორებიდან კორპორატიული მოგების გადასახადი დაანგარიშდება იმ პერიოდის ხარჯთან დაკავშირებით, როდესაც მოხდა დივიდენდების განცხადება, მიხედავად ანგარიშსწორების ფაქტიური თარიღისა ან პერიოდისა, რომელთან დაკავშირებითაც ადგილი ჰქონდა დივიდენდების ანგარიშსწორებას.

(ii) გადავადებული გადასახადი

ზემოთ აღწერილი ახალი საგადასახადო სისტემის არსიდან გამომდინარე, საქართველში რეგისტრირებულ საწარმოებს არ გააჩნიათ სხვაობა აქტივების საგადასახადო ბაზასა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის და აღნიშნულიდან გამომდინარე, არ წამოიშობა გადავადებული მოგების გადასახადის აქტივები და პასივები.

წინა პერიოდში დარიცხული საგადასახადო ზარალის გამოყენება შეუძლებელია სამომავლო დაბეგვრად მოგებაში..

(h) მარაგები

მარაგები წარმოდგენილია მის ღირებულებასა და მის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით და ითვალისწინებს მარაგების შეძენასთან, წარმოებასა და კონვერსიასთან, აგრეთვე მათ არსებულ ადგილზე და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულებად მიჩნეულია ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას გასაყიდ ფასს გამოკლებული შეფასებული დასრულების ღირებულება და გასაყიდი დანახარჯები.

(i) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები აღირიცხება აკუმულირებულ ცვეთასა და აკუმულირებულ გაუფასურებაზე ნაკლები ღირებულებით.

ღირებულება მოიცავს აქტივების შეძენასთან უშუალოდ დაკავშირებულ ხარჯებს. საკუთარი სახსრებით შექმნილი აქტივების ღირებულება მოიცავს მასალების ღირებულებასა და პირდაპირ შრომით დანახარჯებს, ნებისმიერ სხვა ხარჯს, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული აქტივის მუშა მდგომარეობაში მოყვანასთან, მისი დანიშნულებისამებრ გამოყენების მიზნით, ასევე ობიექტის დემონტაჟთან, გატანასთან და

სამუშაოების წარმოების ადგილის აღდგენასთან დაკავშირებულ ხარჯებს და კაპიტალიზებული სესხის ხარჯებს. შეძენილი კომპიუტერული პროგრამების, რომლებიც შესაბამისი მოწყობილობის ფუნქციონირების განუყოფელი ნაწილია, კაპიტალიზაცია ხორციელდება ამ მოწყობილობის შემადგენელი ნაწილის სახით.

როდესაც ძირითადი საშუალებების ობიექტის შემადგენელი ნაწილები შეიცავს სხვადასხვა საექსპლუატაციო ვადის მქონე კომპონენტებს, მათი აღრიცხვა ხორციელდება ძირითადი საშუალებების ცალკეული ობიექტების (ძირითადი კომპონენტების) სახით.

ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული მოგება ან ზარალი განისაზღვრება სხვაობით გაყიდვიდან მიღებულ სარგებელსა და ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარებული იქნება წმინდა ღირებულებად სხვა შემოსავლის/სხვა გასავლის ფარგლებში მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში.

(ii) შემდგომი ხარჯები

ძირითადი საშუალების ობიექტის კომპონენტების შეცვლასთან დაკავშირებული ხარჯების აღრიცხვა წარმოებს კომპონენტის საბალანსო ღირებულებაში იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია კომპონენტის ფარგლებში გათვალისწინებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის გადაცემა ჯგუფის მიმართ და მისი ღირებულების საიმედოდ აღრიცხვა. ჩანაცვლებული კომპონენტის საბალანსო ღირებულება იქნება უარყოფილი. ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მომსახურების ღირებულება აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, გაღებული ხარჯების სახით.

(iii) ცვეთა

ძირითადი საშუალებების კომპონენტების ცვეთის დარიცხვა ხდება მათი დამონტაჟებისა და საექსპლუატაციო მზადყოფნის დღიდან, ხოლო შიდა კონსტრუირებული აქტივების შემთხვევაში, აღნიშნული აქტივების დასრულებისა და გამოსაყენებლად მზადყოფნის დღიდან. ცვეთა განისაზღვრება აქტივის ღირებულებას გამოკლებული მისი ნარჩენი ღირებულება.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, ძირითადი საშუალებების კომპონენტების ყოველი ნაწილის საექსპლუატაციო ვარგისიანობის ვადის შეფასების საფუძველზე, ვინაიდან აღნიშნული ყველაზე უკეთ ასახავს აქტივით გათვალისწინებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის ხარჯვის მოსალოდნელ ნიმუშს. მიწა არ ექვემდებარება ცვეთას.

ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი კომპონენტების საექსპლუატაციო ვარგისიანობის ვადის შეფასება მიმდინარე და შედარებითი პერიოდების განმავლობაში შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

- შენობა-ნაგებობები 15-25 წელი;
- ელექტროგადამცემი ხაზები 20-35 წელი;
- მოწყობილობები 10-25 წელი;
- მანქანა-დანადგარები და სხვ. 5 – 7 წელი.

ხელმძღვანელობა იყენებს მნიშვნელოვან მსჯელობას ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსასაზღვრად, რომლებიც გამოყენებულია პერიოდის განმავლობაში.

ცვეთის მეთოდები, საექსპლუატაციო ვარგისიანობის ვადა და ნარჩენი ღირებულება განიხილება ყოველი ფინანსური წელიწადის ბოლოს და შესწორდება შესაბამისად.

(j) იჯარით აღებული აქტივები

იჯარა, რომლის პირობებშიც ჯგუფი იღებს არსებით ვალდებულებას მის მფლობელობასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელთან დაკავშირებით, კლასიფიცირდება ფინანსური იჯარების სახით. პირველადი აღიარებისთანავე იჯარით აღებული აქტივები აღირიცხება, როგორც მის რეალურ ღირებულებასა და მინიმალური იჯარის გადახდების მიმდინარე ღირებულებაზე ნაკლები თანხა. პირველადი აღიარების შემდგომ, აქტივი აღირიცხება აღნიშნულ აქტივთან დაკავშირებით მოქმედი სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად.

ყველა სხვა იჯარა წარმოადგენს საოპერაციო იჯარას და იჯარით აღებული აქტივების აღიარება არ მოხდება ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში..

(k) ფინანსური ინსტრუმენტები

ჯგუფი ახდენს არაწარმოებული ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას სესხებისა და მოთხოვნების კატეგორიაში და არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციას სხვა ფინანსური ვალდებულებების კატეგორიაში.

(i) არაწარმოებული ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები - აღიარება და აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი პირველადად აღიარებს სესხებსა და კრედიტებს, ასევე დეპოზიტებს მათი წარმოშობის დღისთვის. ყოველი სხვა ფინანსური ვალდებულების აღიარება ხდება პირველადად მათი ვაჭრობის დღისთვის, როდესაც ჯგუფი გახდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულებების მხარე.
ჯგუფი არ აღიარებს ფინანსურ აქტივებს მას შემდეგ, რაც ამოიწურება სახელშეკრულებო უფლებები ფულად ნაკადებზე აქტივებიდან, ან იგი გადასცემს ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებით ამა თუ იმ გარიგებაში, რომელშიც ადგილი აქვს ფინანსური აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული ყოველგვარი რისკისა და ანაზღაურების გადაცემას. ყოველგვარი წილი გადაცემულ ფინანსურ აქტივებში, რომელიც იქმნება ან იწარმოება ჯგუფის მიერ, აღიარებულია ცალკე აქტივად ან პასივად..

ჯგუფი არ აღიარებს ფინანსურ ვალდებულებას იმ შემთხვევაში, თუ მისი სახელშეკრულებო ვალდებულებები გაუქმდება, დაკარგავს ძალას ან ამოიწურება. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ექვემდებარება ანაზღაურებას და წარმოადგენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მითითებულ სუფთა თანხას მხოლოდ მაშინ, როდესაც ჯგუფს გააჩნია თანხების ანაზღაურების სამართლებრივი უფლება და სურს მოახდინოს ანგარიშსწორება სუფთა საწინააღმდეგო უზრუნველყოს აქტივების რეალიზება და ვალდებულებების ანგარიშსწორება

ერთდროულად.

სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები წარმოადგენს ფიქსირებული ან განსაზღვრული ანგარიშსწორების მქონე ფინანსური აქტივების კატეგორიას, რომლებიც არ არის წარმოდგენილი აქტიურ ბაზარზე. აღნიშნული აქტივების პირველადი აღიარება ხდება მისი რეალური ღირებულებით პლუს ნებისმიერი უშუალოდ მიწერილი ტრანზაქციის ღირებულებით. შემდგომში პირველადად აღიარებული სესხები და მოთხოვნები განისაზღვრება ამორტიზირებული ღირებულების მიხედვით მოქმედი საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, აღნიშნულს გამოკლებული გაუფასურების შედეგად წარმოშობილი დანაკარგი.

სესხებისა და მოთხოვნების კატეგორიაში წარმოდგენილია ფინანსური აქტივების შემდეგი კლასები: სავაჭრო და სხვა მოთხოვნები წარმოდგენილია მე-8 შენიშვნაში, ხოლო ფული და ფულის ექვივალენტები მე-9 შენიშვნაში.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება საბანკო ბალანსებისგან, რომელთა ანგარიშსწორების ვადაც შეადგენს სამ თვეს ან ნაკლებს მათი მიღების დღიდან, რაც ექვემდებარება მათ რეალურ ღირებულებაში ცვლილებების განხორციელების მნიშვნელოვან რისკს..

(ii) არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები - შეფასება

სხვა ფინანსური ვალდებულებები პირველადად აღიარებულია მათი რეალური ღირებულებით პლუს ნებისმიერი უშუალოდ მიწერილი ტრანზაქციის ღირებულებით. პირველადად აღიარების შემდგომ აღნიშნული ფინანსური ვალდებულებები განისაზღვრება ამორტიზირებული ღირებულების მიხედვით მოქმედი საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებსა და კრედიტებს, რაც წარმოდგენილია მე-12 შენიშვნაში, რესტრუქტურიზებული ვალდებულებები წარმოდგენილია მე-13 შენიშვნაში, ხოლო სავაჭრო და სხვა მოთხოვნები წარმოდგენილია მე-15 შენიშვნაში..

(l) სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციების კლასიფიკაცია ხდება კაპიტალის სახით. ჩვეულებრივი აქციებისა და სააქციო ოფციონის გამოშვების შედეგად უშუალოდ წარმოშობილი დამატებითი ხარჯების აღიარება ხდება კაპიტალიდან ნებისმიერი საგადასახადო ეფექტის წმინდა ღირებულებიდან დაქვითვის სახით.

(m) გაუფასურება

(i) არაწარმოებული ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივი, რომელიც არ აღირიცხება რეალური ღირებულებით მოგების ან ზარალის საშუალებით, შეფასდება ყოველ ანგარიშგების დღეს იმ მიზნით, რომ

განისაზღვროს არსებობს თუ არა მისი გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. ფინანსური აქტივი ჩაითვლება გაუფასურებულად იმ შემთხვევაში, თუ ობიექტური მტკიცებულებით ნაჩვენებია აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდგომ ზარალის შემთხვევა, რაც შესაძლებელია უარყოფითად აისახოს აღნიშნული აქტივის სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებაში, რაც ფასდება საიმედოდ..

ფინანსური აქტივების გაუფასურების დამადასტურებელი ობიექტური მტკიცებულებები შესაძლებელია ითვალისწინებდეს შემდეგს:

- დებიტორის გაკოტრება ან გადაუხდელობა;
- ჯგუფის მიმართ გადასახდელი თანხის რესტრუქტურიზება იმ პირობებით, რომლის სხვაგვარად განხილვა ჯგუფს არ შეუძლია;
- მინიშნება, რომ დებიტორი გამოცხადდება გაკოტრებულად;
- გაკოტრებასთან დაკავშირებული ეკონომიკური პირობები.

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები

მტკიცებულებას როგორც კონკრეტული აქტივის, ასევე აქტივების ერთობლიობის დონეზე. ყოველი ინდივიდუალური მნიშვნელოვანი სესხები და მოთხოვნები შეფასდება კონკრეტულ გაუფასურებასთან დაკავშირებით. ყველა ინდივიდუალური სესხი და მოთხოვნა, რომლებიც არ ჩაითვლება კონკრეტულად გაუფასურებულად, შეფასდება ერთობლივად ნებისმიერი სახის გაუფასურებასთან დაკავშირებით, რაც წარმოიშვა, მაგრამ არ არის ჯერ დადგენილი. ის სესხები და მოთხოვნები, რომელთაც არ გააჩნიათ მნიშვნელობა ინდივიდუალურად, შეფასდება ერთობლივად გაუფასურებასთან დაკავშირებით მოთხოვნების მსგავსი რისკის მახასიათებლებთან დაჯგუფების გზით.

ერთობლივი გაუფასურების შეფასებისას ჯგუფი იყენებს დეფოლტის ალბათობის, ხარვეზების აღმოფხვრის დროისა და გაწეული ზარალის ისტორიულ ტენდენციებს, რაც მორგებულია ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებებზე იმასთან დაკავშირებით, არის თუ არა მიმდინარე ეკონომიკური და საკრედიტო პირობები იმ სახის, რომ ფაქტიური ზარალი აღემატებოდეს ან ნაკლები იყოს წარმოდგენილ ისტორიულ ტენდენციებზე.

ამორტიზირებული ღირებულებით განსაზღვრული ფინანსური აქტივებისთვის გაუფასურებით გამოწვეული ზარალი წარმოადგენს აქტივის საბალანსო ღირებულებასა და აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის სხვაობას. ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში და აისახება მოთხოვნებთან დაკავშირებული შეღავათების ანგარიშში. გაუფასურებულ აქტივზე დარიცხული პროცენტი კვლავ იქნება აღიარებული დისკონტის ამორტიზაციით. როდესაც შემდგომი შემთხვევა გამოიწვევს გაუფასურებით გამოწვეული ზარალის თანხის შემცირებას, გაუფასურებით გამოწვეული ზარალის შემცირება შეიცვლება მოგების ან ზარალის საშუალებით.

(ii) არაფინანსური აქტივები

ჯგუფის არაფინანსური აქტივების, გარდა მარაგებისა და გადავადებული საგადასახადო აქტივებისა, საბალანსო ღირებულების გადასინჯვა ხდება

თითოეულ საანგარიშო დღეს გაუფასურების ნებისმიერი ნიშნის არსებობის დადგენის მიზნით. ასეთი ნიშნის არსებობის შემთხვევაში, ხორციელდება აქტივის ჩანაცვლების ღირებულების შეფასება. გაუფასურების შედეგად მიყენებული ზარალის აღიარება ხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივის საბალანსო ან მასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მაგენერირებელი ერთეულის (CGU) ღირებულება აღემატება მის შეფასებულ ჩანაცვლების ღირებულებას.

აქტივების ან ფულადი სახსრების მაგენერირებელი ერთეულის (CGU) ჩანაცვლების ღირებულება წარმოადგენს მისი რეალური ღირებულებებიდან უდიდესს, სარეალიზაციო ხარჯებისა და სამომხმარებლო ღირებულების გამოკლებით. სამომხმარებლო ღირებულების შეფასებისას ხორციელდება ფულადი სახსრების მომავალი მოსალოდნელი ნაკადების დისკონტირება მათ მიმდინარე ღირებულებამდე, დაბეგვრამდე არსებული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს მოცემული აქტივისათვის ან ფულადი სახსრების მაგენერირებელი ერთეულისთვის (CGU) დამახასიათებელი ფულის დროებითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებსა და რისკებს. გაუფასურების ტესტირების მიზნით, ის აქტივები, რომელთა ინდივიდუალური ტესტირება შეუძლებელია, ჯგუფდება ერთად აქტივების უმცირეს ჯგუფებად, რომელიც ახდენს ფულადი სახსრების მოდინების გენერირებას უწყვეტი გამოყენებისგან, რაც არ არის დამოკიდებული სხვა აქტივების ან ფულადი სახსრების მაგენერირებელი ერთეულის (CGU) ფულადი სახსრების მოდინებაზე. ჯგუფის კორპორატიული აქტივები არ ახდენს ფულადი სახსრების ცალკე მოდინების გენერირებას და გამოყენებულია ერთზე მეტი CGU-ს მიერ. კორპორატიული აქტივები გამოიყოფა CGU-ს მიმართ დასაბუთებულ საფუძველზე და გაივლის ტესტირებას გაუფასურებაზე CGU-ს ტესტირების ნაწილის სახით, რომლის მიმართაც მოხდა CGU-ს გაცემა..

გაუფასურებით მიყენებული ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში. ფულადი სახსრების მაგენერირებელ ერთეულებთან დაკავშირებით აღიარებული გაუფასურების შედეგად მიყენებული ზარალი ნაწილდება ერთეულში (ფულადი სახსრების მაგენერირებელი ერთეულის ჯგუფში) არსებული აქტივების საბალანსო ღირებულებაში პროპორციულად.

წინა პერიოდში აღიარებული გაუფასურების შედეგად მიყენებული ზარალის შეფასება ხორციელდება თითოეული საანგარიშო თარიღისათვის, რაიმე ნიშნის არსებობის გამოვლენის მიზნით, რომ ზარალი შემცირდა ან აღარ არსებობს. გაუფასურების შედეგად მიყენებული ზარალის რევერსირება ხდება იმ შეფასებებში ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში, რომლებიც გამოიყენება ჩანაცვლების ღირებულების დასადგენად. გაუფასურების შედეგად მიყენებული ზარალის რევერსირება ხორციელდება იმ მოცულობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც დადგენილი იქნებოდა ცვეთის ან ამორტიზაციის გამოკლებით იმ პირობით, რომ გაუფასურების შედეგად მიყენებული ზარალი ადრე არ იყო აღიარებული.

24. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის მიღებული

არსებობს ახალი სტანდარტები, შესწორებები სტანდარტებში და ინტერპრეტაციები, რომლებიც 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯერ არ იყო შესული ძალაში და არ გამოყენებულა ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. ქვემოთ მოცემულია ის ცვლილებები, რომლებიც სავარაუდოდ გავლენას მოახდენს ჯგუფის საოპერაციო საქმიანობაზე. ჯგუფი გეგმავს ქვემოთ მოცემული სტანდარტების ათვისებას მათი ძალაში შესვლისთანავე..

(a) ფასს 15 შემოსავლები კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

ადგენს ერთიან ჩარჩოს იმის განსაზღვრელად თუ რა ოდენობის შემოსავალი იყო აღიარებული და როდის ჰქონდა აღნიშნულს ადგილი. აღნიშნული სტანდარტი ცვლის არსებულ მეთოდურ მითითებებს შემოსავლების აღიარების თაობაზე, მათ შორის, ბასს (IAS) 18 - *შემოსავალი,* ბასს (IAS) 11 - *სამშენებლო ხელშეკრულებები* და ფაისკ (IFRIC) 13 - *კლიენტების ლოიალურობის პროგრამები.*

ჯგუფი ვალდებულია მიიღოს ფასს 15 - *შემოსავლები კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან* - 2018 წლის 1 იანვრიდან. ჯგუფმა შეაფასა და განსაზღვრა ფასს 15-ის თავდაპირველი გამოყენება გავლენას არ მოახდენს მის ფინანსურ ანგარიშგებებზე. ამ სტანდარტის მიღების შეფასებული გავლენა ჯგუფის კაპიტალზე 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ეფუძნება მოცემულ თარიღამდე განხორციელებულ წინასწარ შეფასებებს.

(i) მომსახურებები

ჯგუფი ახორციელებს ელექტროენერგიის გადაცემის, საექსპორტო და სატრანზიტო მომსახურებებს. შემოსავალი აღიარებულია მომსახურების დასრულების შემდეგ. ფასს 15-ის შესაბამისად, მომსახურების სრული ანაზღაურება განაწილდება ყველა საკონტრაქტო ვალდებულებაზე მათი დამოუკიდებელი გასაყიდი ფასების საფუძველზე.დამოუკიდებელი გასაყიდი ფასები განისაზღვრება იმ ფასების საფუძველზე, რომელზეც ჯგუფი ყიდის თავის მომსახურებებს ცალკე გარიგებებში. ჯგუფის შეფასების შესაბამისად, მომსახურებების დამოუკიდებელი გასაყიდი ფასები მკაფიოდ იდენტიფიცირებადია და საწარმო რეგულირდება სახელმწიფოს მიერ, აქედან გამომდინარე სამართლიანი ღირებულება და დამოუკიდებელი გასაყიდი ფასები არ ექვემდებარება ერთმანეთთან შედარებას. ყველა ფაქტის და გარემოების გათვალისწინებით, ჯგუფი არ ელოდება, რომ ფასს 15-ის გამოყენება გამოიწვევს მნიშვნელოვან ცვლილებებს აღნიშნულ მომსახურებებთან დაკავშირებით შემოსავლის აღიარების ვადებში.

(ii) გადასვლა

ჯგუფი გეგმავს ფასს 15-ის მიღებას კუმულაციური ეფექტის მეთოდის გამოყენებით, აღნიშნული სტანდარტის თავდაპირველი გამოყენება აღიარებულია კაპიტალში 2018 წლის 1 იანვრიდან. შედეგად ჯგუფი არ გამოიყენებს ფასს 15-ის აღნიშნულ მოთხოვნას შედარებით პერიოდებში. შესწორების შემთხვევაში, ეს სრულად ცნობა იქნას წარმოდგენილი ფინანსურ ანგარიშგებებში, რომელიც მომზადდება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის.

(b) ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები

ფასს 9 *ფინანსური ინსტრუმენტები* განსაზღვრავს ფინანსური აქტივების, ფინანსური ვალდებულებების და კონტრაქტების აღიარების და შეფასების მოთხოვნებს, არაფინანსური ერთეულების ნასყიდობასთან დაკავშირებით .ეს სტანდარტი ცვლის ბასს 39-ს - *ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება.*

ჯგუფს უნდა მიეღო ფასს 9 *ფინანსური ინსტრუმენტები* 2018 წლის 1 იანვრიდან. ჯგუფმა შეაფასა და განსაზღვრა, რომ ფასს 9-ის თავდაპირველი მიღება არსებით გავლენას არ მოახდენს ფინანსურ ანგარიშგებებზე. აღნიშნული სტანდარტის მიღების შეფასებული გავლენა ჯგუფის კაპიტალზე 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ეფუძნება მოცემულ თარიღამდე განხორციელებულ წინასწარ შეფასებებს. .

(i) კლასიფიკაცია - ფინანსური აქტივები

ფასს 9 მოიცავს ფინანსური აქტივების ახალ კლასიფიკაციას და შეფასების მიდგომას, რომელიც ასახავს ბიზნეს მოდელს, სადაც ხდება აქტივების მართვა და მათი ფულადი სახსრების მოძრაობის დახასიათება.

ფასს 9 მოიცავს ფინანსური აქტივების კლასიფიცირებას სამ ძირითად კატეგორიად: ფინანსური აქტივები, რომლებიც შემდგომ შეფასებულ უნდა იქნან ამორტიზირებული ღირებულებით, და ფინანსური აქტივები, რომლებიც შემდგომ შეფასებულ უნდა იქნან რეალური ღირებულებით სხვა ერთობლივ შემოსავალში (FVOCI) და ფინანსური აქტივები რომლებიც შეფასებულ უნდა იქნან სამართლიანი ღირებულებით მოგებასა ან ზარალში (FVPL). აღნიშნული სტანდარტი აღმოფხვრის ბასს 39-ის შემდეგ კატეგორიებს: „დაფარვის ვადამდე ფლობილი“, „სესხები და მოთხოვნები“ და „გასაყიდად ხელმისაწვდომი“. ფასს 9-ის ფარგლებში, ხელშეკრულებაში შემავალი წარმოებული ინსტრუმენტები, რომელშიც მასპინძელი არის ფინანსური აქტივი სტანდარტის ფარგლებში არასოდეს გაორდება. ამის ნაცვლად, ჰიბრიდული ფინანსური ინსტრუმენტი მთლიანობაში ფასდება კლასიფიკაციის მიზნებისთვის. აღნიშნული შეფასების საფუძველზე, კომპანია თვლის, რომ ახალი კლასიფიკაციის მოთხოვნები არსებით გავლენას არ მოახდენს აღრიცხვაზე ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებით.

(ii) გაუფასურება - ფინანსური აქტივები და საკონტრაქტო აქტივები

ფასს 9 ცვლის „გაწეული ზარალის“ მოდელს ბასს 39–ში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის' (ECL) მოდელით. ეს მოითხოვს სათანადო შეფასებას მასზედ თუ რა გავლენას მოახდენს ცვლილებები ეკონომიკურ ფაქტორში ECL–ზე, რომელიც განისაზღვრება ალბათობაზე შეწონილ საფუძველზე.
ახალი გაუფასურების მოდელი გამოიყენება ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსური აქტივებთან დაკავშირებით ან FVOCI–თან დაკავშირებით, კაპიტალში განხორციელებული ინვესტიციების გარდა და საკონტარქტო აქტივებთან მიმართებით.

ფასს 9–ის შესაბამისად, ზარალის რეზერვი შეფასდება ქვემოთ მოცემულ საფუძველზე:

- *12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (ECLs).* აღნიშნული ECLs წარმოიშობა შესაძლო ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევებიდან ანგარიშგების თარიღიდან 12 თვის განმავლობაში; და

- *სასიცოცხლო მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (ECLs).* აღნიშნული ECLs წარმოიშობა ყველა შესაძლო ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევიდან , ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის განმავლობაში.

სასიცოცხლო მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასება გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ ანგარიშგების თარიღისთვის ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თავდაპირველი აღიარებიდან, ხოლო 12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასება გამოიყენება თუ არ გაიზარდა. ჯგუფს შეუძლია განსაზღვროს, რომ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაიზარდა იმ შემთხვევაში, თუ აქტივს აქვს დაბალი საკრედიტო რისკი ანგარიშგების თარიღისთვის. თუმცა სასიცოცხლო მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასება ყოველთვის გამოიყენება სავაჭრო მოთხოვნებთან და საკონტრაქტო აქტივებთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანი დაფინანსების კომპონენტის გარეშე; ჯგუფს შეუძლია გამოიყენოს ეს პოლიტიკა ასევე სავაჭრო მოთხოვნებთან და საკონტრაქტო აქტივებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი დაფინანსების კომპონენტის გარეშე.

ჯგუფი თვლის, რომ გაუფასურების ზარალი სავარაუდოდ გაიზრდება და გახდება უფრო ცვლადი აქტივებთან დაკავშირებით ფასს 9–ის გაუფასურების მოდელის ფარგლებში. ზემოთ აღწერილი გაუფასურების მეთოდოლოგიის საფუძველზე, ჯგუფმა შეაფასა, რომ ფასს 9 გაუფასურების მოთხოვნების გამოყენება 2018 წლის 1 იანვრისთვის არ გამოიწვევს დამატებით მნიშვნელოვან გაუფასურების ზარალს.

(iii) კლასიფიკაცია - ფინანსური ვალდებულებები

ფასს 9 ინარჩუნებს ბასს 39-ის არსებული მოთხოვნების უმრავლესობას ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირებისთვის.

ამასთან, ბასს 39-ის ფარგლებში, სამართლიანი ღირებულების ფუნქციის ფარგლებში ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების ყველა ცვლილება აღიარებულია მოგებაში ან ზარალში. ფასს 9-ის ფარგლებში ცვლილება სამართლიანი ღირებულებაში ზოგადად წარმოდგენილია შემდეგი სახით:

- სამართლიან ღირებულებაში ცვლილების თანხა, რომელიც ეხება ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებას, წარმოდგენილია სხვა სრულ შემოსავალში; და
- სამართლიან ღირებულებაში ცვლილების დარჩენილი თანხა წარმოდგენილია მოგებაში ან ზარალში.

ჯგუფი არ განსაზღვრავს ფინანსურ ვალდებულებებს FVTPL ფარგლებში და არ გეგმავს ასეთ ქმედებას. ჯგუფის შეფასება არ მიუთითებს არსებით გავლენას ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციის შესახებ 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

(iv) მონაცემები

ფასს 9 მოითხოვს ახალ მონაცემებს კერძოდ საკრედიტო რისკის და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესახებ. ჯგუფის წინასწარ შეფასება მოიცავდა ანალიზს გამოტოვებული მონაცემების დადგენის მიზნით მიმდინარე პროცესში და ჯგუფი გეგმავს აღნიშნული სისტემის განხორციელებას და აკონტროლებს ცვლილებებს, რომელიც მისი მოსაზრებით საჭიროა მოთხოვნილი მონაცემების შესაგროვებლად.

(v) გადასვლა

ჯგუფი გამოიყენებს მოდიფიცირებულ რესტროსპექტულ მიდგომას გადასვლასთან დაკავშირებით და არ წარმოადგენს ხელახლა ფორმულირებულ შედარებით ინფორმაციას წინა პერიოდებისთვის. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში შესწორებები, რომელიც წარმოიშობა ფასს 9–ის მიღების შედეგად, აღიარებული იქნება გაუნაწილებელ მოგებაში და რეზერვებში 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. .

(c) ფასს 16 *იჯარები*

ფასს 16 ცვლის არსებული იჯარების დირექტივას, მათ შორის ბასს 17-ს - იჯარები, ფაისკ 4-ს, *როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას,* იმკ (SIC) 15-ს - *საოპერაციო იჯარა - სტიმულირება* და იმკ (SIC) 27-ს - *გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას.*.

ეს სტანდარტი ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს. მისი ვადაზე ადრე მიღება დასაშვებია იმ საწარმოებისთვის, რომლებიც იყენებენ ფასს 15-ს, ფასს 16-ის თავდაპირველი გამოყენების დღეს ან ან თარიღამდე.

ფასს 16 წარმოადგენს ერთ საბალანსო უწყისზე აღრიცხვის მოდელს მოიჯარეებისთვის. მოიჯარე აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას, რაც წარმოადგენს მის უფლებას ისარგებლოს შესაბამისი აქტივით და საიჯარო ვალდებულებით, რაც გულისხმობს მის მიერ იჯარის ანგარიშსწორების ვალდებულებას. არსებობს პირობითი გამონაკლისები - მოკლევადიანი იჯარები და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარა. მეიჯარის ანგარიშგება რჩება მიმდინარე სტანდარტის მსგავსი - ანუ მოიჯარეები განაგრძობენ იჯარის კლასიფიკაციას საფინანსო ან საოპერაციო იჯარების სახით.

ჯგუფი აფასებს პოტენციურ გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებებზე, რაც გამოწვეული იქნება ფასს 16-ის გამოყენებით. ფასს 16-ის გამოყენების გავლენა ფინანსურ ანგარიშგებებზე თავდაპირველი გამოყენების პერიოდში დამოკიდებულია მომავალ ეკონომიკურ პირობებზე, მათ შორის ჯგუფის სასესხო განაკვეთზე 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ჯგუფის პორტფელის შემადგენლობაზე აღნიშნული თარიღისთვის, ჯგუფის ბოლო შეფასებაზე მასზედ, გამოიყენებს თუ არა იჯარის განახლების ოფციონს და იმ ფარგლების შესახებ, რომელშიც ჯგუფი გამოიყენებს პრაქტიკულ საშუალებებს და აღიარების გამონაკლისებს.

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N190043021
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	16.01.2019 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	ქეთევან გრიგოლია
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ.თბილისი ვაჟა-ფშაველას 45, მესამე სართული
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	593 127322
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	20067575894619

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორი ათას ცხრამეტი წლის 16 იანვარს მე, ნოტარიუსს ქეთევან გრიგოლიას ქ. თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას №45, მე-3 სართულზე, მომმართა: **ტატიანა ბეჟანოვამ** (დაბადებული 05.04.1982 წ. დაბადების ადგილი: თბილისი, პირადობის მოწმობის №13IG26933, პირადი №01024025128, გაცემული 05.09.2014წ. იუსტიციის სამინისტროს მიერ, მცხოვრები: თბილისი, ს.ზაქარიაძის ქ. 5, ბინა 61) პროფესიით ინგლისური ენის მთარგმნელი, რომელსაც სურდა მის მიერ თარგმნილ საბუთებზე ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება. **ტატიანა ეჟანოვამ განაცხადა, რომ სრულად ფლობს ქართულ ენას.**

მე, შევამოწმე **ტატიანა ბეჟანოვას** ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შევამოწმე მისი უფლებამოსილება (დიპლომი სუ №002889, გაცემული 2003წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ, მიენიჭა ფილოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, რეგისტრაციის №818).

მე, გავაფრთხილე თარჯიმანი იმ პასუხისმგებლობის შესახებ, რაც დადგენილია არასწორი თარგმანის შემთხვევაში და განვუმარტე, რომ ვამოწმებ საბუთზე ხელმოწერას და შინაარსზე პასუხს არ ვაგებ, რის შემდეგაც ჩემი თანდასწრებით მოაწერა ხელი წინამდებარე თარგმანს.

ნოტარიუსის საზღაური: საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილებით დამტკიცებული „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ - 1 ეგზემპლიარი, ორმოცდაცამეტი ხელმოწერა, 106 (ას ექვსი) ლარი - მუხლი 31.3 + დღგ 19.08 - თანახმად საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა + 2 (ორი) ლარი სანოტარო მოქმედებათა ელექტრონული რეგისტრაციის საფასური – მუხლი 39.1, თანახმად ზემოთ მითითებული დადგენილებისა, სულ 127,08 ლარი

ნოტარიუსი **ქეთევან გრიგოლია**

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“

2017 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	6
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება	9
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	10

შპს „KPMG Georgia“
მე-2 სართული, ბესიკის ბიზნეს ცენტრი
ბესიკის ქუჩა 4,
0105 თბილისი, საქართველო
ტელეფონი: +995 322 93 5713
ინტერნეტი: www.kpmg.ge

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მმართველთა საბჭოს

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ სს “საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის” (შემდგომში- „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში - „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტორული შემოწმება, რომელიც მოიცავს კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის და ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკისა და სხვა განმარტებითი ხასიათის ინფორმაციის შემცველ შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად ასახავს, ყოველგვარ მატერიალურ ასპექტში, ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მის კონსოლიდირებულ ფინანსურ საქმიანობას და კონსოლიდირებულ ფულად ნაკადებს დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად..

დასკვნის საფუძველი

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტორული შემოწმება აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტების ფარგლებში ჩვენს მიერ ნაკისრი პასუხისმგებლობა აღწერილია ჩვენი დასკვნის პუნქტში - *აუდიტორთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტორულ შემოწმებაზე.* ჩვენ ვსაქმიანობთ ჯგუფისგან დამოუკიდებლად ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს *პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის (IESBA კოდექსი)* შესაბამისად და ვასრულებთ ჩვენს ფინანსურ პასუხისმგებლობას IESBA კოდექსის შესაბამისად. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ის მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტის მსვლელობისას მოვიპოვეთ, წარმოადგენს აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს.

მნიშვნელოვანი გარემოება - შედარებითი ინფორმაცია

ჩვენ ყურადღებას ვაქცევთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების 22 შენიშვნას, რომელიც მიუთითებს, რომ 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი შედარებითი ინფორმაცია ხელახლა იქნა ფორმულირებული. ჩვენი დასკვნა არ არის მოდიფიცირებული აღნიშნულთან დაკავშირებით.

შედარებით ინფორმაციასთან დაკავშირებული სხვა საკითხები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების ჩვენი აუდიტის ფარგლებში 2017 წლით დასრულებული წლისათვის, ჩვენ აუდიტურად შევამოწმეთ 22 შენიშვნაში მოცემული კორექტირებები, რომელიც გამოყენებულია შედარებითი ინფორმაციის ხელახლა ფორმულირებისთვის, რომელიც წარმოდგენილია 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2016 წლის 1

შპს „KPMG Georgia“ წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის თანახმად დაფუძნებულ კომპანიას, შვეიცარიული საწარმოს „KPMG International Cooperative“-ის (შემდგომში – “KPMG International”) მიერ აფილირებული დამოუკიდებელი წევრი კომპანიების KPMG ქსელის წევრ კომპანიას.

იანვარს. ჩვენი დასკვნით, 22 შენიშვნაში მოცემული კორექტირებები შესაბამისია და სათანადოდ არის გამოყენებული.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციაზე. სხვა ინფორმაცია მოიცავს ხელმძღვანელობის ანგარიშში შეტანილ ინფორმაციას, მაგრამ არ მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებს და ჩვენს აუდიტურ დასკვნას მათ შესახებ. ხელმძღვანელობის ანგარიში ხელმისაწვდომი იქნება ჩვენთვის აუდიტური დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი დასკვნა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებების შესახებ არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და არ გამოხატავს გარანტირებულ დასკვნას მასზედ.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების ჩვენს აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობაა გავეცნოთ ზემოთ განსაზღვრულ სხვა ინფორმაციას, როდესაც ხელმისაწვდომი იქნება და ამის შემდეგ განვსაზღვროთ არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო კონსოლდიირებულ ფინანსური ანგარიშგებებთან და აუდიტის დროს მოპოვებულ ინფორმაციასთან ან სხვაგვარად აღმოჩნდება არსებითად არასწორად ფორმულირებული.

ხელმძღვანელობის და პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებების მართვაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობები

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად მომზადებასა და კეთილსინდისიერად წარდგენაზე და ისეთი შიდა კონტროლის სისტემაზე, რომელიც, ხელმძღვანელობის თვალსაზრისით, შესაძლებელს გახდის ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებას, რომელიც არ შეიცავს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებულ არსებით უზუსტობებს..

კონსოლიდირებული ფინანსური იანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჯგუფის შესაძლებლობების შეფასებაზე, განაგრძოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ და მოახდინოს მსგავსი შეფასების წარდგენა მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს ჯგუფის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებისა.

მმართველობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხს აგებენ ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადების და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტორულ შემოწმებაზე

ჩვენს მიზანს წარმოადგენს გონივრული რწმუნების მიღება იმის თაობაზე, არის თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალი თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან და აუდიტორთა დასკვნის გაცემა, რომელიც მოიცავს ჩვენს აზრს. გონივრული რწმუნება არის რწმუნებულების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებული არსებითი უზუსტობების გამოვლენას. უზუსტობები შესაძლებელია წარმოიშვას თაღლითობისან შეცდომის შედეგად დაარსებითად მოიაზრებოდეს, თუ მათ შეუძლია, ცალკე ან ერთობლივად, გონივრულ ფარგლებში გავლენა მოახდინოს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე..

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას

და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთანავე ჩვენ:

- ვახდენთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობისან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთია უდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და მიზანშეწონილია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგადწარმოშობილი არსებითი უზუსტობების გაუმჟღავნებლობის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახულმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდაკონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას.
- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდაკონტროლის მექანიზმების გააზრებას არსებული ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა ჯგუფის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად.
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკის შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას.
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებთან და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლებელია ეჭვის ქვეშ დააყენოს ჯგუფის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ შესაბამის ინფორმაციაზე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვალოთ ჩვენი დასკვნა. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი დასკვნების შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს ჯგუფი შეწყვიტოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მთლიან წარმოდგენას, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთო ფორმით, რომ უზრუნველყოფილი იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.
- ვიღებთ შესაბამის და სათანადო აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფის შიგნით არსებული კომპანიების ან ბიზნეს საქმიანობის ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით იმისათვის, რომ გამოვთქვათ აზრი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ პასუხს ვაგებთ ჯგუფის აუდიტის წარმართვაზე და მის ზედამხედველბაზე. ჩვენ ერთპიროვნულად ვაგებთ პასუხს ჩვენს აუდიტორულ დასკვნაზე.

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს გავუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენს მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

აუდიტის პარტნიორს, რომლის შედეგადაც მოცემული დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა გაიცა, წარმოადგენს:

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
გვერდი 3

ენდრიუ კოქსშელი

შპს „KPMG Georgia“
1 აგვისტო 2018წ.

’000ლარი	შენიშვნა	2017	2016 ხელახლა ფორმულირებული	1 იანვარი 2016 ხელახლა ფორმულირებული
აქტივები				
არამიმდინარე აქტივები				
ძირითადი საშუალებები	7	1,002,178	1,170,354	1,012,080
არამატერიალური აქტივები		2,243	1,489	1,189
გრძელვადიან აქტივებზე გადახდილი ავანსები		9,896	20,590	39,261
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	7,458	14,796	24,078
გადავადებული საგადასახადო აქტივები		-	-	9,872
სულ გრძელვადიანი აქტივები		**1,021,775**	**1,207,229**	**1,086,480**
მიმდინარე აქტივები				
მარაგები		6,629	6,988	7,347
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	21,538	31,818	35,227
მომწოდებლებზე გაცემული ავანსები		4,303	1,035	362
ფული და ფულის ექვივალენტები	9	47,295	25,275	15,081
სულ მიმდინარე აქტივები		**79,765**	**65,116**	**58,017**
სულ აქტივები		**1,101,540**	**1,272,345**	**1,144,497**
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი	10			
სააქციო კაპიტალი		639,052	599,984	574,422
დაურეგისტრირებელი კაპიტალი		11,259	11,259	6,259
უცხოური ვალუტის გადაცვლის რეზერვი		515	555	269
დაგროვილი ზარალი		(828,276)	(507,952)	(427,929)
სულ კაპიტალი		**(177,450)**	**103,846**	**153,021**
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები		-	-	1,622
სესხები და კრედიტები	12	610,002	790,727	670,100
რესტრუქტურიზებული ვალდებულებები	13	47,875	56,417	59,455
აქტივებთან დაკავშირებული გრანტები	14	107,797	108,533	104,296
სხვა საგადასახადო ვალდებულებები		1,165	1,618	1,646
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**766,839**	**957,295**	**837,119**
მიმდინარე ვალდებულებები				

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება იკითხება შენიშვნებთან ერთად და წარმოადგენს 10-დან 38 გვერდამდე წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ ნაწილს..

’000ლარი	**შენიშვნა**	**2017**	**2016 ხელახლა ფორმულირებული**	**1 იანვარი 2016 ხელახლა ფორმულირებული**
სესხები და კრედიტები	12	444,281	150,870	99,666
სავაჭრო და სხვა დავალიანებები	15	47,939	46,038	43,395
რესტრუქტურიზებული ვალდებულებები	13	15,000	10,000	7,000
აქტივებთან დაკავშირებული გრანტები	14	4,931	4,296	4,296
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**512,151**	**211,204**	**154,357**
სულ ვალდებულებები		**1,278,990**	**1,168,499**	**991,476**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**1,101,540**	**1,272,345**	**1,144,497**

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება იკითხება შენიშვნებთან ერთად და წარმოადგენს 10-დან 38 გვერდამდე წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ ნაწილს..

’000 ლარი	**შენიშვნა**	**2017**	**2016**
შემოსავალი	5	133,370	120,159
სხვა შემოსავალი		14,030	9,453
სახელფასო ხარჯები		(26,051)	(24,461)
ცვეთა და ამორტიზაცია		(56,010)	(51,801)
ძირითადი საშუალებების გაუფასურება	7	(250,117)	-
სხვა საოპერაციო ხარჯები		(29,498)	(31,581)
შედეგები საოპერაციო საქმიანობიდან		**(214,276)**	**21,769**
ფინანსური შემოსავალი	6	2,744	3,214
ფინანსური ხარჯი	6	(108,792)	(96,756)
წმინდა ფინანსური ხარჯი		**(106,048)**	**(93,542)**
ზარალი მოგების გადასახადამდე		**(320,324)**	**(71,773)**
მოგების გადასახადის სარგებელი		-	(8,250)
ზარალი წლის განმავლობაში		**(320,324)**	**(80,023)**
სხვა სრული (ზარალი) შემოსავალი			
ანგარიშგების ელემენტები, რომელთა რეკლასიფიკაცია შესაძლებელია მოგებაში ან ზარალში			
უცხოურ ოპერაციებთან დაკავშირებული უცხოური ვალუტის გაცვლის სხვაობები		(40)	286
სულ სრული ზარალი წლის განმავლობაში		**(320,364)**	**(79,737)**

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2018 წლის 1 აგვისტოს და ხელმოწერილია შემდეგი პირების მიერ:

მამუკა სხილაძე	ნინო მაისურაძე
მმართველთა საბჭოს	მთავარი ბუღალტერი
ხელმძღვანელის მოვალეობათა	
შემსრულებელი	

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება იკითხება შენიშვნებთან ერთად და წარმოადგენს 10-დან 39-ე გვერდამდე წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ ნაწილს.

’000 ლარი	**სააქციო კაპიტალი**	**დაურეგისტრირებელი კაპიტალი**	**საკურსო სხვაობის რეზერვი**	**დაჭროვილი ზარალი**	**სულ კაპიტალი**
ნაშთი 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	574,422	6,259	269	(427,929)	**153,021**
სულ სრული შემოსავალი მოცემული წლისთვის					
ზარალი წლის განმავლობაში	-	-	-	(80,023)	(80,023)
სხვა სრული მოგება					
უცხოურ ოპერაციებთან დაკავშირებული უცხოური ვალუტის გაცვლის სხვაობები	-	-	286	-	286
სულ სხვა საერთო მოგება მოცემული წლისთვის	**-**	**-**	**286**	**-**	**286**
სულ საერთო ზარალი მოცემული წლისთვის	**-**	**-**	**286**	**(80,023)**	**(79,737)**
შენატანები და განაწილებები მფლობელების მიერ და მფლობელებისთვის					
მფლობელის არაფულადი შენატანები (იხ. შენიშვნა 7)	30,562	-	-	-	30,562
შემცირებული სააქციო კაპიტალი	(5,000)	5,000	-	-	-
სულ მფლობელების შენატანები და განაწილება	25,562	5,000	-	-	30,562
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**599,984**	**11,259**	**555**	**(507,952)**	**103,846**
ნაშთი 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	599,984	11,259	555	(507,952)	103,846
სულ სრული ზარალი მოცემული წლისთვის					
ზარალი წლის განმავლობაში	-	-	-	(320,324)	(320,324)
სხვა სრული ზარალი					
უცხოურ ოპერაციებთან დაკავშირებული უცხოური ვალუტის გაცვლის სხვაობები	-	-	(40)	-	(40)
სულ სხვა საერთო ზარალი მოცემული წლისთვის	**-**	**-**	**(40)**	**-**	**(40)**
სულ საერთო ზარალი მოცემული წლისთვის	**-**	**-**	**(40)**	**(320,324)**	**(320,364)**
მფლობელების შენატანები და განაწილებები					
მფლობელის არაფულადი შენატანები (იხ. შენიშვნა 7)	528	-	-	-	528
აქციების გამოშვება ნაღდი ფულით (იხილეთ შენიშვნა 10(a))	38,540				38,540

კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება იკითხება შენიშვნებთან ერთად და წარმოადგენს 10-დან 40 გვერდამდე წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ ნაწილს.

სულ მფლობელების შენატანები და განაწილება	39,068	-	-	-	39,068
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**639,052**	**11,259**	**515**	**(828,276)**	**(177,450)**

კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება იკითხება შენიშვნებთან ერთად და წარმოადგენს 10-დან 40 გვერდამდე წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ ნაწილს.

’000ლარი	შენიშვნა	2017	2016
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
ზარალი მოგების გადასახადამდე		(320,324)	(71,773)
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		56,010	51,801
ძირითადი საშუალებების გაუფასურების ზარალი	7	250,117	-
ძირითადი საშუალებების გასხვისებით და ჩამოწერით გამოწვეული ზარალი		10,281	6,044
წმინდა ფინანსური ხარჯი	6	106,048	93,542
შემოსავალი გრანტების ამორტიზაციიდან	14	(4,979)	(4,377)
		97,153	**75,237**
ცვლილებები:			
მარაგები		359	359
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		17,132	14,969
აქტივებთან დაკავშირებული გრანტები	14	4,878	8,614
მომწოდებლებზე გაცემული ავანსები		(3,268)	(673)
სხვა საგადასახადო ვალდებულებები		(453)	(30)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		(1,147)	(6,041)
ფულადი ნაკადები განხორციელებული ოპერაციებიდან პროცენტის გადახდამდე		**114,654**	**92,435**
გადახდილი პროცენტი		(17,900)	(16,190)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		**96,754**	**76,245**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
მიღებული პროცენტი		2,744	3,214
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა		(133,873)	(160,368)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		**(131,129)**	**(157,154)**
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
შემოსავლები სესხებიდან		81,056	145,160
რესტრუქტურიზებული ვალდებულებების ანგარიშსწორება		(10,387)	(7,000)
გადახდილი სესხები		(53,290)	(48,537)
სააქციო კაპიტალის გამოშვებიდან მიღებული შემოსავლები		38,540	-
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		**55,919**	**89,623**
წმინდა ზრდა ფულში და მის ეკვივალენტებში		**21,544**	**8,714**
ფული და ფულის ექვივალენტები 1 იანვრის მდგომარეობით		25,275	15,081

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება იკითხება შენიშვნებთან ერთად და წარმოადგენს 10-დან 41-ე გვერდამდე წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ ნაწილს.

.

’000ლარი	**შენიშვნა**	**2017**	**2016**
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულზე და მის ეკვივალენტებზე		476	1,480
ფული და ფულის ექვივალენტები 31 დეკემბრის მდგომარეობით	9	**47,295**	**25,275**

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება იკითხება შენიშვნებთან ერთად და წარმოადგენს 10-დან 41-ე გვერდამდე წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ ნაწილს.

.

1. ანგარიშგების წარმდგენი ორგანიზაცია

(a) ორგანიზაცია და საქმიანობა

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ (შემდგომში - „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიები (შემდგომში - „ჯგუფი“) წარმოადგენენ მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული სააქციო და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებს და სააქციო საზოგადოებას რეგისტრირებულს და მოქმედს თურქეთის რესპუბლიკაში. იხ. შენიშვნა 20..

კომპანია წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 2002 წლის 12 ნოემბერს სს „ელექტროგადაცემისა“ და შპს „ელექტროდისპეჩერიზაცია-2000“-ის შერწყმის შედეგად დაფუძნებულ სააქციო საზოგადოებას და მათ სამართალმემკვიდრეს.

კომპანიის იურიდიული მისამართია - საქართველო, თბილისი 0105, ბარათაშვილის ქუჩა №2. კომპანისი რეგისტრაციის ნომერია # 5/4-3396.

კომპანიის მთავარ საქმიანობას წარმოადგენს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ელექტროენერგიის გადაცემა და დისპეჩერიზაცია, რაც რეგულირდება საქართველოს კანონით ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის შესახებ. შპს „ენერგოტრანსი“, ჯგუფის ძირითადი შვილობილი კომპანია, დაარსდა 2002 წელს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული საწარმოს სახით. შპს „ენერგოტრანსის“ ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ელექტროენერგიის გადაცემა, ექსპორტისა და ელექტროენერგიის მიწოდების ჩათვლით, ვარძიისა და ზეკარი 500-კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზებისა და მესხეთის 400-კილოვოლტიანი შემაერთებელი ხაზის საშუალებით თურქეთთან, რომელიც გაყვანილ იქნა „შავი ზღვის ელექტროგადამცემი ქსელის პროექტის“ (BSTN) შემადგენელი ნაწილის სახით. BSTN უზრუნველყოფს დამატებით უსაფრთხოებას საქართველოს ელექტროგადამცემი ქსელისთვის მეორე დასავლეთ-აღმოსავლეთ 500-კილოვოლტიანი ხაზის დამატების გზით და თურქეთში ელექტროენერგიის ექსპორტის შესაძლებლობის ხელშეწყობით. BSTN პროექტი დასრულდა 2013 წლის ბოლოს. ჯგუფი ახორციელებს თავის საქმიანობას ლიცენზიების საფუძველზე, რომლებიც მოპოვებული აქვს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიისაგან (შემდგომში - „სემეკი“) განუსაზღვრელი ვადით.

2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის მშობელ და საბოლოო მშობელ კომპანიას წარმოადგენს სს „საპარტნიორო ფონდი“ (მფლობელი). ჯგუფის მთავარ მაკონტროლებელ მხარეს წარმოადგენს საქართველოს მთავრობა. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია 19 შენიშვნაში.

(b) საქართველოს ბიზნეს გარემო

ჯგუფის საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, ჯგუფი დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც წარმოადგენენ განვითარებადი ქვეყნის ბაზრებს. სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი ბაზები ჯერ კიდევ ვითარდება და განიცდის სხვადასხვა ინტერპრეტაციებსა და ცვლილებებს, რომლებიც სხვა სამართლებრივ და ფისკალურ

დაბრკოლებებთან ერთად, სირთულეებს უქმნის საქართველოს ტერიტორიაზე მომუშავე კომპანიებს. მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ასახავს ჯგუფის ოპერაციებსა და მის ფინანსურ მდგომარეობაზე საქართველოს ბიზნეს გარემოს ზეგავლენის შეფასებას ხელმძღვანელობის მიერ. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებისგან ,

2. მომზადების საფუძველი

შესაბამისობა

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან („ფასს“) სრულ შესაბამისობაში.

3. ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტაა ქართული ლარი, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას და ვალუტას, რომელშიც წარმოდგენილია წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება. ჯგუფის ყოველი საწარმოს ფუნქციონალური ვალუტა წარმოადგენს ჯგუფის ეკონომიკური მდგომარეობის ამსახველვალუტას, რომელშიც აღნიშნული საწარმო ახორციელებს ოპერაციებს.

ქართულ ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე, გარდა სხვაგვარად განსაზღვრულიშემთხვევებისა..

4. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია “ფასს”-თან შესაბამისობაში, რაც მოითხოვს ხელმძღვანელობისაგან ისეთ მსჯელობების, შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენენ ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკაზე და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. რეალური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისაგან.

შეფასებებისა და ძირითადი დაშვებების გადახედვა ხორციელდება მუდმივად. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგებიაღიარდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა მათი გადახედვა და ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზეც მათ ექნებათ გავლენა.

სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას კრიტიკული მოსაზრებების შესახებ ინფორმაცია, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებზე, წარმოდგენილია შემდეგ შენიშვნებში:

— შენიშვნა 12- სესხების და კრედიტების სამართლიანი ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას..
— შენიშვნა 23 (i) (iii) – ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა.

ქვემოთ მოცემულ შენიშვნაში განსაზღვრულია დაშვებების ან შეფასებების გაურკვევლობა, რომლებსაც გააჩნიათ მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში არსებითი კორექტირების მნიშვნელოვანი რისკი:

— შენიშვნა 7 (გ) – ძირითადი საშუალებების გაუფასურების შემოწმება: მნიშვნელოვანი მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად უდევს ანაზღაურებად თანხებს, მათ შორის ძირითადი საშუალებების ანაზღაურებადობას.

სამართლიანი ღირებულების შეფასება

ჯგუფის გარკვეული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებები მოითხოვს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრას. სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა შეფასებისა და განმარტების მიზნებისათვის. სამართლიანი ღირებულება ჯგუფდება სხვადასხვა დონეების მიხედვით სამართლიანი

ღირებულების იერარქიაში, შეფასების მეთოდოლოგიაში წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე::

- *დონე 1*: კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე) აქტიურ ბაზარზე ანალოგიური აქტივებისა ან ვალდებულებებისთვის.
- *დონე 2*: მონაცემები გარდა იმისა, რაც შედის პირველ დონეში და რომლებიც თვალსაჩინოა როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირიბად (ფასებისაგან წარმოებული.
- *დონე 3*: მონაცემები აქტივისა ან ვალდებულებისთვის, რომელიც არ ეყრდნობა დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არადაკვირვებადი მონაცემები)..

იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული მონაცემების დაჯგუფება შესაძლოა სამართლიანი ღირებულების სხვადასხვა დონეებში, მაშინ სამართლიანი ღირებულების შეფასების დაჯგუფება ხდება მთლიანობაში რეალური ღირებულების იერარქიის იმავე დონეში, რომელშიც ყველაზე დაბალი დონის მონაცემებია, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

დამატებითი ინფორმაცია სამართლიანი ღირებულების შეფასების დაშვების შესახებ მოცემულია შენიშვნაში 16 (ა) – ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება.
.

5. შემოსავალი

’000ლარი	2017	2016
შემოსავალი ელექტროენერგიის გადაცემიდან	109,846	92,811
შემოსავალი ელექტროენერგიის ექსპორტიდან	10,776	7,989
შემოსავალი ელექტროენერგიის დისპეჩერიზაციიდან	8,096	8,918
შემოსავალი ტრანზიტიდან	4,642	7,654
სხვა შემოსავალი	10	2,787
სულ შემოსავლები	**133,370**	**120,159**

შემოსავალი ექსპორტიდან მოიცავს ელექტროენერგიის გადაცემიდან და დისპეჩერიზაციიდან მიღებულ შემოსავალს.

შემოსავლის გაანგარიშება ხდება საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის („სემეკი“) მიერ დადგენილი გადაცემისა და დისპეჩერიზაციის ტარიფების საფუძველზე.

6. ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯი

’000ლარი	2017	2016
აღიარებული მოგებაში ან ზარალში		
საპროცენტო შემოსავალი საბანკო ნაშთებზე	2,744	3,214
ფინანსური შემოსავალი	**2,744**	**3,214**
საპროცენტო ხარჯი სესხებსა და კრედიტებზე	(21,280)	(19,925)
დისკონტის ამორტიზაცია რესტრუქტურიზებულ ვალდებულებებზე	(6,220)	(5,989)
საკურსო სხვაობით გამოწვეული ზარალი	(81,292)	(70,842)
ფინანსური ხარჯი	**(108,792)**	**(96,756)**
წმინდა ფინანსური ხარჯი აღიარებული მოგებაში ან ზარალში	**(106,048)**	**(93,542)**

2017 წელს ჯგუფმა მოახდინა სესხებსა და კრედიტებზე პროცენტის კაპიტალიზაცია 3,331 ათასი ლარის ოდენობით (2016 წელს: 2,361 ათასი ლარი). იხ. შენიშვნა 7.

7. ძირითადი საშუალებები

’000ლარი	მიწა და შენობა-ნაგებობები	ელექტროგადამცემი ხაზები	აღჭურვილობა, სატრანსპორტო საშუალებები და სხვა	მიმდინარე მშენებლობა	სულ
ღირებულება ან პირობითი ღირებულება					
ნაშთი 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	107,289	369,331	675,010	126,446	1,278,076
დანარიცხები	989	38	486	214,434	215,947
გასხვისებები	-	-	(405)	(6,029)	(6,434)
გადაცემები	22,300	24,592	99,709	(146,601)	-
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**130,578**	**393,961**	**774,800**	**188,250**	**1,487,589**

’000ლარი	მიწა და შენობა-ნაგებობები	ელექტროგად ამცემი ხაზები	აღჭურვილობა, სატრანსპორტო საშუალებები და სხვა	მიმდინარე მშენებლობა	სულ
ნაშთი 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**130,578**	**393,961**	**774,800**	**188,250**	**1,487,589**
დანარიცხები	219	214	-	147,465	147,898
გასხვისებები/ჩამოწერა	-	-	(1,500)	(9,072)	(10,572)
გადაცემები	8,079	64,580	69,514	(142,173)	-
ნაშთი 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**138,876**	**458,755**	**842,814**	**184,470**	**1,624,915**
ცვეთა					
ნაშთი 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(27,534)	(103,476)	(134,986)	-	(265,996)
ცვეთა წლის განმავლობაში	(3,642)	(15,878)	(32,113)	-	(51,633)
გასხვისებები	-	21	373	-	394
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**(31,176)**	**(119,333)**	**(166,726)**	**-**	**(317,235)**
ნაშთი 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**(31,176)**	**(119,333)**	**(166,726)**	**-**	**(317,235)**
ცვეთა წლის განმავლობაში	(4,258)	(24,161)	(27,253)	-	(55,672)
გასხვისებები	-	-	287	-	287
გაუფასურების ზარალი	(14,281)	(69,925)	(150,545)	(15,366)	(250,117)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**(49,715)**	**(213,419)**	**(344,237)**	**(15,366)**	**(622,737)**
საბალანსო ღირებულებები					
2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**79,755**	**265,855**	**540,024**	**126,446**	**1,012,080**
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**99,402**	**274,628**	**608,074**	**188,250**	**1,170,354**
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**89,161**	**245,336**	**498,577**	**169,104**	**1,002,178**

2017 წლის განმავლობაში მესაკუთრემ განახორციელა 528 ათასი ლარის ოდენობის შენატანი კომპანიის მიწებში, გადამცემ ხაზებსა და დაკავშირებულ აღჭურვილობაში (2016 წელს: 30,562 ათასი ლარის მიწის ნაკვეთებში და სხვა ძირითად საშუალებებში) საწესდებო კაპიტალის მატების სახით. ამ აქტივების ნომინალური თანხა არსებითად არ განსხვავდება აქტივების სამართლიანი ღირებულებისგან.

(a) უზრუნველყოფა

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებები, რომელთა საბალანსო ღირებულებები შეადგენს 61,102 ათასი ლარს (2016 წელს: 98,927 ათასი ლარი), (მიწის ნაკვეთები ელექტროგადამცემ ხაზებსა და შესაბამის ტექნიკურ აღჭურვილობასთან ერთად) დაგირავებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ სესხების, კრედიტებისა და რესტრუქტურიზებული ვალდებულებების უზრუნველყოფის სახით (იხილეთ მე-12 და მე-13 შენიშვნები).

(b) მიმდინარე მშენებლობა

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 169,104 ათასი ლარის ღირებულების (2016 წელს: 188,915 ათასი ლარი), მიმდინარე მშენებლობა მოიცავს 20,095 ათასი ლარის (2016 წ: 27,965 ათასი ლარი) სათადარიგო ნაწილებს და სარეზერვო აპარატურას ძირითადი საშუალებების მხარდასაჭერად, 145,698 ათასი ლარი (2016 წ: 158,283 ათასი ლარი) მიმდინარე მშენებლობა და 3,311 ათასი ლარი (2016 წ: 2,667 ათასი ლარი) კაპიტალიზირებული სასესხო ხარჯები მშენებლობასთან დაკავშირებით და ქსანის ელექტროგადამცემი ხაზების და ქვესადგურების მოდერნიზაციასთან, გადამცემი ქსელის გაძლიერების პროექტთან, ასევე სხვა გადამცემი ქსელების რეაბილიტაციის პროექტებთან დაკავშირებით.

(c) ძირითადი საშუალებების გაუფასურების შემოწმება

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელმძღვანელობამ მოახდინა ჯგუფის შვილობილი კომპანიის შპს „ენერგოტრანსის“ (შემდგომში - „CGU“) ძირითადი საშუალებების მაჩვენებლის გაუფასურების შესაძლებლობის იდენტიფიცირება იმის გამო, რომ 2017 წელს შპს „ენერგოტრანსის“ წმინდა საოპერაციო ფულადი ნაკადები დაგეგმილზე მნიშვნელოვნად ნაკლები იყო, რომელიც ძირითადად განპირობებული იყო ელექტროენერგიის ტრანზიტით გამოწვეული საბიუჯეტო ფულადი ნაკადების დეფიციტით. CGU-ს ანაზღაურებადი თანხა წარმოდგენილი იყო მისი გამოყენებული ღირებულების საფუძველზე, რაც განისაზღვრა CGU-ს უწყვეტი გამოყენებით გენერირებული სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებით.

CGU-ს საბალანსო ღირებულება, რომელიც შეადგენს 535,480 ათას ლარს, განისაზღვრა უფრო მაღალი ოდენობით, ვიდრე მისი ანაზღაურებადი თანხა, რომელიც შეადგენს 285,363 ათას ლარს და შესაბამისად გაუფასურების ხარჯი, რომელიც შეადგენს 250,117 ათას ლარს, აღიარებულია გაუფასურების ზარალში 2017 წლის განმავლობაში, რომელიც გაუნაწილდა CGU-ს პროპორციულ საფუძველზე:

შემდეგი მნიშვნელოვანი დაშვებები იქნა გამოყენებული ანაზღაურებადი თანხის შეფასებაში:

— ფულადი სახსრების მოძრაობა პროგნოზირებულია 28 წლის განმავლობაში. ხელმძღვანელობა თვლის, რომ 28 წლის გამოყენება დასაბუთებულია როგორც პერიოდი, რომელიც წარმოადგენს CGU-ს საშუალო შეწონილ დანარჩენ სასარგებლო გამოყენების ვადას, CGU-ში ინვესტიციების ანაზღაურებისთვის და ინვესტორების შემოსავლიანობის ნორმისთვის, როგორც განსაზღვრულია საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (შემდგომში - „სემეკი“) მიერ დამტკიცებული ტარიფის განსაზღვრის მეთოდოლოგიის საფუძველზე;

— დატვირთვის კოეფიციენტი 400 კვ ენერგოგადამცემი ხაზისთვის, რომელიც დაპროექტებულია პროგნოზულ პერიოდში, შეადგენს 17.53%-ს. დატვირთვის კოეფიციენტი გამოითვალა, როგორც წმინდა პროგნოზული ექსპორტის / იმპორტის მაჩვენებელი, რომელიც დაყოფილია გადამცემი ხაზის პოტენციური სიმძლავრის საფუძველზე.

— ფულადი ნაკადების შემოდინება მოსალოდნელია შემოსავლის ორი ძირითადი

წყაროდან: ელექტროენერგიის ტრანზიტი და ექსპორტი; მაგრამ მნიშვნელოვანი დეფიციტის გამო საბიუჯეტო თანხებიდან და გარეშე საბაზრო ინფორმაციიდან, შემოსავლები ელექტროენერგიის ტრანზიტიდან სავარაუდოდ შეადგენს ნულს.

— შემოსავალი დაიგეგმა ფაქტობრივ საოპერაციო შედეგებზე და კომპანიის ხუთწლიან ბიზნეს გეგმაზე დაყრდნობით, რომელიც შემუშავებულია საქართველოს ელექტროგადამცემი ქსელის ათწლიანი განვითარების გეგმის მიხედვით, რომელიც, თავის მხრივ, საქართველოს მთავრობის მიერ არის დამტკიცებული;

— 12.2%-იანი დაბეგვრამდე დისკონტირების განაკვეთი გამოიყენება მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების განსაზღვრაში. დისკონტირების განაკვეთი ასახავს შემოსავლის ნომინალურ მოთხოვნილ განაკვეთს ლარში დენომინირებული ფულადი ნაკადებისთვის კომპანიების მიერ ინვესტირებულ კაპიტალზე.

ზემოაღნიშნული შეფასებები მგრძნობიარეა ცვლილებების მიმართ დისკონტირების განაკვეთში. დისკონტირების განაკვეთში 1% პუნქტის ზრდა გამოიწვევს გაუფასურების ზარალის ზრდას, რომელიც დაახლოებით შეადგენს 13,788 ათას ლარს.

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

’000ლარი	**2017**	**2016**
გრძელვადიანი მოთხოვნები		
დღგ-ს მოთხოვნა	**7,458**	**14,796**
მიმდინარე მოთხოვნები		
სავაჭრო მოთხოვნები	26,779	92,762
გაუფასურების რეზერვი სავაჭრო მოთხოვნებზე	(15,156)	(76,900)
სავაჭრო მოთხოვნები, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით	11,623	15,862
დღგ-ს მოთხოვნა	7,490	13,212
სხვა მოთხოვნები	4,466	5,329
გაუფასურების რეზერვი სხვა მოთხოვნებზე	(2,041)	(2,585)
	21,538	**31,818**

ჯგუფის მიდრეკილება საკრედიტო და სავალუტო რისკებისადმი, ასევე სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებული გაუფასურების ზარალი წარმოდგენილია მე-16 შენიშვნაში .

9. ფული და ფულის ექვივალენტები

’000 ლარი	**2017**	**2016**
მცირე ფულადი თანხები	-	9
ბანკსი ნაშთები	47,295	25,266
ფული და ფულის ექვივალენტები ფინანსური მდგომარეობის და ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში	**47,295**	**25,275**

ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების გაუფასურებას ან ვადაგადაცილებას არ ჰქონია ადგილი.

ჯგუფის მიდრეკილება საპროცენტო განაკვეთის რისკისადმი და მგრძნობელობის ანალიზი ფინანსურ აქტივებისა და ვალდებულებებისთვის წარმოდგენილია მე-16 შენიშვნაში.

10. კაპიტალი

(a) სააქციო კაპიტალი

აქციების რაოდენობა, თუ სხვა რამ არ არის მითითებული	ჩვეულებრივი აქციები	
	2017	**2016**
ნომინალური ღირებულება	ლარი 1	ლარი 1
31 დეკემბრის მდგომარეობით გამოშვებული, სრულად განაღდებული	**639,059,404**	**599,983,833**

ჩვეულებრივი აქციების გამოშვება

2017 წლის მარტში, სექტემბერში, ნოემბერში და დეკემბერში, აქციონერთა საერთო კრებამ დაამტკიცა 8,540,000, 14,000,000, 1,000,000 და 15,000,000 (მთლიანობაში 38,540,000) ჩვეულებრივი აქციების გამოშვება, თითოეული აქცია - 1 ლარის ნომინალური ღირებულებით (2016: ნული).

(b) დაურეგისტრირებელი კაპიტალი

დაურეგისტრირებელი კაპიტალი შედგება იმ აქციონერების მიერ გაკეთებული აქტივების შენატანებისგან, რომელიც არის კომპანიის მფლობელობაში, მაგრამ ჯერ არ არის რეგისტრირებული კომპანიის წესდებაში და ასევე სხვა განსხვავებები სააქციო კაპიტალის რეგისტრირებულ თანხასა და აქციონერების მიერ შეტანილი აქტივის სამართლიან ღირებულებას შორის .

(c) დივიდენდები

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, კომპანიის განაწილებადი რეზერვები შემოიფარგლება გაუნაწილებელი მოგების ნაშთით, რაც ასახულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების თანახმად კომპანიის მოქმედ ფინანსურ ანგარიშგებაში.

(d) საკურსო სხვაობის რეზერვი

საკურსო სხვაობის რეზერვი შედგება უცხოურ ვალუტასთან დალავშირებული ყველა სხვაობისგან, რომელიც წარმოიშობა უცხოური ოპერაციების ფინანსური ანგარიშგებების გადაყვანის შედეგად.

11. კაპიტალის მართვა

ჯგუფს არ გააჩნია კაპიტალის მართვის ოფიციალური პოლიტიკა, თუმცა ხელმძღვანელობა ცდილობს მოიძიოს საკმარისი კაპიტალის საფუძველი ჯგუფის საოპერაციო და სტრატეგიული მოთხოვნების, ასევე რეაბილიტაციის გეგმის მიზნების დასაკმაყოფილებლად (იხ. შენიშვნა 13). აღნიშნული მიიღწევა ეფექტური ფულადი სახსრების მართვის, ჯგუფის შემოსავლებისა და გასავლების მუდმივი მონიტორინგის და ძირითადად ჯგუფის საოპერაციო ფულადი ნაკადებით დაფინანსებული გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმების, ასევე სესხებისა და კრედიტების საშუალებით.

წლის განმავლობაში კაპიტალის მართვის მიმართ ჯგუფის მიდგომაში არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

არც კომპანია და არც მისი რომელიმე შვილობილი კომპანია არ ექვემდებარება გარედან დაწესებულ კაპიტალთან დაკავშირებულ მოთხოვნებს.
.

12. სესხები და კრედიტები

წინამდებარე შენიშვნა ითვალისწინებს ინფორმაციას ჯგუფის პროცენტიანი სესხებისა და კრედიტების სახელშეკრულებო პირობების შესახებ, რომლებიც განისაზღვრება

ამორტიზირებული ღირებულების მიხედვით. ჯგუფის საპროცენტო განაკვეთების, უცხოური ვალუტისა და ლიკვიდურობის რისკის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ იხილოთ მე-16 შენიშვნა.

’000ლარი	2017	2016 ხელახლა ფორმულირებული	1 იანვარი 2016 ხელახლა ფორმულირებული
გრძელვადიანი ვალდებულებები			
არაუზრუნველყოფილი სესხები ფინანსური დაწესებულებებიდან	580,607	730,273	602,011
უზრუნველყოფილი სესხები ფინანსური დაწესებულებებიდან	29,395	37,800	42,349
უზრუნველყოფილი სესხები დაკავშირებული მხარისგან	-	22,654	25,740
	610,002	**790,727**	**670,100**
მიმდინარე ვალდებულებები			
არაუზრუნველყოფილი სესხების მიმდინარე ნაწილი ფინანსური დაწესებულებებიდან	399,918	130,199	79,861
უზრუნველყოფილი სესხების მიმდინარე ნაწილი ფინანსური დაწესებულებებიდან	9,488	9,570	8,845
უზრუნველყოფილი სესხების მიმდინარე ნაწილი დაკავშირებული მხარისგან	34,875	11,101	10,960
	444,281	**150,870**	**99,666**

(a) პირობები და სესხის დაფარვის გრაფიკი

გადასახდელი სესხების ვადები და პირობები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

				31 დეკემბერი 2017		31 დეკემბერი 2016	
’000 ლარი	ვალუტა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის წელი	ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება	ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება
არაუზრუნველყოფილი სესხები ფინანსური ინსტიტუტებიდან:							
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - KfW	ევრო	KfW საორიენტაციო განაკვეთი +4%	2027	244,760	244,760	214,587	214,587
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - KfW	ევრო	2.2%	2025	75,052	75,052	46,764	46,764
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - EIB	ევრო	Euribor+0.75%	2033	216,626	216,626	208,567	208,567
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო- EBRD	ევრო	Euribor+1%	2025-2028	176,260	176,260	152,103	152,103
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო- KfW	ევრო	1%-1.5%	2025-2037	50,249	50,249	48,696	48,696
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო – ADB	აშშ დოლარი	1%-1.5%	2044	112,928	112,928	112,962	112,962
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო – IBRD	აშშ დოლარი	მსოფლიო ბანკის სასესხო სახაზინო განაკვეთები	2038	104,650	104,650	76,793	76,793

უზრუნველყოფილი სესხები ფინანსური ინსტიტუტებიდან:							
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო- KfW	ევრო	4%	2021	9,366	9,366	10,538	10,538
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო- IDA	აშშ დოლარი	მსოფლიო ბანკის სასესხო სახაზინო განაკვეთები	2022	29,516	29,516	36,832	36,832
უზრუნველყოფილი სესხები დაკავშირებული მხარისგან:							
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	ევრო	7.50%	2020	34,875	34,875	33,755	33,755
სულ საპროცენტო ვალდებულება				**1,054,283**	**1,054,283**	**941,597**	**941,597**

ფინანსური ვალდებულების დარღვევა

IBRD-დან მიღებულ სესხთან დაკავშირებით, სესხისა და შესაბამისი პროექტის განხორციელების შეთანხმებების თანახმად, ჯგუფმა უნდა უზრუნველყოს არანაკლებ 1 მიმდინარე აქტივების თანაფარდობა მიმდინარე ვალდებულებებთან, რომელიც გამოთვლილია როგორც დამოუკიდებელი, ასევე კონსოლიდირებული მაჩვენებლებისთვის.

შეთანხმების თანახმად, მიმდინარე აქტივები ნიშნავს ყველა აქტივს, რომლებიც, ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში შესაძლებელია გარდაიქმნას ნაღდ ფულად თორმეტი თვის განმავლობაში დებიტორული დავალიანებების, გაყიდვადი ფასიანი ქაღალდების, ინვენტარისა და წინასწარ გადახდილი ხარჯის ჩათვლით, რაც ჯეროვნად ერიცხება საოპერაციო ხარჯს მომდევნო საგადასახადო წლის განმავლობაში. მიმდინარე ვალდებულებები ნიშნავს ყველა ვალდებულებას, რომელიც დაექვემდებარება ანგარიშსწორებას ან რომლის გადახდაც შესაძლებელიამოთხოვნილი იქნას არსებულ ვითარებაში თორმეტი თვის განმავლობაში, კრედიტორული დავალიანებების, მომხმარებლის ავანსის, დავალიანების მომსახურების მოთხოვნების, გადასახადებისა და გადახდების ჩათვლით გადასახადებისა და დივიდენდების სანაცვლოდ.

ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს ზემოაღნიშნული ფინანსური შეთანხმების კალკულაციას ყოველი წლის დასასრულს როგორც კომპანიის განცალკევებული ფინანსური ინფორმაციის, აგრეთვე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად ჯგუფის მიერ მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიასა და ჯგუფს დარღვეული აქვთ ზემოაღნიშნული ფინანსური შეთანხმება, ვინაიდან მიმდინარე აქტივების თანაფარდობა მიმდინარე პასივებთან როგორც კომპანიის დამოუკიდებელი ფინანსური ინფორმაციის, აგრეთვე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად ჯგუფის მიერ მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე ნაკლები იყო 1-ზე (რადგან 2016 წლის 31 დეკემბრის და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით,

კომპანიასა და ჯგუფს ასევე დარღვეული აქვთ ზემოაღნიშნული ფინანსური შეთანხმება). 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სესხი 316,009 ათასი ლარის ოდენობით კლასიფიცირებულ იქნა მიმდინარეს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. გარდა ამისა, ჯგუფმა მოახდინა თავისი 2016 წლის 31 დეკემბრის და 2015 წლის 31 დეკემბრის ნაშთების ხელახლა ფორმულირება, ვალდებულებების დარღვევასთან დაკავშირებული შეცდომების კორექტირების მიზნით, რომელიც არ იყო გამოვლენილი წინა წლებში. დეტალებისთვის იხილეთ შენიშვნა 22.

2017 წლის განმავლობაში, ნაღდი ფულის დეფიციტის გამო, საკონტრაქტო თანხები, რომელიც გადასახდელია KfW სესხის საფუძველზე, რომლის დაფარვის ვადა დგება 2027 წელს, რომელიც გაფორმებულია შპს ენერგოტრანსსა და საქართველოს მთავრობას შორის, არ იყო გადახდილი დროულად. შპს ენერგოტრანსმა არ აწარმოა მოლაპარაკება სესხის პირობების რესტრუქტურიზაციის შესახებ საქართველოს მთავრობასთან 2017 წელს, შესაბამისად საქართველოს მთავრობისგან არ იქნა მოპოვებული ოფიციალური თანხმობა 2017 წელს დასაფარი გადახდების გადავადების შესახებ. საკონტრაქტო პირობების დარღვევა წარმოადგენს ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევას სესხის ხელშეკრულების შესაბამისად, რაც საქართველოს მთავრობას ანიჭებს უპირობო უფლებას მოითხოვოს სესხის დაუყოვნებლივ დაფარვა, რომელიც შეადგენს 276,166 ათას ლარს, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოხდა სესხის რეკლასიფიკაცია, როგორც მიმდინარე ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შპს ენერგოტრანსმა დაარღვია ფინანსური ვალდებულება (სესხის მომსახურების კოეფიციენტი), რომელიც წარმოდგენილია შემდგომ სასესხო ხელშეკრულებაში EBRD-თან. ხელმძღვანელობამ მიიღო უარი შეთანხმების დარღვევაზე 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ბოლომდე. ხელმძღვანელობა აწარმოებს მოლაპარაკებას EBRD-თან ფინანსური შეთანხმების მოთხოვნების ამოღების შესახებ ზემოაღნიშნული ქვე-სესხის ხელშეკრულებიდან.

(b) ვალდებულებების მოძრაობის შეჯერება ფულადი სახსრები მოძრაობასთან, რომელიც წარმოიქმნა ფინანსური საქმიანობებიდან

	ვალდებულებები	ვალდებულებები	კაპიტალი	
’000 ლარი	სესხები და კრედიტები	რესტრუქტურიზებული ვალდებულებები	სააქციო კაპიტალი	სულ
ნაშთი 2017 წლის 1 იანვარს	**941,597**	**66,417**	**599,984**	**1,607,998**
შემოსავლები სესხებიდან	81,056	-	-	81,056
სესხების დაფარვა	(53,290)	-	-	(53,290)
რესტრუქტურიზებული ვალდებულებების დაფარვა	-	(10,387)	-	(10,387)
შემოსავლები სააქციო კაპიტალის გამოშვებიდან	-	-	38,540	38,540
სულ ცვლილებები ფულადი ნაკადებიდან ფინანსური საქმიანობიდან.	**27,766**	**(10,387)**	**38,540**	**55,919**
ცვლილების ეფექტი გაცვლით კურსში	**81,540**	**625**	**-**	**82,165**
საპროცენტო ხარჯი	21,280	-	-	21,280

დისკონტის ამორტიზაცია	-	6,220	-	6,220
გადახდილი პროცენტი	(17,900)	-	-	(17,900)
მფლობელის შენატანები	-	-	528	528
სულ სხვა ცვლილებები	**84,920**	**6,845**	**528**	**92,293**
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,054,283**	**62,875**	**639,052**	**1,756,210**

13. რესტრუქტურიზებული ვალდებულებები

'000ლარი	**2017**	**2016**
გადახდები სახელმწიფო ბიუჯეტში	48,995	58,622
სავაჭრო ვალდებულებები	28,765	28,593
სესხები და დარიცხული პროცენტი	3,586	3,983
	81,346	**91,198**
ამორტიზებული ხარჯების შესწორება	(18,471)	(24,781)
ნაშთი 31 დეკემბერს	**62,875**	**66,417**
მიმდინარე ვალდებულებები	15,000	10,000
გრძელვადიანი ვალდებულებები	47,875	56,417
	62,875	**66,417**

რესტრუქტურიზებული ვალდებულებები წარმოადგენს 2006 წლამდე წარმოშობილ თანხებს, რომელთა ანგარიშსწორებაც იქნა გადავადებული ჯგუფის რთული ფინანსური მდგომარეობის გამო. სარეაბილიტაციო გეგმის თანახმად, რომელიც შედგენილ იქნა თავდაპირველად 2006 წელს სამართალწარმოებიდან და შეთანხმდა კრედიტორთა უმრავლესობასთან, აღნიშნული სესხების ანგარიშსწორება გადავადებულ იქნა 2011 წლამდე, შესაბამისად თანხების ანგარიშსწორება მოხდება ნაწილ-ნაწილ 2023 წლამდე, სარეაბილიტაციო პერიოდის დასრულებამდე.

სარეაბილიტაციო გეგმაში მოყვანილია ჯგუფის სტრატეგიული მიზნები მომდევნო 15 წლის განმავლობაში, მასში ასევე განსაზღვრულია ჯგუფის ძირითადი საოპერაციო და ფინანსური მიზნები. სარეაბილიტაციო გეგმის თანახმად, რეაბილიტაციის მენეჯერი დანიშნულ იქნა ჯგუფის ხელმძღვანელობის მიზნით მთლიანი სარეაბილიტაციო პერიოდის განმავლობაში. ჯგუფის მთავარ კრედიტორს წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ გადასახდელ თანხებს წარმოადგენს გადასახადები და ბაჟები, აგრეთვე სესხები და დარიცხული პროცენტი. რესტრუქტურიზირებული ვალდებულებები წარმოდგენილია დისკონტირებული ღირებულებით. 2008 წელს ახალი სარეაბილიტაციო გეგმის დამტკიცების შემდეგ, ჯგუფმა შეაფასა გადავადებული ვალდებულებების რეალური ღირებულება, რათა განეხორციელებინა შესწორებები გადახდის პირობებში. სარეაბილიტაციო გეგმის დამტკიცების დღისთვის რეალურ ღირებულებად განსაზღვრულ იქნა მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულება 9.57%-იანი საშუალო საბაზრო საპროცენტო განაკვეთით.

14. აქტივებთან დაკავშირებული გრანტები

'000ლარი	**2017**	**2016**
ნაშთი 1 იანვრის მდგომარეობით	112,829	108,592
აღრიცხული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში	(4,979)	(4,377)
მიღებული წლის განმავლობაში	4,878	8,614
ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით	**112,728**	**112,829**

’000ლარი	2017	2016
გრძელვადიანი	107,797	108,533
მიმდინარე	4,931	4,296
	112,728	**112,829**

2017 წელს, KfW უზრუნველყო გრანტი 500/220 kV ჯვარის ქვესადგურის მშენებლობასთან დაკავშირებით, რომელიც შეადგენს 2,220 ათასი ლარს (2016: 8,614 ათასი ლარი). გარდა ამისა, 2,658 ათასი ლარი მიღებულ იქნა 2017 წელს KfW-დან გადამცემი ქსელის გაგრძელების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებისთვის.

ფინანსური შენატანი არ ექვემდებარება ანაზღაურებას გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჯგუფი არაჯეროვნად გამოიყენებს მიღებულ ფულად სახსრებს ან მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის პროექტის განხორციელებას.

15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

’000 ლარი	2017	2016
ვალდებულებები განხორციელებულ სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებით	38,168	40,542
მიღებული ავანსი და სხვა ვალდებულებები	9,771	5,496
	47,939	**46,038**

ჯგუფის სავალუტო და ლიკვიდურობის რისკი სავაჭრო და სხვა ვალდებულებებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მე-16 შენიშვნაში.

16. სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა

(a) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების გაანგარიშება მიზნად ისახავს სავარაუდო ფასის მიახლოებით განსაზღვრას, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გასაყიდად ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის თანმიმდევრული ტრანზაქციის გზით ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების დღეს. ამასთან, გაურკვევლობის გათვალისწინებით და სუბიექტური განსჯის მეშვეობით, რეალური ღირებულება არ უნდა იქნეს ინტერპრეტირებული, როგორც რეალიზებადი აქტივების დაუყოვნებელი ნასყიდობის გზით ანვალდებულებათა გადაცემის მეშვეობით .

ჯგუფმა განსაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულებები შეფასებითი მეთოდოლოგიის გამოყენებით. შეფასების მეთოდოლოგიის მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიცასახავს ფასს, რომელიც უნდა იქნეს მიღებული აქტივის გასაყიდადან გადახდილი ვალდებულების გადაცემისთვის თანმიმდევრული ტრანზაქციის ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების დღეს. გამოყენებული შეფასებითი მეთოდოლოგია არის დისკონტირებული ფულადი საშუალებების მოძრაობის მოდელი. ყველა ფინანსური აქტივის და ვალდებულებების რეალური ღირებულება და ანგარიშდება მომავალში ძირითადი თანხისა და დარიცხული პროცენტების ფულადი საშუალებების მოძრაობის საფუძველზე, რომელთა დისკონტირება ხდება ანგარიშგების დღეს პროცენტის

საბაზრო განაკვეთით.

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება მიახლოებით მათი საბალანსო ღირებულების ტოლია.

(b) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობიდან გამომდინარე, ჯგუფი დგას შემდეგი რისკების წინაშე::

— საკრედიტო რისკი – შენიშვნა 16 (b)(ii);
— ლიკვიდურობის რისკი – შენიშვნა 16 (b)(iii);
— საბაზრო რისკი – შენიშვნა 16 (b)(iv).

წინამდებარე შენიშვნა წარმოადგენს ინფორმაციას ჯგუფზე ზემოთ მოყვანილი თითოეული რისკის ზეგავლენის შესახებ, ჯგუფისმიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს მათი შეფასებისა და მართვისათვის, ასევე ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ კაპიტალის მართვას. სხვა თანხობრივად გამოხატული ახსნა-განმარტებები მოყვანილია წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურანგარიშგებაში.

(i) რისკის მართვის სტრუქტურა

(ii)

მმართველთა საბჭოს აკისრია ჯგუფის რისკების მართვის საზღვრების განსაზღვრისა და მიმოხილვის პასუხისმგებლობა.

ჯგუფის რისკების მართვის მეთოდები განისაზღვრება ჯგუფის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებისა და ანალიზის, შესაბამისი რისკებისსაზღვრებისა და კონტროლის დადგენისა და რისკების მონიტორინგისა და საზღვრების დაცვის მიზნით. რისკების მართვის პოლიტიკები დასისტემები განიხილებარეგულარულად საბაზრო პირობებში მომხდარი ცვლილებებისა და ჯგუფის მიერ განხორციელებული ღონისძიებების ასახვის მიზნით. ჯგუფი, მისი სასწავლო და მართვის სტანდარტებისა და პროცედურების საშუალებით, მიზნად ისახავს დისციპლინირებულიდა კონსტრუქციული მართვის გარემოს შემუშავებას, სადაც ყველა თანამშრომელს გაცნობიერებული ექნება მისი როლი და ვალდებულებები..

მმართველთა საბჭოს მის მიმოხილვის ვალდებულების განხორციელებაში ეხმარება შიდა აუდიტი. შიდა აუდიტი ახორციელებს რისკების მართვის კონტროლისა და პროცედურების როგორც რეგულარულ, ასევე საგანგებო მიმოხილვებს, რომლის შედეგებიც ეცნობება მმართველთა საბჭოს.

(iii) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს ჯგუფის მიმართ წარმოშობილ ფინანსურ ზარალის მშემთხვევაში, თუ მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის მონაწილე მხარე ვერ შეასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს დაწარმოიშვება ძირითადად ჯგუფის მიერ მომხმარებლებისგან მისაღები თანხებიდან და საბანკო ბალანსებიდან.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალური საკრედიტო რისკის გამოვლენას.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ჯგუფის დაუცველობაზე საკრედიტო რისკის მიმართ გავლენას ახდენს ძირითადად თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. გეოგრაფიულად, საკრედიტო რისკი ძირითადად კონცენტრირებულია საქართველოში .

ხელმძღვანელობამ განსაზღვრა საკრედიტო პოლიტიკა, რომლის საფუძველზეც ხდება ყოველი ახალი მომხმარებლის ინდივიდუალური ანალიზი კრედიტუნარიანობასთან დაკავშირებით ჯგუფის სტანდარტულ ანგარიშსწორებამდე და მიწოდების პირობების შეთავაზებამდე. ჯგუფის მიმოხილვა ითვალისწინებს გარე შეფასებებს, შესაძლებლობის შემთხვევაში, და ზოგიერთ შემთხვევაში, საბანკო რეფერენციებს. კომპანიის შემოსავლების დაახლოებით 28% (2016 წელს: 42%) უკავშირდება გაყიდვების ტრანზაქციებს ცალკეულ მომხმარებელთან.

ჯგუფის მომხმარებლების 70%-ზე მეტი აწარმოებს გარიგებებს ჯგუფთან ხუთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში. თითქმის ყოველ საკრედიტო ზარალს ადგილი ჰქონდა აღნიშნულ პერიოდამდე.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებებთან დაკავშირებით ზოგადად არ მოითხოვება რაიმე სახის უზრუნველყოფა.

ჯგუფი განსაზღვრავს რეზერვს გაუფასურებასთან დაკავშირებით, რაც წარმოადგენს მის მიერ წარმოშობილი ზარალის შეფასებას სავაჭრო და სხვა ვალდებულებებთან დაკავშირებით. მისი შეღავათის ძირითად კომპონენტს წარმოადგენს კონკრეტული ზარალის კომპონენტი, რაც უკავშირდება ინდივიდუალურად მნიშვნელოვან დაუცველობას.

მაქსიმალური დაუცველობა საკრედიტო რისკების მიმართ სავაჭრო ვალდებულებებთან დაკავშირებით ანგარიშგების დღისთვის გეოგრაფიული რეგიონის მიხედვით შეადგენდა:

	საბალანსო ღირებულება	
’000ლარი	**2017**	**2016**
შიდა	**11,623**	**15,862**

გაუფასურების ზარალი

ანგარიშგების დღისთვის სავაჭრო მოთხოვნების ხანდაზმულობა შეადგენდა:

’000 ლარი	**მთლიანი2017**	**გაუფასურება 2017**	**მთლიანი 2016**	**გაუფასურება 2016**
არავადაგადაცილებული	11,623	-	15,862	-
ვადაგადაცილებული ერთ წელზე მეტი პერიოდით	15,156	15,156	76,900	76,900
	26,779	**15,156**	**92,762**	**76,900**

მოძრაობა გაუფასურების რეზერვში სავაჭრო მოთხოვნებთან დაკავშირებით წლის განმავლობაში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

’000ლარი	ინდივიდუალური გაუფასურება	
	2017	**2016**
ნაშთი წლის დასაწყისში	76,900	76,284
გაუფასურების ზარალი	-	616

’000ლარი	**ინდივიდუალური გაუფასურება**	
	2017	**2016**
უიმედო ვალის ჩამოწერა	(61,744)	-
ნაშთი წლის დასასრულს	**15,156**	**76,900**

რეზერვის ანგარიში სავაჭრო მოთხოვნებთან დაკავშირებით გამოიყენება გაუფასურების შედეგად მიყენებული ზარალის აღრიცხვისთვის, სანამ არ ამოიწურება ყოველგვარი შესაძლებლობა ანაზღაურებისთვის; აღნიშნული თვალსაზრისით თანხები ჩამოიწერება უშუალოდ ფინანსური აქტივებიდან.

ისტორიულად ინფორმაციაზე დაყრდნობით, ჯგუფს მიაჩნია რომ ზემოაღნიშნულის გარდა სხვა დამატებითი რეზერვი არ არის საჭირო სავაჭრო მოთხოვნებთან დაკავშირებით..

ფული და ფულის ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები განთავსებულია ბანკში, რომლის რეიტინგი სარეიტინგო სააგენტო Fitch-ის მიხედვით არის B..

(iv) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, როდესაც კომპანიას შეექმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის პირობების შესრულებისას, რომელთა ანგარიშსწორებაც ხდება ფულის ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდებით. ჯგუფის მიდგომა ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით გამოიხატება იმ ფაქტის შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფაში, რომ მას ყოველთვის ექნება საკმარისი ლიკვიდურობა მისი ვალდებულებების შესასრულებლად მათი დადგომისას, როგორც ჩვეულებრივ, ასევე სტრესულ სიტუაციებში, მიუღებელი ზარალისა თუ ჯგუფის რეპუტაციის სარისკო შებღალვის გარეშე..

ჯგუფი მართავს ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს როგორც მოკლევადიანი, ასევე გრძელვადიანი პროექტების გამოყენებით. ხელმძღვანელობა რეგულარულად ახორციელებს ჯგუფის ფულადი ნაკადების ყოველთვიური პროგნოზების მონიტორინგს. კომპანიამ განსაზღვრა ყოველწლიური ბიუჯეტირების პროცესი მის აქციონერთან ერთად. ბიუჯეტს განიხილავს სამეთვალყურეო საბჭო და ამოწმებს აქციონერი. ბიუჯეტის განახლება ხდება ყოველთვიურად ფაქტიურ შედეგებზე დაყრდნობით. ჯგუფის მიზანს წარმოადგენს ფულისა და ფულადი ეკვივალენტებს დონის შენარჩუნება მომავალი 60 დღის განმავლობაში ფინანსურ ვალდებულებებზე მოსალოდნელ ფულად გადინებაზე გადაჭარბებული ოდენობით.

ხელმძღვანელობა თვლის, რომ 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს გააჩნია საკმარისი ლიკვიდურობა, რათა შეასრულოს თავისი ვალდებულებები დროულად, ვინაიდან მომავალ წლებში ხელმძღვანელობა ელოდება საოპერაციო საქმიანობიდან წმინდა ფულადი ნაკადების არსებით ზრდას. ასეთი მოლოდინები ეფუძნება ვარაუდს, რომ სემეკი თანახმაა ელექტროენერგიის გადაცემის და დისპეტჩერიზაციის ტარიფების ზრდაზე. სემეკი ითვალისწინებს დაგეგმილი ელექტონერგიის გადაცემის მოცულობების ოდენობას ტარიფების განსაზღვრის დროს. ხელმძღვანელობა ელოდება, რომ ელექტროენერგიის გადაცემის საქმიანობები გაიზრდება მოხმარების საერთო ზრდის შედეგად, რაც შესაბამისად განაპირობებს

ტარიფების შემდგომ და კომპანიის შემოსავლების ზრას. მოხმარების ზრდა მატულობს მიმდინარე პერიოდებში და ხელმძღვანელობა ითვალისწინებს, რომ ეს ტენდენცია გაგრძელდება მომავალშიც.

გარდა ამისა, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს გააჩნია 14,948ათასი ლარის ოდენობის ანაზღაურებადი დღგ, რომლის საქართველოს საგადასახადო ორგანოებიდან უკან მოთხოვნა შესაძლებელია და დაახლოებით 488,632 ათასი ლარის ოდენობის გამოუყენებელი საკრედიტო ხაზი საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებში. გამოუყენებელი საკრედიტო ხაზი შესაძლებელია ჩამოიწეროს, კაპიტალური ხარჯის გაწევისას.

ჯგუფს ეკისრება ძირითადი საშუალებების შესყიდვის სახელშეკრულებო ვალდებულება 165,295 ათასი ლარის ოდენობით (იხილეთ მე-17 შენიშვნა). კაპიტალის ვალდებულებები უკავშირდება სხვადასხვა პროექტით გათვალისწინებულ სამშენებლო სამუშაოებს და დაფინანსდება გამოუყენებელი სესხებიდან საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებიდან.

როგორც მითითებულია მე-12 შენიშვნაში, შეთანხმებების დარღვევის გამო, სესხები და კრედიტები ეკლასიფიცირდა მიმდინარე ვალდებულებებად, რითაც გაიზარდა სხვაობა მიმდინარე აქტივებსა და მიმდინარე ვალდებულებებს შორის 432,386 ათას ლარამდე 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ხელმძღვანელობა თვლის, რომ კრედიტორების მხრიდნა სესხებისა და კრედიტების დაუყოვნებლივ გადახდის მოთხოვნის უფლების მიუხედავად, ფაქტობრივი მოთხოვნის ალბათობა მცირეა ჯგუფის შესაძლებლობიდან გამომდინარე - გამოასწოროს შეთანხმებების დარღვევა უარის განცხადების მოპოვების გზით კრედიტორებისგან. გარდა ამისა მიღებულია მხარდაჭერის წერილი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან (საბოლოო მაკონტროლებელი მხარე), რომელშიც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო გამოხატავს სურვილს და შესაძლებლობას დამატებითი ფინანსური და სხვა მხარდაჭერა გაუწიოს შპს ენერგოტრანსს, საჭიროების შემთხვევაში უფლება მისცეს შპს ენერგოტრანსს დაფაროს თავისი ფინანსური ვალდებულებები ვადის დადგომისას. სხვაობა შპს ენერგოტრანსის მიმდინარე აქტივებსა და მიმდინარე ვალდებულებებს შორის შეადგენდა 314,222 ათას ლარს 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ჯგუფის ზარალი 2017 წლის 31 დეკემბრის და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადად გამოწვეული იყო შპს ენერგოტრანსის ძირითადი საშუალებების გაუფასურების და სავალუტო კურსის მერყეობის უარყოფითი გავლენით (შენიშვნა 7). ხელმძღვანელობა თვლის, რომ აღნიშნული ფაქტორები არის არაგანმეორებადი თავისი ბუნებით და რომ კომპანია გახდება მომგებიანი 2019 წლიდან.

ქვემოთ წარმოდგენილია ანგარიშგების თარიღისთვის ფინანსური ვალდებულებების დაფარვის სახელშეკრულებო დანარჩენი ვადები. თანხები არის მთლიანი და არადისკონტირებული შეფასებული საპროცენტო გადახდების ჩათვლით და მოთხოვნებისა და ვალდებულებების ურთიერთკომპენსაციის შესახებ შეთანხმებების გავლენის გარეშე.

31 დეკემბერი 2017

’000ლარი	საბალანსო ღირებულება	სახელშეკრულებო ფულადი სახსრების ნაკადები	1 წლამდე	1-5 წელი	5 წელზე მეტი
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები					
სესხები ფინანსური დაწესებულებებიდან	1,019,408	1,485,038	414,117	273,683	797,238
უზრუნველყოფილი სესხი დაკავშირებული მხარიდან	34,875	35,178	35,178	-	-
რესტრუქტურიზებული ვალდებულებები	62,875	81,347	15,000	60,000	6,347
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	47,939	49,436	49,436	-	-
	1,165,097	**1,650,999**	**513,731**	**333,683**	**803,585**

31 დეკემბერი 2016 ხელახლა ფორმულირებული

’000ლარი	საბალანსო ღირებულება	სახელშეკრულებო ფულადი სახსრების ნაკადები	1 წლამდე	1-5 წელი	5 წელზე მეტი
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები					
სესხები ფინანსური დაწესებულებებიდან	907,842	1,153,662	144,438	312,306	696,918
უზრუნველყოფილი სესხი დაკავშირებული მხარიდან	33,755	39,256	11,101	28,155	-
რესტრუქტურიზებული ვალდებულებები	66,417	91,152	10,000	70,000	11,152
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	46,038	46,038	46,038	-	-
	1,054,052	**1,330,108**	**211,577**	**410,461**	**708,070**

არ არის მოსალოდნელი, რომ ანგარიშსწორების ვადის დადგომის ანალიზში გათვალისწინებული ფულადი ნაკადები შესაძლებელია წარმოდგენილი იქნას მნიშვნელოვნად ადრე ან მნიშვნელოვნად განსხვავებული თანხებით .

(v) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი, რომლის შემთხვევაშიც საბაზრო ფასებში, როგორიცაა უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსები, საპროცენტო განაკვეთები და კაპიტალის ღირებულებები, მომხდარი ცვლილებები გავლენას ახდენს ჯგუფის შემოსავალზე ან მისი ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის ღირებულებაზე. საბაზრო რისკის მართვის მიზანს წარმოადგენს საბაზრო რისკების მიმართ დაუცველობის მართვა და კონტროლი დადგენილი პარამეტრების ფარგლებში, შემოსავლის ოპტიმიზების გზით.

ჯგუფი არ იყენებს ჰეჯირების ანგარიშგებას სარგებელსა თუ ზარალში მერყეობის მართვის მიზნით.

სავალუტო რისკი

უცხოური ვალუტის რისკი წარმოადგენს რისკს, რომელიც ითვალისწინებს ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების ან სამომავლო ფულადი ნაკადების ცვლილებას უცხოური ვალუტის გაცვლის კურსის მერყეობის მიზეზით. ჯგუფის დაუცველობა უცხოური ვალუტის გაცვლის განაკვეთში მომხდარი ცვლილებების მიმართ ძირითადად უკავშირდება უცხოურ ვალუტაში ნომინირებულ ფინანსურ ვალდებულებებს. ჯგუფი არ ახდენს ჰეჯირებას სავალუტო რისკის მიმართ მის მგრძნობელობაზე..

დაუცველობა სავალუტო რისკის მიმართ

ჯგუფის დამოკიდებულება სავალუტო რისკზე წარმოდგენილია შემდეგი სახით პირობით თანხებზე დაყრდნობით:

’000ლარი	**აშშ დოლარში დენომინირებული 2017**	**ევროში დენომინირებული 2017**	**აშშ დოლარში დენომინირებული 2016**	**ევროში დენომინირებული 2016**
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,578	95	4,187	17
ფული და ფულის ეკვივალენტები	12,383	99	12,419	3,374
სესხები და კრედიტები	(247,094)	(807,188)	(226,587)	(715,010)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(11,576)	(21,545)	(7,787)	(23,196)
რესტრუქტურიზებული ვალდებულებები	(7,052)	(4,041)	(7,676)	(3,777)
რისკის წმინდა სიდიდე	**(251,762)**	**(832,580)**	**(225,444)**	**(738,592)**

წლის განმავლობაში გამოყენებული იქნა შემდეგი მნიშვნელოვანი ვალუტების გაცვლითი კურსები:

ლარში	**საშუალო კურსი**		**ანგარიშგების დღის კურსი**	
	2017	**2016**	**2017**	**2016**
1 აშშ დოლარი	2.5086	2.3667	2.5922	2.6468
1 ევრო	2.8322	2.6172	3.1040	2.7940

მგრძნობელობის ანალიზი

ლარის გამყარება/შესუსტება, როგორც ეს ქვემოთაა ნაჩვენები, ევროსა და აშშ დოლარის მიმართ 31 დეკემბრის მდგომარეობით, გაზრდის (შეამცირებს) მოგებას ან ზარალს საშემოსავლო გადასახადამდე ქვემოთ მოცემული თანხების ოდენობით. გავლენა არ აღინიშნა სხვა საერთო შემოსავალსა თუ უშუალოდ კაპიტალზე. მოცემული ანალიზი დაფუძნებულია უცხოური ვალუტის გაცვლის კურსის ცვლილებებზე, რაც კომპანიამ მიიჩნია საკმაოდ შესაძლებლად ანგარიშგების პერიოდის დასასრულს. ანალიზის თანახმად ივარაუდება, რომ ყველა სხვა ცვლადები, განსაკუთრებით საპროცენტო განაკვეთები, რჩება უცვლელი სახით.

2016 წლისათვის ანალიზი განხორციელდა იგივე საფუძველზე.

’000 ლარი	**გამყარება**	**შესუსტება**
	მოგება	**(ზარალი)**
31 დეკემბერი 2017		

’000 ლარი	გამყარება მოგება	შესუსტება (ზარალი)
აშშ დოლარი ((10% იანი მოძრაობა)	25,176	(25,176)
ევრო (10% იანი მოძრაობა)	83,258	(83,258)
31 დეკემბერი 2016		
აშშ დოლარი ((20% იანი მოძრაობა)	45,089	(45,089)
ევრო (10% იანი მოძრაობა)	73,859	(73,859)

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთებთან დაკავშირებით მომხდარი ცვლილებები ძირითადად აისახება სესხებსა და კრედიტებზე მათი რეალური ღირებულების (ფიქსირებული განაკვეთის დავალიანება) ან მათი სამომავლო ფულადი ნაკადების (ცვალებადი განაკვეთის დავალიანება) ცვლილებით. ხელმძღვანელობას არ გააჩნია ფორმალური პოლიტიკა იმისა, რომ განსაზღვროს თუ რა სახის უნდა იყოს ჯგუფის მგრძნობელობა ფიქსირებული ან ცვალებადი განაკვეთების მიმართ. თუმცა ახალი სესხის ან ახალი კრედიტის აღებისას, ხელმძღვანელობა გადაწყვეტს იქნება თუ არა ფიქსირებული ანცვალებადი განაკვეთი უფრო ხელსაყრელი ჯგუფისთვის მოსალოდნელი დროის განმავლობაში, ვადის ამოწურვამდე.

პროფილი

ანგარიშგების დღისთვის ჯგუფის პროცენტიანი ფინანსური ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთის პროფილი წარმოდგენილი იყო შემდეგნაირად:

’000ლარი	საბალანსო ღირებულება	
	2017	**2016**
ფიქსირებული განაკვეთის ინსტრუმენტები		
ფინანსური აქტივები	47,295	25,266
ფინანსური ვალდებულებები	(282,470)	(252,715)
	235,175	**(227,449)**
ცვალებადი განაკვეთის ინსტრუმენტები		
ფინანსური ვალდებულებები	(771,812)	(688,882)
	(771,812)	**(688,882)**

სამართლიანი ღირებულების მგრძნობელობის ანალიზი ფიქსირებული განაკვეთის ინსტრუმენტებთან დაკავშირებით

ჯგუფი არ აგებს პასუხს ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით სამართლიანი ღირებულების სახით მოგების ან ზარალის მეშვეობით ან გასაყიდად ხელმისაწვდომობის სახით. შესაბამისად საპროცენტო განაკვეთებში განხორციელებულ ცვლილებას ანგარიშგების დღისთვის არ ექნებოდა რაიმე გავლენა მოგებაზე ან ზარალზე კაპიტალში.

ფულადი სახსრების ნაკადების მგრძნობელობის ანალიზი ცვალებადი განაკვეთის ინსტრუმენტებზე

ანგარიშგების დღისთვის საპროცენტო განაკვეთებში 100 საბაზო პუნქტის ცვლილებამ გაზარდა (შეამცირა) კაპიტალი და გადასახადების შემოსავლის ან გასავლის წმინდა ღირებულება ქვემოთ ნაჩვენები თანხის ოდენობით. აღნიშნული ანალიზის

საფუძველზე მტკიცდება, რომ ყველა სხვა ცვლილებები, კერძოდ, უცხოური ვალუტის გაცვლის განაკვეთები, რჩება უცვლელად. 2016 წლის ანალიზი ტარდება იგივე საფუძვლებზე..

	მოგება ან (ზარალი)	
’000 ლარი	**100 საბაზისო პუნქტით ზრდა**	**100 საბაზისო პუნქტით შემცირება**
2017		
ცვლადი განაკვეთის ინსტრუმენტები	(7,718)	7,718
ფულადი სახსრების ნაკადების მგრძნობელობა (წმინდა სიდიდე)	**(7,718)**	**7,718**
2016		
ცვლადი განაკვეთის ინსტრუმენტები	(6,889)	6,889
ფულადი სახსრების ნაკადების მგრძნობელობა (წმინდა სიდიდე)	**(6,889)**	**6,889**

17. კაპიტალთან დაკავშირებული ვალდებულებები

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს ნაკისრი აქვს გრძელვადიანი სახელშეკრულებო ვალდებულება 165,295ათასი ლარის ოდენობით (2016 წელს: 100,150 ათასი ლარი) ელექტროენერგიის გადამცემი ხაზების მშენებლობისა და რეაბილიტაციისთვის აღჭურვილობის შესყიდვასთან დაკავშირებით.

კაპიტალთან დაკავშირებული ვალდებულებები ეხება პროექტთან დაკავშირებულ სხვადასხვა სამშენებლო სამუშაოებს და დაფინანსდება საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისგან გაუცემელი სესხებით

18. გაუთვალისწინებელი გარემოებები

(a) დაზღვევა

საქართველოს სადაზღვევო ინდუსტრია განვითარების ეტაპზე იმყოფება და დაზღვევის მრავალი ფორმა, რომლებიც მიღებულია მსოფლიოს სხვა ქვეყნებში, ამჟამად არ არის ხელმისაწვდომი. ჯგუფი სრულად ვერ აზღვევს დანადგარებს, ბიზნესის გამართულ მუშაობას, მესამე მხარის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებს ჯგუფის ქონებაზე უბედური შემთხვევებისა თუ ჯგუფის მიერ განხორციელებულ ოპერაციების შედეგად წარმოშობილი, ასევე ბუნებრივი მოვლენებით გამოწვეული ზიანის შემთხვევაში. სანამ მოხდება ჯგუფის სათანადოდ დაზღვევა, არსებობს რისკი იმისა, რომ ზარალი ან აქტივების დაზიანება მატერიალურ ზარალს მიაყენებს ჯგუფის საოპერაციო და ფინანსურ მდგომარეობას.

(b) სასამართლო დავები

საქმიანობის ნორმალური მიმდინარეობის პროცესში ჯგუფი წარმოადგენს სამართალწარმოების, სასამართლო პროცესებისა და დავების მხარეს. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ აღნიშნული სამართალწარმოებიდან ან სარჩელებიდან წარმოშობილი საბოლოო ვალდებულება, ასეთის არსებობის შემთხვევაში, არ იქონიებს მატერიალურად არახელსაყრელ ეფექტს ფინანსურ მდგომარეობასა თუ სამომავლო

ოპერაციების შედეგებზე..

(c) დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მისთვის დამახასიათებელია სასამართლო გადაწყვეტილებებისა და დებულებების ხშირი ცვლილება. საგადასახადო ნორმები ხშირად ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივია და სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ სხვადასხვაგვარად განიმარტება. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია კომპანიას დააკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან სამი წელია გასული..

ზემოთხსენებული საგადასახადო გარემო ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც საქართველოში უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობის აზრით, იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, ხელმძღვანელობს რა საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების ოფიციალური აქტებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად. თუმცა, შესაბამისი საგადასახადო ორგანოების კომპანიისაგან განსხვავებულმა პოზიციამ შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე, თუ აღნიშნული ორგანოები წარმატებით განახორციელებენ მათ ინტერპრეტაციებს.

19. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

(a) მაკონტროლებელ ორგანოებთან ურთიერთობა

კომპანიის უშუალო და ძირითად მშობელ კომპანიას წარმოადგენს სს „საპარტნიორო ფონდი“, ხოლო ძირითად მაკონტროლებელ ორგანოს წარმოადგენს საქართველოს მთავრობა. სს „საპარტნიორო ფონდი“ წარადგენს საჯაროდ ხელმისაწვდომ ფინანსურ ანგარიშგებას კომპანიის ვებ-გვერდზე.

(b) ოპერაციები მმართველ რგოლთან

(i) ხელმძღვანელობის ანაზღაურება

ხელმძღვანელობის მმართველმა რგოლმა წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც ჩართულია სახელფასო ხარჯებში:

’000ლარი	2017	2016
ხელფასები და ბონუსები	**1,913**	**1,795**

ოპერაციები მთავრობასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებთან

რომლებიც წარმოდგენილია საქართველოს ხელისუფლების კონტროლის, ერთობლივი კონტროლის ან მნიშვნელოვანი გავლენის ქვეშ. ჯგუფმა აირჩია ბასს (IAS) 24-ის მიხედვით დასაშვები გამონაკლისი დაკავშირებული მხარის გამჟღავნებული ინფორმაციები , რაც იძლევა შესაბამისი მხარის მიერ ინფორმაციის გამჟღავნების შემცირებულ შესაძლებლობას სამთავრობო ორგანოებთან განხორციელებულ ტრანზაქციებთან დაკავშირებით.

ჯგუფის ყოველგვარი სესხი და კრედიტი, ასევე აღნიშნულ სესხებსა და კრედიტებზე განსაზღვრული საპროცენტო ხარჯი ექვემდებარება ანგარიშსწორებას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ. აქტივებთან დაკავშირებით ჯგუფის გრანტები

ძირითადად მიიღება იმ ტრანზაქციებიდან, სადაც საქართველოს ხელისუფლება მოქმედებს შუამავლის სახით. ჯგუფის რესტრუქტურიზებული ვალდებულებები ძირითადად შედგება საქართველოს ხელისუფლების ან ხელისუფლების ორგანოების მიმართ განსაზღვრული გადასახდელებისგან.

ჯგუფის შემოსავლის დაახლოებით 34% (2016 წელს: 27%) მიიღება სამი საწარმოდან, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილიც წარმოდგენილია ან კონტროლდება საქართველოს ხელისუფლების მიერ..

20. შვილობილი კომპანიები

შვილობილი კომპანია	დაფუძნების ქვეყანა	2017 საკუთრება / ხმის მიცემის უფლება	2016 საკუთრება / ხმის მიცემის უფლება
შპს „ენერგოტრანსი“	საქართველო	100%	100%
სს „Karcal Energy“	თურქეთი	100%	100%

21. შეფასების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით..

22. ხელახლა ფორმულირება - შეცდომების გამოსწორება

2017, 2016 და 2015 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფმა და კომპანიამ დაარღვია ფინანსური შეთანხმება, იხილეთ შენიშვნა 12(ბ) (ჯგუფმა უნდა შეინარჩუნოს არანაკლებ 1 მიმდინარე ატქივების თანაფარდობა მიმდინარე ვალდებულებებთან), რომელიც წარმოდგენილია შემდგომ სასესხო ხელშეკრულებაში EBRD-თან. ხელმძღვანელობამ არ მოიპოვა უარი შეთანხმების დარღვევაზე 2015 წლის 31 დეკემბრით, 2016 წლის 31 დეკემბრით და 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ბოლომდე. ეს წარმოადგენს ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევას, რაც EBRD-ს ანიჭებს უპირობო უფლებას მოითხოვოს სესხის დაუყოვნებლივ დაფარვა.შეთანხმების დარღვევის ეფექტი არ აისახა ფინანსურ ანგარიშგებებში 2016 წლის 31 დეკემბრით და 2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის. შეცდომა გამსოწორდა თითოეული ზემოქმედებული ფინანსური ანგარიშგების პუნქტის ხელახლა ფორმულირებითწინა პერიოდებისთვის.
ქვემოთ ცხრილში შეჯამებულია ზემოქმედება ჰფუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

	31 დეკემბერი 2016		
	მანამდე წარმოდგენილი	კორექტირებები	ხელახლა ფორმულირებული
სესხები და კრედიტები	867,520	(76,793)	790,727
სულ არამიმდინარე ვალდებულებები	**867,520**	**(76,793)**	**790,727**
სესხები და კრედიტები	74,077	76,793	150,870
სულ მიმდინარე ვალდებულებები	**74,077**	**76,793**	**150,870**

	31 დეკემბერი 2015		
	მანამდე წარმოდგენილი	კორექტირებები	ხელახლა ფორმულირებული
სესხები და კრედიტები	688,549	(18,449)	670,100
სულ არამიმდინარე ვალდებულებები	**688,549**	**(18,449)**	**670,100**
სესხები და კრედიტები	81,217	18,449	99,666
სულ მიმდინარე ვალდებულებები	**81,217**	**18,449**	**99,666**

23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ წარმოდგენილი სააღრიცხვო პოლიტიკა გამოიყენება თანმიმდევრულად წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი პერიოდის განმავლობაში და უწყვეტად ხორციელდება ჯგუფში შემავალი საწარმოების მიერ.

(a) კონსოლიდაციის საფუძველი

შვილობილი კომპანიები

შვილობილი კომპანიები წარმოადგენენ ჯგუფის მიერ კონტროლირებად საწარმოებს. ჯგუფი აკონტროლებს საწარმოს, როდესაც ის დაკავშირებულია, უფლებამოსილია ცვალებად ამონაგებზე საწარმოსთან ჩართულობით და შესწევთ უნარი იმოქმედონ ხსენებულ შემოსავლებზე, საწარმოზე მათი უფლებების გამოყენებით. შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგებები გათვალისწინებულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში კონტროლის დაწყების თარიღიდან მისი შეწყვეტის თარიღამდე. შვილობილი კომპანიების სააღრიცხვო პოლიტიკა შეიცვალა საჭიროების შესაბამისად, ჯგუფის მიერ მიღებული პოლიტიკის გათვალისწინებით.

(i) კონტროლის დაკარგვა

კონტროლის დაკარგვისას, ჯგუფი აღარ აღიარებს შვილობილი კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებს, არაკონტროლირებად წილებსა და შვილობილ კომპანიასთან დაკავშირებული კაპიტალის სხვა კომპონენტებს. კონტროლის დაკარგვისას წარმოშობილი ნებისმიერი ნამატი ან დეფიციტი ჩაითვლება მოგებაში ან ზარალში. იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფი შეინარჩუნებს რაიმე წილს წინა შვილობილ კომპანიაში, მაშინ აღნიშნული წილი გამოითვლება იმ დღისთვის არსებული რეალური ღირებულების მიხედვით, როდესაც ადგილი ჰქონდა კონტროლის დაკარგვას. შედეგად ის აღირიცხება, როგორც კაპიტალში ჩათვლილი ინვესტიციების მიმღებად, ან გასაყიდად წარმოდგენილ ფინანსურ აქტივად, რომელიც დამოკიდებულია მიღებული გავლენის დონეზე.

(ii) კონსოლიდაციისას გაუქმებული ოპერაციები

შიდა ჯგუფური ბალანსები და ტრანზაქციები, ასევე ნებისმიერი არარეალიზებული შემოსავალი და ხარჯი, რომელიც წარმოიქმნება შიდა ჯგუფური ტრანზაქციებიდან, გაუქმდება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას.

(b) შემოსავალი

(i) მომსახურებები

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმ მოცულობით, რომლითაც ჯგუფი უზრუნველყოფს მომსახურებების გაწევას ხელშეკრულების თანახმად. შემოსავლის ოდენობა შესაძლებელია განისაზღვროს საიმედოდ და სავარაუდოდ მოხდება ოპერაციასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოდინება ჯგუფში. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული შეგებებული დაკმაყოფილების სამართლიანი ღირებულების თანახმად, სარეალიზაციო გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოკლებით.
ჯგუფი შემოსავლებს ღებულობს ძირითადად საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ელექტროენერგიის გადაცემისა და დისპეჩერიზაციის საფუძველზე. შემოსავლების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ადგილი აქვს მომსახურების ფაქტიურად გაწევას ანგარიშგების თარიღისთვის გადაცემული და დისპეჩერიზებული ელექტროენერგიის მოცულობის საფუძველზე.

(ii) სახელმწიფო გრანტები

სახელმწიფო გრანტების პირველადი აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულების მქონე გადავადებული შემოსავლის სახით, როდესაც არსებობს სათანადო საფუძველი ვარაუდისა, რომ ასეთი გრანტი იქნება მიღებული და ჯგუფი დააკმაყოფილებს გრანტთან დაკავშირებით არსებულ პირობებს და შემდგომ აღიარებული იქნება შემოსავალში ან ზარალში სხვა შემოსავლის სახით სისტემატიურად, აქტივის სრული საექსპლუატაციო ვადის განმავლობაში. გრანტები, რომლებიც ახდენენ ჯგუფის მიმართ გაწეული ხარჯების ანაზღაურებას, აღიარებული იქნება შემოსავალში ან ზარალში სხვა შემოსავლის სახით სისტემატიურად იმავე პერიოდით, რომელშიც ადგილი ჰქონდა ხარჯების აღიარებას..

(c) ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

ჯგუფის ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯი მოიცავს:

— ინვესტირებული ფულადი სახსრების საპროცენტო შემოსავალს;
— გაუფასურების ღირებულებით გამოთვლილ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებულ საპროცენტო ხარჯს;
— უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებულ სარგებელს ან ზარალს ფინანსურ აქტივებთან და ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებით.

საპროცენტო შემოსავლის ან ხარჯის აღიარება ხდება მის მოგებაზე ან ზარალზე დარიცხვისთანავე, ეფექტური პროცენტის გამოთვლის მეთოდის გამოყენებით. სასესხო ხარჯი, რომელიც პირდაპირ არ უკავშირდება კვალიფიციური აქტივების შესყიდვას, მშენებლობას ან წარმოებას, აღიარებული იქნება ეფექტური პროცენტის გამოთვლის მეთოდთან გამოყენებულ მოგებასა თუ ზარალში. უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული სარგებელი ან ზარალი წარმოდგენილია წმინდა საფუძველზე როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი, რაც დამოკიდებულია იმ

ფაქტზე, წარმოდგენილია თუ არა უცხოური ვალუტის მოძრაობა წმინდა მოგების ან წმინდა ზარალის მდგომარეობაში.

(d) უცხოური ვალუტა

(i) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ტრანზაქციები კონვერტირდება ჯგუფის საწარმოების შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს დადგენილი ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი ერთეულები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. ფულად ერთეულებზე უცხოური ვალუტის მოგება ან ზარალი წარმოადგენს სხვაობას პერიოდის დასაწყისისთვის ფუნქციონალურ ვალუტაში წარმოდგენილ ამორტიზირებულ ხარჯს, რომელიც მორგებულია არსებულ პროცენტზე და პერიოდის განმავლობაში განხორციელებულ ანგარიშსწორებებზე, და უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილ ამორტიზირებულ ხარჯს შორის, რომელიც კონვერტირდება ანგარიშგების პერიოდის დასასრულს არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით.

უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი ერთეულები, რომლებიც დაანგარიშდება ისტორიული ღირებულებით, კონვერტირდება ტრანზაქციის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით.

ვალუტის გადაფასებით გამოწვეული საკურსო სხვაობა აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში..

(ii) უცხოური ოპერაციები

უცხოური ოპერაციებით გათვალისწინებული აქტივები და ვალდებულებები კონვერტირდება ქართულ ლარში ანგარიშგების თარიღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. უცხოური ოპერაციების შემოსავალი და ხარჯები კონვერტირდება ქართულ ლარში ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებული სხვაობები აღიარებულია სხვა საერთო შემოსავალში და წარმოდგენილია კაპიტალში უცხოური ვალუტის გადაფასების რეზერვში. იმ შემთხვევაში, თუ უცხოურ ოპერაციაზე შეწყდება ამგვარი კონტროლი, აღარ იქნება წარმოდგენილი მნიშვნელოვანი გავლენა ან ერთობლივი კონტროლი, აღნიშნულ უცხოურ ოპერაციასთან დაკავშირებულ გადაფასების რეზერვში წარმოდგენილი საერთო თანხა ხელახლა კლასიფიცირდება მოგებად ან ზარალად, გასხვისებაზე დარიცხული მოგების ან ზარალის ნაწილის სახით..

(e) თანამშრომელთა მოკლევადიანი სარგებელი

თანამშრომლის მოკლევადიანი სარგებლის ვალდებულებები აღირიცხება დისკონტირებულ საფუძველზე და გაიწერება ხარჯებში შესაბამისი მომსახურებების გაწევისთანავე. ვალდებულების აღიარება ხდება იმ თანხასთან დაკავშირებით, რომლის ანგარიშსწორებაც უნდა მოხდეს მოკლევადიანი ფულადი ბონუსით ან სარგებლის გაზიარების გეგმებით იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფს გააჩნია აღნიშნული თანხის ანგარიშსწორების მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული

ვალდებულება თანამშრომლის მიერ წარსულში განხორციელებული მომსახურების შედეგად და ვალდებულება შესაძლებელია შეფასდეს საიმედოდ.

(f) რეზერვები

რეზერვის აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, თუ წარსულში მომხდარი შემთხვევის გამო, ჯგუფს გააჩნია სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება, რაც შესაძლებელია შეფასდეს საიმედოდ და სავარაუდოდ საჭირო გახდება ეკონომიკური სარგებლის გადინება ვალდებულებების ანგარიშსწორების მიზნით. რეზერვი განისაზღვრება ფულადი სახსრების მომავალი მოსალოდნელი ნაკადების დისკონტირებით, დაბეგვრამდე არსებული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ვალდებულებების დამახასიათებელი ფულის დროებითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებსა და რისკებს. დისკონტის ამორტიზაცია აღიარებულია ფინანსურ ხარჯში.

(g) მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადს. მიმდინარე და გადავადებული გადასახადი აღიარებულია შემოსავალში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის დაკავშირებულია კაპიტალში ან სხვა სრულ შემოსავალში უშუალოდ აღირებულ ობიექტებთან.

(i) მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადი არის მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება ან მოთხოვნა შესაბამისი წლის დასაბეგრ შემოსავალზე ან ზარალზე, დადგენილ ან არსებითად დადგენილ საგადასახადო განაკვეთზე ანგარიშგების თარიღისთვის, ასევე საგადასახადო ვალდებულების ყველა შესწორება დაკავშირებული წინა წლებთან. მიმდინარე გადასახადი აგრეთვე მოიცავს ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებას, რომლებიც წარმოიშვება დივიდენდებიდან..

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. აღნიშნული კანონი ძალაში შევიდა 2016 წელს და ამოქმედდა 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული საგადასახადო პერიოდისთვის ყველა საწარმოს მიმართ, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორიცაა ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომელთა მიმართაც კანონი ძალაში შევა 2023 წლის 1 იანვრიდან..

კორპორატიული მოგების დაბეგვრის ახალი სისტემა ითვალისწინებს არა კორპორატიული მოგების გადასახადისგან გათავისუფლებას, არამედ კორპორატიული მოგების გადასახადის დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე, ანუ ძირითად საგადასახადო ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას, როგორც აქციონერების / პარტნიორების მიმართ დივიდენდების სახით განაწილებულ მოგებას. თუმცა ზოგიერთი სხვა ოპერაცია აგრეთვე ჩაითვლება განაწილებულ მოგებად, მაგალითად, კონკურენტული ტრანსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადებისგან გათავისუფლებულ პირთან აგრეთვე განიხილება განაწილებული მოგებად

კორპორატიული მოგების გადასახადის მიზნებისთვის. გარდა ამისა, საგადასახადო ობიექტი ითვალისწინებს ხარჯსა და სხვა გადასახდელს, რაც არ იქნება დაკავშირებული საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობასთან, უფასო მიწოდებასთან და ლიმიტზე გადაჭარბებულ წარმომადგენლობით ხარჯთან..

გადასახადის ანაზღაურება ხელმისაწვდომია 2008-2016 წლებში გაუნაწილებელ მოგებასთან დაკავშირებით გადახდილ მიმდინარე გადასახადთან მიმართებით იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული მოგება განაწილდება 2017 ან მომდევნო წლებში.

დივიდენდების ანგარიშსწორებიდან კორპორატიული მოგების გადასახადი დაანგარიშდება იმ პერიოდის ხარჯთან დაკავშირებით, როდესაც მოხდა დივიდენდების განცხადება, მიხედავად ანგარიშსწორების ფაქტიური თარიღისა ან პერიოდისა, რომელთან დაკავშირებითაც ადგილი ჰქონდა დივიდენდების ანგარიშსწორებას.

(ii) გადავადებული გადასახადი

ზემოთ აღწერილი ახალი საგადასახადო სისტემის არსიდან გამომდინარე, საქართველში რეგისტრირებულ საწარმოებს არ გააჩნიათ სხვაობა აქტივების საგადასახადო ბაზასა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის და აღნიშნულიდან გამომდინარე, არ წამოიშობა გადავადებული მოგების გადასახადის აქტივები და პასივები.

წინა პერიოდში დარიცხული საგადასახადო ზარალის გამოყენება შეუძლებელია სამომავლო დაბეგვრად მოგებაში..

(h) მარაგები

მარაგები წარმოდგენილია მის ღირებულებასა და მის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით და ითვალისწინებს მარაგების შეძენასთან, წარმოებასა და კონვერსიასთან, აგრეთვე მათ არსებულ ადგილზე და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულებად მიჩნეულია ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას გასაყიდ ფასს გამოკლებული შეფასებული დასრულების ღირებულება და გასაყიდი დანახარჯები.

(i) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები აღირიცხება აკუმულირებულ ცვეთასა და აკუმულირებულ გაუფასურებაზე ნაკლები ღირებულებით.

ღირებულება მოიცავს აქტივების შეძენასთან უშუალოდ დაკავშირებულ ხარჯებს. საკუთარი სახსრებით შექმნილი აქტივების ღირებულება მოიცავს მასალების ღირებულებასა და პირდაპირ შრომით დანახარჯებს, ნებისმიერ სხვა ხარჯს, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული აქტივის მუშა მდგომარეობაში მოყვანასთან, მისი დანიშნულებისამებრ გამოყენების მიზნით, ასევე ობიექტის დემონტაჟთან, გატანასა და

სამუშაოების წარმოების ადგილის აღდგენასთან დაკავშირებულ ხარჯებს და კაპიტალიზებული სესხის ხარჯებს. შეძენილი კომპიუტერული პროგრამების, რომლებიც შესაბამისი მოწყობილობის ფუნქციონირების განუყოფელი ნაწილია, კაპიტალიზაცია ხორციელდება ამ მოწყობილობის შემადგენელი ნაწილის სახით.

როდესაც ძირითადი საშუალებების ობიექტის შემადგენელი ნაწილები შეიცავს სხვადასხვა საექსპლუატაციო ვადის მქონე კომპონენტებს, მათი აღრიცხვა ხორციელდება ძირითადი საშუალებების ცალკეული ობიექტების (ძირითადი კომპონენტების) სახით.

ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული მოგება ან ზარალი განისაზღვრება სხვაობით გაყიდვიდან მიღებულ სარგებელსა და ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარებული იქნება წმინდა ღირებულებად სხვა შემოსავლის/სხვა გასავლის ფარგლებში მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში.

(ii) შემდგომი ხარჯები

ძირითადი საშუალების ობიექტის კომპონენტების შეცვლასთან დაკავშირებული ხარჯების აღრიცხვა წარმოებს კომპონენტის საბალანსო ღირებულებაში იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია კომპონენტის ფარგლებში გათვალისწინებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის გადაცემა ჯგუფის მიმართ და მისი ღირებულების საიმედოდ აღრიცხვა. ჩანაცვლებული კომპონენტის საბალანსო ღირებულება იქნება უარყოფილი. ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მომსახურების ღირებულება აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, გაღებული ხარჯების სახით.

(iii) ცვეთა

ძირითადი საშუალებების კომპონენტების ცვეთის დარიცხვა ხდება მათი დამონტაჟებისა და საექსპლუატაციო მზადყოფნის დღიდან, ხოლო შიდა კონსტრუირებული აქტივების შემთხვევაში, აღნიშნული აქტივების დასრულებისა და გამოსაყენებლად მზადყოფნის დღიდან. ცვეთა განისაზღვრება აქტივის ღირებულებას გამოკლებული მისი ნარჩენი ღირებულება.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, ძირითადი საშუალებების კომპონენტების ყოველი ნაწილის საექსპლუატაციო ვარგისიანობის ვადის შეფასების საფუძველზე, ვინაიდან აღნიშნული ყველაზე უკეთ ასახავს აქტივით გათვალისწინებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის ხარჯვის მოსალოდნელ ნიმუშს. მიწა არ ექვემდებარება ცვეთას.

ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი კომპონენტების საექსპლუატაციო ვარგისიანობის ვადის შეფასება მიმდინარე და შედარებითი პერიოდების განმავლობაში შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

— შენობა-ნაგებობები 15-25 წელი;
— ელექტროგადამცემი ხაზები 20-35 წელი;
— მოწყობილობები 10-25 წელი;
— მანქანა-დანადგარები და სხვ. 5 – 7 წელი.

ხელმძღვანელობა იყენებს მნიშვნელოვან მსჯელობას ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსასაზღვრად, რომლებიც გამოყენებულია პერიოდის განმავლობაში.

ცვეთის მეთოდები, საექსპლუატაციო ვარგისიანობის ვადა და ნარჩენი ღირებულება განიხილება ყოველი ფინანსური წელიწადის ბოლოს და შესწორდება შესაბამისად.

(j) იჯარით აღებული აქტივები

იჯარა, რომლის პირობებშიც ჯგუფი იღებს არსებით ვალდებულებას მის მფლობელობასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელთან დაკავშირებით, კლასიფიცირდება ფინანსური იჯარების სახით. პირველადი აღიარებისთანავე იჯარით აღებული აქტივები აღირიცხება, როგორც მის რეალურ ღირებულებასა და მინიმალური იჯარის გადახდების მიმდინარე ღირებულებაზე ნაკლები თანხა. პირველადი აღიარების შემდგომ, აქტივი აღირიცხება აღნიშნულ აქტივთან დაკავშირებით მოქმედი სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად.

ყველა სხვა იჯარა წარმოადგენს საოპერაციო იჯარას და იჯარით აღებული აქტივების აღიარება არ მოხდება ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში..

(k) ფინანსური ინსტრუმენტები

ჯგუფი ახდენს არაწარმოებული ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას სესხებისა და მოთხოვნების კატეგორიაში და არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციას სხვა ფინანსური ვალდებულებების კატეგორიაში.

(i) არაწარმოებული ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები - აღიარება და აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი პირველადად აღიარებს სესხებსა და კრედიტებს, ასევე დეპოზიტებს მათი წარმოშობის დღისთვის. ყოველი სხვა ფინანსური ვალდებულების აღიარება ხდება პირველადად მათი ვაჭრობის დღისთვის, როდესაც ჯგუფი გახდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულებების მხარე.
ჯგუფი არ აღიარებს ფინანსურ აქტივებს მას შემდეგ, რაც ამოიწურება სახელშეკრულებო უფლებები ფულად ნაკადებზე აქტივებიდან, ან იგი გადასცემს ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებით ამა თუ იმ გარიგებაში, რომელშიც ადგილი აქვს ფინანსური აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული ყოველგვარი რისკისა და ანაზღაურების გადაცემას. ყოველგვარი წილი გადაცემულ ფინანსურ აქტივებში, რომელიც იქმნება ან იწარმოება ჯგუფის მიერ, აღიარებულია ცალკე აქტივად ან პასივად..

ჯგუფი არ აღიარებს ფინანსურ ვალდებულებას იმ შემთხვევაში, თუ მისი სახელშეკრულებო ვალდებულებები გაუქმდება, დაკარგავს ძალას ან ამოიწურება. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ექვემდებარება ანაზღაურებას და წარმოადგენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მითითებულ სუფთა თანხას მხოლოდ მაშინ, როდესაც ჯგუფს გააჩნია თანხების ანაზღაურების სამართლებრივი უფლება და სურს მოახდინოს ანგარიშსწორება სუფთა სახით ან უზრუნველყოს აქტივების რეალიზება და ვალდებულებების ანგარიშსწორება

ერთდროულად.

სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები წარმოადგენს ფიქსირებული ან განსაზღვრული ანგარიშსწორების მქონე ფინანსური აქტივების კატეგორიას, რომლებიც არ არის წარმოდგენილი აქტიურ ბაზარზე. აღნიშნული აქტივების პირველადი აღიარება ხდება მისი რეალური ღირებულებით პლუს ნებისმიერი უშუალოდ მიწერილი ტრანზაქციის ღირებულებით. შემდგომში პირველადად აღიარებული სესხები და მოთხოვნები განისაზღვრება ამორტიზირებული ღირებულების მიხედვით მოქმედი საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, აღნიშნულს გამოკლებული გაუფასურების შედეგად წარმოშობილი დანაკარგი.

სესხებისა და მოთხოვნების კატეგორიაში წარმოდგენილია ფინანსური აქტივების შემდეგი კლასები: სავაჭრო და სხვა მოთხოვნები წარმოდგენილია მე-8 შენიშვნაში, ხოლო ფული და ფულის ექვივალენტები მე-9 შენიშვნაში.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება საბანკო ბალანსებისგან, რომელთა ანგარიშსწორების ვადაც შეადგენს სამ თვეს ან ნაკლებს მათი მიღების დღიდან, რაც ექვემდებარება მათ რეალურ ღირებულებაში ცვლილებების განხორციელების მნიშვნელოვან რისკს..

(ii) არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები - შეფასება

სხვა ფინანსური ვალდებულებები პირველადად აღიარებულია მათი რეალური ღირებულებით პლუს ნებისმიერი უშუალოდ მიწერილი ტრანზაქციის ღირებულებით. პირველადად აღიარების შემდგომ აღნიშნული ფინანსური ვალდებულებები განისაზღვრება ამორტიზირებული ღირებულების მიხედვით მოქმედი საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებსა და კრედიტებს, რაც წარმოდგენილია მე-12 შენიშვნაში, რესტრუქტურიზებული ვალდებულებები წარმოდგენილია მე-13 შენიშვნაში, ხოლო სავაჭრო და სხვა მოთხოვნები წარმოდგენილია მე-15 შენიშვნაში..

(l) სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციების კლასიფიკაცია ხდება კაპიტალის სახით. ჩვეულებრივი აქციებისა და სააქციო ოფციონის გამოშვების შედეგად უშუალოდ წარმოშობილი დამატებითი ხარჯების აღიარება ხდება კაპიტალიდან ნებისმიერი საგადასახადო ეფექტის წმინდა ღირებულებიდან დაქვითვის სახით.

(m) გაუფასურება

(i) არაწარმოებული ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივი, რომელიც არ აღირიცხება რეალური ღირებულებით მოგების ან ზარალის საშუალებით, შეფასდება ყოველ ანგარიშგების დღეს იმ მიზნით, რომ

განისაზღვროს არსებობს თუ არა მისი გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. ფინანსური აქტივი ჩაითვლება გაუფასურებულად იმ შემთხვევაში, თუ ობიექტური მტკიცებულებით ნაჩვენებია აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდგომ ზარალის შემთხვევა, რაც შესაძლებელია უარყოფითად აისახოს აღნიშნული აქტივის სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებაში, რაც ფასდება საიმედოდ..

ფინანსური აქტივების გაუფასურების დამადასტურებელი ობიექტური მტკიცებულებები შესაძლებელია ითვალისწინებდეს შემდეგს:

— დებიტორის გაკოტრება ან გადაუხდელობა;
— ჯგუფის მიმართ გადასახდელი თანხის რესტრუქტურიზება იმ პირობებით, რომლის სხვაგვარად განხილვა ჯგუფს არ შეუძლია;
— მინიშნება, რომ დებიტორი გამოცხადდება გაკოტრებულად;
— გაკოტრებასთან დაკავშირებული ეკონომიკური პირობები.

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები

მტკიცებულებას როგორც კონკრეტული აქტივის, ასევე აქტივების ერთობლიობის დონეზე. ყოველი ინდივიდუალური მნიშვნელოვანი სესხები და მოთხოვნები შეფასდება კონკრეტულ გაუფასურებასთან დაკავშირებით. ყველა ინდივიდუალური სესხი და მოთხოვნა, რომლებიც არ ჩაითვლება კონკრეტულად გაუფასურებულად, შეფასდება ერთობლივად ნებისმიერი სახის გაუფასურებასთან დაკავშირებით, რაც წარმოიშვა, მაგრამ არ არის ჯერ დადგენილი. ის სესხები და მოთხოვნები, რომელთაც არ გააჩნიათ მნიშვნელობა ინდივიდუალურად, შეფასდება ერთობლივად გაუფასურებასთან დაკავშირებით მოთხოვნების მსგავსი რისკის მახასიათებლებთან დაჯგუფების გზით.

ერთობლივი გაუფასურების შეფასებისას ჯგუფი იყენებს დეფოლტის ალბათობის, ხარვეზების აღმოფხვრის დროისა და გაწეული ზარალის ისტორიულ ტენდენციებს, რაც მორგებულია ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებებზე იმასთან დაკავშირებით, არის თუ არა მიმდინარე ეკონომიკური და საკრედიტო პირობები იმ სახის, რომ ფაქტიური ზარალი აღემატებოდეს ან ნაკლები იყოს წარმოდგენილ ისტორიულ ტენდენციებზე.

ამორტიზირებული ღირებულებით განსაზღვრული ფინანსური აქტივებისთვის გაუფასურებით გამოწვეული ზარალი წარმოადგენს აქტივის საბალანსო ღირებულებასა და აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის სხვაობას. ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში და აისახება მოთხოვნებთან დაკავშირებული შეღავათების ანგარიშში. გაუფასურებულ აქტივზე დარიცხული პროცენტი კვლავ იქნება აღიარებული დისკონტის ამორტიზაციით. როდესაც შემდგომი შემთხვევა გამოიწვევს გაუფასურებით გამოწვეული ზარალის თანხის შემცირებას, გაუფასურებით გამოწვეული ზარალის შემცირება შეიცვლება მოგების ან ზარალის საშუალებით.

(ii) არაფინანსური აქტივები

ჯგუფის არაფინანსური აქტივების, გარდა მარაგებისა და გადავადებული საგადასახადო აქტივებისა, საბალანსო ღირებულების გადასინჯვას ახორციელებს

თითოეულ საანგარიშო დღეს გაუფასურების ნებისმიერი ნიშნის არსებობის დადგენის მიზნით. ასეთი ნიშნის არსებობის შემთხვევაში, ხორციელდება აქტივის ჩანაცვლების ღირებულების შეფასება. გაუფასურების შედეგად მიყენებული ზარალის აღიარება ხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივის საბალანსო ან მასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მაგენერირებელი ერთეულის (CGU) ღირებულება აღემატება მის შეფასებულ ჩანაცვლების ღირებულებას.

აქტივების ან ფულადი სახსრების მაგენერირებელი ერთეულის (CGU) ჩანაცვლების ღირებულება წარმოადგენს მისი რეალური ღირებულებებიდან უდიდესს, სარეალიზაციო ხარჯებისა და სამომხმარებლო ღირებულების გამოკლებით. სამომხმარებლო ღირებულების შეფასებისას ხორციელდება ფულადი სახსრების მომავალი მოსალოდნელი ნაკადების დისკონტირება მათ მიმდინარე ღირებულებამდე, დაბეგვრამდე არსებული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს მოცემული აქტივისათვის ან ფულადი სახსრების მაგენერირებელი ერთეულისთვის (CGU) დამახასიათებელი ფულის დროებითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებსა და რისკებს. გაუფასურების ტესტირების მიზნით, ის აქტივები, რომელთა ინდივიდუალური ტესტირება შეუძლებელია, ჯგუფდება ერთად აქტივების უმცირეს ჯგუფებად, რომელიც ახდენს ფულადი სახსრების მოდინების გენერირებას უწყვეტი გამოყენებისგან, რაც არ არის დამოკიდებული სხვა აქტივების ან ფულადი სახსრების მაგენერირებელი ერთეულის (CGU) ფულადი სახსრების მოდინებაზე. ჯგუფის კორპორატიული აქტივები არ ახდენს ფულადი სახსრების ცალკე მოდინების გენერირებას და გამოყენებულია ერთზე მეტი CGU-ს მიერ. კორპორატიული აქტივები გამოიყოფა CGU-ს მიმართ დასაბუთებულ საფუძველზე და გაივლის ტესტირებას გაუფასურებაზე CGU-ს ტესტირების ნაწილის სახით, რომლის მიმართაც მოხდა CGU-ს გაცემა..

გაუფასურებით მიყენებული ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში. ფულადი სახსრების მაგენერირებელ ერთეულებთან დაკავშირებით აღიარებული გაუფასურების შედეგად მიყენებული ზარალი ნაწილდება ერთეულში (ფულადი სახსრების მაგენერირებელი ერთეულის ჯგუფში) არსებული აქტივების საბალანსო ღირებულებაში პროპორციულად.

წინა პერიოდში აღიარებული გაუფასურების შედეგად მიყენებული ზარალის შეფასება ხორციელდება თითოეული საანგარიშო თარიღისათვის, რაიმე ნიშნის არსებობის გამოვლენის მიზნით, რომ ზარალი შემცირდა ან აღარ არსებობს. გაუფასურების შედეგად მიყენებული ზარალის რევერსირება ხდება იმ შეფასებებში ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში, რომლებიც გამოიყენება ჩანაცვლების ღირებულების დასადგენად. გაუფასურების შედეგად მიყენებული ზარალის რევერსირება ხორციელდება იმ მოცულობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც დადგენილი იქნებოდა ცვეთის ან ამორტიზაციის გამოკლებით იმ პირობით, რომ გაუფასურების შედეგად მიყენებული ზარალი ადრე არ იყო აღიარებული.

24. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის მიღებული

არსებობს ახალი სტანდარტები, შესწორებები სტანდარტებში და ინტერპრეტაციები, რომლებიც 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯერ არ იყო შესული ძალაში და არ გამოყენებულა ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. ქვემოთ მოცემულია ის ცვლილებები, რომლებიც სავარაუდოდ გავლენას მოახდენს ჯგუფის საოპერაციო საქმიანობაზე. ჯგუფი გეგმავს ქვემოთ მოცემული სტანდარტების ათვისებას მათი ძალაში შესვლისთანავე..

(a) ფასს 15 შემოსავლები კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

ადგენს ერთიან ჩარჩოს იმის განსაზღვრელად თუ რა ოდენობის შემოსავალი იყო აღიარებული და როდის ჰქონდა აღნიშნულს ადგილი. აღნიშნული სტანდარტი ცვლის არსებულ მეთოდურ მითითებებს შემოსავლების აღიარების თაობაზე, მათ შორის, ბასს (IAS) 18 - *შემოსავალი*, ბასს (IAS) 11 - *სამშენებლო ხელშეკრულებები* და ფაისკ (IFRIC) 13 - *კლიენტების ლოიალურობის პროგრამები.*

ჯგუფი ვალდებულია მიიღოს ფასს 15 - *შემოსავლები კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან* - 2018 წლის 1 იანვრიდან. ჯგუფმა შეაფასა და განსაზღვრა ფასს 15-ის თავდაპირველი გამოყენება გავლენას არ მოახდენს მის ფინანსურ ანგარიშგებებზე. ამ სტანდარტის მიღების შეფასებული გავლენა ჯგუფის კაპიტალზე 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ეფუძნება მოცემულ თარიღამდე განხორციელებულ წინასწარ შეფასებებს.

(i) მომსახურებები

ჯგუფი ახორციელებს ელექტროენერგიის გადაცემის, საექსპორტო და სატრანზიტო მომსახურებებს. შემოსავალი აღიარებულია მომსახურების დასრულების შემდეგ. ფასს 15-ის შესაბამისად, მომსახურების სრული ანაზღაურება განაწილდება ყველა საკონტრაქტო ვალდებულებაზე მათი დამოუკიდებელი გასაყიდი ფასების საფუძველზე.დამოუკიდებელი გასაყიდი ფასები განისაზღვრება იმ ფასების საფუძველზე, რომელზეც ჯგუფი ყიდის თავის მომსახურებებს ცალკე გარიგებებში. ჯგუფის შეფასების შესაბამისად, მომსახურებების დამოუკიდებელი გასაყიდი ფასები მკაფიოდ იდენტიფიცირებადია და საწარმო რეგულირდება სახელმწიფოს მიერ, აქედან გამომდინარე სამართლიანი ღირებულება და დამოუკიდებელი გასაყიდი ფასები არ ექვემდებარება ერთმანეთთან შედარებას. ყველა ფაქტის და გარემოების გათვალისწინებით, ჯგუფი არ ელოდება, რომ ფასს 15-ის გამოყენება გამოიწვევს მნიშვნელოვან ცვლილებებს აღნიშნულ მომსახურებებთან დაკავშირებით შემოსავლის აღიარების ვადებში.

(ii) გადასვლა

ჯგუფი გეგმავს ფასს 15-ის მიღებას კუმულაციური ეფექტის მეთოდის გამოყენებით, აღნიშნული სტანდარტის თავდაპირველი გამოყენება აღიარებულია კაპიტალში 2018 წლის 1 იანვრიდან. შედეგად ჯგუფი არ გამოიყენებს ფასს 15-ის აღნიშნულ მოთხოვნას შედარებით პერიოდებში. შესწორების შემთხვევაში, ეს სრულად უნდა იქნას წარმოდგენილი ფინანსურ ანგარიშგებებში, რომელიც მომზადდება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის.

(b) ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები

ფასს 9 *ფინანსური ინსტრუმენტები* განსაზღვრავს ფინანსური აქტივების, ფინანსური ვალდებულებების და კონტრაქტების აღიარების და შეფასების მოთხოვნებს, არაფინანსური ერთეულების ნასყიდობასთან დაკავშირებით .ეს სტანდარტი ცვლის ბასს 39-ს - *ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება.*

ჯგუფს უნდა მიეღო ფასს 9 *ფინანსური ინსტრუმენტები* 2018 წლის 1 იანვრიდან. ჯგუფმა შეაფასა და განსაზღვრა, რომ ფასს 9-ის თავდაპირველი მიღება არსებით გავლენას არ მოახდენს ფინანსურ ანგარიშგებებზე. აღნიშნული სტანდარტის მიღების შეფასებული გავლენა ჯგუფის კაპიტალზე 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ეფუძნება მოცემულ თარიღამდე განხორციელებულ წინასწარ შეფასებებს. .

(i) კლასიფიკაცია - ფინანსური აქტივები

ფასს 9 მოიცავს ფინანსური აქტივების ახალ კლასიფიკაციას და შეფასების მიდგომას, რომელიც ასახავს ბიზნეს მოდელს, სადაც ხდება აქტივების მართვა და მათი ფულადი სახსრების მოძრაობის დახასიათება.

ფასს 9 მოიცავს ფინანსური აქტივების კლასიფიცირებას სამ ძირითად კატეგორიად: ფინანსური აქტივები, რომლებიც შემდგომ შეფასებულ უნდა იქნან ამორტიზირებული ღირებულებით, და ფინანსური აქტივები, რომლებიც შემდგომ შეფასებულ უნდა იქნან რეალური ღირებულებით სხვა ერთობლივ შემოსავალში (FVOCI) და ფინანსური აქტივები რომლებიც შეფასებულ უნდა იქნან სამართლიანი ღირებულებით მოგებასა ან ზარალში (FVPL). აღნიშნული სტანდარტი აღმოფხვრის ბასს 39-ის შემდეგ კატეგორიებს: „დაფარვის ვადამდე ფლობილი“, „სესხები და მოთხოვნები“ და „გასაყიდად ხელმისაწვდომი“. ფასს 9-ის ფარგლებში, ხელშეკრულებაში შემავალი წარმოებული ინსტრუმენტები, რომელშიც მასპინძელი არის ფინანსური აქტივი სტანდარტის ფარგლებში არასოდეს გაორდება. ამის ნაცვლად, ჰიბრიდული ფინანსური ინსტრუმენტი მთლიანობაში ფასდება კლასიფიკაციის მიზნებისთვის. აღნიშნული შეფასების საფუძველზე, კომპანია თვლის, რომ ახალი კლასიფიკაციის მოთხოვნები არსებით გავლენას არ მოახდენს აღრიცხვაზე ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებით.

(ii) გაუფასურება - ფინანსური აქტივები და საკონტრაქტო აქტივები

ფასს 9 ცვლის „გაწეული ზარალის“ მოდელს ბასს 39–ში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის’ (ECL) მოდელით. ეს მოითხოვს სათანადო შეფასებას მასზედ თუ რა გავლენას მოახდენს ცვლილებები ეკონომიკურ ფაქტორში ECL–ზე, რომელიც განისაზღვრება ალბათობაზე შეწონილ საფუძველზე.
ახალი გაუფასურების მოდელი გამოიყენება ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსური აქტივებთან დაკავშირებით ან FVOCI–თან დაკავშირებით, კაპიტალში განხორციელებული ინვესტიციების გარდა და საკონტარქტო აქტივებთან მიმართებით.

ფასს 9–ის შესაბამისად, ზარალის რეზერვი შეფასდება ქვემოთ მოცემულ საფუძველზე:

— *12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (ECLs).* აღნიშნული ECLs წარმოიშობა შესაძლო ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევიდან ანგარიშგების თარიღიდან 12 თვის განმავლობაში; და

— *სასიცოცხლო მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (ECLs).* აღნიშნული ECLs წარმოიშობა ყველა შესაძლო ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევიდან , ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის განმავლობაში.

სასიცოცხლო მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასება გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ ანგარიშგების თარიღისთვის ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თავდაპირველი აღიარებიდან, ხოლო 12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასება გამოიყენება თუ არ გაიზარდა. ჯგუფს შეუძლია განსაზღვროს, რომ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაიზარდა იმ შემთხვევაში, თუ აქტივს აქვს დაბალი საკრედიტო რისკი ანგარიშგების თარიღისთვის. თუმცა სასიცოცხლო მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასება ყოველთვის გამოიყენება სავაჭრო მოთხოვნებთან და საკონტრაქტო აქტივებთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანი დაფინანსების კომპონენტის გარეშე; ჯგუფს შეუძლია გამოიყენოს ეს პოლიტიკა ასევე სავაჭრო მოთხოვნებთან და საკონტრაქტო აქტივებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი დაფინანსების კომპონენტის გარეშე.

ჯგუფი თვლის, რომ გაუფასურების ზარალი სავარაუდოდ გაიზრდება და გახდება უფრო ცვლადი აქტივებთან დაკავშირებით ფასს 9–ის გაუფასურების მოდელის ფარგლებში. ზემოთ აღწერილი გაუფასურების მეთოდოლოგიის საფუძველზე, ჯგუფმა შეაფასა, რომ ფასს 9 გაუფასურების მოთხოვნების გამოყენება 2018 წლის 1 იანვრისთვის არ გამოიწვევს დამატებით მნიშვნელოვან გაუფასურების ზარალს.

(iii) კლასიფიკაცია - ფინანსური ვალდებულებები

ფასს 9 ინარჩუნებს ბასს 39-ის არსებული მოთხოვნების უმრავლესობას ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირებისთვის.

ამასთან, ბასს 39-ის ფარგლებში, სამართლიანი ღირებულების ფუნქციის ფარგლებში ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების ყველა ცვლილება აღიარებულია მოგებაში ან ზარალში. ფასს 9-ის ფარგლებში ცვლილება სამართლიანი ღირებულებაში ზოგადად წარმოდგენილია შემდეგი სახით:

— სამართლიან ღირებულებაში ცვლილების თანხა, რომელიც ეხება ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებას, წარმოდგენილია სხვა სრულ შემოსავალში; და
— სამართლიან ღირებულებაში ცვლილების დარჩენილი თანხა წარმოდგენილია მოგებაში ან ზარალში.

ჯგუფი არ განსაზღვრავს ფინანსურ ვალდებულებებს FVTPL ფარგლებში და არ გეგმავს ასეთ ქმედებას. ჯგუფის შეფასება არ მიუთითებს არსებით გავლენას ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციის შესახებ 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

(iv) მონაცემები

ფასს 9 მოითხოვს ახალ მონაცემებს კერძოდ საკრედიტო რისკის და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესახებ. ჯგუფის წინასწარ შეფასება მოიცავდა ანალიზს გამოტოვებული მონაცემების დადგენის მიზნით მიმდინარე პროცესში და ჯგუფი გეგმავს აღნიშნული სისტემის განხორციელებას და აკონტროლებს ცვლილებებს, რომელიც მისი მოსაზრებით საჭიროა მოთხოვნილი მონაცემების შესაგროვებლად.

(v) გადასვლა

ჯგუფი გამოიყენებს მოდიფიცირებულ რესტროსპექტულ მიდგომას გადასვლასთან დაკავშირებით და არ წარმოადგენს ხელახლა ფორმულირებულ შედარებით ინფორმაციას წინა პერიოდებისთვის. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში შესწორებები, რომელიც წარმოიშობა ფასს 9–ის მიღების შედეგად, აღიარებული იქნება გაუნაწილებელ მოგებაში და რეზერვებში 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. .

(c) ფასს 16 *იჯარები*

ფასს 16 ცვლის არსებული იჯარების დირექტივას, მათ შორის ბასს 17-ს - იჯარები, ფაისკ 4-ს, *როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას,* იმკ (SIC) 15-ს - *საოპერაციო იჯარა - სტიმულირება* და იმკ (SIC) 27-ს - *გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას*..

ეს სტანდარტი ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს. მისი ვადაზე ადრე მიღება დასაშვებია იმ საწამროებისთვის, რომლებიც იყენებენ ფასს 15-ს, ფასს 16-ის თავდაპირველი გამოყენების დღეს ან ან თარიღამდე.

ფასს 16 წარმოადგენს ერთ საბალანსო უწყისზე აღრიცხვის მოდელს მოიჯარეებისთვის. მოიჯარე აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას, რაც წარმოადგენს მის უფლებას ისარგებლოს შესაბამისი აქტივით და საიჯარო ვალდებულებით, რაც გულისხმობს მის მიერ იჯარის ანგარიშსწორების ვალდებულებას. არსებობს პირობითი გამონაკლისები - მოკლევადიანი იჯარები და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარა. მეიჯარის ანგარიშგება რჩება მიმდინარე სტანდარტის მსგავსი - ანუ მოიჯარეები განაგრძობენ იჯარის კლასიფიკაციას საფინანსო ან საოპერაციო იჯარების სახით.

ჯგუფი აფასებს პოტენციურ გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებებზე, რაც გამოწვეული იქნება ფასს 16-ის გამოყენებით. ფასს 16-ის გამოყენების გავლენა ფინანსურ ანგარიშგებებზე თავდაპირველი გამოყენების პერიოდში დამოკიდებულია მომავალ ეკონომიკურ პირობებზე, მათ შორის ჯგუფის სასესხო განაკვეთზე 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ჯგუფის პორტფელის შემადგენლობაზე აღნიშნული თარიღისთვის, ჯგუფის ბოლო შეფასებაზე მასზედ, გამოიყენებს თუ არა იჯარის განახლების ოფციონს და იმ ფარგლების შესახებ, რომელშიც ჯგუფი გამოიყენებს პრაქტიკულ საშუალებებს და აღიარების გამონაკლისებს.



საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა

2017 მმართველობისა და ფინანსური ანგარიშგება

წინამდებარე დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაცია შედგენილია კომპანიაში ამჟამად არსებული გეგმებისა და საპროგნოზო გათვლების საფუძველზე. ენერგეტიკული სექტორის განვითარების დინამიკის გათვალისწინებით, კომპანია ვერ იძლევა აღნიშნული ინფორმაციის სიზუსტისა და სისრულის გარანტიას. გაუთვალისწინებელი გარემოებები, სხვა სავარაუდო ცვლილებებთან ერთად, მოიცავს დაუგეგმავ შემოსავლებს და დანახარჯებს, ეკონომიკურ-პოლიტიკურ მოვლენებს და გაცვლითი კურსის შესაძლო მკვეთრ ცვლილებებს. კომპანიის მიერ გაკეთებული განცხადებები ყოველთვის უნდა შეფასდეს ბაზარზე არსებული მდგომარეობისა და იმ გარემოს გათვალისწინებით, რომელშიც მას უწევს საქმიანობის წარმოება. აღნიშნული ფაქტორების გამო, ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა, მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს დოკუმენტში წარმოდგენილი მოსალოდნელი შედეგებისგან.

საჩჩევი

მმართველთა საბჭოს თავმჯდომარისგან.....2

ჩვენ შესახებ.....6

2017 წლის ძირითადი მიღწევები 14

ინტერვიუ ჯულია ჰაინცთან 16

2017 წლის ფინანსური მაჩვენებლები.....18

სსე დისპეტჩერიზაცია 20

სსე გადაცემა 28

საინვესტიციო პროექტები 34

სტრატეგიული დაგეგმვა 2018-2028 46

ადამიანური რესურსები 50

შემეცნებითი ტური 54

გარემოს დაცვა და სოციალური
პასუხისმგებლობა 56

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიში.....58

საქართველოს ელექტროსისტემის მიმოხილვა 74

მმართველთა საბჭოს თავმჯდომარისგან

მოხარული ვარ, წარმოგიდგინოთ „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ (სსე) 2017 წლის წინამდებარე წლიური ანგარიში. ჩვენ მოვახერხეთ გადამცემი და სადისპეტჩერო სისტემების განვითარების წარმატებული კურსის გაგრძელება, ოპერირების გაუმჯობესებისა და მოწინავე ტექნოლოგიების ინვესტირების გზით. შედეგად კი, ელექტროენერგიაზე მიმდინარე მოთხოვნის საპასუხოდ, კიდევ უფრო ვაფართოვებთ საქართველოს გადამცემ ქსელს.

ვიდრე მიმდინარე და დაგეგმილ პროექტებზე ვისაუბრებდე, დავიწყებ იმით, რომ 2017 წელს ელექტროენერგიის მოხმარება 8%-ზე მეტით გაიზარდა, რაც ციფრებში რომ გამოიხატოს, დაახლოებით 12 მილიარდ კილოვატსაათს შეადგენს. პარალელურად, ვითარდება ინფრასტრუქტურა და მატულობს ახალი მომხმარებლების რაოდენობა, რაც პირდაპირ მიუთითებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე.

ელექტროენერგიის მოხმარების ზრდის ფონზე უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც შიდა ქსელის განვითარებასა და გაძლიერებას, ასევე გენერაციის ახალ წყაროებთან მიერთებასა და ქვეყნის სატრანზიტო და საექსპორტო პოტენციალის სწორად განკარგვას. მეორე მხრივ, ახალი ინფრასტრუქტურული პროექტები საშუალებას გვაძლევს, გაზრდილი მოხმარება გენერაციის საკუთარი, განახლებადი წყაროებით უზრუნველვყოთ. ყველა ეს მიღწევა უნდა განვიხილოთ იმ სტრატეგიის კონტექსტში, რომელსაც საქართველოს ენერგეტიკული სექტორი მისდევს და რომელსაც დიდი გავლენა გააჩნია სსე-ს საქმიანობაზე. ვიდრე საქართველო ძალისხმევას არ იშურებს, განავითაროს რეგიონული ენერგეტიკული ბაზარი გადამცემი კორიდორისა და ჰესების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის სეზონური ექსპორტიორის ფუნქციის შესრულებით, სსე სრულად აცნობიერებს საკუთარ უდიდეს წვლილს ამ სტრატეგიული პრიორიტეტების შესრულებაში. ამასთანავე, სსე კერძო სექტორს ინტენსიურად უწყობს ხელს ენერგეტიკაში კიდევ უფრო მეტი პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვით, რითაც ეროვნულ ეკონომიკას აძლიერებს და ანვითარებს.

ამგვარად, სსე-ს მიერ შემუშავებული და მთავრობის მიერ დამტკიცებული „საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა“ მიზნად ისახავს ახალი გამოწვევებისა და მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილებას, სისტემის საიმედოობის უფრო მაღალ სტანდარტებთან შესაბამისობასა და გადამცემი ინფრასტრუქტურის განვითარების მრავალი ახალი პროექტის განხორციელებას. სერიოზული პასუხისმგებლობის, ამ პროექტების წარმატებით შესრულების უდიდესი მნიშვნელობისა და მეორე მხრივ, პროექტების მართლაც ამბიციური მასშტაბებისა და მათი დასრულების მჭიდრო ვადების გათვალისწინებით, დიდი გამოწვევების წინაშე ვდგავართ. მიუხედავად ამისა, ჩვენ ძალისხმევას არ ვიშურებთ მიზნების მისაღწევად, სოლიდური ვალდებულებების შესასრულებლად და იმ ნდობის გასამართლებლად, რომელიც ჩვენს პარტნიორებს ჩვენდამი გააჩნიათ.

მაშ ასე, მოკლედ მიმოვიხილავ 2017 წლის ყველაზე მეტად აღსანიშნავ მიღწევებს, რომელთა შესახებაც დეტალურად წინამდებარე ანგარიშის შემდგომ ფურცლებზე შეიტყობთ. 2017 წელს სსე-მ საგრძნობი პროგრესი აჩვენა რამდენიმე ფართომას-



„ვამაყობთ სტაბილური განვითარებისა და გამორჩეული მაჩვენებლების მქონე მორიგი წარმატებული წლის მიღწევებით, რაც ჩვენი ერთგული თანამშრომლების გულმოდგინე შრომისა და პარტნიორების მტკიცე მხარდაჭერის შედეგს წარმოადგენს.“

შტაბიან პროექტზე, რომელთა შორისაც გამოვყოფ „ახალციხე-ბათუმის“ 220 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზის (ეგხ) მშენებლობის პირველი ეტაპის დასრულებას, კერძოდ, დაახლოებით 55 კმ სიგრძის შუახევი-ბათუმის მონაკვეთისა, რომელიც ახლადაგებულ „შუახევიჰესის“ ენერგოქსელს მიუერთდა. ახალი გენერაციის ობიექტების ქსელთან მიერთებით კი, ჩვენ შევძლებთ, ელექტროენერგიის მოხმარების გაზრდილი მაჩვენებელი ჩვენი შიდა რესურსით დავაბალანსოთ.

2017 წელს ახალი ენერგეტიკული ჯაჭვი შეიქმნა ქუთაისისა და ზესტაფონის ქვესადგურებს შორის და შედეგად, დასავლეთ საქართველოში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ენერგოქსელის საიმედოობა, ეგხ-ის „იმერეთი“ პარალელურად არსებული 220 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზების „აჯამეთი“ და „სათაფლია“ რეკონსტრუქციის გზით. ასევე შევიძინეთ ახალი აღჭურვილობა არსებული ქვესადგურებისთვის მარნეულსა (ახალი ტრანსფორმატორი) და ზესტაფონში (რეგულირებადი რეაქტორები).

წლის განმავლობაში აგრეთვე აქტიურად მიმდინარეობდა ჯვარისა და ხორგას ქვესადგურების დამაკავშირებელი ეგხ-ის მშენებლობა. ეს პროექტი 2018 წელს დას-

რულდება, რითაც უნდა დამთავრდეს დასავლეთ საქართველოში 220 კვ-იანი ქსელის გაჯანსაღება-მშენებლობა და უკვე თამამად შეგვეძლება იმის თქმა, რომ გვაქვს ეგხ „იმერეთის“ პარალელურად არსებული მძლავრი ენერგოქსელი, მისი გამორთვის შემთხვევაში კი - რეზერვირების 80%-იანი შესაძლებლობა. ასევე აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს 500 კვ-იანი ეგხ-ის „ქსანი-სტეფანწმინდა“ მშენებლობა, რომლის საშუალებითაც მალე კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ჰიდროელექტროსადგური „დარიალი“ მიუერთდება ჩვენს ენერგოქსელს. მომავალ წელს დასრულდება ქუთაისი-მენჯის დამაკავშირებელი 220 კვ-იანი ეგხ-ის „კოლხიდა-1“ რეკონსტრუქცია, რის შედეგადაც ხაზის გამტარუნარიანობა 300 მგვტ-მდე გაიზრდება.

2017 წელს ენერგიულად ვიყავით ჩართულნი მოლაპარაკებებში ჩვენს გრძელვადიან პარტნიორ დონორ ინსტიტუტებთან, ჩვენი ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის ახალი ინვესტიციების მოზიდვის მიზნით. ამ თვალსაზრისით, ჩვენ მოვახერხეთ დამატებით დაახლოებით 400 მლნ ევროს მოზიდვა საქართველოში ახალი ენერგეტიკული პროექტების დასაფინანსებლად. ეს მსხვილი პროექტები განხორციელდება გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკის (KfW), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისა (EBRD) და მსოფლიო ბანკის (WB) ფინანსური მხარდაჭერით. ამ საკვანძო პროექტების არეალი ქვეყნის თითქმის ყველა რეგიონს მოიცავს და მათ შორის, ითვალისწინებს 500 კვ-იან კავშირს „წყალტუბო-ახალციხე-თორთუმი“ (თურქეთის საზღვრამდე), 220/110 კვ-იანი გადამცემი ინფრასტრუქტურის გაძლიერებას გურიაში, 110 კვ-იანი ქსელის ახალი ორჯაჭვა 220 კვ-იანი ხაზებით ჩანაცვლებას კახეთში, 500 კვ-იანი კავშირის „ჯვარი-წყალტუბო“ მშენებლობას, კავშირს „ჩრდილოეთის რგოლი-ნამახვანი-წყალტუბო“, ლაჯანურის გადამცემ კვანძს, კავშირს „სტეფანწმინდა-მოზდოკი“ (რუსეთის საზღვრამდე) და ა.შ. აღნიშნული პროექტების განხორციელებას მოჰყვება ენერგოქსელის ელექტროენერგიის გენერაციის ახალ წყაროებთან მიერთება, რეგიონული ინფრასტრუქტურის გამტარუნარიანობის ზრდა და გაუმჯობესება და უკანასკნელის საიმედოობის გაძლიერება.

შიდა ქსელის გაფართოების პარალელურად ჩვენ აქტიურად ვაგრძელებდით მუშაობას ჩვენს მეზობელ პარტნიორებთან რეგიონული თანამშრომლობის გაძლიერებისა და მრავალმხრივი ტექნიკური, ტექნოლოგიური, სამეცნიერო და კომერციული პარტნიორობის მიზნით. აქ მსურს აღვნიშნო ჩვენ მიერ გაწეული ძალისხმევა ევროპის ელექტროგადამცემი სისტემების ოპერატორების გაერთიანებაში (ENTSO-E) ინტეგრაციისა და ე.წ. „ჩრდილოეთ-სამხრეთის“ სატრანზიტო დერეფნის (რუსეთი-საქართველო-სომხეთი-ირანი) განვითარების ინიციატივის მიმართულებით. უკანასკნელის მიზანია თანაბარი და ყველა მონაწილე მხარისთვის მომგებიანი თანამშრომლობის განვითარება, განსაკუთრებით ელექტროენერგიით სეზონური ვაჭრობისა და ახალი სისტემათაშორისი გადამცემი ინფრასტრუქტურის მშენებლობის კუთხით. აქედან გამომდინარე, მალე იგეგმება თურქეთთან, სომხეთთან და რუსეთთან ახალი დამაკავშირებელი ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობა.

ჩვენ ასევე აქტიურად ვაგრძელებთ საკუთარი საოპერაციო შესაძლებლობების გაძლიერებას, რათა კომპანია მოწინავე ბიზნეს პოზიციებს ინარჩუნებდეს. 2017 წლის ბოლოს, მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით, ჩვენ დავდეთ ხელშეკრულება SCADA-სა და ენერგეტიკის მართვის არსებული სისტემის (SCADA/EMS) განახლებაზე, რაც საშუალებას მოგვცემს, გვქონდეს ახალი, თანამედროვე მართვის სისტემა, რომელიც ჩვენს ქსელში არსებულ მზარდ მოთხოვნებს უზრუნველყოფს. ასე აგრეთვე მუშაობს საქართველოს ელექტროენერგიის ბაზრის სავაჭრო პლატფორმის ბაზრის მართვის სისტემის (MMS) დასანერგად, რაც მათ შორის, მოიცავს აღრიცხვის ინფრასტრუქტურისა და აღრიცხვის არსებული მართვის სისტემის აუ-



ცილებელ განახლებას საბითუმო აღრიცხვის ავტომატიზირებული სისტემის (AWMS) სახით. ეს უახლესი სისიტემა მალე ამუშავდება.

2017 წელს ჩვენ წარმატებით გავიარეთ აუდიტი ხარისხის მართვის სისტემის რესერტიფიცირების მიზნით ISO 9001:2015 სტანდარტის ახალი ვერსიის შესაბამისად. ჩვენ კვლავაც ვაგრძელებთ ისეთი ორგანიზაციული ცვლილებების დანერგვას, რომლებიც კადრების განვითარებისა და კომპანიის სტრუქტურის გაუმჯობესებისკენაა მიმართული.

დასასრულ, მსურს აღვნიშნო, რომ სსე-ს მომავალი საქმიანობის მიმართ დიდი მოლოდინები გაგვაჩნია. ამასთან, ჩვენ უკვე მივაღწიეთ გამორჩეულ შედეგებს და მიზნად ვისახავთ მომავალ წლებში განსახორციელებელი ყველა ამბიციური გეგმის შესრულებას. ყველა ეს ეფექტური მაჩვენებელი კი კვლავაც მთავრობის, ჩვენი გრძელვადიანი პარტნიორი დონორების, ინვესტორების, ჩვენი პროფესიონალი თანამშრომლებისა და ხელმძღვანელობის ერთობლივი ძალისხმევის შედეგია. შესაბამისად, მსურს, გულწრფელი მადლობა გადავუხადო ყველა მათგანს ამ ძალისხმევისა და ჩვენი კომპანიისადმი ნდობისათვის.

პატივისცემით,
სულხან ზუმბურიძე
მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე /
რეაბილიტაციის მმართველი

ჩვენ შესახებ



ვინ ვართ ჩვენ



სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ (სსე) უზრუნველყოფს ელექტროენერგიის გადაცემას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე და წარმოადგენს დისპეტჩერიზაციის ერთადერთ ლიცენზიანტს. სსე გადაცემა-დისპეტჩერიზაციის მომსახურებას უწევს კვალიფიციურ საწარმოებს. მისი აქციების 100%-ის მფლობელია სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი სააქციო საზოგადოება „საპარტნიორო ფონდი“. სსე 2002 წელს შეიქმნა სს „ელექტროგადაცემისა“ და შპს „ელექტროდისპეტჩერიზაციის“ შერწყმის შედეგად. „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის“ (სემეკ) მიერ გაცემული ლიცენზიებისა და გადაცემა-დისპეტჩერიზაციისათვის დადგენილი ტარიფების საფუძველზე, სსე ახორციელებს სისტემის ტექნიკურ მართვას ელექტროენერგიის მიწოდება-მოხმარების სტაბილური რეჟიმის უზრუნველსაყოფად, და საქართველოში წარმოებულ ან იმპორტირებულ ელექტროენერგიას გადასცემს სადისტრიბუციო ენერგოკომპანიებს, პირდაპირ მომხმარებლებს ან მეზობელი ქვეყნების ენერგოსისტემებს. სსე საქმიანობას ახორციელებს სემეკ-ის მიერ 2002 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილებით დამტკიცებული ელექტროენერგიის გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიების საფუძველზე.

2014 წლის დეკემბრიდან, სსე, „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილების მიხედვით, მოქმედებს „გადამცემი სისტემის ოპერატორი“-ს სტატუსით, რომლის თანახმად იგი უფლებამოსილია, გადაცემის სხვა ლიცენზიანტებთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე უზრუნველყოს მათი კუთვნილი გადამცემი ქსელის ოპერირება და განვითარების დაგეგმვა.

დისპეტჩერიზაცია

„საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ეროვნული სადისპეტჩერო ცენტრი განლაგებულია თბილისის ცენტრში, სათაო ოფისში. ეროვნული სადისპეტჩერო:

- ახორციელებს საქართველოს ელექტროენერგეტიკული სისტემის ოპერატიულ მართვას;
- პასუხისმგებელია 500/400/330/220/110/35კვ ელექტროგადამცემი ქსელის და დანადგარების უსაფრთხო, საიმედო, ეკონომიურ მუშაობასა და ელექტროენერგეტიკული სისტემის მდგრადობაზე;
- უზრუნველყოფს ელექტროენერგეტიკული სისტემის როგორც ერთიანი ობიექტის, მუშაობას ნორმალურ და ავარიულ რეჟიმებში;
- აღჭურვილია უახლესი ინფორმაციული და საოპერაციო ტექნოლოგიებით, რითაც შესაძლებელია სისტემის შესახებ ინფორმაციის „ონ-ლაინ“ რეჟიმში მიღება, სისტემის დისტანციური მართვა და ავარიული სიტუაციების ეფექტური მართვა;
- ქვესადგურებიდან და სადგურებიდან იღებს სრულ ინფორმაციას მუდმივად განახლებადი მონაცემთა ბაზის საფუძველზე, რისი მეშვეობითაც პერსონალი ოპერატიულად რეაგირებს ავარიულ სიტუაციებში.

გადაცემა

სსე-სა და მისი შვილობილი კომპანიის - „ენერგოტრანსის“ ბალანსზე ირიცხება 500/400/220/110/35კვ გადამცემი ხაზები საერთო სიგრძით - 3 423 კმ, და 93 ქვესადგური საერთო დადგმული სიმძლავრით - 12 075 მვა, მათ შორის ექვსი (6) სტრატეგიული მნიშვნელობის 500 კვ ქვესადგური და თვრამეტი (18) 220კვ ქვესადგური.

შვილობილი კომპანიები

▪ **შპს „ენერგოტრანსი“** - 100% წილის მფლობელია სსე. კომპანია წარმოადგენს ელ.ენერგიის გადაცემის ლიცენზიატს. ასევე მისი საქმიანობა მოიცავს თურქეთთან დამაკავშირებელი 500კვ და 400კვ სისტემათაშორისი ხაზების ექსპლუატაციას.

▪ **სს „კარჩხალი“** - სსე-ს საკუთრებაშია აქციათა 99%. კომპანიის ძირითადი ფუნქციაა საქართველოსა და თურქეთს შორის ელექტროენერგიის ტრანსსასაზღვრო გადადინებისა და თურქეთის ენერგობაზარზე ელექტროენერგიით ვაჭრობის პროცესში მონაწილეობის უზრუნველყოფა.



ჩვენ შესახებ

მისია

სსე-ს მისიაა უსაფრთხო, სტაბილური და ეკონომიკურად გამართლებული ელექტროენერგიის გადაცემის სისტემის შექმნა, სრულყოფა და ოპერირება კომპანიის მომხმარებელთა მოთხოვნების შესაბამისად.

ხედვა

რეგიონის ენერგეტიკულ სექტორში სსე-ს ლიდერად ჩამოყალიბება, ქვეყნის სატრანზიტო როლის განვითარება და ადგილობრივი და საერთაშორისო მომხმარებლებისთვის მაღალი ხარისხის მომსახურების გაწევა. დასახულ კორპორატიულ მიზნებს მივაღწევთ ბაზარზე და მომხმარებელთა ინტერესებზე ორიენტირებული მდგრადი სისტემის და შესაბამისი ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბებით. ქსელის რესურსების მასშტაბური გამოყენებით სულ უფრო მეტად შევძლებთ დინამიური ბაზრის მოთხოვნების და საოპერაციო პირობების დაკმაყოფილებას.

ხედვაში დაფიქსირებული მდგომარეობის მიღწევა დაგეგმილია:

- საქართველოსა თუ მის ფარგლებს გარეთ ელექტროენერგიის გადაცემის პროცესის ოპტიმიზაციით;
- მართვისა და დაგეგმვის პროცესების კოორდინაციით, რაც ხელს შეუწყობს ინვესტიციებს გადაცემის სისტემის სანდოობის ამაღლებას, ასევე, ეკონომიკურ ეფექტიანობასა და საჯარო პოლიტიკის მიზნების შესრულებას;
- მაღალტექნოლოგიური ქსელის განვითარებით, რაც უზრუნველყოფს სისტემის დაბალანსებასა და დაუბრკოლებელ მუშაობას საიმედო მონაცემების, სათანადო საკომუნიკაციო და ავტომატიზირებული სისტემების გამოყენებით.



„უფრო დახვეწილი სტრატეგიული გეგმა უზრუნველყოფს კომპანიის გაძლიერებას, ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას და მიზანმიმართული ინვესტიციების განხორციელებას. ჩვენი მიზანია დასახული ამოცანების შესრულება... გეგმაზომიერად და ზედმიწევნით.“

კომპანიის სტრატეგიული ამოცანები

საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის მისიაა ელექტროენერგიის გადაცემის უსაფრთხო, საიმედო, ეკონომიკურად დასაბუთებული, ეფექტიანი და ყველა მომხმარებლისათვის ხელმისაწვდომი სისტემის განვითარება, შენარჩუნება და მართვა

1. ქსელის ტექნიკური სანდოობისა და მდგრადობის შენარჩუნება
2. ელექტროენერგიის საერთაშორისო ვაჭრობის ხელშესაწყობად მზაობის უზრუნველყოფა
3. ფინანსური თავსებადობისა და დაგეგმვის უზრუნველყოფა
4. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინტეგრირებული სისტემის დანერგვა
5. ორგანიზაციის საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლება
6. კომპანიის კომერციულად ორიენტირება და ორგანიზაციული კულტურის შესაბამისად გარდაქმნა

ჩვენ შესახებ



სულხან ზუმბურიძე
მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე/
რეაბილიტაციის მმართველი



მამუკა პაპუაშვილი
მმართველთა საბჭოს წევრი
გადაცემა



გიორგი ამუზაშვილი
მმართველთა საბჭოს წევრი
დისპეტჩერიზაცია



მამუკა სხილაძე
მმართველთა საბჭოს წევრი
ფინანსური



ზურაბ ეზუგბაია
მმართველთა საბჭოს წევრი
იურიდიული /კომერციული



გიორგი შარკოვი
მმართველთა საბჭოს წევრი
შესყიდვები



ზურაბ პატარაია
ექსპლუატაციის
დეპარტამენტის უფროსი

„ერთად დადგომა დასაწყისია, ერთმანეთის შენარჩუნება – პროგრესი, ერთად მუშაობა კი წარმატებას ნიშნავს”

ჰენრი ფორდი



ეკატერინე ვერულაშვილი
საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი



მამუკა შონია
პროექტების დეპარტამენტის უფროსი



მიხეილ ზიბზიბაძე
ადამიანური რესურსებისა და ორგანიზაციული განვითარების დეპარტამენტის უფროსი



გიორგი არზიანი
SCADA-ს და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი



ზურაბ მიქაია
ეროვნული სადისპეტჩერო ცენტრის უფროსი/მთავარი დისპეტჩერი



მარიამ შალამბერიძე
საერთაშორისო პროექტებისა და ანგარიშგების დეპარტამენტის უფროსი



ალექსანდრე ბეჭანიძე
შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსი



გიორგი აბუთიძე
ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი



ჩვენ შესახებ

ელექტროგადამცემი სისტემა გაცილებით მეტია, ვიდრე უბრალოდ გენერაციისა და ტრანსპორტირების ობიექტების მაკავშირებელი. გადაცემა ელექტროენერგიის მიწოდების ხერხემალს - მაგისტრალს - წარმოადგენს. ის ხელს უწყობს პოლიტიკის სამიზნეების მიღწევას, განახლებადი წყაროების ქსელთან დაკავშირებისა და ეფექტურად ტრანსპორტირების გზით, რითაც ელექტროენერგიის უფრო სუფთა და მდგრად წყაროებს უზრუნველყოფს. გარდა ამისა, გადაცემა ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ძალაა, საიმედოობისა და გენერაციის ყველაზე იაფ წყაროებთან თანაბარი წვდომის უზრუნველყოფით.

საიმედოობა

ჩვენი ბიზნეს მოდელი საკმაოდ მარტივია. როგორც საქართველოს გადამცემი სისტემის ერთადერთი ოპერატორი, სსე და მისი შვილობილი კომპანიები განსაკუთრებით არიან მიმართულნი ელექტროგადამცემი ქსელის საიმედოობის ამაღლებისკენ. ეს ის საძირკველი და მუდმივი მამოძრავებელია, რომელსაც ჩვენი კომპანიები ეფუძნება. ჩვენმა გაძლიერებულმა ძალისხმევამ, სსე-ს მომსახურების მთელ არეალში ახლით შეგვეცვალა მოძველებული გადამცემი ობიექტები და მოწყობილობები, შედეგად გამოიღო გაზრდილი საიმედოობა და ეფექტურობა, ამასთან, შესაძლებელი გახადა გენერაციის ახალი წყაროების ინტეგრაცია, განახლებადი რესურსების ჩათვლით. სიმძლავრის ზრდის მეშვეობით, სსე-ს კაპიტალური პროექტები ხელს უწყობს და აუმჯობესებს სისტემების მოქნილობასა და ხელმისაწვდომობას. გეგმიური ტექნიკური მომსახურებისადმი სსე-ს ყურადღება კიდევ უფრო ზრდის ჩვენი სისტემების საიმედოობას, დაუგეგმავი გამორთვების შემცირების გზით. ეს საიმედოობა თვალსაჩინო გახდა ჩვენი სისტემის მდგრადად მუშაობისას სტრესულ პირობებში ზაფხულისა და ზამთრის თვეებში, განსაკუთრებული სიცხისა და სიცივის დროს, როცა ელექტროენერგიაზე მოთხოვნა უმაღლეს დონეს აღწევდა.

ენერგოეფექტურობა

როცა ელექტროენერგია გრძელ მანძილზე გადაიცემა დაბალი სიმძლავრის ხაზებით, ენერგოეფექტურობა შესაძლოა, შემცირდეს. ენერგოეფექტურობას ასევე მნიშვნელოვნად ამცირებს გადატვირთული ხაზები. ამიტომ სსე, გადამცემ ქსელში ჩადებული ინვესტიციების მეშვეობით, ამცირებს ელექტროენერგიის კარგვებს და ამასთან, ზრდის ენერგოეფექტურობას. მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზები, როგორიც, მაგალითად, ჩვენი პროექტების ფარგლებში შენდება, მეტად ეფექტური და არსებითად უფრო საიმედოა.

მოწინავე ტექნოლოგიების დახმარებით, შესაძლებლობა გვაქვს, ეფექტურად ვმართოთ მრავალ რეგიონში განფენილი გადამცემი სისტემა. თანამედროვე ეროვნული სადისპეტჩერო ცენტრი ჩვენი სისტემის პირდაპირი მონიტორინგის საშუალებას გვაძლევს 24 საათის განმავლობაში, კვირაში შვიდი დღე. სისტემის ოპე-

„ელექტროენერგია სამყაროს ნაწილი იყო მისი შექმნის დღიდან...“

ლ.ფრენკ ბაუმი

რატორები იყენებენ სიტუაციური ინფორმირების უზრუნველმყოფ სხვადასხვა საშუალებას, ქსელში წარმოშობილი საოპერაციო სახის პრობლემების აღმოჩენისა და გადაწყვეტისთვის.

პროფესიონალური საქმიანობის მაღალი სტანდარტები

საკუთარ გადამცემ სისტემაზე სსე-ს განსაკუთრებულ ზრუნვას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ელექტროენერგიის საიმედოობისა და ეროვნული უსაფრთხოების შენარჩუნების საქმეში. გეოგრაფიულად გაფანტული აქტივების დაცვა ურბანულ და რურალურ არეალებში ზედმიწევნით დაგეგმვასა და დიდ ძალისხმევას საჭიროებს. სსე-მ ეროვნული აღიარება მოიპოვა თავისი საუკეთესო და მოწინავე საქმიანობითა და მაღალი ძაბვის ელექტროსისტემების წარმატებით დაცვის გზით.

უსაფრთხოება

სსე-ს თანამშრომლებისა და კონტრაქტორების უსაფრთხოება ჩვენი კულტურისა და ყოველდღიური საქმიანობის განუყოფელ ნაწილს შეადგენს. უსაფრთხოების მოწინავე სტანდარტებს ვნერგავთ კორპორაციულ კულტურაში, რაც აისახება კიდეც ჩვენს საქმიანობაზე. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში გადაცემაში ვინარჩუნებთ უსაფრთხოების უმაღლეს მაჩვენებელს, დაკარგული სამუშაო დღეებისა და აღრიცხული ტრავმების ნულოვანი ნიშნულებით.

მომავლის ხედვა

ელექტროსისტემების გაუმჯობესების კუთხით, ჩვენ მნიშვნელოვან პროგრესს მივაღწიეთ, მაგრამ ამასთან ვაცნობიერებთ, რომ კიდევ ბევრი რამ რჩება გასაკეთებელი. სსე კვლავაც გააგრძელებს მომავალზე ორიენტირებასა და კომპანიის მისიის შესასრულებლად მყარი საძირკვლის ჩაყრას. ჩვენი ქსელის საიმედოობის შესანარჩუნებლად და გასაუმჯობესებლად აუცილებელია, რომ საჭირო ინვესტიციები გავიღოთ გადამცემ ინფრასტრუქტურაზე. როდესაც ეროვნული ენერგეტიკული პოლიტიკა მიზნად ისახავს მეტ ენერგოდამოუკიდებლობასა და უფრო სუფთა და მდგრადი რესურსების განვითარებას, და მიუხედავად იმისა, თუ რეალურად საბოლოოდ როგორ განხორციელდება ამ პოლიტიკის მიზნები, ჩვენი ქვეყნის გენერაციის წყაროების შემდგომი განვითარება აუცილებლად მოითხოვს ინვესტირებას ახალ გადამცემ ინფრასტრუქტურაში. ჩვენს სექტორში არცერთი კომპანია არაა გადამცემი ინფრასტრუქტურის განვითარებასა და შენებაში ეროვნული ლიდერის პოზიციისთვის ისე კარგად მორგებული, როგორც სსე.



2017 წლის ძირითადი მიღწევები



- ✓ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემასა" და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკს (KfW) შორის გაფორმდა სასესხო და საპროექტო ხელშეკრულებები 125 მილიონი ევროს ოდენობის კონცესიური კრედიტის გამოყოფაზე, „საქართველოს ელექტროგადამცემი ქსელის გაფართოების ღია პროგრამა II"-ის განხორციელების მიზნით;
- ✓ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემასა" და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკს (KfW) შორის ხელი მოეწერა საფინანსო ხელშეკრულებას 910, 000 ევროს ოდენობის გრანტის გამოყოფაზე, „ენერგეტიკის სექტორის ღია პროგრამის" ფარგლებში;
- ✓ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემასა" და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკს (KfW) შორის ხელი მოეწერა დაფინანსებისა და პროექტის განხორციელების ხელშეკრულებას, ევროკავშირის სამეზობლო საინვესტიციო ფონდის (EC NIF) მიერ 9,9 მლნ ევროს ოდენობის გრანტის გამოყოფაზე, საქართველოს ელექტროგადამცემი ქსელის გაფართოების მიზნით;
- ✓ **სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ" ხელი მოაწერა ურთიერთგაგების მემორანდუმსა და ორმხრივ ხელშეკრულებას ნორვეგიის წყლის რესურსების და ენერგეტიკის დირექტორატთან (NVE).** მემორანდუმის თანახმად, ნორვეგიის სამეფო საქართველოს ფინანსურ დახმარებას გაუწევს განახლებადი ენერგიის წყაროების განვითარების ხელშეწყობისა და სამართლებრივი ბაზის გაუმჯობესების მიმართულებით. ორმხრივი ხელშეკრულების ფარგლებში შემუშავდება ელექტროენერგეტიკული ბაზრის განვითარების გზამკვლევი და განხორციელდება საქართველო-თურქეთის ენერგეტიკული ბაზრების ინტეგრირების კვლევა;
- ✓ „გადამცემი ქსელის გაძლიერების პროექტის" ფარგლებში, გაფორმდა ხელშეკრულება ავსტრიულ კომპანიასთან SIEMENS AKTIENGESELLSCHAFT OESTERREICH, არსებული SCADA/EMS სისტემის განახლებაზე;
- ✓ ქვესადგურების მართვისა და მონიტორინგის სისტემების ოპერატიული ადმინისტრირების მიზნით, სსე-ს სათაო ოფისში დაინერგა და მოეწყო ქვესადგურების ცენტრალიზებული მონიტორინგის სისტემა;
- ✓ ქვესადგურში „ზესტაფონი 500" სრულად განახლდა ქვესადგურის მართვისა და მონიტორინგის მოძველებული სისტემა (SMCS), რის შედეგადაც სისტემა გახდა უფრო სტაბილური, მოხერხებული და ფუნქციური;
- ✓ ოპტიკურ-ბოჭკოვანი გვარლის/კაბელის (OPGW, ADSS, UG) სამონტაჟო სამუშაოები განხორციელდა ელექტროგადამცემ ხაზებზე და ქვესადგურებში;

- **„საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“** უკვე მეორედ **გახდა ISO 9001 სერტიფიკატის მფლობელი;** სსე-ს აღნიშნული სერტიფიკატი მიენიჭა სამი წლის ვადით. საერთაშორისო აუდიტორების მიერ მომზადებული დასკვნის მიხედვით, ხარისხის საერთაშორისო ქსელის (IQNet) წევრ მასერტიფიცირებელ ორგანოს DQS GmbH-ის მიერ სსე-ს მიენიჭა შესაბამისობის დამადასტურებელი სერტიფიკატი. შესაბამისად, სსე გახდა IQNet-ის სერტიფიკატის მფლობელიც;
- **სსე-ში დაიწყო ISO/IEC 27001 ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის (ISMS) დანერგვის პროექტი.** პროექტის ფარგლებში შემუშავდება და დაინერგება ISMS და მოხდება მისი სერტიფიცირება;
- ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს მიერთების შესახებ ოქმით განსაზღვრული ვალდებულებების შესაბამისად, საქართველომ **დაასრულა ენერგეტიკის შესახებ ახალი კანონპროექტის ინგლისური ვერსია, რის შედეგადაც განხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის მესამე ენერგეტიკული პაკეტის მოთხოვნებთან.** სსე თავიდანვე აქტიურად მონაწილეობდა აღნიშნულ პროცესში და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა კანონპროექტის დასრულების საქმეში;
- **„საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ“ უმასპინძლა** ევროკომისიის ტექნიკური დახმარებისა და ინფორმაციის გაცვლის ინსტრუმენტის (TAIEX) ექსპერტების **მისიას, „საქართველოსთვის ენერგეტიკული ბაზრის ახალი მოდელის განვითარებისა და ჩამოყალიბების ხელშეწყობის (ევროკავშირის კანონმდებლობის შესაბამისად)“ პროექტის ფარგლებში.** ქართულმა მხარემ ევროპელი ექსპერტებისგან მიიღო რეკომენდაციები ელექტროენერგეტიკული სექტორის ეფექტურად სამართავად, ამასთან, მხარეებმა განიხილეს ენერგეტიკის შესახებ საქართველოს ახალი კანონპროექტის დეტალები;
- გადამცემი სისტემის ოპერატორების ევროპულ ქსელში (ENTSO-E) დამკვირვებელი წევრის სტატუსის მოპოვების მიზნით, **სსე-მ** წარადგინა აპლიკაცია, რის შემდეგაც **დაიწყო მოლაპარაკებები ENTSO-E-სთან შესაძლო ტექნიკურ თანამშრომლობასთან დაკავშირებით,** მონაწილის „მოსამზადებელი პროგრამის“ კონტექსტში;
- **ტრანსსასაზღვრო გამტარუნარიანობის სიმძლავრის განაწილების წესების პროექტი შეიმუშავეს** და სსე-ს წარუდგინეს ევროპის ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს ექსპერტებმა, საკონსულტაციო კომპანია Energy Institute Hrvoje Pozar-ის წარმომადგენლებთან ერთად. აღნიშნული წესების მიღება წარმოადგენს ელექტროენერგეტიკული ბაზრის რეფორმის პროცესის აუცილებელ ნაწილს და ის მნიშვნელოვანია ტრანსსასაზღვრო ვაჭრობის ხელშეწყობისთვის;
- **საქართველოში ელექტრონერგიის მიწოდების უსაფრთხოების წესების პროექტი შეიმუშავეს და სსე-ს წარუდგინეს** ევროპის ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს ექსპერტებმა, იურიდიულ ფირმა Schoenherr-ის კონსულტანტებთან ერთად. აღნიშნული წესების მიღება წარმოადგენს ელექტროენერგეტიკული ბაზრის რეფორმის პროცესის აუცილებელ ნაწილს და მისი მიზანია ბაზრის მონაწილეებისა და სისტემის მომხმარებლების საქმიანობების რეგულირება, მიწოდების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;
- **სსე-მ დაიწყო საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის** ევროპის ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს მიერ მიღებული **ელექტროენერგიის ქსელის კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის სამუშაო პროცესი.**

ინვესტიციუ ჯუღია ჰაინცთან

გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KfW) პროექტის მენეჯერი



გერმანია ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი დონორია საქართველოს ენერგეტიკის სექტორში და მის მიერ განხორციელებული პროექტების ღირებულება, ბოლო 20 წლის განმავლობაში, თითქმის 400 მილიონ ევროს შეადგენს.

KfW საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მრავალმხრივი პარტნიორია, რომელსაც 20 წელზე მეტია თავისი წვლილი შეაქვს ქვეყნის განვითარებაში. რა არის KfW-ს მთავარი პრიორიტეტები ქვეყნის განვითარებისთვის, კერძოდ - ენერგეტიკის სექტორში?

KfW ერთ-ერთი ყველაზე მოწინავე და გამოცდილი განვითარებაზე ორიენტირებული ბანკია, რომელიც შედის გერმანიის სამ ყველაზე მსხვილ ბანკს შორის. როგორც KfW ჯგუფის განუყოფელი ნაწილი, KfW განვითარების ბანკი ახორციელებს გერმანიის ფინანსურ თანამშრომლობას ფედერაციული მთავრობისგან, განვითარებადი ქვეყნების მხარდასაჭერად. საქართველოში KfW აქტიურად არის ჩართული ენერგეტიკის სექტორში, ურბანულ განვითარებასა და პროფესიულ სწავლებაში, გარემოსა და ბუნების დაცვაში. ამავდროულად, ის უზრუნველყოფს ფინანსურ მხარდაჭერას მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესების განვითარებისთვის.

KfW-მ წარმატებით განახორციელა გადამცემი ინფრასტრუქტურის განვითარების რამდენიმე პროექტი, და ამჟამადაც ახორციელებს პროექტებს, რომლებიც მოიცავს სსე-სა და „ენერგოსტრანსის“ მაღალი ძაბვის მნიშვნელოვანი ქვესადგურებისა და ელექტრო გადამცემი ხაზების მშენებლობას/რეაბილიტაციას. ამასთან, გვსურს, შეიტყოთ სსე-სთან განსახორციელებელი მომავალი პროექტების შესახებ.

გერმანია ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი დონორია საქართველოს ენერგეტიკის სექტორში და მის მიერ განხორციელებული პროექტების ღირებულება, ბოლო 20 წლის განმავლობაში, თითქმის 400 მილიონ ევროს შეადგენს. ეს ღონისძიებები მოიცავს ინვესტიციებს ელექტროენერგიის ეფექტურ გენერაციაში, გადაცემასა და განაწილებაში, და განახლებადი ენერგიის განვითარებას. სსე-სთან დაგეგმილ ინფრასტრუქტურულ პროექტებში, KfW მხარს დაუჭერს საქართველოს ელექტროენერგიის მიწოდების სტაბილურობის გაზრდასა და გადამცემი ქსელის გაფართოებაში, რათა მოხდეს მომდევნო წლებში დაგეგმილი გენერაციული სიმძლავრეების მნიშვნელოვან ზრდასთან თანხვედრა. აღნიშნული პროექტებისთვის, KfW გერმანიის ფინანსური თანამშრომლობის ფონდიდან გამოყოფს თანხებს, ხოლო ევროკომისია სამეზობლო საინვესტიციო ფონდის (NIF) გრანტით განახორციელებს პროექტების თანადაფინანსებას.

როგორ შეაფასებდა KFW სს “საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის” (სსე), პროექტების განმახორციელებელი ერთეულის როლს? არის თუ არა კონკრეტული მიმართულება, რომელზეც სსე-ს მეტი კონცენტრაცია სჭირდება იმისათვის, რომ შესრულების უფრო მაღალ სტანდარტებს მიაღწიოს?

სსე (შვილობილ კომპანია „ენერგოტრანსთან“ ერთად) გრძელვადიანი, მაღალპროფესიონალი და მნიშვნელოვანი პარტნიორია KFW-სთვის, რამაც განაპირობა გასული წლების განმავლობაში ძალიან მჭიდრო და ნაყოფიერი თანამშრომლობა. მენეჯმენტისა და საინჟინრო კუთხით განვითარება არის უმაღლეს დონეზე. სსე ხელს უწყობს ერთობლივი პროექტების სწრაფ და მაღალი ხარისხით მომზადებასა და განხორციელებას. მისი მზაობა ახალი იდეებისა და ტექნოლოგიების მისაღებად კი, მუდმივად უფრო მეტად ანვითარებს ერთობლივ პორტფელს.

KFW მოხარულია, მომდევნო წლებშიც მხარი დაუჭიროს სსე-ს, საქართველოს ენერგეტიკის რეფორმირებულ ბაზარზე და გაერთიანებულ რეგიონალურ ქსელში თავისი ახალი როლისა და პასუხისმგებლობის სწორად წარ-

მართვაში. ამასთან, KFW დაეხმარება სსე-ს ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გატარებაში, გარემოს დაცვისა და სოციალური ასპექტების კუთხით.

ამჟამად დიდი ყურადღება ეთმობა ენერგეტიკის სექტორის რეფორმირებას. დარგის კვლევებში ჩართულია სხვადასხვა საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტი, რომლებიც სწავლობენ ისეთ თემებს, როგორიცაა: ენერგიის გამომუშავება, ბალანსირება, ელექტრო ენერგიის გაცვლის რეგულაცია, რეზერვების მოცულობის გაცვლა, ქსელის კოდექსის ჰარმონიზაცია, და ენერგეტიკული ბაზრის განვითარებისთვის სხვა ტექნიკურ მოთხოვნებს. თუ შეიძლება, მოგვიყევით KFW-ს მიზნებზე ამ მიმართულებით, კონკრეტულად, განახლებადი ენერგიის განვითარების კუთხით.

AFD-სთან თანამშრომლობითა და ევროპული კომისიის დახმარებით, KFW მხარს უჭერს საქართველოს მთავრობის მიერ დაგეგმილ, ენერგეტიკული ბაზრისა და ენერგოეფექტურობის რეფორმებს. ამ მხარდაჭერის შედეგად, საქართველო მიაღწევს რეფორმის მიზნებს, რომლებიც გამომდინარეობს ევროკავშირის ენერგეტიკული თანამეგობრობის წევრობიდან და ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებიდან.

აღნიშნული რეფორმები წარმოადგენს რეგიონალური ქსელის სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან უფრო ძლიერი ინტეგრაციის, ხელმისაწვდომ (განახლებად) ენერგიასთან სეზონურობისა და ნაწილობრივ არამდგრადი ენერგოგენერაციის ნაზავის უფრო გონივრული მართვის, ასევე მნიშვნელოვანი, მაგრამ ჯერ კიდევ აუთვისებელი ელექტროენერგიის პოტენციალის რეალიზების საფუძველს.

ამ თვალსაზრისით, გერმანიის მთავრობისა და ევროპული კომისიის დაფინანსებით, KFW ტექნიკურ მხარდაჭერას გაუწევს სსე-ს, ახალი როლის წარმატებით შესრულებისთვის საჭირო ცოდნის, კონცეფციებისა და მეთოდოლოგიის შექმნაში.

დასასრულს, მოხარულები ვიქნებით, შევიტყოთ, თქვენი მოლოდინები, სურვილები და რეკომენდაციები სსე-სთან მიმართებაში „საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათ წლიანი გეგმის (2018-2028)“ განხორცილების რთულ გზაზე.

სსე-ს ვუსურვებთ დიდ წარმატებას „საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიან გეგმასთან (2018-2028)“ დაკავშირებული ამბიციური მიზნების განხორციელებაში, და ვუცხადებთ ჩვენ მხარდაჭერას ამ მიზნების შესრულების გზაზე. სსე-მ უკვე მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია ტექნიკური ხარისხისა და კომპეტენტური მენეჯმენტის თვალსაზრისით, ახლა ველოდებით მის განვითარებას გარემოსდაცვითი და სოციალურად მდგრადი პროექტების განხორციელების კუთხით. ამ მიზნით, სსე-ს დასჭირდება, გააძლიეროს დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა, შესაბამისად, იპოვოს მსგავსი შეხედულების მქონე დაინტერესებული მხარე, და შექმნას მყარი საფუძველი სამოქალაქო ჩართულობისთვის.

აქედან გამომდინარე, ჩვენ რჩევაა, გაიმართოს ღია დიალოგი სსე-ს, დაინტერესებულ პოლიტიკურ მხარეებს, სამოქალაქო საზოგადოებასა და საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებს შორის, რათა გაგრძელდეს საქართველოს სვლა მდგრადი ეკონომიკური და სოციალური განვითარებისკენ.

სსე-ს ვუსურვებთ დიდ წარმატებას „საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიან გეგმასთან (2018-2028)“ დაკავშირებული ამბიციური მიზნების განხორციელებაში, და ვუცხადებთ ჩვენ მხარდაჭერას ამ მიზნების შესრულების გზაზე.

2017 წლის ფინანსური მაჩვენებლები

შემოსავლები

გადაცემა–დისპეტჩერიზაციის მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები გაიზარდა

11%

რაც ძირითადად განპირობებულია საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ ტარიფის დადგენის მეთოდოლოგიის ცვლილებით - ყოველწლიური დაანგარიშების პრინციპით, რამაც გამოიწვია ჯგუფისათვის შემოსავლის ზრდა გადაცემის ნაწილში.

კაპიტალური დანახარჯები

ქონების, მოწყობილობა–დანადგარებისა და არამატერიალური აქტივების შეძენაზე გადახდილმა თანხამ შეადგინა

133.9 მლნ ლარი

მოგება

წლური მოგება პროცენტის, გადასახადების, ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვამდე გაიზარდა 1,2-ჯერ და შეადგინა

91.9 მლნ ლარი

2017 წელი გამოირჩეოდა შემოსავლების მატებითა და საინვესტიციო პორტფელის მკვეთრი ზრდით. სსე-ს და მისი შვილობილი კომპანიების (შემდეგში „ჯგუფი“) შემოსავლები 11%-ით გაიზარდა, 120.2 (2016 წ.) მილიონი ლარიდან 133.4 მილიონ ლარამდე, რაც ძირითადად გამოწვეულია გადაცემიდან მიღებული შემოსავლების ზრდით. შესაბამისად, კომპანიამ შეასრულა რეაბილიტაციის გეგმით ნაკისრი ვალდებულებები და წარმატებით განახორციელა ყველა დაგეგმილი პროექტი.


წლის ბოლოსთვის, კომპანიის ანგარიშზე არსებული ნაღდი ფულის ოდენობა 47.3 მილიონ ლარს შეადგენდა. ფულადი სახსრების ეფექტური მართვის წყალობით გაზრდილი მოკლევადიანი ლიკვიდურობა და საბრუნავი კაპიტალი საშუალებას გვაძლევს მივიღოთ დაგეგმილი შემოსავლები და შევინარჩუნოთ გათვლილი ხარჯების დონე.

2017 წელს გადაცემა-დისპეტჩერიზაციის სისტემის განახლება/რეაბილიტაციისთვის გადახდილმა თანხამ შეადგინა 133.9 მილიონი ლარი, საიდანაც 47.9 მილიონი ლარი დაიხარჯა ჯგუფის საკუთარი სახსრებიდან.

2017 წლისათვის დამოუკიდებელმა აუდიტორულმა კომპანიამ KPMG Georgia Ltd. ჩაატარა სსე-ს და მისი შვილობილი კომპანიების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი. უკვე მეცხრე წელია, აუდიტორები ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებას შემდეგნაირად აფასებენ: “...კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად ასახავს, ყოველგვარ მატერიალურ ასპექტში, ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების ჩათვლით, ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.”


2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობა ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში წარმოდგენილ ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშში, მოგება–ზარალის, კაპიტალში ცვლილების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშში, ასევე ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში (იხ. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თავი).

საოპერაციო შემოსავლები 2017




2017 წლის ფინანსური მაჩვენებლები


შემოსავლები 2013-2017




კაპიტალური დანახარჯები (მლნ ლარი)




კაპიტალური დანახარჯები სულ (მლნ ლარი)



ელექტროენერგიის ექსპორტი 2013-2017



ექსპორტიდან შემოსავლები 2013-2017



სსე დისპეჭჩერიზაცია





„საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ეროვნული სადისპეტჩერო ცენტრი განლაგებულია თბილისის ცენტრში, სათაო ოფისში. ეროვნული სადისპეტჩერო:

- *ახორციელებს საქართველოს ელექტროენერგეტიკული სისტემის ოპერატიულ მართვას;*
- *პასუხისმგებელია 500/400/330/220/110/35კვ ელექტროგადამცემი ქსელის და დანადგარების უსაფრთხო, საიმედო, ეკონომიურ მუშაობასა და ელექტროენერგეტიკული სისტემის მდგრადობაზე;*
- *უზრუნველყოფს ელექტროენერგეტიკული სისტემის როგორც ერთიანი ობიექტის, მუშაობას ნორმალურ და ავარიულ რეჟიმებში;*
- *აღჭურვილია უახლესი ინფორმაციული და საოპერაციო ტექნოლოგიებით, რითაც შესაძლებელია სისტემის შესახებ ინფორმაციის „ონ-ლაინ“ რეჟიმში მიღება, სისტემის დისტანციური მართვა და ავარიული სიტუაციების ეფექტური მართვა;*
- *ქვესადგურებიდან და სადგურებიდან იღებს სრულ ინფორმაციას მუდმივად განახლებადი მონაცემთა ბაზის საფუძველზე, რისი მეშვეობითაც პერსონალი ოპერატიულად რეაგირებს ავარიულ სიტუაციებში.*

2017 წლის
ფაქტები და მაჩვენებლები


პიკური მოხმარება (მლნ კვტ სთ)	41.2
პიკური დატვირთვა (მვტ)	2018.0
სეზონური სადგურების გენერაცია (მლნ კვტ სთ)	3,862.6
მარეგულირებელი სადგურების გენერაცია (მლნ კვტ სთ)	5,347.8
თბოსადგურების გენერაცია (მლნ კვტ სთ)	2,233.0
ქართლის ქარის ელექტროსადგური (მლნ კვტ სთ)	87.8
ექსპორტი (მლნ კვტ სთ)	685.7
იმპორტი (მლნ კვტ სთ)	1497.2
სულ მოხმარება (მლნ კვტ სთ)	12,342.6
სულ გენერაცია (მლნ კვტ სთ)	11,531.2

სეზონური ელექტროსადგურების გამომუშავებამ შეადგინა 3,862.6 მლნ კვტსთ, რაც დღე-ღამეში საშუალოდ 10, 58 მლნ კვტსთ-ს შეადგენს. პიკურ დატვირთვას (2018 მგვტ.) ადგილი ჰქონდა 2017 წლის 20 დეკემბერს, მაქსიმალური მოხმარება დაფიქსირდა 2017 წლის 8 დეკემბერს და შეადგინა 41.221 მლნ. კვტსთ.

მთელი წლის განმავლობაში საშუალო სიხშირის მაჩვენებელი სტანდარტულთან მაქსიმალურად იყო მიახლოებული და 49.999-50.004 ჰერცს შორის მერყეობდა.

2017 წელს ადგილი ჰქონდა სისტემის 6 (ექვსი) ნაწილობრივ გათიშვას. აქედან 4 განპირობებული იყო 220კვ. ეგხ„ალავერდის“ გათიშვით, ხოლო 2(ორი) 500კვ. ეგხ „იმერეთის” გათიშვით, რომლის შედეგადაც მომხმარებლებს შეეზღუდათ ელ. ენერგიის მიწოდება.

გენერაცია, მოხმარება, ექსპორტი, იმპორტი 2017



2017 წლის სტატისტიკა


2017 წელს საქართველოს ენერგოსისტემა პარალელურ რეჟიმში მუშაობდა ძირითადათ რუსეთისა და პერიოდულად, აზერბაიჯანის ენერგოსისტემებთან.

რუსეთი კვლავ რჩება საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორად, იმპორტი ხორციელდება ზამთარში გაზრდილი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, ხოლო ექსპორტი – ზაფხულის თვეებში ბუნებრივი წყალუხვობისა და გამომუშავებული ელექტროენერგიის სიჭარბის გამო. ელექტროენერგიის სალდომ: რუსეთის ენერგოსისტემასთან შეადგინა 190.295 მლნ კვტსთ (იმპორტი 452.218 მლნ კვტსთ და ექსპორტი 261.923 მლნ კვტსთ);


აზერბაიჯანის ენერგოსისტემასთან შეადგინა 915.850 მლნ კვტსთ (იმპორტი 917.572 მლნ კვტსთ და ექსპორტი 1.722 მლნ კვტსთ); სომხეთის ენერგოსისტემასთან შეადგინა -10.145 მლნ კვტსთ (იმპორტი 127.398 მლნ კვტსთ და ექსპორტი 137.543 მლნ კვტსთ); თურქეთის ენერგოსისტემასთან შეადგინა -284.524 მლნ კვტსთ (იმპორტი 0.00 მლნ კვტსთ და ექსპორტი 284.524 მლნ კვტსთ).

ბოლო სამი წლის განმავლობაში დისპეტჩირებული ელექტროენერგიის საშუალო წლიური მოცულობა შეადგენს 11,9 მილიარდ კვტსთ-ს.

ექსპორტ-იმპორტი 2017




ექსპორტ-იმპორტი თვეების მიხედვით 2017



2017 წლის
ფაქტები და მაჩვენებლები

გენერაცია, მოხმარება, ექსპორტი, იმპორტი 1995-2017




საქართველოს ენერგოსისტემა ხასიათდება ენერგიის მოხმარებისა და გენერაციის სეზონური ასიმეტრიულობით, რაც გულისხმობს მოხმარების დაბალ და გენერაციის მაღალ მაჩვენებლებს ზაფხულში, და მოხმარების მაღალ და გენერაციის დაბალ მაჩვენებლებს ზამთარში. აღნიშნული საშუალებას აძლევს ქვეყანას, განახორციელოს ელექტროენერგიის ექსპორტი ზაფხულში. ზამთრის პერიოდში წყლის სიმცირის გამო, საქართველოს ენერგო მომარაგებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია თბო გენერაციას, რომელიც მთლიანი ელექტროენერგიის წარმოების 28% შეადგენს ზამთარში, თუმცა ეს მაჩვენებელი 1%-ზე ნაკლებია ზაფხულში.

ელექტროენერგიის გენერაციის ობიექტების, კერძოდ ჰიდრო და თბო-ელექტროსადგურების საერთო დადგმული სიმძლავრე დაახლოებით 4059 მგვტ-ს შეადგენს. ქვეყანაში წარმოებული ელექტროენერგიის მთლიანი მოცულობის ერთ მესამედს გამოიმუშავებს უმსხვილესი ჰიდროელექტროსადგური „ენგური“ („ენგურჰესი“), რომლის დადგმული სიმძლავრე შეადგენს 1300 მგვტ-ს, ხოლო მუშა სიმძლავრე - 1250 მგვტ-ს. სიდიდით მეორე ჰესია „ვარდნილის კასკადი“. „ენგურჰესი“ და „ვარდნილის კასკადი“, სხვა საშუალო და შედარებით მცირე ზომის ჰესებთან ერთად, წარმოადგენენ მარეგულირებელ ჰესებს და უზრუნველყოფენ დაახლოებით 1487 მგვტ სიმძლავრეს (აქედან, 692 მგვტ წყალსაცავიანი ჰესიდან).


არსებული მუშა სიმძლავრის ჯამური მოცულობა შეადგენს 3810 მგვტ-ს, რომელიც მოიცავს ჰესების მუშა სიმძლავრეს 2865 მგვტ-ს და თბოელექტროსადგურების

2017 წლის სტატისტიკა

გათიშვები 2005-2017



გადაცემის სისტემის ტექნიკური კარგვები % 2005-2017



მუშა სიმძლავრეს 925 მგვტ. ნავარაუდებია, რომ 2018-2028 წლებში არსებულ მუშა სიმძლავრეს დაემატება ახალი ჰესებისა და თბოელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული დამატებითი სიმძლავრე, რაც უზრუნველყოფს ჯამური დადგმული სიმძლავრის ზრდას 4143 მგვტ-მდე 2018 წლისთვის, 6280 მგვტ-მდე 2023 წლისთვის და 7590 მგვტ-მდე - 2028 წლისთვის.


ქვეყნის ენერგოსისტემა დაკავშირებულია რუსეთის, თურქეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის ენერგოსისტემებთან და ელექტროენერგიით ვაჭრობის მოცულობის უდიდესი ნაწილი სწორედ პირველ ორ ქვეყანაზე მოდის. აღნიშნული ქვეყნებიდან იმპორტი ხორციელდება ზამთარში გაზრდილი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, ხოლო ექსპორტი - ზაფხულის თვეებში ბუნებრივი წყალუხვობისა და გამომუშავებული ელექტროენერგიის სიჭარბის გამო. იგივე ითქმის აზერბაიჯანთან ვაჭრობაზე, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მოცულობები გაცილებით მცირეა. სომხეთთან ექსპორტი ხორციელდება ძალიან მცირე მოცულობით.

2017 წლის
ფაქტები და მაჩვენებლები

2006 -2010 წლებში ექსპორტის მოცულობა ყოველწლიურად იზრდებოდა. 2011-2015 წლებში გაზრდილი შიდა მოხმარების გამო, ელ.ენერგიის ექსპორტის მოცულობა შემცირდა, და 2017 წლის განმავლობაში განხორციელებულმა ექსპორტმა სულ 0.685 მილიარდი კვტსთ შეადგინა, რაც 2016 წლის შესაბამის მაჩვენებლთან შედარებით 22%-ით გაიზარდა. უნდა აღინიშნოს, რომ 2017 წელს საქართველომ განახორციელა 1.5 მილიარდი კვტსთ ელ.ენერგიის იმპორტი, რაც 2016 წლის მაჩვენებელთან შედარებით 1.02 მილიარდი კვტსთ-ით მეტია.

საქართველოს გადაცემის ქსელის განვითარების ათწლიან (2018-2028) გეგმაში ასახული პროგნოზით, ქვეყნის წლიური შიდა მოხმარება დაახლოებით 5%-ით გაიზრდება (დაახლოებით 16.59 მილიარდ კვტსთ-მდე 2023 წლისთვის, 21.17 მილიარდ კვტსთ-მდე 2028 წლისთვის), ხოლო გენერაციის წლიური მოცულობა გაიზრდება საშუალოდ 10-11%-ით (დაახლოებით 22.89 მილიარდ კვტსთ-მდე 2023 წლისთვის და 29.92 მილიარდ კვტსთ-მდე 2028 წლისთვის). შესაბამისად, ყოველწლიურად ექსპორტს საშუალოდ დაექვემდებარება: 2021 წელს - 2.98 მილიარდი კვტსთ, 2023 წელს - 6.3 მილიარდი კვტსთ, ხოლო 2028 წელს 8.75 მილიარდი კვტსთ.

პროგნოზი 2028 წლისათვის (მლრდ. კვტსთ)





სსე გადაცემა





სსე-სა და მისი შვილობილი კომპანიის – „ენერგოტრანსის“ ბალანსზე ირიცხება 500/400/220/110/35კვ გადამცემი ხაზები ჯამური სიგრძით 3 423კმ და 93 ქვესადგური, დადგმული სიმძლავრით 12 075 მვა, მათ შორის ექვსი (6) სტრატეგიული მნიშვნელობის 500კვ ქვესადგური და თვრამეტი (18) 220კვ ქვესადგური.

საქართველოს ელექტროენერგიის გადაცემის ქსელი ოპერირებს 500/400/330/220/110/35კვ ძაბვაზე. 500კვ მაგისტრალური გადამცემი ხაზი (“კავკასიონი”-“იმერეთი”-“ქართლი-2”-“ქართლი-1”) უკავშირდება რუსეთს და ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთით განლაგებულ გენერაციის მსხვილ ობიექტებს (მათ შორის “ენგურჰესი”). ასევე არსებობს საკმაოდ ფართო 220კვ გადამცემი ქსელი, რომელიც დაკავშირებულია გენერაციის სხვა ობიექტებთან და მოთხოვნა-მოხმარების ცენტრალურ რეგიონებთან.

საქართველოს ენერგოსისტემა რუსეთს უკავშირდება 500კვ და 220კვ გადამცემი ხაზებით (აფხაზეთის გავლით), აზერბაიჯანს - 500/330კვ, სომხეთს - 220კვ, ხოლო თურქეთს – 220/400კვ გადამცემი ხაზებით. ასევე არსებობს იზოლირებული 110კვ კავშირები სომხეთთან და რუსეთთან. აზერბაიჯანთან დამაკავშირებელი 500/330კვ და თურქეთთან დამაკავშირებელი 220კვ ელექტროგამცემი ხაზები წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფოსა და რუსეთის ფედერალური ქსელის კომპანიის 50%-50% წილობრივი მონაწილეობით მოქმედი გადაცემის ლიცენზიანტის - სს „საქრუსენერგოს“ საკუთრებას; ხოლო ელექტროგადაცემის მომსახურებისათვის განკუთვნილი 220კვ ხაზების უმრავლესობა და 110/35კვ ქსელის ნაწილი ეკუთვნის სსე-ს.

სსე-ის შვილობილი კომპანია „ენერგოტრანსი“ ფლობს 500კვ ელექტროგადამცემ ხაზებს „ვარძია“, „გაჩიანი“ და „ზეკარი“ და თურქეთთან დამაკავშირებელ 400კვ ხაზს „მესხეთი“, რომელთა რეაბილიტაცია/მშენებლობა განხორციელდა „შავი ზღვის ელექტროგადამცემი ქსელის პროექტის“ ფარგლებში. აღნიშნული ახალი ხაზების მეშვეობით, იქმნება ქვეყნის დასავლეთ ნაწილის აღმოსავლეთთან დამაკავშირებელი მეორე 500კვ ქსელი, რომელიც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს გადაცემის სისტემის სტაბილურობას და უზრუნველყოფს თურქეთში დამატებითი 1,050მგვტ სიმძლავრის გატანის შესაძლებლობას.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში კომპანიამ უზარმაზარი ინვესტიციები განახორციელა ქსელის საიმედოობის უზრუნველსაყოფად და გათიშვებისა და ავარიების რისკის მინიმუმამდე დასაყვანად. გადამცემ ხაზებსა და ქვესადგურებში პირველადი და მეორადი მოწყობილობების შეცვლამ და შეკეთებამ დისტანციური მართვის ელექტრონული სისტემებისა და უახლესი აღჭურვილობის დანერგვა-დამონტაჟებამ ხელი შეუწყო გადამცემი სისტემის სრული გათიშვების რიცხვის შემცირებასა და მომხმარებლებისათვის მაღალი ხარისხის მომსახურების გაწევას.

ქსელის ტექნიკური სანდოობისა და მდგრადობის შესანარჩუნებლად სსე ახორციელებს პროექტებსა და ინიციატივებს, რომელთა მიზანია კომპანიის გადამცემი ინფრასტრუქტურისა და დისპეტჩერიზაციის შესაძლებლობათა შემდგომი გაუმჯობესება და განვრცობა, რათა კომპანია სრულ მზადყოფნაში შეხვდეს იმ ახალ მოთხოვნებს, რასაც მას ელექტროენერგიით რეგიონული ვაჭრობის გაძლიერება უყენებს.

სსე/ენერგოტრანსის გადამცემი ქსელის მონაცემები

ხაზები		ქვესადგურები		
ძაბვა (კვ)	სიგრძე (კმ)	ძაბვა (კვ)	რაოდენობა	სიმძლავრე (მვა)
500	268	500	5	5314
400	32	500/400	1	1346
220	1640	220	18	4783
110	916	110	27	465
35	567	35	42	166

2017 წლის
ᲛᲐᲥᲡᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘ



2017 წელს დასრულდა მსოფლიო ბანკის დაფინანსებით მიმდინარე „ელექტროგადამცემი ქსელის გაძლიერების პროექტის“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტის - 220 კვ ორჯაჭვა ელექტროგადამცემი ხაზის „ახალციხე-ბათუმი“ მშენებლობის პირველი ეტაპი. აღნიშნული ეტაპი მოიცავს ელექტროგადამცემი ხაზის (500/400/220 კვ ქვესადგურ „ახალციხესა“ და 220 კვ ქვესადგურ „ბათუმს“ შორის) დაახლოებით 52 კმ სიგრძის მონაკვეთის მშენებლობას. ახალი ხაზი ერთმანეთთან დააკავშირებს 178 მგვტ შუახევის ჰიდროელექტროსადგურსა და ქვესადგურს „ბათუმი-220“.

ამავდროულად, მიმდინარეობს პროექტის მეორე ეტაპი, რომელიც ქვესადგურიდან „ახალციხე“ შუახევის ჰიდროელექტროსადგურამდე ელექტროგადამცემი ხაზის 90 კმ მონაკვეთის მშენებლობას ითვალისწინებს. პროექტის ფარგლებში, ჯამში, დაგეგმილია დაახლოებით, 142 კმ სიგრძის ორჯაჭვა ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა, რომელიც 398 ერთეული ანძის დადგმას გულისხმობს.

ახალი ელექტროგადამცემი ხაზი უზრუნველყოფს რეგიონში ელექტროენერგიის სტაბილურ მიწოდებას, შეამცირებს ელექტროენერგიის გათიშვის შემთხვევებს, და „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ შეეძლება ქვეყნის შიგნით და გარეთ ელექტროენერგიაზე მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილება.

2017 წლის ივნისში, „ელექტროგადამცემი ქსელის გაძლიერების პროექტის“ ფარგლებში, სსე-მ დაასრულა 220 კვ ეგხ-ის „დერჩი“ რეკონსტრუქცია; ეგხ-ისთვის „სათაფლია 1-2“ გამოყენებული მონაკვეთის ნაცვლად, აშენდა ახალი დამოუკიდებელი ტრასა 220 კვ ქვესადგურ „წყალტუბოსა“ და 220 კვ ეგხ-ის „დერჩი“ არსებულ 74-ე საყრდენს შორის.

ამასთან, „ელექტროგადამცემი ქსელის გაძლიერების პროექტის“ ფარგლებში, „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ ახორციელებს ქუთაისისა და მენჯის ქვესადგურების დამაკავშირებელი 220 კვ ეგხ-ის „კოლხიდა-1“ რეაბილიტაციის პროექტს. პროექტის დასრულების შემდეგ აღნიშნული ელექტროგადამცემი ხაზის გამტარუნარიანობა 3000 მგვტ-მდე გაიზრდება.

დასრულდა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD), გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკისა (KfW) და ევროკომისიის სამეზობლო საინვესტიციო ფონდის (EC NIF) ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარე „ელექტროგადამცემი ქსელის გაფართოების ღია პროგრამის“ ორი კომპონენტი:

- ქვესადგურში „მარნეული-220“ წარმატებით დამონტაჟდა 125 მვა ავტოტრანსფორმატორი
- ქვესადგურში „ზესტაფონი-500“ დამონტაჟდა სამი ახალი რეგულირებადი მართვის 500 კვ რეაქტორი

2017 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა ჯვარისა და ხორგას ქვესადგურების დამაკავშირებელი 220 კვ ორჯაჭვა ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა და 500 კვ ელექტროგადამცემი ხაზის „კავკასიონი“ შეჯრა, ასევე 500 კვ ელექტროგადამცემი ხაზის ქსანი-სტეფანწმინდა მშენებლობა „ელექტროგადამცემი ქსელის გაფართოების ღია პროგრამის“ ფარგლებში.

გადამცემი ქსელის გაუმჯობესება 2017

დეტალური ინფორმაცია დონორების მიერ დაფინანსებული პროექტების შესახებ წარმოდგენილია ამ წლის ანგარიშში ქვესათაურით „საინვესტიციო პროექტები“.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს გადამცემი ქსელის გაძლიერების მიზნით, „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ“ მნიშვნელოვანი სამუშაოები შეასრულა საკუთარი სახსრებით; ეს სამუშაოებია:

- 500 კვ ცალფაზა მაშუნტირებელი რეაქტორების („ზესტაფონი-500“-დან დემონტირებული, კომპანია „სიმენსის“ მიერ წარმოებული) მონტაჟი ქვესადგურში “გარდაბანი -500”. აღნიშნული რეაქტორების მონტაჟით მკვეთრად გაიზრდება ქსელის საიმედოობა და მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება მომხმარებლისთვის მიწოდებული ელექტროენერგიის ხარისხი. რეაქტორები აღჭურვილია ბუნებრივი გაგრილების სისტემით, რაც მკვეთრად ზრდის მათი ექსპლუატაციის ვადებს.

- დაცვისა და მართვის მოწყობილობების მონტაჟი-გაწყობა:
  - ქვესადგური „მარნეული-500-ის“ ახალი ავტოტრანსფორმატორისთვის
  - ქვესადგური „გურჯაანი-220-ის“ ავტოტრანსფორმატორისთვის

- მეორადი მოწყობილობების მონტაჟი-გაწყობა გადამცემი ხაზების შემდეგი უჯრედებისთვის:
  - სათაფლია-2 ქვესადგურში „წყალტუბო-220“
  - სათაფლია-2, აჯამეთი-3 ქვესადგურში „ქუთაისი-220“
  - აჯამეთი-3 ქვესადგურში „ზესტაფონი-500“


- ტრანსფორმატორის ტექნოლოგიური ნაწილის მონტაჟი-გაწყობა ქვესადგურში “ჯანდარა-110”
- მეორადი მოწყობილობების მონტაჟი-გაწყობა ქვესადგურში “ჯანდარა-110”
- 110 კვ სალტეების დიფ.დაცვის აღდგენა ქვესადგურში „საგარეჯო-110“
- ეგხ-ის “ღრმაღელე” სარეზერვო ტერმინალის მონტაჟი-გაწყობა ქვესადგურში “დიდუბე-220”
- გაციების სისტემის ძრავების აღჭურვა არასრულფაზა რეჟიმისაგან დაცვისთვის
- 110 კვ ეგხ-ის „ქსანი-სტეფანწმინდა“ უჯრედის მეორადი მოწყობილობების გაწყობა



გადამცემი ქსელის გაფართოება 2017

სსე-მ 2017 წელს საკუთარი სახსრებიდან მთლიანობაში, 47,9 მილიონი ლარი დახარჯა სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო და სამშენებლო სამუშაოების შესასრულებლად. 2017 წლის ბოლოსთვის რეაბილიტირებული იყო სსე-ს ქვესადგურებში არსებული პირველადი მოწყობილობების 98%.

მნიშვნელოვანი მონაცემების ნაწილი ასახულია ქვემოთ მოცემულ დიაგრამებში:



საინვესტიციო პროექტები



2017 წლის 13 აპრილი, დოქტორი ჰაიკე ფაიჩი, საქართველოში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი და ბატონი დიმიტრი ქუმსიშვილი, პირველი ვიცე-პრემიერი, საქართველოს ფინანსთა მინისტრი. 125 მილიონი ევროს ღირებულების სასესხო და საპროექტო ხელშეკრულებების ხელმოწერის ცერემონია.



2017 წლის 21 დეკემბერი, ბატონი ჰანს რიკი, KfW-ს სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ოფისის ენერგეტიკისა და ტრანსპორტის სექტორის კოორდინაციის საკითხების დირექტორი, ბატონი გიორგი ჩიქოვანი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე და ბატონი სულხან ზუმბურიძე, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე. 9,9 მილიონი ევროს ოდენობის გრანტის გამოყოფასთან დაკავშირებით დაფინანსებისა და პროექტის განხორციელების ხელშეკრულების ხელმოწერის ცერემონია.



2017 წლის 1 ნოემბერი, დოქტორი კლაუს ფაიგელი, KfW-ს სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ოფისის ხელმძღვანელი და ბატონი სულხან ზუმბურიძე, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე. 910 000 ევროს ოდენობის გრანტის გამოყოფასთან დაკავშირებით საფინანსო ხელშეკრულების ხელმოწერის ცერემონია.

ელექტროგადამცემი ქსელის გაფართოების ღია პროგრამა II

2017 წელი გამორჩეული იყო მნიშვნელოვანი წამოწყებებით საინვესტიციო პროექტებთან მიმართებაში. დაიწყო „ელექტროგადამცემი ქსელის გაფართოების ღია პროგრამა II-ის“ განხორციელების პროცესი.

2017 წლის 13 აპრილს, საქართველომ, წარმოდგენილმა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ, ხელი მოაწერა 125,000,000 ევროს ღირებულების სასესხო ხელშეკრულებას გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკთან (KfW), ხოლო აღნიშნული სასესხო ხელშეკრულების საფუძველზე, KfW-მ და სსე-მ ხელი მოაწერეს საპროექტო ხელშეკრულებას „ელექტროგადამცემი ქსელის გაფართოების ღია პროგრამა II-ის“ განხორციელების შესახებ.

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია წყალტუბოდან-ახალციხემდე, და შემდეგ თურქეთის მიმართულებით, ასევე რაჭა-ლეჩხუმისა და გურიის რეგიონებში ელექტროგადამცემი ქსელის ინფრასტრუქტურის განვითარება, და ეგრეთ წოდებული „ჩრდილოეთის რგოლის“ (მათ შორის მესტია) პირველი ფაზის განხორციელება, რაც მოემსახურება საქართველოს ჩრდილო-დასავლეთის მხარეში განლაგებული ჰიდროელექტრო სადგურების ინტეგრაციას საქართველოს ელექტროგადამცემ ქსელში.

აღნიშნული პროგრამა ასევე დაფინანსდება ევროკომისიის სამეზობლო საინვესტიციო ფონდის (EC NIF) გრანტითაც. ამ მიზნით, 2017 წლის 21 დეკემბერს, გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკს (KfW), საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ შორის ხელი მოეწერა დაფინანსებისა და პროექტის განხორციელების ხელშეკრულებას. პროგრამის თანადაფინანსებისთვის გამოიყოფა 9,9 მილიონი ევროს ოდენობის გრანტი. აღნიშნული გრანტის ნაწილით დაფინანსდება წყალტუბო-ახალციხე-თორთუმის გადამცემი ხაზის მშენებლობის ნაწილი და პროგრამის ტექნიკური დახმარება.

„ელექტროგადამცემი ქსელის გაფართოების ღია პროგრამა II-ის“ განხორციელებით განვითარდება ინფრასტრუქტურა, რითიც უზრუნველყოფილი იქნება მშენებარე ჰიდროელექტროსადგურების საქართველოს ელექტროგადამცემ ქსელში ინტეგრაცია, ამასთან, გაიზრდება ქსელის გამტარუნარიანობა და საიმედოობა, რაც, თავის მხრივ, ტრანსსასაზღვრო ვაჭრობას შეუწყობს ხელს.

ენერგეტიკის სექტორის ღია პროგრამა

2017 წლის 1 ნოემბერს, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემასა“ და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკს (KfW) შორის ხელი მოეწერა საფინანსო ხელშეკრულებას, 910 000 ევროს ოდენობის გრანტის გამოყოფასთან დაკავშირებით.

აღნიშნული გრანტი გერმანიის მთავრობამ დაამტკიცა „ენერგეტიკის სექტორის ღია პროგრამის“ ფარგლებში და ის მოხმარდება 100 მილიონი ევროს ოდენობის ახალი სესხის მოსამზადებელ სამუშაოებს, კერძოდ: ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევისა და გარემოზე ზემოქმედების ანგარიშის მომზადებას, განახლებადი ენერგიის გამოყენების შესაძლებლობების შესწავლას და ტექნიკურ დახმარებას დამატებითი ღონისძიებების განსახორციელებლად, ხოლო სესხით, სხვა პროექტებთან ერთად, დაფინანსდება ელექტროგადამცემი ხაზებისა და ქვესადგურების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები კახეთის რეგიონში.

პროექტების განხორციელება აქტიურ ფაზაში შევა 2019 წელს, ხოლო ძირითადი სამუშაოების დასრულება 2020 წლის ბოლოს იგეგმება.

საინვესტიციო პროექტები

2017 წელს წარმატებით დასრულდა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD), გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკისა (KfW) და ევროკომისიის სამეზობლო საინვესტიციო ფონდის (EC NIF) ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარე „ელექტროგადამცემი ქსელის გაფართოების ღია პროგრამის“ რამდენიმე კომპონენტი. აღნიშნულ პროგრამას ზედამხედველობას უწევს სსე-ს შვილობილი კომპანია „ენერგოტრანსი“.

ავტოტრანსფორმატორის მონტაჟი ქვესადგურში „მარნეული-220“

2017 წელს ავტოტრანსფორმატორის სამონტაჟო საუშაოები წარმატებით შესრულდა 220 კვ ქვესადგურში „მარნეული“, სამუშაოებს აწარმოებდა კომპანია Xian Engineering CO, Ltd.

ქვესადგური „მარნეული-220“ სასისტემო მნიშვნელობის ქვესადგურია, რომელიც პასუხისმგებელია ქვემო ქართლის რეგიონის ენერგომომარაგებაზე. ქვემო ქართლი ქვეყანაში ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად განვითარებადი რეგიონია, მათ შორის წარმოებისა და სოფლის მეურნეობის დარგში. აქედან გამომდინარე, ძალიან მნიშვნელოვანია ამ რეგიონის ენერგომომარაგების სტაბილურობის გაზრდა. ახალი ავტოტრანსფორმატორის მონტაჟამდე ქვესადგურში მხოლოდ ერთი ავტოტრანსფორმატორი ფუნქციონირებდა, რომლის შეკეთება მისი გამორთვის და, შესაბამისად, მომხმარებლის შეზღუდვის გარეშე ვერ ხდებოდა. დამატებითი 125 მვა ავტოტრანსფორმატორის მონტაჟის შემდეგ კი აღნიშნული პრობლემა მოგვარდა. პროექტის განხორციელების შედეგად, მკვეთრად გაიზრდება გადამცემი ქსელის სტაბილურობა და საიმედოობა, შემცირდება ელექტროენერგიის მიწოდებასთან დაკავშირებული რისკები და მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება მომხმარებლისთვის მისაწოდებული ელექტროენერგიის ხარისხი.

ახალი რეაქტორების მონტაჟი ქვესადგურში „ზესტაფონი-500“

2017 წელს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ძალოვანი ტრანსფორმატორებისა და რეაქტორების პარკს 3 ახალი, 500 კილოვოლტიანი, რეგულირებადი მართვის რეაქტორი შეემატა. ახალი რეაქტორები, რომლებიც თურქულმა კომპანიამ GE (ყოფილი ALSTROM Grid Energy Industrisi A.S.) დაამონტაჟა, რეაქტიული ტვირთის რეგულირებას ქვესადგურში „ზესტაფონი-500“ ავტომატურ რეჟიმში განახორციელებს.


პროექტის განხორციელების შედეგად, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება მომხმარებლისთვის მიწოდებული ელექტროენერგიის ძაბვის პარამეტრების ხარისხი, გაიზრდება ქსელის საიმედოობა და რეგულირებადი გახდება 500 კვ ელექტროგადამცემ ხაზებზე წარმოქმნილი რეაქტიული სიმძლავრე.



ელექტროგადამცემი ქსელის გაუმართაობის ღია პროგრამა



საინვესტიციო პროექტები





ელექტროგადამცემი ქსელის გაფართოების ღია პროგრამა

მიმდინარეობს "ელექტროგადამცემი ქსელის გაფართოების ღია პროგრამის" კიდევ ორი მნიშვნელოვანი პროექტი:

ჯვარი-ხორგას დამაკავშირებელი პროექტი

2017 წელს გაგრძელდა 220კ ვ ორჯაჭვა ელექტოგადამცემი ხაზის (დაახლოებით 60 კმ) მშენებლობის სამუშაოები ქვესადგურიდან „ჯვარი" ქვესადგურამდე „ხორგა" და 500 კვ ელექტროგადამცემი ხაზის „კავკასიონი" შეჯრა (დაახლოებით 8კმ).

პროექტის აღნიშნულ კომპონენტს ახორციელებს ინდური კომპანია Jyoti Structures Limited. პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარე ჰესებიდან ელექტროენერგიის გატანას დასავლეთ საქართველოს, ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონისა და თურქეთის მიმართულებით და ამავდროულად, შესაძლებელს გახდის აღმოსავლეთ საქართველოსკენ ელექტროენერგიის მიწოდების ზრდას.

სამშენებლო სამუშაოების დიდი ნაწილი შესრულებულია. პროექტის დასრულება იგეგმება 2018 წელს.

500კვ ელექტროგადამცემი ხაზი „ქსანი-სტეფანწმინდა"

პროექტი მოიცავს დაახლეობით 100 კმ სიგრძის 500კვ გადამცემი ხაზის მშენებლობას 500კვ ქვესადგურიდან „ქსანი" სტეფანწმინდამდე. აღნიშნული ხაზი მოემსახურება მცხეთა-მთიანეთის რეგიონში, კერძოდ, დარიალის ხეობაში მშენებარე დარიალის ჰიდროელექტროსადგურიდან, ასევე სხვა დაგეგმილი ასაშენებელი ჰესებიდან ელექტროენერგიის გამოტანას და სახელმწიფო ქსელთან მათ დაკავშირებას. პროექტი წარმოადგენს წინაპირობას აღნიშნულ რეგიონში საქართველოს მდიდარი ჰიდროენერგეტიკული რესურსების გამოყენებისთვის.

შემდგომ ეტაპზე, განსაზღვრულია ხაზის დაკავშირება რუსეთის ენერგოსისტემასთან. შესაბამისად, სტეფანწმინდის მიმდებარე ტერიტორიაზე დაგეგმილია 500/110კვ ქვესადგურის აშენება, და ხაზის გადაყვანა 500კვ ძაბვაზე. მისი გამტარუნარიანობა იქნება 1100 მგვტ, რაც შექმნის საქართველოს, რუსეთის, სომხეთისა და ირანის ენერგოსისტემების დამაკავშირებელ ენერგეტიკულ მაგისტრალს.

აღნიშნული პროექტი, რომელსაც გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი (KfW) აფინანსებს, და ახორციელებს კონსორციუმი Eltel Group OY (ფინეთი) და EMC Ltd (ინდოეთი), მიზნად ისახავს საქართველოს ელექტროგადამცემი ქსელის მდგრადობის გაუმჯობესებას და მასშტაბური საბითუმო ვაჭრობის ხელშეწყობას საქართველოს და მეზობელ ქვეყნებს შორის.

სამშენებლო სამუშაოების დიდი ნაწილი შესრულებულია. პროექტის დასრულება იგეგმება 2018 წელს.

საინვესტიციო პროექტები

THE WORLD BANK
IBRD • IDA | WORLD BANK GROUP

საქართველო ძალისხმევას არ იშურებს, განავითაროს რეგიონული ენერგეტიკული ბაზარი გადამცემი კორიდორისა და ჰესების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის სეზონური ექსპორტიორის ფუნქციის შესრულებით. „საქართველოს ელექტროგადამცემი ქსელის გაძლიერების პროექტი“ (TGSP) კიდევ ერთი ძალზე მნიშვნელოვანი ენერგოინფრასტრუქტურული პროექტია ამ მიზნების მისაღწევად.

TGSP ხორციელდება მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით, რომელმაც ამ მიზნით 60 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის სესხი დაამტკიცა. პროექტით შემდეგი ოთხი ძირითადი კომპონენტი ფინანსდება:

1. **გადამცემი სისტემის გაძლიერების პროექტი შემდეგი ქვეკომპონენტებით:**
   - 1.1. 220 კვ-იანი ორჯაჭვა ელექტროგადამცემი ხაზის „ახალციხე–ბათუმი“ მშენებლობა;
   - 1.2. დასავლეთ საქართველოში არსებული 220 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზების რეკონსტრუქციისა და გაუმჯობესებისთვის მოწყობილობების შესყიდვა;
   - 2.საბითუმო ვაჭრობის განვითარების პლატფორმა შემდეგი ქვეკომპონენტებით:
   - 2.1. ელექტროენერგიის ვაჭრობის საბითუმო პლატფორმა (ტექნიკური მოწყობა და პროგრამული უზრუნველყოფა);
   - 2.2. SCADA-სა და ენერგეტიკის მართვის არსებული სისტემის (SCADA/EMS) განახლება;
   - 3. ენერგეტიკის სექტორის გარემოზე ზემოქმედებისა და სოციალური სტრატეგიული შეფასება (SESA);
   - 4. 500 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზის „ჯვარი-წყალტუბო“ და მასთან დაკავშირებული 500 კვ-იანი ქვესადგურის „წყალტუბო” მშენებლობისთვის ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზის, წინასწარი დიზაინისა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადება.

სასესხო და საპროექტო ხელშეკრულებებს 2017 წლის მარტში მოეწერა ხელი მსოფლიო ბანკს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსა და სსე-ს შორის.

1. გადამცემი სისტემის გაძლიერების პროექტი

1.1. 220 კვ-იანი ორჯაჭვა ელექტროგადამცემი ხაზის „ახალციხე–ბათუმი“ მშენებლობა

პროექტის მოიცავს მაღალი ძაბვის ორჯაჭვა 220 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზის (ეგხ) მშენებლობას, მაღალი ძაბვის მუდმივი დენის გარდამსახი 500/400/220კვ ქვესადგურიდან „ახალციხე“ 220 კვ-იან ქვესადგურამდე „ბათუმი“, თურქეთთან ელექტროენერგიის გაცვლის მიზნით. ხაზი საქარ-

ელექტროგადამცემი ქსელის გაძლიერების პროექტი



საინვესტიციო პროექტები

თველოს ენერგოსისტემასთან ასევე დააკავშირებს ახალ ჰიდროელექტროსადგურებს „შუახევიჰესსა“ (185 მგვტ „სხალთაჰესთან“ ერთად) და „კორომხეთიჰესს“ (150 მგვტ). დაახლოებით 145 კმ სიგრძის გადამცემი ხაზი ორ ძირითად სეგმენტად (ფაზად) შენდება: პირველ ფაზით „შუახევიჰესი“ დაკავშირდა ქვესადგურთან „ბათუმი“, დაახლოებით 55 კმ სიგრძის მონაკვეთით, ხოლო მეორე ფაზით „შუახევიჰესი“ დაუკავშირდება ქვესადგურს „ახალციხე“, დაახლოებით 90 კმ სიგრძის მონაკვეთით.

ეს ახალი 220 კვ-იანი ხაზი ელექტროენერგიის მიწოდების საიმედოობასა და ხარისხს გააუმჯობესებს ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილისთვის, რომელიც ელექტროენერგიას იღებს ქვესადგურიდან „ბათუმი“ და სადაც მდებარეობს შავი ზღვის მნიშვნელოვანი პორტი და ტურისტული კურორტი. ბათუმისთვის ელექტროენერგიის მიწოდება ახალი ხაზის საშუალებით უფრო საიმედო გახდება, გაჩნდება ორი სარეზერვო კავშირი, ერთი - “ახალციხის“ ქვესადგურის მიმართულებით და მეორე - ჩრდილოეთით, ქვესადგურებისკენ „მენჯი“ და „ხორგა“.

უფრო მეტიც, შესაძლებელი იქნება ელექტროენერგიის ექსპორტი თურქეთში „შუახევი/სხალთა და კორომხეთი ჰესებიდან“ ახალციხის მაღალი ძაბვის მუდმივი დენის გარდამსახი ქვესადგურის, ხოლო მოგვიანებით - ბათუმში დაგეგმილი მაღალი ძაბვის მუდმივი დენის გარდამსახი ქვესადგურის გავლით.

აღნიშნული პროექტის განსახორციელებლად გამოცხადდა საერთაშორისო ტენდერი და სამშენებლო ხელშეკრულება 2015 წლის 27 აპრილს გაფორმდა გამარჯვებულ კომპანიასთან „KEC International Limited“ (ინდოეთი). სამშენებლო სამუშაოები აქტიურად დაიწყო 2016 წლის მაისში ბათუმი-შუახევის მონაკვეთზე და 2017 წლის მეორე ნახევარში დასრულდა. რაც შეეხება მეორე ფაზას, აქ სამშენებლო სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს, ამ ფაზის დაახლოებით 2/3 უკვე აშენებულია და დასრულება ერთ წელიწადში იგეგმება.

1.2. დასავლეთ საქართველოში არსებული 220 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზების რეკონსტრუქციისა და გაუმჯობესებისთვის მოწყობილობების შესყიდვა

მსოფლიო ბანკი დათანხმდა მოწყობილობების შესყიდვის დაფინანსებას დასავლეთ საქართველოში არსებული 220 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზების („სათაფლია“, „აჯამეთი“, „დერჩი“) რეაბილიტაცია-გაუმჯობესებისთვის.

შესაბამისად, გადაწყდა წყალტუბო-ზესტაფონის პროექტის განხორციელება, რომელიც მოიცავდა 220 კვ-იანი ეგხ-ის „სათაფლია“ გაუმჯობესებას წყალტუბოდან ქუთაისამდე გაორჯაჭვიანებისა და 220 კვ-იანი ეგხ-ის „აჯამეთი“ გასამჯაჭვიანების გზით.

ელექტროგადამცემი ქსელის გაძლიერების პროექტი

გარდა ამისა, მსოფლიო ბანკის დაფინანსებით შესყიდულ იქნა ახალი სადენები 220 კვ-იან ეგხ-ზე „კოლხიდა-1“ ძველი სადენების შესაცვლელად. შესაბამისი მასალები 2017 წელს მოგვაწოდეს.

ამ პროექტებთან დაკავშირებული ყველა სახის სამშენებლო სამუშაო და ექსპლუატაციაში მიღება სსე-მ საკუთარი ძალებით განახორციელა.

2. საბითუმო ვაჭრობის განვითარების პლატფორმა:

2.1. საბითუმო ვაჭრობის განვითარების პლატფორმის დანერგვა

პროექტის ეს კომპონენტი მოიცავს საქართველოს ელექტროენერგიის ბაზრის სავაჭრო პლატფორმის ბაზრის მართვის სისტემის (MMS) დანერგვას (ტექნიკური მოწყობა და პროგრამული უზრუნველყოფა), რაც, მათ შორის, ითვალისწინებს აღრიცხვის ინფრასტრუქტურისა და აღრიცხვის არსებული მართვის სისტემის აუცილებელ განახლებას საბითუმო აღრიცხვის ავტომატიზირებული სისტემის (AWMS) სახით.

ვაჭრობის ისეთი აქტიური მექანიზმის უზრუნველსაყოფად, როგორიცაა ერთი დღით წინმსწრები საპროგნოზო ბაზარი (day-ahead market), აგრეთვე სწრაფი აღრიცხვისა და თურქეთში ელექტროენერგიის ექსპორტის უზრუნველსაყოფად, სააღრიცხვო სისტემა საჭიროებს განახლებას საათობრივი ბალანსირების მექანიზმების შესაბამისად.

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრომ, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) დაფინანსებით, დაიწყო კვლევა ბაზრის ახალი წესებისა და საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის პრინციპების განსაზღვრის მიზნით. ბაზრის მართვის სისტემის დიზაინში გათვალისწინებული იქნება ახალი რეგულაციებიც.

2016 წელს ანგარიშის „საქართველოში ელექტროენერგიით ვაჭრობის პლატფორმის განვითარებასა და დანერგვაში მხარდაჭერა“ მოსამზადებლად შეირჩა კონსულტანტი - „LDK Consultants Engineers and Planners S.A.“ (საბერძნეთი) „Nord Pool Consulting A/S“-თან (ნორვეგია) ასოციაციაში.

ეს ქვეკომპონენტი და მისი შედეგები სწორად რომ შეესაბამებოდეს სსე-სა და საქართველოს ენერგეტიკის სექტორის ამჟამინდელ მოთხოვნებს, ასევე TGSP პროექტის მიმდინარე მოწყობას, 2018 წელს მსოფლიო ბანკი, სსე და პროექტში ჩართული დაინტერესებული მხარეები გადახედავენ და დახვეწენ საბითუმო ვაჭრობის განვითარების პლატფორმასა და მისი მხარდამჭერ საკონსულტაციო მომსახურებებს.

2.2. SCADA-სა და ენერგეტიკის მართვის არსებული სისტემის (SCADA/EMS) განახლება

SCADA/EMS დაინერგა 2007-2009 წლებში. მას შემდეგ საქართველოს ელექტროენერგეტიკული სისტემა სწრაფად განვითარდა. ყველა ქვესად-

საინვესტიციო პროექტები



გურში თანამედროვე ავტომატიზირებული სისტემების დანერგვამ გააუმჯობესა ქვესადგურების დისტანციურად მართვა ეროვნული სადისპეტჩერო ცენტრიდან, მაგრამ ამავდროულად გაიზარდა გადასაცემი და დასამუშავებელი მონაცემების მოცულობაც.

საქართველოს ბაზარზე და მის საზღვრებს გარეთ ელექტროენერგიით ვაჭრობის განვითარება მოითხოვს სწრაფად მზარდი მონაცემების გაცვლას სხვა სისტემებთან, მაგალითად, ეროვნულ სადისპეტჩერო ცენტრებთან, ასევე ბაზრის მართვის სისტემებთან, ახალი თანამედროვე სტანდარტების მიხედვით.

აქედან გამომდინარე, აუცილებელი გახდა არსებული SCADA/EMS-ის განახლება.

„საქართველოს ელექტროგადაცემის ქსელის გაუმჯობესების პროექტის“ კომპონენტის, საბითუმო ვაჭრობის განვითარების პლატფორმის ფარგლებში, მსოფლიო ბანკი დათანხმდა, დაეფინანსებინა სისტემის განახლების ხარჯები. შესაბამისად, აქტიური მოლაპარაკებების შედეგად, 2017 წლის დეკემბერში ხელშეკრულება მოეწერა კომპანიასთან „Siemens Aktiengesellschaft Oesterreich“ (ავსტრია), რომელმაც მალევე დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები და აქტიური ტრენინგები (მათ შორის, სსე-ს თანამშრომელთათვის ავსტრიაში).

3. ენერგეტიკის სექტორის გარემოზე ზემოქმედებისა და სოციალური სტრატეგიული შეფასება (SESA)

სექტორის სტრატეგიული გზშ მოიცავს ბუნებრივი გარემოს მნიშვნელოვან კომპონენტებს (ჰაერი, წყალი, მიწა, ბიომრავალფეროვნება და ეკოსისტემები), სოციალურ ასპექტებს (ადამიანთა ჯანმრთელობა და უსაფრთხოება, ბუნებრივ რესურსებსა და საზოგადოებრივ სერვისებზე ხელმისაწვდომობა, მოწყვლადობა, გენდერი, თანასწორობა და ა.შ.) და კულტურულ ღირებულებებს, აგრეთვე ტრანსსასაზღვრო და გლობალურ გარემოსდაცვით ასპექტებს. მასში ასევე გათვალისწინებულ იქნება ქვეყნისთვის დამახასიათებელი კონკრეტული პირობები: გარემოსდაცვითი კვლევების შედეგები, ეროვნული გარემოსდაცვითი სამოქმედო გეგმები, ეროვნული კანონმდებლობა, პროექტის განმახორციელებელი ერთეულისა და სახელმწიფო საზედამხედველო უწყებების ინსტიტუციური შესაძლებლობები (ვინაიდან ისინი გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების მართვაში მონაწილეობენ) და სახელმწიფოს ვალდებულებები შესაბამისი საერთაშორისო გარემოსადცვითი შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების საფუძველზე. 2016 წლის 30 დეკემბერს ხელშეკრულება გაფორმდა კომპანიასთან - ერთობლივ საწარმო „Stucky Ltd., Stucky Caucasus Ltd., SEEC Ltd.“ (შვეიცარია / საქართველო / სერბეთი). საანგარიშო პერიოდის გან-

ელექტროგადამცემი ქსელის გაძლიერების პროექტი

მავლობაში ჩართული მხარეების მიერ მიმდინარეობდა აქტიური კომუნიკაცია, განხილვები და შეხვედრები, მაქსიმალურად ეფექტური დოკუმენტის შემუშავების მიზნით, რომელიც უპასუხებს მიმდინარე საჭიროებებს და გახდება პრაქტიკული სახელმძღვანელო ენერგოსექტორისთვის, სტრატეგიული სოციალური და გარემოსდაცვითი შეფასებების კუთხით. ანგარიშის შემუშავება და პროექტის დასრულება მომავალ წელს იგეგმება.

4. 500 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზის „ჯვარი-წყალტუბო“ და მასთან დაკავშირებული 500 კვ-იანი ქვესადგურის „წყალტუბო” მშენებლობისთვის ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზის, წინასწარი დიზაინისა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადება

TGSP-ის ფარგლებში ფინანსდება წინასამშენებლო კვლევები 500 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზის „ჯვარი-წყალტუბო“ და მასთან დაკავშირებული 500 კვ-იანი ქვესადგურის „წყალტუბო” მშენებლობისთვის. უშუალოდ სამშენებლო პროექტი კი მსოფლიო ბანკის ახალი სესხით დაფინანსდება.

პირველ ეტაპზე, 2017 წლის სექტემბერში მომზადდა ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა და წინასწარი დიზაინი „Fichtner GmbH & Co. KG“-ს (გერმანია) მიერ. გარემოზე ზემოქმედების შეფასება ჩატარდა „DG Consulting Ltd“-ის (საქართველო) მიერ, რომელმაც გზშ დოკუმენტის სამუშაო ვერსია წარმოადგინა მთავრობისა და მსოფლიო ბანკის მიერ განსახილველად და დასადასტურებლად; საჯარო კონსულტაციები კი 2018 წლის თებერვალში ჩატარდა; კონსულტანტი მუშაობს მიღებული კომენტარებისა და რეკომენდაციების საფუძველზე გზშ დოკუმენტის დასრულებაზე.

აღსანიშნავია, რომ ეს ახალი პროექტი სტრატეგიულად მნიშვნელობისაა და 500 კვ-იანი კავშირის „ჯვარი-წყალტუბო-ახალციხე“ ნაწილს წარმოადგენს. დღეისათვის „ენგურჰესიდან“ ქვესადგურამდე „ზესტაფონი“ ეგხ „იმერეთი“ ერთადერთი 500 კვ-იანი გადამცემი ხაზია, რომელიც რეგიონში ამ დიდი ჰიდროელექტროსადგურისა და დაგეგმილი ახალი ჰიდროელექტროსადგურების მიერ გამომუშავებულ ელექტროენერგიას გადასცემს საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილსა და ახალციხისკენ, თურქეთში საექსპორტოდ. ახალი ხაზი კი უზრუნველყოფს სტაბილურ კავშირს 500 კვ-იან დონეზე.

ელექტროგადამცემი ქსელის გაძლიერების პროექტის ფარგლებში ყველა კომპონენტის დასრულება 2021 წელს იგეგმება.

სტრატეგიული დაგეგმვა
2018-2028



მუდმივი ზრდისა და პროგრესის გარეშე, ისეთ სიტყვებს, როგორიცაა გაუმჯობესება, მიღწევა და წარმატება, არ ექნებოდა მნიშვნელობა.

ბენჯამინ ფრანკლინი

გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა

ის ახალი შესაძლებლობები, რომელიც გაჩნდა მეზობელ ქვეყნებთან ელექტროენერგიის ვაჭრობის მხრივ, ქვეყნის მასშტაბით ელ. ენერგიის მოხმარების ზრდის მაღალი დონე და ასაშენებელი ელსადგურების სიმძლავრის გამოტანის უზრუნველყოფა, აუცილებელს ხდის გადაცემის ინფრასტრუქტურაში ინვესტირებას.

სსე-მ, როგორც გადაცემის სისტემის ოპერატორმა, შეიმუშავა გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა 2028 წლამდე პერიოდისათვის, ახალი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და საიმედოობის უფრო მაღალი სტანდარტების მისაღწევად. აღნიშნული გეგმა დამტკიცებულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2017 წლის 28 დეკემბერის # 1-1/579 ბრძანებით. გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირები არიან: არჩილ კოხტაშვილი, ელექტრული რეჟიმების და განვითარების სამსახურის უფროსი და გიორგი ვახტანგაძე, გადამცემი ქსელის დაგეგმვის და განვითარების განყოფილების უფროსი.

ქვემოთ მოყვანილია პროექტები, რომელთა განხორციელებაც იგეგმება 2018-2028 წლებში:

ჯვარი - ხორგას პროექტი მოიცავს:

- (2x8 კმ) 500 კვ ეგხ „კავკასიონის“ შეჭრა ქ/ს „ჯვარი 500/220“-ში და ეგხ “ოდიში 1, 2”;

ბათუმი - ახალციხის პროექტი მოიცავს:

- ორჯაჭვა 220 კვ ეგხ შუახევი-ახალციხე;
- ქ/ს ახაციხეში ორი 220კვ უჯრედის მოწყობა 220 კვ ეგხ “ბათუმი-ახალციხე”-სთვის;
- 220/110 კვ ავტოტრანსფორმატორი და ამწევი ქვესადგური შუახევში.

ქსანი-სტეფანწმინდის პროეტი მოიცავს:

- 500 კვ ეგხ ქ/ს „ქსანი“ - ქ/ს „სტეფანწმინდა”;
- 500/110 კვ ქ/ს „სტეფანწმინდა“;
- 500კვ ერთჯაჭვა ეგხ ქ/ს „სტეფანწმ.“-ქ/ს „დარიალჰესი“-რუს. საზღვარი.

მარნეულის პროექტი მოიცავს:

- 500 კვ ეგხ “მარნეული-აირუმი”.

კოლხიდა 1-ის რეაბილიტაცია:

- 220 კვ ეგხ „კოლხიდა-1“-ის რეაბილიტაცია.

500კვ ჯვარი - წყალტუბო-ახალციხის პროექტი მოიცავს:

- 500კვ ერთჯაჭვა ეგხ-ის “ჯვარი-წყალტუბო” მშენებლობა;
- 500კვ ორჯაჭვა ეგხ-ის “წყალტუბო-ახალციხე” მშენებლობა;
- 500კვ ქს-ის “ახალციხე” გაფართოება;
- 500კვ ქს-ის “წყალტუბო” მშენებლობა;

ნამახვანი - წყალტუბო, ჩრდილოეთის რგოლის პროექტი მოიცავს:

- ორჯაჭვა 220კვ ეგხ “ნამახვანი - წყალტუბო” (დერჩის შეჭრა ნამახვანში);
- 220 ორჯაჭვა ნამახვანი - ტვიში - ლაჯანური (დერჩის გაორჯაჭვიანება);

ჩრდილოეთის რგოლი - წყალტუბოს პროექტი მოიცავს:

- 500/220/110 კვ ქ/ს ლაჯანური მშენებლობა;
- 220 კვ ორჯაჭვა ხაზი “ონი - ლაჯანური”;

- 500 კვ ერთჯაჭვა ეგხ ლაჯანური - წყალტუბო;
- 220 კვ ორჯაჭვა ხაზი “ხელედულა - ლაჯანური”;
- 500/220/110 კვ ქვესადგური “ნენსკრა“ მშენებლობა;
- 220 კვ ეგხ ნენსკრაჰესი-ქ/ს ნენსკრა;
- 500 კვ ერთჯაჭვა ეგხ “ჯვარი-ნენსკრა” მშენებლობა;
- 220 კვ ეგხ “ნენსკრა - მესტია” მშენებლობა;
- 500კვ ეგხ კავკასიონი”-ს შეჭრა ქვესადგურში “ნენსკრა”;
- 220 კვ ეგხ ხელედულა-ლაჯანურის შეჭრა ლენტეხიჰესში და ცაგერიჰესში;
- 110 კვ ორჯაჭვა ეგხ „ლენტეხი-მუხრა“;
- 110 კვ ორჯაჭვა ეგხ „მუხრა-ლუჯი“;
- 500 კვ ეგხ „ჯვარი-ნენსკრა“-ს შეჭრა ხუდონჰესში.

გურიის გადაცემის ინფრასტრუქტურის გაძლიერების პროექტი მოიცავს:

- 220/110კვ ქვესადგური “ოზურგეთი”;
- 220კვ ეგხ “პალიასტომიდან” ორჯაჭვა ეგხ-ის შეჭრა 220/110 კვ ქს-ში “ოზურგეთი”;
- 110კვ ხაზი “ოზურგეთი-ჩოხატაური”;
- 110კვ ხაზი “ზოტი-ჩოხატაური”.

ახალციხე - ტორტუმის პროექტი მოიცავს:

- 400 კვ ეგხ ახალციხე-ტორტუმი, საქართველოს საზღვრამდე;
- 500 კვ ქ/ს “ახალციხის” გაფართოება 400 კვ ეგხ ახალიციხე-თორთუმის მი- საერთებლად და უჯრედის მოწყობა;
- 500/400 კვ მუდმივი დენის ჩანართის მესამე ბლოკი ქ/ს „ახალციხეში“.

ბათუმი-მურატლის პროექტი მოიცავს:

- 220/154 კვ მუდმივი დენის ჩანართი ქ/ს „ბათუმში“
- 154 კვ ეგხ ბათუმი-მურატლი.

ნამახვანი-წყალტუბოს პროექტი მოიცავს:

- 220კვ ეგხ “ნამახვანი - წყალტუბო”;
- 220კვ ეგხ “ნამახვანი - ტვიში-ლაჯანური”.

ზესტაფონის პროექტი მოიცავს:

- 500/220 კვ მეორე ატ ქ/ს „ზესტაფონში“;
- 500 კვ უჯრედი ქ/ს „ზესტაფონის“ 500 კვ ფრთაში;
- 220 კვ უჯრედი ქ/ს „ზესტაფონის“ 220 კვ ფრთაში.



იმერეთის რეაბილიტაციის პროექტი მოიცავს:

- 500 კვ ეგხ „იმერეთის“ რეაბილიტაცია.

ქვესადგურების განახლების პროექტი მოიცავს:

- 220/110 კვ ქ/ს „თელეთი“;
- “220 კვ ეგხ „ალგეთა“-ს (ნავთლუღი -ხრამი ჰესი 2) შეჭრა ქ/ს „თელეთ“-ში”;
- ქ/ს “შინდისი” 35/10 კვ;
- 35 კვ კავშირი თელეთი-შინდისი;
- ერთი ახალი 220/110 კვ 200 მგვა ავტოტრანსფორმატორის შეძენა/მონტაჟი გლდანი 220-ში და ქ/ს-ის შესაბამისი რეკონსტრუქცია;
- ახალი 110/35/10 კვ 40 მგვა ტრანსფორმატორის შესყიდვა და მონტაჟი ქ/ს გორი 220-ში;
- მეორე 220/110 კვ 200 მგვა ავტოტრანსფორმატორის შეძენა/მონტაჟი გლდანი 220-ში და ქ/ს-ის შესაბამისი რეკონსტრუქცია;
- ქს დიდუბე-220-ის რეკონსტრუქცია და 80 მგვა ტრანსფორმატორის შეძენა;
- “ახალი 220/110 კვ 125 მგვა ატ, შესაბამისი 220 და 110 კვ მოწყობილობები: საძირკვლები და ლითონკონსტრუქციები ქვესადგურებში „წყალტუბო-220“ და „გორი-220““
- 110/35/10 კვ ტრანსფორმატორების შეცვლა ქვესადგურებში „დიდუბე- 220“, „გორი-220“ და „მენჯი-220“;
- 15 ქვესადგურის განახლება.

კახეთის ინფრასტრუქტურის გაძლიერების პროექტი მოიცავს:

- ქ/ს თელავის გაფართოება 220 კვ ფრთით და 220/110 კვ 125 მგვა ავტოტრანსფორმატორი;
- ორჯაჭვა 110 კვ ეგხ „თელავი-გურჯაანი“;
- ეგხ „თელავი-გურჯაანის“ ერთი ჯაჭვის შეჭრა ქვესადგურებში, წინანდალი და მუკუზანი;
- ორჯაჭვა 110 კვ ეგხ „თელავი-ახმეტა“;
- მეორე 220/110 კვ 125 მგვა ავტოტრანსფორმატორი გურჯაანში;
- ერთჯაჭვა 110 კვ ეგხ თელავი-ნაფარეული;
- ახალი ქ/ს ნაფარეული 110/35/10-ის მშენებლობა.

დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ ჩამოტვირთოთ საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა 2018-2028:
http://www.gse.com.ge/sw/static/file/TYNDP_GE-2018-2028_approved-GEO.pdf




ადამიანური რესურსები
2018


*„გუნდის ძალა არის თითოეული წევრი.
თითოეული წევრის სიძლიერე გუნდია.“*

ფილ ჯექსონი






თანამშრომელთა რაოდენობა 2007-2017



თანამშრომელთა რაოდენობა 2017



ადამიანური რესურსები 2018

ადამიანური რესურსი ნებისმიერი ორგანიზაციის ეფექტურობისა და წარმატების განმსაზღვრელი ყველაზე კრიტიკული რესურსია



ნინო კიკაბიძე
2009 - სსე -ს ახალგაზრდა სპეციალისტების გადამზადების პროგრამა
ამჟამად - ელექტროენერგიის ოპერატიული აღრიცხვის განყოფილების უფროსი



გიორგი ბიგვავა
2014 - სსე -ს ახალგაზრდა სპეციალისტების გადამზადების პროგრამა
ამჟამად - WAM პროექტის მენეჯერი

ორგანიზაციაში მიმდინარე თითოეულ პროცესს საფუძვლად ორგანიზაციული კულტურა უდევს, სწორედ ეს მოვლენა განსაზღვრავს მათ შინაარსსა და მიმართულებას. ჯანსაღი ორგანიზაციული კულტურის შექმნა და შენარჩუნება უწყვეტი, მიზანამიმართული მუშაობის შედეგია. საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის ორგანიზაციული კულტურის ეფექტურობა მუდმივად ვითარდება და ინარჩუნებს ორგანიზაციის სტრატეგიასთან შესაბამისობას. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ორგანიზაციაში ახალი წევრების შემოსვლას, კულტურის გაცნობას და ინტეგრირებას - სოციალიზაციის პროცესს, რომელი გზითაც თანამშრომელი კომპანიის ღირებულებებს, ნორმებსა და ჩვეულებებს ეცნობა.

ყოველწლიური სტრატეგიული ამოცანებიდან გამომდინარე ჩვენ ვაანალიზებთ არსებულ ღირებულებებს, ვსაზღვრავთ კომპანიისთვის შესაფერის და აუცილებელ ნორმებს, ვამუშავებთ სხვადასხვა აქტივობასა და პროგრამას ახალი სტანდარტების დასანერგად და ვხვეწთ ძველ პროგრამებსა და სისტემებს.

2017 წლის ცვლილებები და სიახლეები რეგულაციებში:

- განახლდა პერსონალის შეფასების სისტემის კითხვარები. გასული წლების მანძილზე დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე, ჩამოვაყალიბეთ კომპეტენციების სტანდარტული მოდელი თანამშრომლებისა და მენეჯერებისთვის. ახალი მოდელი მთლიანად მოერგო ორგანიზაციის კულტურას, საჭიროებებს, ღირებულებებსა და სამომავლო ხედვებს.
- პერსონალის სამსახურში დასწრების აღრიცხვის სისტემაში დაინერგა თანამშრომლებზე ორიენტირებული წესები, რომლის მიხედვითაც, თანამშრომლებს მათთვის უფრო მოხერხებული გრაფიკით მუშაობის საშუალება მიეცათ.
- ცვლილება შევიდა სახელფასო პოლიტიკაშიც: ახლა თანამშრომლებს, მათი სურვილისამებრ, ხელფასი შეუძლიათ მიიღონ თვეში ორჯერ - ორ ნაწილად, ან ძველი რეგულაციის მიხედვით, თვეში ერთხელ.

ბიზნეს განვითარება

- 2017 წელს ჩატარებული, საქმიანობის შეფასების ძირითადი ინდიკატორების (Key Performance Indicators – KPIs) კვლევის შედეგების მიხედვით, კომპანია შესრულების მაღალ ხარისხს აჩვენებს.
- მომხმარებელთა კმაყოფილების 2017 წლის კვლევის მონაცემების მიხედვით, მთლიანად კომპანია, ისევე, როგორც მომხმარებელზე და მომსახურებაზე ორიენტაცია, დადებითადაა შეფასებული.

ხარისხის მართვა

ორგანიზაციაში 2014 წლიდან დანერგილი ხარისხის მართვის სისტემის რესერტიფიცირების მიზნით, კომპანიამ 2017 წელს გაიარა აუდიტი საერთაშორისო აუდიტორულ კომპანიასთან „DQS Holding GmbH“. შემოწმდა სსე-ს საქმიანობის შესაბამისობის დონე ISO 9001:2015 სტანდარტის ახალ ვერსიასთან, რომელიც ორიენტირებულია ბიზნესის მართვის გაუმჯობესებასა და სისტემის შედეგიანობაზე. საერთაშორისო აუდიტორის დასკვნის მიხედვით, „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ შეესაბამება ახალი სტანდარტის მოთხოვნებს და კომპანიას მიენიჭა შესაბამისობის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

„DQS Holding GmbH“ ხარისხის საერთაშორისო ქსელის (IQNet) წევრი მასერტიფიცირებელი ორგანოა და ნებისმიერი სახის მართვის სისტემებისა და პროცესების შეფასებასა და სერტიფიცირებას უზრუნველყოფს. შესაბამისად, სსე გახდა IQNet-ის სერტიფიკატის მფლობელიც.

ISO 9001:2015 სტანდარტის ახალი ვერსიის შესაბამისობის სერტიფიკატის მოპოვებით, სსე ბიზნეს სამყაროში წამყვან პოზიციებზე მყოფ კომპანიებს შორის იკავებს ადგილს.

პერსონალის განვითარება

- 2017 წელს ჩატარდა 40 395 სატრენინგო საათი.
- სასწავლო პროგრამებს დაესწრო თანამშრომლების 66%.
- ტრენინგ საათების წლიურმა მაჩვენებელმა თითოეულ თანამშრომელზე შეადგინა 30 კაც/საათი.
- სასწავლო ცენტრმა, ახალგაზრდა სპეციალისტების გადამზადების პროგრამის ფარგლებში, მოამზადა 19 მსმენელი აქედან 19-ვე დასაქმდა სსე-ში.



ირაკლი დარჩიაშვილი

2014 – სსე-ს ახალგაზრდა სპეციალისტების გადამზადების პროგრამა
ამჟამად – სისტემის მდგრადობის და ანალიზის განყოფილების უფროსი



მიხეილ ლანჩავა

2012 – სსე-ს ახალგაზრდა სპეციალისტების გადამზადების პროგრამა

ამჟამად- ქვესადგურის „გარდაბანი -500“ უფროსი

„ნამდვილ მოტივაციას მიღწევა, პიროვნული ზრდა, სამუშაო კმაყოფილება და აღიარება ქმნის“

ფრედერიკ ჰერცბერგი

შემეცნებითი ჯუკი

2016 წელს, ენერგეტიკის დარგის ახალგაზრდა თაობაში პოპულარიზაციის მიზნით, „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა დედაქალაქის სკოლების უფროსკლასელებისთვის შემეცნებითი ტურის განხორციელების პროექტი დაიწყო. მოსწავლეებისა და პედაგოგების დიდი ინტერესის გათვალისწინებით და დადებითი გამოხმაურებებიდან გამომდინარე, 2017 წლიდან პროექტი დედაქალაქის საზღვრებს გასცდა და შემეცნებით ტურში რეგიონების სკოლების უფროსკლასელებიც ჩაერთნენ. 2017 წლის განმავლობაში, სსე-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა ლანჩხუთის, სვანეთის, გურიის, კახეთის რეგიონების უფროსკლასელებს უმასპინძლა.

შემეცნებითი ტურის ფარგლებში, მოსწავლეები სტუმრობენ „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ სათავო ოფისს, ეცნობიან ეროვნული სადისპეტჩერო ცენტრის ფუნქციონირების ძირითად პრინციპებს, ისმენენ მცირე ლექციას სსე-ს როლზე ქვეყნის ენერგეტიკის განვითარების საქმეში. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის” სასწავლო ცენტრში არსებულ პოლიგონზე, მოსწავლეებს საშუალება აქვთ იხილონ მოდელირებული ქვესადგური, ადგილზე მოისმინონ ინფორმაცია თითოეული ელექტრული დანადგარის ფუნქციისა და როლის შესახებ და უშუალო მონაწილეობა მიიღონ ელექტრომოწყობილობების ტესტირების სამუშაო პროცესში.

ენერგეტიკული მდგრადობა ქვეყნის ეკონომიკურ სიძლიერეს განაპირობებს, ამიტომ ახალი თაობისთვის ამ თემაზე ინფორმაციის მიწოდება სსე-სთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. აღნიშნული პროექტი მოსწავლეებს საშუალებას აძლევს ინფორმაცია მიიღონ სსე-ს როლზე ქვეყნის ენერგეტიკის განვითარების საქმეში, რაც შეიძლება მათი პროფესიის შერჩევაში გადამწყვეტი აღმოჩნდეს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ ცდილობს, რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდა დააინტერესოს ენერგეტიკის სფეროთი, გააცნოს კომპანიაში მიმდინარე მასშტაბური პროექტები, თანამედროვე ტექნოლოგიები, ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული და ევროპული სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურა, რადგან ახალგაზრდა კადრების მოზიდვა სსე-თვის სოციალური პასუხისმგებლობის პოლიტიკის განმსაზღვრელი ნაწილია.














გარემოს დაცვა და სოციალური პასუხისმგებლობა





წინამდებარე გვერდებზე თქვენ გაეცანით, თუ როგორი მრავალფეროვანი და ვრცელია სსე-ს საინვესტიციო პროექტების პორტფელი. ამასთანავე, ენერგეტიკული სექტორის განვითარებასთან ერთად და ამგვარად, ჩვენი ინფრასტრუქტურის მშენებლობით ეროვნული ეკონომიკის მხარდაჭერის პარალელურად, ჩვენ სრულად ვაცნობიერებთ ჩვენს დიდ პასუხისმგებლობას საქართველოს მდიდარი გარემოსა და ბუნებრივი რესურსების მიმართ, ასევე კერძო თემებისა და მოსახლეობის წინაშე, მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების არეალში.

შესაბამისად, ჩვენი ყურადღება ყოველთვის მიმართული იყო გარემოზე ნებისმიერი შესაძლო ზემოქმედებისა და მოსახლეობის განსახლების მინიმუმამდე დაყვანისკენ. ამგვარად, სსე-ს ყველა პროექტი ღიაა ფართო საზოგადოებისთვის და ჩვენი ყველა შესაბამისი გარემოს დაცვისა და სოციალური უსაფრთხოების დოკუმენტი (გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშები, განსახლების სამოქმედო გეგმები და ა.შ.) დეტალურ განხილვას, საზოგადო მსჯელობასა და საჭირო შესწორებებს ექვემდებარება მაქსიმალური გამჭირვალობის მიზნით. უფრო მეტიც, კაპიტალური საინვესტიციო პროექტები, რომლებიც საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერაა დაფინანსებული, ეროვნული მოთხოვნებისა და სტანდარტების პარალელურად, შესაბამისი დონორის საერთაშორისო წესებსა და პროცედურებსაც მისდევს, რაც გარემოსა და საზოგადოებაზე კიდევ მეტ ორიენტირებას უზრუნველყოფს. აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს სსე-ს ჩართულობა გარემოს დაცვისა და სოციალური უსაფრთხოების დარგში საერთაშორისო შეთანხმებებსა და სტანდარტებთან საქართველოს ინტეგრაციის პროცესში.

მეორე მხრივ, სსე ყოველთვის ცდილობს ინფრასტრუქტურული კომპანიებისთვის საერთაშორისოდ აღიარებული ეფექტური პრაქტიკის სწრაფად დანერგვას. ამ კუთხით, მსოფლიო ბანკის სამშენებლო პროექტებისთვის 2017 წელს ჩვენ დავიქირავეთ სტრატეგიული კომუნიკაციის ექსპერტი და კვლავაც ვაგრძელებთ მსგავსი სასარგებლო გამოცდილების დანერგვას სხვა დონორების მიერ დაფინანსებული სამომავლო პროექტებშიც. აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ბანკის ამ წარმატებული ინიციატივით, სსე ერთერთი პირველია საქართველოში სამშენებლო პროექტებისთვის საზოგადოებასთან კომუნიკაციის სტრატეგიის მომზადებასა და საპილოტე რეჟიმში დანერგვაში. ეს ფაქტი ხაზს უსვამს ჩვენს პასუხისმგებლობასა და გამჭირვალობას საზოგადოებისა და კერძო სექტორის მიმართ.

ჩვენ კვლავაც განვაგრძობთ ეფექტური აქტივობების დანერგვას, რათა სსე მოწინავე ბიზნეს პოზიციებს ინარჩუნებდეს გარემოს დაცვისა და სოციალური უსაფრთხოების დარგშიც.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიში



შპს „KPMG Georgia“
მე-2 სართული, ბესიკის ბიზნეს ცენტრი
ბესიკის ქუჩა 4,
0105 თბილისი, საქართველო
ტელეფონი: +995 322 93 5713
ინტერნეტი: www.kpmg.ge

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მმართველთა საბჭოს

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" (შემდგომში- „კომპანია") და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში - „ჯგუფი") კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტორული შემოწმება, რომელიც მოიცავს კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის და ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკისა და სხვა განმარტებითი ხასიათის ინფორმაციის შემცველ შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად ასახავს, ყოველგვარ მატერიალურ ასპექტში, ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მის კონსოლიდირებულ ფინანსურ საქმიანობას და კონსოლიდირებულ ფულად ნაკადებს დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად..

დასკვნის საფუძველი

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტორული შემოწმება აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტების ფარგლებში ჩვენს მიერ ნაკისრი პასუხისმგებლობა აღწერილია ჩვენი დასკვნის პუნქტში - *აუდიტორთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტორულ შემოწმებაზე.* ჩვენ ვსაქმიანობთ ჯგუფისგან დამოუკიდებლად ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს *პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის (IESBA კოდექსი)* შესაბამისად და ვასრულებთ ჩვენს ფინანსურ პასუხისმგებლობას IESBA კოდექსის შესაბამისად. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ის მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტის მსვლელობისას მოვიპოვეთ, წარმოადგენს აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს.

მნიშვნელოვანი გარემოება - შედარებითი ინფორმაცია

ჩვენ ყურადღებას ვაქცევთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების 22 შენიშვნას, რომელიც მიუთითებს, რომ 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი შედარებითი ინფორმაცია ხელახლა იქნა ფორმულირებული. ჩვენი დასკვნა არ არის მოდიფიცირებული აღნიშნულთან დაკავშირებით.

შედარებით ინფორმაციასთან დაკავშირებული სხვა საკითხები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების ჩვენი აუდიტის ფარგლებში 2017 წლით დასრულებული წლისათვის, ჩვენ აუდიტურად შევამოწმეთ 22 შენიშვნაში მოცემული კორექტირებები, რომელიც გამოყენებულია შედარებითი ინფორმაციის ხელახლა ფორმულირებისთვის, რომელიც წარმოდგენილია 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2016 წლის 1 იანვარს. ჩვენი დასკვნით, 22 შენიშვნაში მოცემული კორექტირებები შესაბამისია და სათანადოდ არის გამოყენებული.

შპს „KPMG Georgia“ წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის თანახმად დაფუძნებულ კომპანიას, შვეიცარიული საწარმოს „KPMG International Cooperative“-ის (შემდგომში – “KPMG International”) მიერ აფილირებული დამოუკიდებელი წევრი კომპანიების KPMG ქსელის წევრ კომპანიას.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციაზე. სხვა ინფორმაცია მოიცავს ხელმძღვანელობის ანგარიშში შეტანილ ინფორმაციას, მაგრამ არ მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებს და ჩვენს აუდიტურ დასკვნას მათ შესახებ. ხელმძღვანელობის ანგარიში ხელმისაწვდომი იქნება ჩვენთვის აუდიტური დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი დასკვნა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებების შესახებ არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და არ გამოხატავს გარანტირებულ დასკვნას მასზედ.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების ჩვენს აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობაა გავეცნოთ ზემოთ განსაზღვრულ სხვა ინფორმაციას, როდესაც ხელმისაწვდომი იქნება და ამის შემდეგ განვსაზღვროთ არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო კონსოლდიირებულ ფინანსური ანგარიშგებებთან და აუდიტის დროს მოპოვებულ ინფორმაციასთან ან სხვაგვარად აღმოჩნდება არსებითად არასწორად ფორმულირებული.

ხელმძღვანელობის და პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებების მართვაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობები

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად მომზადებასა და კეთილსინდისიერად წარდგენაზე და ისეთი შიდა კონტროლის სისტემაზე, რომელიც, ხელმძღვანელობის თვალსაზრისით, შესაძლებელს გახდის ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებას, რომელიც არ შეიცავს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებულ არსებით უზუსტობებს..

კონსოლიდირებული ფინანსური იანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჯგუფის შესაძლებლობების შეფასებაზე, განაგრძოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ და მოახდინოს მსგავსი შეფასების წარდგენა მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს ჯგუფის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებისა.

მმართველობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხს აგებენ ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადების და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტორულ შემოწმებაზე

ჩვენს მიზანს წარმოადგენს გონივრული რწმუნების მიღება იმის თაობაზე, არის თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალი თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან და აუდიტორთა დასკვნის გაცემა, რომელიც მოიცავს ჩვენს აზრს. გონივრული რწმუნება არის რწმუნებულების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებული არსებითი უზუსტობების გამოვლენას. უზუსტობები შესაძლებელია წარმოიშვას თაღლითობისან შეცდომის შედეგად დაარსებითად მოიაზრებოდეს, თუ მათ შეუძლია, ცალკე ან ერთობლივად, გონივრულ ფარგლებში გავლენა მოახდინოს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე..

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთანავე ჩვენ:

— ვახდენთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობისან შეცდომის

შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთია უდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და მიზანშეწონილია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგადწარმოშობილი არსებითი უზუსტობების გაუმჟღავნებლობის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახუმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდაკონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას.

— ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდაკონტროლის მექანიზმების გააზრებას არსებული ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა ჯგუფის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად.

— ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკის შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას.

— გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებთან და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლებელია ეჭვის ქვეშ დააყენოს ჯგუფის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ შესაბამის ინფორმაციაზე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვალოთ ჩვენი დასკვნა. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი დასკვნების შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს ჯგუფი შეწყვიტოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ.

— ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მთლიან წარმოდგენას, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთო ფორმით, რომ უზრუნველყოფილი იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

— ვიღებთ შესაბამის და სათანადო აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფის შიგნით არსებული კომპანიების ან ბიზნეს საქმიანობის ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით იმისათვის, რომ გამოვთქვათ აზრი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ პასუხს ვაგებთ ჯგუფის აუდიტის წარმართვაზე და მის ზედამხედველობაზე. ჩვენ ერთპიროვნულად ვაგებთ პასუხს ჩვენს აუდიტორულ დასკვნაზე.

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს გავუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენს მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

აუდიტის პარტნიორს, რომლის შედეგადაც მოცემული დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა გაიცა, წარმოადგენს:

ენდრიუ კოქსშელი
შპს „KPMG Georgia“
XX ივლისი 2018წ.

’000ლარი	შენიშვნა	2017	2016 ხელახლა ფორმულირებული	1 იანვარი 2016 ხელახლა ფორმულირებული
აქტივები				
არამიმდინარე აქტივები				
ძირითადი საშუალებები	7	1,002,178	1,170,354	1,012,080
არამატერიალური აქტივები		2,243	1,489	1,189
გრძელვადიან აქტივებზე გადახდილი ავანსები		9,896	20,590	39,261
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	7,458	14,796	24,078
გადავადებული საგადასახადო აქტივები		-	-	9,872
სულ გრძელვადიანი აქტივები		**1,021,775**	**1,207,229**	**1,086,480**
მიმდინარე აქტივები				
მარაგები		6,629	6,988	7,347
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	21,538	31,818	35,227
მომწოდებლებზე გაცემული ავანსები		4,303	1,035	362
ფული და ფულის ექვივალენტები	9	47,295	25,275	15,081
სულ მიმდინარე აქტივები		**79,765**	**65,116**	**58,017**
სულ აქტივები		**1,101,540**	**1,272,345**	**1,144,497**
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი	10			
სააქციო კაპიტალი		639,052	599,984	574,422
დაურეგისტრირებელი კაპიტალი		11,259	11,259	6,259
უცხოური ვალუტის გადაცვლის რეზერვი		515	555	269
დაგროვილი ზარალი		(828,276)	(507,952)	(427,929)
სულ კაპიტალი		**(177,450)**	**103,846**	**153,021**
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები				12
სესხები და კრედიტები	12	610,002	790,727	670,100
რესტრუქტურიზებული ვალდებულებები	13	47,875	56,417	59,455
აქტივებთან დაკავშირებული გრანტები	14	107,797	108,533	104,296
სხვა საგადასახადო ვალდებულებები		1,165	1,618	1,646
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**766,839**	**957,295**	**837,119**
მიმდინარე ვალდებულებები				

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება იკითხება შენიშვნებთან ერთად და წარმოადგენს 10-დან 38 გვერდამდე წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ ნაწილს..

’000ლარი	შენიშვნა	2017	2016 ხელახლა ფორმულირებული	1 იანვარი 2016 ხელახლა ფორმულირებული
სესხები და კრედიტები	12	444,281	150,870	99,666
სავაჭრო და სხვა დავალიანებები	15	47,939	46,038	43,395
რესტრუქტურიზებული ვალდებულებები	13	15,000	10,000	7,000
აქტივებთან დაკავშირებული გრანტები	14	4,931	4,296	4,296
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**512,151**	**211,204**	**154,357**
სულ ვალდებულებები		**1,278,990**	**1,168,499**	**991,476**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**1,101,540**	**1,272,345**	**1,144,497**

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება იკითხება შენიშვნებთან ერთად და წარმოადგენს 10-დან 38 გვერდამდე წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ ნაწილს..

'000 ლარი	**შენიშვნა**	**2017**	**2016**
შემოსავალი	5	133,370	120,159
სხვა შემოსავალი		14,030	9,453
სახელფასო ხარჯები		(26,051)	(24,461)
ცვეთა და ამორტიზაცია		(56,010)	(51,801)
ძირითადი საშუალებების გაუფასურება	7	(250,117)	-
სხვა საოპერაციო ხარჯები		(29,498)	(31,581)
შედეგები საოპერაციო საქმიანობიდან		**(214,276)**	**21,769**
ფინანსური შემოსავალი	6	2,744	3,214
ფინანსური ხარჯი	6	(108,792)	(96,756)
წმინდა ფინანსური ხარჯი		**(106,048)**	**(93,542)**
ზარალი მოგების გადასახადამდე		**(320,324)**	**(71,773)**
მოგების გადასახადის სარგებელი		-	(8,250)
ზარალი წლის განმავლობაში		**(320,324)**	**(80,023)**
სხვა სრული (ზარალი) შემოსავალი			
ანგარიშგების ელემენტები, რომელთა რეკლასიფიკაცია შესაძლებელია მოგებაში ან ზარალში			
უცხოურ ოპერაციებთან დაკავშირებული უცხოური ვალუტის გაცვლის სხვაობები		(40)	286
სულ სრული ზარალი წლის განმავლობაში		**(320,364)**	**(79,737)**

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2018 წლის 29 ივნისს და ხელმოწერილია შემდეგი პირების მიერ:

მამუკა სხილაძე
მმართველთა საბჭოს
ხელმძღვანელის მოვალეობათა
შემსრულებელი

ნინო მაისურაძე
მთავარი ბუღალტერი

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება იკითხება შენიშვნებთან ერთად და წარმოადგენს 10-დან 39-ე გვერდამდე წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ ნაწილს.

სს „საქართველოსსახელმწიფოელექტროსისტემა“
2017 წლის კაპიტალში ცვლილების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

'000 ლარი	**სააქციო კაპიტალი**	**დაურეგისტრირებელი კაპიტალი**	**საკურსო სხვაობის რეზერვი**	**დაჭროვილი ზარალი**	**სულ კაპიტალი**
ნაშთი 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	574,422	6,259	269	(427,929)	**153,021**
სულ სრული შემოსავალი მოცემული წლისთვის					
ზარალი წლის განმავლობაში	-	-	-	(80,023)	(80,023)
სხვა სრული მოგება					
უცხოურ ოპერაციებთან დაკავშირებული უცხოური ვალუტის გაცვლის სხვაობები	-	-	286	-	286
სულ სხვა საერთო მოგება მოცემული წლისთვის	**-**	**-**	**286**	**-**	**286**
სულ საერთო ზარალი მოცემული წლისთვის	**-**	**-**	**286**	**(80,023)**	**(79,737)**
შენატანები და განაწილებები მფლობელების მიერ და მფლობელებისთვის					
მფლობელის არაფულადი შენატანები (იხ. შენიშვნა 7)	30,562	-	-	-	30,562
შემცირებული სააქციო კაპიტალი	(5,000)	5,000	-	-	-
სულ მფლობელების შენატანები და განაწილება	25,562	5,000	-	-	30,562
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**599,984**	**11,259**	**555**	**(507,952)**	**103,846**
ნაშთი 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	599,984	11,259	555	(507,952)	103,846
სულ სრული ზარალი მოცემული წლისთვის					
ზარალი წლის განმავლობაში	-	-	-	(320,324)	(320,324)
სხვა სრული ზარალი					
უცხოურ ოპერაციებთან დაკავშირებული უცხოური ვალუტის გაცვლის სხვაობები	-	-	(40)	-	(40)
სულ სხვა საერთო ზარალი მოცემული წლისთვის	**-**	**-**	**(40)**	**-**	**(40)**
სულ საერთო ზარალი მოცემული წლისთვის	**-**	**-**	**(40)**	**(320,324)**	**(320,364)**
მფლობელების შენატანები და განაწილებები					
მფლობელის არაფულადი შენატანები (იხ. შენიშვნა 7)	528	-	-	-	528
აქციების გამოშვება ნაღდი ფულით (იხილეთ შენიშვნა 10(a))	38,540				38,540

7

კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება იკითხება შენიშვნებთან ერთად და წარმოადგენს 10-დან 40 გვერდამდე წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ ნაწილს.

სულ მფლობელების შენატანები და განაწილება	39,068	-	-	-	39,068
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**639,052**	**11,259**	**515**	**(828,276)**	**(177,450)**

კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება იკითხება შენიშვნებთან ერთად და წარმოადგენს 10-დან 40 გვერდამდე წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ ნაწილს.

სს „საქართველოსსახელმწიფოელექტროსისტემა“
2017 წლის ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება

'000ლარი	შენიშვნა	2017	2016
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
ზარალი მოგების გადასახადამდე		(320,324)	(71,773)
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		56,010	51,801
ძირითადი საშუალებების გაუფასურების ზარალი	7	250,117	-
ძირითადი საშუალებების გასხვისებით და ჩამოწერით გამოწვეული ზარალი		10,281	6,044
წმინდა ფინანსური ხარჯი	6	106,048	93,542
შემოსავალი გრანტების ამორტიზაციიდან	14	(4,979)	(4,377)
		97,153	**75,237**
ცვლილებები:			
მარაგები		359	359
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		17,132	14,969
აქტივებთან დაკავშირებული გრანტები	14	4,878	8,614
მომწოდებლებზე გაცემული ავანსები		(3,268)	(673)
სხვა საგადასახადო ვალდებულებები		(453)	(30)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		(1,147)	(6,041)
ფულადი ნაკადები განხორციელებული ოპერაციებიდან პროცენტის გადახდამდე		**114,654**	**92,435**
გადახდილი პროცენტი		(17,900)	(16,190)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		**96,754**	**76,245**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
მიღებული პროცენტი		2,744	3,214
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა		(133,873)	(160,368)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		**(131,129)**	**(157,154)**
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
შემოსავლები სესხებიდან		81,056	145,160
რესტრუქტურიზებული ვალდებულებების ანგარიშსწორება		(10,387)	(7,000)
გადახდილი სესხები		(53,290)	(48,537)
სააქციო კაპიტალის გამოშვებიდან მიღებული შემოსავლები		38,540	-
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		**55,919**	**89,623**
წმინდა ზრდა ფულში და მის ეკვივალენტებში		**21,544**	**8,714**
ფული და ფულის ექვივალენტები 1 იანვრის მდგომარეობით		25,275	15,081

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება იკითხება შენიშვნებთან ერთად და წარმოადგენს 10-დან 41-ე გვერდამდე წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ ნაწილს.

.

’000ლარი	**შენიშვნა**	**2017**	**2016**
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულზე და მის ეკვივალენტებზე		476	1,480
ფული და ფულის ექვივალენტები 31 დეკემბრის მდგომარეობით	9	**47,295**	**25,275**

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება იკითხება შენიშვნებთან ერთად და წარმოადგენს 10-დან 41-ე გვერდამდე წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ ნაწილს.

.

1. ანგარიშგების წარმდგენი ორგანიზაცია

(a) ორგანიზაცია და საქმიანობა

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ (შემდგომში - „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიები (შემდგომში - „ჯგუფი“) წარმოადგენენ მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული სააქციო და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებს და სააქციო საზოგადოებას რეგისტრირებულს და მოქმედს თურქეთის რესპუბლიკაში. იხ. შენიშვნა 20..

კომპანია წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 2002 წლის 12 ნოემბერს სს „ელექტროგადაცემისა“ და შპს „ელექტროდისპეჩერიზაცია-2000“-ის შერწყმის შედეგად დაფუძნებულ სააქციო საზოგადოებას და მათ სამართალმემკვიდრეს.

კომპანიის იურიდიული მისამართია - საქართველო, თბილისი 0105, ბარათაშვილის ქუჩა №2. კომპანისი რეგისტრაციის ნომერია # 5/4-3396.

კომპანიის მთავარ საქმიანობას წარმოადგენს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ელექტროენერგიის გადაცემა და დისპეჩერიზაცია, რაც რეგულირდება საქართველოს კანონით ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის შესახებ. შპს „ენერგოტრანსი“, ჯგუფის ძირითადი შვილობილი კომპანია, დაარსდა 2002 წელს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული საწარმოს სახით. შპს „ენერგოტრანსის“ ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ელექტროენერგიის გადაცემა, ექსპორტისა და ელექტროენერგიის მიწოდების ჩათვლით, ვარძიისა და ზეკარი 500-კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზებისა და მესხეთის 400-კილოვოლტიანი შემაერთებელი ხაზის საშუალებით თურქეთთან, რომელიც გაყვანილ იქნა „შავი ზღვის ელექტროგადამცემი ქსელის პროექტის“ (BSTN) შემადგენელი ნაწილის სახით. BSTN უზრუნველყოფს დამატებით უსაფრთხოებას საქართველოს ელექტროგადამცემი ქსელისთვის მეორე დასავლეთ-აღმოსავლეთ 500-კილოვოლტიანი ხაზის დამატების გზით და თურქეთში ელექტროენერგიის ექსპორტის შესაძლებლობის ხელშეწყობით. BSTN პროექტი დასრულდა 2013 წლის ბოლოს. ჯგუფი ახორციელებს თავის საქმიანობას ლიცენზიების საფუძველზე, რომლებიც მოპოვებული აქვს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიისაგან (შემდგომში - „სემეკი“) განუსაზღვრელი ვადით.

2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის მშობელ და საბოლოო მშობელ კომპანიას წარმოადგენს სს „საპარტნიორო ფონდი“ (მფლობელი). ჯგუფის მთავარ მაკონტროლებელ მხარეს წარმოადგენს საქართველოს მთავრობა. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია 19 შენიშვნაში.

(b) საქართველოს ბიზნეს გარემო

ჯგუფის საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, ჯგუფი დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც წარმოადგენენ განვითარებადი ქვეყნის ბაზრებს. სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი ბაზები ჯერ კიდევ ვითარდება და განიცდის სხვადასხვა ინტერპრეტაციებსა და ცვლილებებს, რომლებიც სხვა სამართლებრივ და ფისკალურ

დაბრკოლებებთან ერთად, სირთულეებს უქმნის საქართველოს ტერიტორიაზე მომუშავე კომპანიებს. მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ასახავს ჯგუფის ოპერაციებსა და მის ფინანსურ მდგომარეობაზე საქართველოს ბიზნეს გარემოს ზეგავლენის შეფასებას ხელმძღვანელობის მიერ. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებისგან ,

2. მომზადების საფუძველი

შესაბამისობა

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან („ფასს“) სრულ შესაბამისობაში.

3. ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტაა ქართული ლარი, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას და ვალუტას, რომელშიც წარმოდგენილია წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება. ჯგუფის ყოველი საწარმოს ფუნქციონალური ვალუტა წარმოადგენს ჯგუფის ეკონომიკური მდგომარეობის ამსახველვალუტას, რომელშიც აღნიშნული საწარმო ახორციელებს ოპერაციებს.

ქართულ ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე, გარდა სხვაგვარად განსაზღვრულიშემთხვევებისა..

4. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია “ფასს”-თან შესაბამისობაში, რაც მოითხოვს ხელმძღვანელობისაგან ისეთ მსჯელობების, შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენენ ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკაზე და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. რეალური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისაგან.

შეფასებებისა და ძირითადი დაშვებების გადახედვა ხორციელდება მუდმივად. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგებიაღიარდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა მათი გადახედვა და ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზეც მათ ექნებათ გავლენა.

სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას კრიტიკული მოსაზრებების შესახებ ინფორმაცია, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებზე, წარმოდგენილია შემდეგ შენიშვნებში:

- შენიშვნა 12- სესხების და კრედიტების სამართლიანი ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას..
- შენიშვნა 23 (i) (iii) – ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა.

ქვემოთ მოცემულ შენიშვნაში განსაზღვრულია დაშვებების ან შეფასებების გაურკვევლობა, რომლებსაც გააჩნიათ მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში არსებითი კორექტირების მნიშვნელოვანი რისკი:

- შენიშვნა 7 (გ) – ძირითადი საშუალებების გაუფასურების შემოწმება: მნიშვნელოვანი მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად უდევს ანაზღაურებად თანხებს, მათ შორის ძირითადი საშუალებების ანაზღაურებადობას.

სამართლიანი ღირებულების შეფასება

ჯგუფის გარკვეული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებები მოითხოვს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრას. სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა შეფასებისა და განმარტების მიზნებისათვის. სამართლიანი ღირებულება ჯგუფდება სხვადასხვა დონეების მიხედვით სამართლიანი

ღირებულების იერარქიაში, შეფასების მეთოდოლოგიაში წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე::

- *დონე 1*: კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე) აქტიურ ბაზარზე ანალოგიური აქტივებისა ან ვალდებულებებისთვის.
- *დონე 2*: მონაცემები გარდა იმისა, რაც შედის პირველ დონეში და რომლებიც თვალსაჩინოა როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირიბად (ფასებისაგან წარმოებული.
- *დონე 3*: მონაცემები აქტივისა ან ვალდებულებისთვის, რომელიც არ ეყრდნობა დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არადაკვირვებადი მონაცემები)..

იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული მონაცემების დაჯგუფება შესაძლოა სამართლიანი ღირებულების სხვადასხვა დონეებში, მაშინ სამართლიანი ღირებულების შეფასების დაჯგუფება ხდება მთლიანობაში რეალური ღირებულების იერარქიის იმავე დონეში, რომელშიც ყველაზე დაბალი დონის მონაცემებია, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

დამატებითი ინფორმაცია სამართლიანი ღირებულების შეფასების დაშვების შესახებ მოცემულია შენიშვნაში 16 (ა) – ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება.
.

5. შემოსავალი

’000ლარი	2017	2016
შემოსავალი ელექტროენერგიის გადაცემიდან	109,846	92,811
შემოსავალი ელექტროენერგიის ექსპორტიდან	10,776	7,989
შემოსავალი ელექტროენერგიის დისპეჩერიზაციიდან	8,096	8,918
შემოსავალი ტრანზიტიდან	4,642	7,654
სხვა შემოსავალი	10	2,787
სულ შემოსავლები	**133,370**	**120,159**

შემოსავალი ექსპორტიდან მოიცავს ელექტროენერგიის გადაცემიდან და დისპეჩერიზაციიდან მიღებულ შემოსავალს.

შემოსავლის გაანგარიშება ხდება საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის („სემეკი“) მიერ დადგენილი გადაცემისა და დისპეჩერიზაციის ტარიფების საფუძველზე.

6. ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯი

’000ლარი	2017	2016
აღიარებული მოგებაში ან ზარალში		
საპროცენტო შემოსავალი საბანკო ნაშთებზე	2,744	3,214
ფინანსური შემოსავალი	**2,744**	**3,214**
საპროცენტო ხარჯი სესხებსა და კრედიტებზე	(21,280)	(19,925)
დისკონტის ამორტიზაცია რესტრუქტურიზებულ ვალდებულებებზე	(6,220)	(5,989)
საკურსო სხვაობით გამოწვეული ზარალი	(81,292)	(70,842)
ფინანსური ხარჯი	**(108,792)**	**(96,756)**
წმინდა ფინანსური ხარჯი აღიარებული მოგებაში ან ზარალში	**(106,048)**	**(93,542)**

2017 წელს ჯგუფმა მოახდინა სესხებსა და კრედიტებზე პროცენტის კაპიტალიზაცია 3,331 ათასი ლარის ოდენობით (2016 წელს: 2,361 ათასი ლარი). იხ. შენიშვნა 7.

7. ძირითადი საშუალებები

’000ლარი	მიწა და შენობა-ნაგებობები	ელექტროგად ამცემი ხაზები	აღჭურვილობა, სატრანსპორტო საშუალებები და სხვა	მიმდინარე მშენებლობა	სულ
ღირებულება ან პირობითი ღირებულება					
ნაშთი 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	107,289	369,331	675,010	126,446	1,278,076
დანარიცხები	989	38	486	214,434	215,947
გასხვისებები	-	-	(405)	(6,029)	(6,434)
გადაცემები	22,300	24,592	99,709	(146,601)	-
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**130,578**	**393,961**	**774,800**	**188,250**	**1,487,589**

’000ლარი	მიწა და შენობა-ნაგებობები	ელექტროგად ამცემი ხაზები	აღჭურვილობა, სატრანსპორტო საშუალებები და სხვა	მიმდინარე მშენებლობა	სულ
ნაშთი 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**130,578**	**393,961**	**774,800**	**188,250**	**1,487,589**
დანარიცხები	219	214	-	147,465	147,898
გასხვისებები/ჩამოწერა	-	-	(1,500)	(9,072)	(10,572)
გადაცემები	8,079	64,580	69,514	(142,173)	-
ნაშთი 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**138,876**	**458,755**	**842,814**	**184,470**	**1,624,915**
ცვეთა					
ნაშთი 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(27,534)	(103,476)	(134,986)	-	(265,996)
ცვეთა წლის განმავლობაში	(3,642)	(15,878)	(32,113)	-	(51,633)
გასხვისებები	-	21	373	-	394
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**(31,176)**	**(119,333)**	**(166,726)**	**-**	**(317,235)**
ნაშთი 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**(31,176)**	**(119,333)**	**(166,726)**	**-**	**(317,235)**
ცვეთა წლის განმავლობაში	(4,258)	(24,161)	(27,253)	-	(55,672)
გასხვისებები	-	-	287	-	287
გაუფასურების ზარალი	(14,281)	(69,925)	(150,545)	(15,366)	(250,117)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**(49,715)**	**(213,419)**	**(344,237)**	**(15,366)**	**(622,737)**
საბალანსო ღირებულებები					
2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**79,755**	**265,855**	**540,024**	**126,446**	**1,012,080**
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**99,402**	**274,628**	**608,074**	**188,250**	**1,170,354**
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**89,161**	**245,336**	**498,577**	**169,104**	**1,002,178**

2017 წლის განმავლობაში მესაკუთრემ განახორციელა 528 ათასი ლარის ოდენობის შენატანი კომპანიის მიწებში, გადამცემ ხაზებსა და დაკავშირებულ აღჭურვილობაში (2016 წელს: 30,562 ათასი ლარის მიწის ნაკვეთებში და სხვა ძირითად საშუალებებში) საწესდებო კაპიტალის მატების სახით. ამ აქტივების ნომინალური თანხა არსებითად არ განსხვავდება აქტივების სამართლიანი ღირებულებისგან.

(a) უზრუნველყოფა

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებები, რომელთა საბალანსო ღირებულებები შეადგენს 61,102 ათასი ლარს (2016 წელს: 98,927 ათასი ლარი), (მიწის ნაკვეთები ელექტროგადამცემ ხაზებსა და შესაბამის ტექნიკურ აღჭურვილობასთან ერთად) დაგირავებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ სესხების, კრედიტებისა და რესტრუქტურიზებული ვალდებულებების უზრუნველყოფის სახით (იხილეთ მე-12 და მე-13 შენიშვნები).

(b) მიმდინარე მშენებლობა

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 169,104 ათასი ლარის ღირებულების (2016 წელს: 188,915 ათასი ლარი), მიმდინარე მშენებლობა მოიცავს 20,095 ათასი ლარის (2016 წ: 27,965 ათასი ლარი) სათადარიგო ნაწილებს და სარეზერვო აპარატურას ძირითადი საშუალებების მხარდასაჭერად, 145,698 ათასი ლარი (2016 წ: 158,283 ათასი ლარი) მიმდინარე მშენებლობა და 3,311 ათასი ლარი (2016 წ: 2,667 ათასი ლარი) კაპიტალიზირებული სასესხო ხარჯები მშენებლობასთან დაკავშირებით და ქსანის ელექტროგადამცემი ხაზების და ქვესადგურების მოდერნიზაციასთან, გადამცემი ქსელის გაძლიერების პროექტთან, ასევე სხვა გადამცემი ქსელების რეაბილიტაციის პროექტებთან დაკავშირებით.

(c) ძირითადი საშუალებების გაუფასურების შემოწმება

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელმძღვანელობამ მოახდინა ჯგუფის შვილობილი კომპანიის შპს „ენერგოტრანსის“ (შემდგომში - „CGU“) ძირითადი საშუალებების მაჩვენებლის გაუფასურების შესაძლებლობის იდენტიფიცირება იმის გამო, რომ 2017 წელს შპს „ენერგოტრანსის“ წმინდა საოპერაციო ფულადი ნაკადები დაგეგმილზე მნიშვნელოვნად ნაკლები იყო, რომელიც ძირითადად განპირობებული იყო ელექტროენერგიის ტრანზიტით გამოწვეული საბიუჯეტო ფულადი ნაკადების დეფიციტით. CGU-ს ანაზღაურებადი თანხა წარმოდგენილი იყო მისი გამოყენებული ღირებულების საფუძველზე, რაც განისაზღვრა CGU-ს უწყვეტი გამოყენებით გენერირებული სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებით.

CGU-ს საბალანსო ღირებულება, რომელიც შეადგენს 535,480 ათას ლარს, განისაზღვრა უფრო მაღალი ოდენობით, ვიდრე მისი ანაზღაურებადი თანხა, რომელიც შეადგენს 285,363 ათას ლარს და შესაბამისად გაუფასურების ხარჯი, რომელიც შეადგენს 250,117 ათას ლარს, აღიარებულია გაუფასურების ზარალში 2017 წლის განმავლობაში, რომელიც გაუნაწილდა CGU-ს პროპორციულ საფუძველზე:

შემდეგი მნიშვნელოვანი დაშვებები იქნა გამოყენებული ანაზღაურებადი თანხის შეფასებაში:

- ფულადი სახსრების მოძრაობა პროგნოზირებულია 28 წლის განმავლობაში. ხელმძღვანელობა თვლის, რომ 28 წლის გამოყენება დასაბუთებულია როგორც პერიოდი, რომელიც წარმოადგენს CGU-ს საშუალო შეწონილ დანარჩენ სასარგებლო გამოყენების ვადას, CGU-ში ინვესტიციების ანაზღაურებისთვის და ინვესტორების შემოსავლიანობის ნორმისთვის, როგორც განსაზღვრულია საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (შემდგომში - „სემეკი“) მიერ დამტკიცებული ტარიფის განსაზღვრის მეთოდოლოგიის საფუძველზე;
- დატვირთვის კოეფიციენტი 400 კვ ენერგოგადამცემი ხაზისთვის, რომელიც დაპროექტებულია პროგნოზულ პერიოდში, შეადგენს 17.53%-ს. დატვირთვის კოეფიციენტი გამოითვალა, როგორც წმინდა პროგნოზული ექსპორტის / იმპორტის მაჩვენებელი, რომელიც დაყოფილია გადამცემი ხაზის პოტენციური სიმძლავრის საფუძველზე.
- ფულადი ნაკადების შემოდინება მოსალოდნელია შემოსავლის ორი ძირითადი

წყაროდან: ელექტროენერგიის ტრანზიტი და ექსპორტი; მაგრამ მნიშვნელოვანი დეფიციტის გამო საბიუჯეტო თანხებიდან და გარეშე საბაზრო ინფორმაციიდან, შემოსავლები ელექტროენერგიის ტრანზიტიდან სავარაუდოდ შეადგენს ნულს.

- შემოსავალი დაიგეგმა ფაქტობრივ საოპერაციო შედეგებზე და კომპანიის ხუთწლიან ბიზნეს გეგმაზე დაყრდნობით, რომელიც შემუშავებულია საქართველოს ელექტროგადამცემი ქსელის ათწლიანი განვითარების გეგმის მიხედვით, რომელიც, თავის მხრივ, საქართველოს მთავრობის მიერ არის დამტკიცებული;

- 12.2%-იანი დაბეგვრამდე დისკონტირების განაკვეთი გამოიყენება მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების განსაზღვრაში. დისკონტირების განაკვეთი ასახავს შემოსავლის ნომინალურ მოთხოვნილ განაკვეთს ლარში დენომინირებული ფულადი ნაკადებისთვის კომპანიების მიერ ინვესტირებულ კაპიტალზე.

ზემოაღნიშნული შეფასებები მგრძნობიარეა ცვლილებების მიმართ დისკონტირების განაკვეთში. დისკონტირების განაკვეთში 1% პუნქტის ზრდა გამოიწვევს გაუფასურების ზარალის ზრდას, რომელიც დაახლოებით შეადგენს 13,788 ათას ლარს.

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

’000ლარი	**2017**	**2016**
გრძელვადიანი მოთხოვნები		
დღგ-ს მოთხოვნა	**7,458**	**14,796**
მიმდინარე მოთხოვნები		
სავაჭრო მოთხოვნები	26,779	92,762
გაუფასურების რეზერვი სავაჭრო მოთხოვნებზე	(15,156)	(76,900)
სავაჭრო მოთხოვნები, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით	11,623	15,862
დღგ-ს მოთხოვნა	7,490	13,212
სხვა მოთხოვნები	4,466	5,329
გაუფასურების რეზერვი სხვა მოთხოვნებზე	(2,041)	(2,585)
	21,538	**31,818**

ჯგუფის მიდრეკილება საკრედიტო და სავალუტო რისკებისადმი, ასევე სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებული გაუფასურების ზარალი წარმოდგენილია მე-16 შენიშვნაში .

9. ფული და ფულის ექვივალენტები

’000 ლარი	**2017**	**2016**
მცირე ფულადი თანხები	-	9
ბანკსი ნაშთები	47,295	25,266
ფული და ფულის ექვივალენტები ფინანსური მდგომარეობის და ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში	**47,295**	**25,275**

ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების გაუფასურებას ან ვადაგადაცილებას არ ჰქონია ადგილი.

ჯგუფის მიდრეკილება საპროცენტო განაკვეთის რისკისადმი და მგრძნობელობის ანალიზი ფინანსურ აქტივებისა და ვალდებულებებისთვის წარმოდგენილია მე-16 შენიშვნაში.

10. კაპიტალი

(a) სააქციო კაპიტალი

აქციების რაოდენობა, თუ სხვა რამ არ არის მითითებული	**ჩვეულებრივი აქციები**	
	2017	**2016**
ნომინალური ღირებულება	ლარი 1	ლარი 1
31 დეკემბრის მდგომარეობით გამოშვებული, სრულად განაღდებული	**639,059,404**	**599,983,833**

ჩვეულებრივი აქციების გამოშვება

2017 წლის მარტში, სექტემბერში, ნოემბერში და დეკემბერში, აქციონერთა საერთო კრებამ დაამტკიცა 8,540,000, 14,000,000, 1,000,000 და 15,000,000 (მთლიანობაში 38,540,000) ჩვეულებრივი აქციების გამოშვება, თითოეული აქცია - 1 ლარის ნომინალური ღირებულებით (2016: ნული).

(b) დაურეგისტრირებელი კაპიტალი

დაურეგისტრირებელი კაპიტალი შედგება იმ აქციონერების მიერ გაკეთებული აქტივების შენატანებისგან, რომელიც არის კომპანიის მფლობელობაში, მაგრამ ჯერ არ არის რეგისტრირებული კომპანიის წესდებაში და ასევე სხვა განსხვავებები სააქციო კაპიტალის რეგისტრირებულ თანხასა და აქციონერების მიერ შეტანილი აქტივის სამართლიან ღირებულებას შორის .

(c) დივიდენდები

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, კომპანიის განაწილებადი რეზერვები შემოიფარგლება გაუნაწილებელი მოგების ნაშთით, რაც ასახულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების თანახმად კომპანიის მოქმედ ფინანსურ ანგარიშგებაში.

(d) საკურსო სხვაობის რეზერვი

საკურსო სხვაობის რეზერვი შედგება უცხოურ ვალუტასთან დალავშირებული ყველა სხვაობისგან, რომელიც წარმოიშობა უცხოური ოპერაციების ფინანსური ანგარიშგებების გადაყვანის შედეგად.

11. კაპიტალის მართვა

ჯგუფს არ გააჩნია კაპიტალის მართვის ოფიციალური პოლიტიკა, თუმცა ხელმძღვანელობა ცდილობს მოიძიოს საკმარისი კაპიტალის საფუძველი ჯგუფის საოპერაციო და სტრატეგიული მოთხოვნების, ასევე რეაბილიტაციის გეგმის მიზნების დასაკმაყოფილებლად (იხ. შენიშვნა 13). აღნიშნული მიიღწევა ეფექტური ფულადი სახსრების მართვის, ჯგუფის შემოსავლებისა და გასავლების მუდმივი მონიტორინგის და ძირითადად ჯგუფის საოპერაციო ფულადი ნაკადებით დაფინანსებული გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმების, ასევე სესხებისა და კრედიტების საშუალებით.

წლის განმავლობაში კაპიტალის მართვის მიმართ ჯგუფის მიდგომაში არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

არც კომპანია და არც მისი რომელიმე შვილობილი კომპანია არ ექვემდებარება გარედან დაწესებულ კაპიტალთან დაკავშირებულ მოთხოვნებს.
.

12. სესხები და კრედიტები

წინამდებარე შენიშვნა ითვალისწინებს ინფორმაციას ჯგუფის პროცენტიანი სესხებისა და კრედიტების სახელშეკრულებო პირობების შესახებ, რომლებიც განისაზღვრება

ამორტიზირებული ღირებულების მიხედვით. ჯგუფის საპროცენტო განაკვეთების, უცხოური ვალუტისა და ლიკვიდურობის რისკის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ იხილოთ მე-16 შენიშვნა.

’000ლარი	2017	2016 ხელახლა ფორმულირებული	1 იანვარი 2016 ხელახლა ფორმულირებული
გრძელვადიანი ვალდებულებები			
არაუზრუნველყოფილი სესხები ფინანსური დაწესებულებებიდან	580,607	730,273	602,011
უზრუნველყოფილი სესხები ფინანსური დაწესებულებებიდან	29,395	37,800	42,349
უზრუნველყოფილი სესხები დაკავშირებული მხარისგან	-	22,654	25,740
	610,002	**790,727**	**670,100**
მიმდინარე ვალდებულებები			
არაუზრუნველყოფილი სესხების მიმდინარე ნაწილი ფინანსური დაწესებულებებიდან	399,918	130,199	79,861
უზრუნველყოფილი სესხების მიმდინარე ნაწილი ფინანსური დაწესებულებებიდან	9,488	9,570	8,845
უზრუნველყოფილი სესხების მიმდინარე ნაწილი დაკავშირებული მხარისგან	34,875	11,101	10,960
	444,281	**150,870**	**99,666**

(a) პირობები და სესხის დაფარვის გრაფიკი

გადასახდელი სესხების ვადები და პირობები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

				31 დეკემბერი 2017		31 დეკემბერი 2016	
’000 ლარი	ვალუტა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის წელი	ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება	ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება
არაუზრუნველყოფილი სესხები ფინანსური ინსტიტუტებიდან :							
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - KfW	ევრო	KfW საორიენტაციო განაკვეთი +4%	2027	244,760	244,760	214,587	214,587
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - KfW	ევრო	2.2%	2025	75,052	75,052	46,764	46,764
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - EIB	ევრო	Euribor+0.75%	2033	216,626	216,626	208,567	208,567
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო- EBRD	ევრო	Euribor+1%	2025-2028	176,260	176,260	152,103	152,103
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო- KfW	ევრო	1%-1.5%	2025-2037	50,249	50,249	48,696	48,696
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო – ADB	აშშ დოლარი	1%-1.5%	2044	112,928	112,928	112,962	112,962
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო – IBRD	აშშ დოლარი	მსოფლიო ბანკის სასესხო სახაზინო განაკვეთები	2038	104,650	104,650	76,793	76,793

უზრუნველყოფილი სესხები ფინანსური ინსტიტუტებიდან:							
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო- KfW	ევრო	4%	2021	9,366	9,366	10,538	10,538
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო- IDA	აშშ დოლარი	მსოფლიო ბანკის სასესხო სახაზინო განაკვეთები	2022	29,516	29,516	36,832	36,832
უზრუნველყოფილი სესხები დაკავშირებული მხარისგან:							
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	ევრო	7.50%	2020	34,875	34,875	33,755	33,755
სულ საპროცენტო ვალდებულება				**1,054,283**	**1,054,283**	**941,597**	**941,597**

ფინანსური ვალდებულების დარღვევა

IBRD-დან მიღებულ სესხთან დაკავშირებით, სესხისა და შესაბამისი პროექტის განხორციელების შეთანხმებების თანახმად, ჯგუფმა უნდა უზრუნველყოს არანაკლებ 1 მიმდინარე აქტივების თანაფარდობა მიმდინარე ვალდებულებებთან, რომელიც გამოთვლილია როგორც დამოუკიდებელი, ასევე კონსოლიდირებული მაჩვენებლებისთვის.

შეთანხმების თანახმად, მიმდინარე აქტივები ნიშნავს ყველა აქტივს, რომლებიც, ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში შესაძლებელია გარდაიქმნას ნაღდ ფულად თორმეტი თვის განმავლობაში დებიტორული დავალიანებების, გაყიდვადი ფასიანი ქაღალდების, ინვენტარისა და წინასწარ გადახდილი ხარჯის ჩათვლით, რაც ჯეროვნად ერიცხება საოპერაციო ხარჯს მომდევნო საგადასახადო წლის განმავლობაში. მიმდინარე ვალდებულებები ნიშნავს ყველა ვალდებულებას, რომელიც დაექვემდებარება ანგარიშსწორებას ან რომლის გადახდაც შესაძლებელიამოთხოვნილი იქნას არსებულ ვითარებაში თორმეტი თვის განმავლობაში, კრედიტორული დავალიანებების, მომხმარებლის ავანსის, დავალიანების მომსახურების მოთხოვნების, გადასახადებისა და გადახდების ჩათვლით გადასახადებისა და დივიდენდების სანაცვლოდ.

ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს ზემოაღნიშნული ფინანსური შეთანხმების კალკულაციას ყოველი წლის დასასრულს როგორც კომპანიის განცალკევებული ფინანსური ინფორმაციის, აგრეთვე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად ჯგუფის მიერ მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიასა და ჯგუფს დარღვეული აქვთ ზემოაღნიშნული ფინანსური შეთანხმება, ვინაიდან მიმდინარე აქტივების თანაფარდობა მიმდინარე პასივებთან როგორც კომპანიის დამოუკიდებელი ფინანსური ინფორმაციის, აგრეთვე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად ჯგუფის მიერ მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე ნაკლები იყო 1-ზე (რადგან 2016 წლის 31 დეკემბრის და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით,

კომპანიასა და ჯგუფს ასევე დარღვეული აქვთ ზემოაღნიშნული ფინანსური შეთანხმება). 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სესხი 316,009 ათასი ლარის ოდენობით კლასიფიცირებულ იქნა მიმდინარეს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. გარდა ამისა, ჯგუფმა მოახდინა თავისი 2016 წლის 31 დეკემბრის და 2015 წლის 31 დეკემბრის ნაშთების ხელახლა ფორმულირება, ვალდებულებების დარღვევასთან დაკავშირებული შეცდომების კორექტირების მიზნით, რომელიც არ იყო გამოვლენილი წინა წლებში. დეტალებისთვის იხილეთ შენიშვნა 22.

2017 წლის განმავლობაში, ნაღდი ფულის დეფიციტის გამო, საკონტრაქტო თანხები, რომელიც გადასახდელია KfW სესხის საფუძველზე, რომლის დაფარვის ვადა დგება 2027 წელს, რომელიც გაფორმებულია შპს ენერგოტრანსსა და საქართველოს მთავრობას შორის, არ იყო გადახდილი დროულად. შპს ენერგოტრანსმა არ აწარმოა მოლაპარაკება სესხის პირობების რესტრუქტურიზაციის შესახებ საქართველოს მთავრობასთან 2017 წელს, შესაბამისად საქართველოს მთავრობისგან არ იქნა მოპოვებული ოფიციალური თანხმობა 2017 წელს დასაფარი გადახდების გადავადების შესახებ. საკონტრაქტო პირობების დარღვევა წარმოადგენს ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევას სესხის ხელშეკრულების შესაბამისად, რაც საქართველოს მთავრობას ანიჭებს უპირობო უფლებას მოითხოვოს სესხის დაუყოვნებლივ დაფარვა, რომელიც შეადგენს 276,166 ათას ლარს, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოხდა სესხის რეკლასიფიკაცია, როგორც მიმდინარე ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შპს ენერგოტრანსმა დაარღვია ფინანსური ვალდებულება (სესხის მომსახურების კოეფიციენტი), რომელიც წარმოდგენილია შემდგომ სასესხო ხელშეკრულებაში EBRD-თან. ხელმძღვანელობამ მიიღო უარი შეთანხმების დარღვევაზე 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ბოლომდე. ხელმძღვანელობა აწარმოებს მოლაპარაკებას EBRD-თან ფინანსური შეთანხმების მოთხოვნების ამოღების შესახებ ზემოაღნიშნული ქვე-სესხის ხელშეკრულებიდან.

(b) ვალდებულებების მოძრაობის შეჯერება ფულადი სახსრები მოძრაობასთან, რომელიც წარმოიქმნა ფინანსური საქმიანობებიდან

’000 ლარი	ვალდებულებები სესხები და კრედიტები	ვალდებულებები რესტრუქტურიზებული ვალდებულებები	კაპიტალი სააქციო კაპიტალი	სულ
ნაშთი 2017 წლის 1 იანვარს	**941,597**	**66,417**	**599,984**	**1,607,998**
შემოსავლები სესხებიდან	81,056	-	-	81,056
სესხების დაფარვა	(53,290)	-	-	(53,290)
რესტრუქტურიზებული ვალდებულებების დაფარვა	-	(10,387)	-	(10,387)
შემოსავლები სააქციო კაპიტალის გამოშვებიდან	-	-	38,540	38,540
სულ ცვლილებები ფულადი ნაკადებიდან ფინანსური საქმიანობიდან.	**27,766**	**(10,387)**	**38,540**	**55,919**
ცვლილების ეფექტი გაცვლით კურსში	**81,540**	**625**	**-**	**82,165**
საპროცენტო ხარჯი	21,280	-	-	21,280

დისკონტის ამორტიზაცია	-	6,220	-	6,220
გადახდილი პროცენტი	(17,900)	-	-	(17,900)
მფლობელის შენატანები	-	-	528	528
სულ სხვა ცვლილებები	**84,920**	**6,845**	**528**	**92,293**
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,054,283**	**62,875**	**639,052**	**1,756,210**

13. რესტრუქტურიზებული ვალდებულებები

'000ლარი	**2017**	**2016**
გადახდები სახელმწიფო ბიუჯეტში	48,995	58,622
სავაჭრო ვალდებულებები	28,765	28,593
სესხები და დარიცხული პროცენტი	3,586	3,983
	81,346	**91,198**
ამორტიზებული ხარჯების შესწორება	(18,471)	(24,781)
ნაშთი 31 დეკემბერს	**62,875**	**66,417**
მიმდინარე ვალდებულებები	15,000	10,000
გრძელვადიანი ვალდებულებები	47,875	56,417
	62,875	**66,417**

რესტრუქტურიზებული ვალდებულებები წარმოადგენს 2006 წლამდე წარმოშობილ თანხებს, რომელთა ანგარიშსწორებაც იქნა გადავადებული ჯგუფის რთული ფინანსური მდგომარეობის გამო. სარეაბილიტაციო გეგმის თანახმად, რომელიც შედგენილ იქნა თავდაპირველად 2006 წელს სამართალწარმოებიდან და შეთანხმდა კრედიტორთა უმრავლესობასთან, აღნიშნული სესხების ანგარიშსწორება გადავადებულ იქნა 2011 წლამდე, შესაბამისად თანხების ანგარიშსწორება მოხდება ნაწილ-ნაწილ 2023 წლამდე, სარეაბილიტაციო პერიოდის დასრულებამდე.

სარეაბილიტაციო გეგმაში მოყვანილია ჯგუფის სტრატეგიული მიზნები მომდევნო 15 წლის განმავლობაში, მასში ასევე განსაზღვრულია ჯგუფის ძირითადი საოპერაციო და ფინანსური მიზნები. სარეაბილიტაციო გეგმის თანახმად, რეაბილიტაციის მენეჯერი დანიშნულ იქნა ჯგუფის ხელმძღვანელობის მიზნით მთლიანი სარეაბილიტაციო პერიოდის განმავლობაში. ჯგუფის მთავარ კრედიტორს წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ გადასახდელ თანხებს წარმოადგენს გადასახადები და ბაჟები, აგრეთვე სესხები და დარიცხული პროცენტი. რესტრუქტურიზირებული ვალდებულებები წარმოდგენილია დისკონტირებული ღირებულებით. 2008 წელს ახალი სარეაბილიტაციო გეგმის დამტკიცების შემდეგ, ჯგუფმა შეაფასა გადავადებული ვალდებულებების რეალური ღირებულება, რათა განეხორციელებინა შესწორებები გადახდის პირობებში. სარეაბილიტაციო გეგმის დამტკიცების დღისთვის რეალურ ღირებულებად განსაზღვრულ იქნა მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულება 9.57%-იანი საშუალო საბაზრო საპროცენტო განაკვეთით.

14. აქტივებთან დაკავშირებული გრანტები

'000ლარი	**2017**	**2016**
ნაშთი 1 იანვრის მდგომარეობით	112,829	108,592
აღრიცხული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში	(4,979)	(4,377)
მიღებული წლის განმავლობაში	4,878	8,614
ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით	**112,728**	**112,829**

’000ლარი	**2017**	**2016**
გრძელვადიანი	107,797	108,533
მიმდინარე	4,931	4,296
	112,728	**112,829**

2017 წელს, KfW უზრუნველყო გრანტი 500/220 kV ჯვარის ქვესადგურის მშენებლობასთან დაკავშირებით, რომელიც შეადგენს 2,220 ათასი ლარს (2016: 8,614 ათასი ლარი). გარდა ამისა, 2,658 ათასი ლარი მიღებულ იქნა 2017 წელს KfW-დან გადამცემი ქსელის გაგრძელების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებისთვის.

ფინანსური შენატანი არ ექვემდებარება ანაზღაურებას გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჯგუფი არაჯეროვნად გამოიყენებს მიღებულ ფულად სახსრებს ან მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის პროექტის განხორციელებას.

15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

’000 ლარი	**2017**	**2016**
ვალდებულებები განხორციელებულ სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებით	38,168	40,542
მიღებული ავანსი და სხვა ვალდებულებები	9,771	5,496
	47,939	**46,038**

ჯგუფის სავალუტო და ლიკვიდურობის რისკი სავაჭრო და სხვა ვალდებულებებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მე-16 შენიშვნაში.

16. სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა

(a) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების გაანგარიშება მიზნად ისახავს სავარაუდო ფასის მიახლოებით განსაზღვრას, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გასაყიდად ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის თანმიმდევრული ტრანზაქციის გზით ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების დღეს. ამასთან, გაურკვევლობის გათვალისწინებით და სუბიექტური განსჯის მეშვეობით, რეალური ღირებულება არ უნდა იქნეს ინტერპრეტირებული, როგორც რეალიზებადი აქტივების დაუყოვნებელი ნასყიდობის გზით ანვალდებულებათა გადაცემის მეშვეობით .

ჯგუფმა განსაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულებები შეფასებითი მეთოდოლოგიის გამოყენებით. შეფასების მეთოდოლოგიის მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიცასახავს ფასს, რომელიც უნდა იქნეს მიღებული აქტივის გასაყიდადან გადახდილი ვალდებულების გადაცემისთვის თანმიმდევრული ტრანზაქციის ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების დღეს. გამოყენებული შეფასებითი მეთოდოლოგია არის დისკონტირებული ფულადი საშუალებების მოძრაობის მოდელი. ყველა ფინანსური აქტივის და ვალდებულებების რეალური ღირებულება და ანგარიშდება მომავალში ძირითადი თანხისა და დარიცხული პროცენტების ფულადი საშუალებების მოძრაობის საფუძველზე, რომელთა დისკონტირება ხდება ანგარიშგების დღეს პროცენტის

საბაზრო განაკვეთით.

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება მიახლოებით მათი საბალანსო ღირებულების ტოლია.

(b) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობიდან გამომდინარე, ჯგუფი დგას შემდეგი რისკების წინაშე::

- საკრედიტო რისკი – შენიშვნა 16 (b)(ii);
- ლიკვიდურობის რისკი – შენიშვნა 16 (b)(iii);
- საბაზრო რისკი – შენიშვნა 16 (b)(iv).

წინამდებარე შენიშვნა წარმოადგენს ინფორმაციას ჯგუფზე ზემოთ მოყვანილი თითოეული რისკის ზეგავლენის შესახებ, ჯგუფისმიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს მათი შეფასებისა და მართვისათვის, ასევე ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ კაპიტალის მართვას. სხვა თანხობრივად გამოხატული ახსნა-განმარტებები მოყვანილია წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურანგარიშგებაში.

(i) რისკის მართვის სტრუქტურა

(ii)

მმართველთა საბჭოს აკისრია ჯგუფის რისკების მართვის საზღვრების განსაზღვრისა და მიმოხილვის პასუხისმგებლობა.

ჯგუფის რისკების მართვის მეთოდები განისაზღვრება ჯგუფის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებისა და ანალიზის, შესაბამისი რისკებისსაზღვრებისა და კონტროლის დადგენისა და რისკების მონიტორინგისა და საზღვრების დაცვის მიზნით. რისკების მართვის პოლიტიკები დასისტემები განიხილებარეგულარულად საბაზრო პირობებში მომხდარი ცვლილებებისა და ჯგუფის მიერ განხორციელებული ღონისძიებების ასახვის მიზნით. ჯგუფი, მისი სასწავლო და მართვის სტანდარტებისა და პროცედურების საშუალებით, მიზნად ისახავს დისციპლინირებულიდა კონსტრუქციული მართვის გარემოს შემუშავებას, სადაც ყველა თანამშრომელს გაცნობიერებული ექნება მისი როლი და ვალდებულებები..

მმართველთა საბჭოს მის მიმოხილვის ვალდებულების განხორციელებაში ეხმარება შიდა აუდიტი. შიდა აუდიტი ახორციელებს რისკების მართვის კონტროლისა და პროცედურების როგორც რეგულარულ, ასევე საგანგებო მიმოხილვებს, რომლის შედეგებიც ეცნობება მმართველთა საბჭოს.

(iii) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს ჯგუფის მიმართ წარმოშობილ ფინანსურ ზარალის მშემთხვევაში, თუ მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის მონაწილე მხარე ვერ შეასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს დაწარმოიშვება ძირითადად ჯგუფის მიერ მომხმარებლებისგან მისაღები თანხებიდან და საბანკო ბალანსებიდან.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალური საკრედიტო რისკის გამოვლენას.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ჯგუფის დაუცველობაზე საკრედიტო რისკის მიმართ გავლენას ახდენს ძირითადად თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. გეოგრაფიულად, საკრედიტო რისკი ძირითადად კონცენტრირებულია საქართველოში .

ხელმძღვანელობამ განსაზღვრა საკრედიტო პოლიტიკა, რომლის საფუძველზეც ხდება ყოველი ახალი მომხმარებლის ინდივიდუალური ანალიზი კრედიტუნარიანობასთან დაკავშირებით ჯგუფის სტანდარტულ ანგარიშსწორებამდე და მიწოდების პირობების შეთავაზებამდე. ჯგუფის მიმოხილვა ითვალისწინებს გარე შეფასებებს, შესაძლებლობის შემთხვევაში, და ზოგიერთ შემთხვევაში, საბანკო რეფერენციებს. კომპანიის შემოსავლების დაახლოებით 28% (2016 წელს: 42%) უკავშირდება გაყიდვების ტრანზაქციებს ცალკეულ მომხმარებელთან.

ჯგუფის მომხმარებლების 70%-ზე მეტი აწარმოებს გარიგებებს ჯგუფთან ხუთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში. თითქმის ყოველ საკრედიტო ზარალს ადგილი ჰქონდა აღნიშნულ პერიოდამდე.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებებთან დაკავშირებით ზოგადად არ მოითხოვება რაიმე სახის უზრუნველყოფა.

ჯგუფი განსაზღვრავს რეზერვს გაუფასურებასთან დაკავშირებით, რაც წარმოადგენს მის მიერ წარმოშობილი ზარალის შეფასებას სავაჭრო და სხვა ვალდებულებებთან დაკავშირებით. მისი შეღავათის ძირითად კომპონენტს წარმოადგენს კონკრეტული ზარალის კომპონენტი, რაც უკავშირდება ინდივიდუალურად მნიშვნელოვან დაუცველობას.

მაქსიმალური დაუცველობა საკრედიტო რისკების მიმართ სავაჭრო ვალდებულებებთან დაკავშირებით ანგარიშგების დღისთვის გეოგრაფიული რეგიონის მიხედვით შეადგენდა:

	საბალანსო ღირებულება	
’000ლარი	**2017**	**2016**
შიდა	**11,623**	**15,862**

გაუფასურების ზარალი

ანგარიშგების დღისთვის სავაჭრო მოთხოვნების ხანდაზმულობა შეადგენდა:

’000 ლარი	**მთლიანი2017**	**გაუფასურება 2017**	**მთლიანი 2016**	**გაუფასურება 2016**
არავადაგადაცილებული	11,623	-	15,862	-
ვადაგადაცილებული ერთ წელზე მეტი პერიოდით	15,156	15,156	76,900	76,900
	26,779	**15,156**	**92,762**	**76,900**

მოძრაობა გაუფასურების რეზერვში სავაჭრო მოთხოვნებთან დაკავშირებით წლის განმავლობაში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

’000ლარი	**ინდივიდუალური გაუფასურება**	
	2017	**2016**
ნაშთი წლის დასაწყისში	76,900	76,284
გაუფასურების ზარალი	-	616

’000ლარი	ინდივიდუალური გაუფასურება	
	2017	2016
უიმედო ვალის ჩამოწერა	(61,744)	-
ნაშთი წლის დასასრულს	**15,156**	**76,900**

რეზერვის ანგარიში სავაჭრო მოთხოვნებთან დაკავშირებით გამოიყენება გაუფასურების შედეგად მიყენებული ზარალის აღრიცხვისთვის, სანამ არ ამოიწურება ყოველგვარი შესაძლებლობა ანაზღაურებისთვის; აღნიშნული თვალსაზრისით თანხები ჩამოიწერება უშუალოდ ფინანსური აქტივებიდან.

ისტორიულად ინფორმაციაზე დაყრდნობით, ჯგუფს მიაჩნია რომ ზემოაღნიშნულის გარდა სხვა დამატებითი რეზერვი არ არის საჭირო სავაჭრო მოთხოვნებთან დაკავშირებით..

ფული და ფულის ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები განთავსებულია ბანკში, რომლის რეიტინგი სარეიტინგო სააგენტო Fitch-ის მიხედვით არის B..

(iv) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, როდესაც კომპანიას შეექმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის პირობების შესრულებისას, რომელთა ანგარიშსწორებაც ხდება ფულის ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდებით. ჯგუფის მიდგომა ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით გამოიხატება იმ ფაქტის შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფაში, რომ მას ყოველთვის ექნება საკმარისი ლიკვიდურობა მისი ვალდებულებების შესასრულებლად მათი დადგომისას, როგორც ჩვეულებრივ, ასევე სტრესულ სიტუაციებში, მიუღებელი ზარალისა თუ ჯგუფის რეპუტაციის სარისკო შებღალვის გარეშე..

ჯგუფი მართავს ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს როგორც მოკლევადიანი, ასევე გრძელვადიანი პროექტების გამოყენებით. ხელმძღვანელობა რეგულარულად ახორციელებს ჯგუფის ფულადი ნაკადების ყოველთვიური პროგნოზების მონიტორინგს. კომპანიამ განსაზღვრა ყოველწლიური ბიუჯეტირების პროცესი მის აქციონერთან ერთად. ბიუჯეტს განიხილავს სამეთვალყურეო საბჭო და ამოწმებს აქციონერი. ბიუჯეტის განახლება ხდება ყოველთვიურად ფაქტიურ შედეგებზე დაყრდნობით. ჯგუფის მიზანს წარმოადგენს ფულისა და ფულადი ეკვივალენტებს დონის შენარჩუნება მომავალი 60 დღის განმავლობაში ფინანსურ ვალდებულებებზე მოსალოდნელ ფულად გადინებაზე გადაჭარბებული ოდენობით.

ხელმძღვანელობა თვლის, რომ 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს გააჩნია საკმარისი ლიკვიდურობა, რათა შეასრულოს თავისი ვალდებულებები დროულად, ვინაიდან მომავალ წლებში ხელმძღვანელობა ელოდება საოპერაციო საქმიანობიდან წმინდა ფულადი ნაკადების არსებით ზრდას. ასეთი მოლოდინები ეფუძნება ვარაუდს, რომ სემეკი თანახმაა ელექტროენერგიის გადაცემის და დისპეტჩერიზაციის ტარიფების ზრდაზე. სემეკი ითვალისწინებს დაგეგმილი ელექტონერგიის გადაცემის მოცულობების ოდენობას ტარიფების განსაზღვრის დროს. ხელმძღვანელობა ელოდება, რომ ელექტროენერგიის გადაცემის საქმიანობები გაიზრდება მოხმარების საერთო ზრდის შედეგად, რაც შესაბამისად განაპირობებს

ტარიფების შემდგომ და კომპანიის შემოსავლების ზრას. მოხმარების ზრდა მატულობს მიმდინარე პერიოდებში და ხელმძღვანელობა ითვალისწინებს, რომ ეს ტენდენცია გაგრძელდება მომავალშიც.

გარდა ამისა, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს გააჩნია 14,948ათასი ლარის ოდენობის ანაზღაურებადი დღგ, რომლის საქართველოს საგადასახადო ორგანოებიდან უკან მოთხოვნა შესაძლებელია და დაახლოებით 488,632 ათასი ლარის ოდენობის გამოუყენებელი საკრედიტო ხაზი საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებში. გამოუყენებელი საკრედიტო ხაზი შესაძლებელია ჩამოიწეროს, კაპიტალური ხარჯის გაწევისას.

ჯგუფს ეკისრება ძირითადი საშუალებების შესყიდვის სახელშეკრულებო ვალდებულება 165,295 ათასი ლარის ოდენობით (იხილეთ მე-17 შენიშვნა). კაპიტალის ვალდებულებები უკავშირდება სხვადასხვა პროექტით გათვალისწინებულ სამშენებლო სამუშაოებს და დაფინანსდება გამოუყენებელი სესხებიდან საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებიდან.

როგორც მითითებულია მე-12 შენიშვნაში, შეთანხმებების დარღვევის გამო, სესხები და კრედიტები ეკლასიფიცირდა მიმდინარე ვალდებულებებად, რითაც გაიზარდა სხვაობა მიმდინარე აქტივებსა და მიმდინარე ვალდებულებებს შორის 432,386 ათას ლარამდე 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ხელმძღვანელობა თვლის, რომ კრედიტორების მხრიდნა სესხებისა და კრედიტების დაუყოვნებლივ გადახდის მოთხოვნის უფლების მიუხედავად, ფაქტობრივი მოთხოვნის ალბათობა მცირეა ჯგუფის შესაძლებლობიდან გამომდინარე - გამოასწოროს შეთანხმებების დარღვევა უარის განცხადების მოპოვების გზით კრედიტორებისგან. გარდა ამისა მიღებულია მხარდაჭერის წერილი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან (საბოლოო მაკონტროლებელი მხარე), რომელშიც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო გამოხატავს სურვილს და შესაძლებლობას დამატებითი ფინანსური და სხვა მხარდაჭერა გაუწიოს შპს ენერგოტრანსს, საჭიროების შემთხვევაში უფლება მისცეს შპს ენერგოტრანსს დაფაროს თავისი ფინანსური ვალდებულებები ვადის დადგომისას. სხვაობა შპს ენერგოტრანსის მიმდინარე აქტივებსა და მიმდინარე ვალდებულებებს შორის შეადგენდა 314,222 ათას ლარს 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ჯგუფის ზარალი 2017 წლის 31 დეკემბრის და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადად გამოწვეული იყო შპს ენერგოტრანსის ძირითადი საშუალებების გაუფასურების და სავალუტო კურსის მერყეობის უარყოფითი გავლენით (შენიშვნა 7). ხელმძღვანელობა თვლის, რომ აღნიშნული ფაქტორები არის არაგანმეორებადი თავისი ბუნებით და რომ კომპანია გახდება მომგებიანი 2019 წლიდან.

ქვემოთ წარმოდგენილია ანგარიშგების თარიღისთვის ფინანსური ვალდებულებების დაფარვის სახელშეკრულებო დანარჩენი ვადები. თანხები არის მთლიანი და არადისკონტირებული შეფასებული საპროცენტო გადახდების ჩათვლით და მოთხოვნებისა და ვალდებულებების ურთიერთკომპენსაციის შესახებ შეთანხმებების გავლენის გარეშე.

31 დეკემბერი 2017

'000ლარი	საბალანსო ღირებულება	სახელშეკრულებო ფულადი სახსრების ნაკადები	1 წლამდე	1-5 წელი	5 წელზე მეტი
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები					
სესხები ფინანსური დაწესებულებებიდან	1,019,408	1,485,038	414,117	273,683	797,238
უზრუნველყოფილი სესხი დაკავშირებული მხარიდან	34,875	35,178	35,178	-	-
რესტრუქტურიზებული ვალდებულებები	62,875	81,347	15,000	60,000	6,347
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	47,939	49,436	49,436	-	-
	1,165,097	**1,650,999**	**513,731**	**333,683**	**803,585**

31 დეკემბერი 2016 ხელახლა ფორმულირებული

'000ლარი	საბალანსო ღირებულება	სახელშეკრულებო ფულადი სახსრების ნაკადები	1 წლამდე	1-5 წელი	5 წელზე მეტი
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები					
სესხები ფინანსური დაწესებულებებიდან	907,842	1,153,662	144,438	312,306	696,918
უზრუნველყოფილი სესხი დაკავშირებული მხარიდან	33,755	39,256	11,101	28,155	-
რესტრუქტურიზებული ვალდებულებები	66,417	91,152	10,000	70,000	11,152
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	46,038	46,038	46,038	-	-
	1,054,052	**1,330,108**	**211,577**	**410,461**	**708,070**

არ არის მოსალოდნელი, რომ ანგარიშსწორების ვადის დადგომის ანალიზში გათვალისწინებული ფულადი ნაკადები შესაძლებელია წარმოდგენილი იქნას მნიშვნელოვნად ადრე ან მნიშვნელოვნად განსხვავებული თანხებით .

(v) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი, რომლის შემთხვევაშიც საბაზრო ფასებში, როგორიცაა უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსები, საპროცენტო განაკვეთები და კაპიტალის ღირებულებები, მომხდარი ცვლილებები გავლენას ახდენს ჯგუფის შემოსავალზე ან მისი ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის ღირებულებაზე. საბაზრო რისკის მართვის მიზანს წარმოადგენს საბაზრო რისკების მიმართ დაუცველობის მართვა და კონტროლი დადგენილი პარამეტრების ფარგლებში, შემოსავლის ოპტიმიზების გზით.

ჯგუფი არ იყენებს ჰეჯირების ანგარიშგებას სარგებელსა თუ ზარალში მერყეობის მართვის მიზნით.

სავალუტო რისკი

უცხოური ვალუტის რისკი წარმოადგენს რისკს, რომელიც ითვალისწინებს ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების ან სამომავლო ფულადი ნაკადების ცვლილებას უცხოური ვალუტის გაცვლის კურსის მერყეობის მიზეზით. ჯგუფის დაუცველობა უცხოური ვალუტის გაცვლის განაკვეთში მომხდარი ცვლილებების მიმართ ძირითადად უკავშირდება უცხოურ ვალუტაში ნომინირებულ ფინანსურ ვალდებულებებს. ჯგუფი არ ახდენს ჰეჯირებას სავალუტო რისკის მიმართ მის მგრძნობელობაზე..

დაუცველობა სავალუტო რისკის მიმართ

ჯგუფის დამოკიდებულება სავალუტო რისკზე წარმოდგენილია შემდეგი სახით პირობით თანხებზე დაყრდნობით:

’000ლარი	**აშშ დოლარში დენომინირებული 2017**	**ევროში დენომინირებული 2017**	**აშშ დოლარში დენომინირებული 2016**	**ევროში დენომინირებული 2016**
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,578	95	4,187	17
ფული და ფულის ეკვივალენტები	12,383	99	12,419	3,374
სესხები და კრედიტები	(247,094)	(807,188)	(226,587)	(715,010)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(11,576)	(21,545)	(7,787)	(23,196)
რესტრუქტურიზებული ვალდებულებები	(7,052)	(4,041)	(7,676)	(3,777)
რისკის წმინდა სიდიდე	**(251,762)**	**(832,580)**	**(225,444)**	**(738,592)**

წლის განმავლობაში გამოყენებული იქნა შემდეგი მნიშვნელოვანი ვალუტების გაცვლითი კურსები:

ლარში	**საშუალო კურსი**		**ანგარიშგების დღის კურსი**	
	2017	**2016**	**2017**	**2016**
1 აშშ დოლარი	2.5086	2.3667	2.5922	2.6468
1 ევრო	2.8322	2.6172	3.1040	2.7940

მგრძნობელობის ანალიზი

ლარის გამყარება/შესუსტება, როგორც ეს ქვემოთაა ნაჩვენები, ევროსა და აშშ დოლარის მიმართ 31 დეკემბრის მდგომარეობით, გაზრდის (შეამცირებს) მოგებას ან ზარალს საშემოსავლო გადასახადამდე ქვემოთ მოცემული თანხების ოდენობით. გავლენა არ აღინიშნა სხვა საერთო შემოსავალსა თუ უშუალოდ კაპიტალზე. მოცემული ანალიზი დაფუძნებულია უცხოური ვალუტის გაცვლის კურსის ცვლილებებზე, რაც კომპანიამ მიიჩნია საკმაოდ შესაძლებლად ანგარიშგების პერიოდის დასასრულს. ანალიზის თანახმად ივარაუდება, რომ ყველა სხვა ცვლადები, განსაკუთრებით საპროცენტო განაკვეთები, რჩება უცვლელი სახით.

2016 წლისათვის ანალიზი განხორციელდა იგივე საფუძველზე.

’000 ლარი	**გამყარება**	**შესუსტება**
	მოგება	**(ზარალი)**
31 დეკემბერი 2017		

’000 ლარი	**გამყარება მოგება**	**შესუსტება (ზარალი)**
აშშ დოლარი ((10% იანი მოძრაობა)	25,176	(25,176)
ევრო (10% იანი მოძრაობა)	83,258	(83,258)
31 დეკემბერი 2016		
აშშ დოლარი ((20% იანი მოძრაობა)	45,089	(45,089)
ევრო (10% იანი მოძრაობა)	73,859	(73,859)

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთებთან დაკავშირებით მომხდარი ცვლილებები ძირითადად აისახება სესხებსა და კრედიტებზე მათი რეალური ღირებულების (ფიქსირებული განაკვეთის დავალიანება) ან მათი სამომავლო ფულადი ნაკადების (ცვალებადი განაკვეთის დავალიანება) ცვლილებით. ხელმძღვანელობას არ გააჩნია ფორმალური პოლიტიკა იმისა, რომ განსაზღვროს თუ რა სახის უნდა იყოს ჯგუფის მგრძნობელობა ფიქსირებული ან ცვალებადი განაკვეთების მიმართ. თუმცა ახალი სესხის ან ახალი კრედიტის აღებისას, ხელმძღვანელობა გადაწყვეტს იქნება თუ არა ფიქსირებული ანცვალებადი განაკვეთი უფრო ხელსაყრელი ჯგუფისთვის მოსალოდნელი დროის განმავლობაში, ვადის ამოწურვამდე.

პროფილი

ანგარიშგების დღისთვის ჯგუფის პროცენტიანი ფინანსური ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთის პროფილი წარმოდგენილი იყო შემდეგნაირად:

’000ლარი	**საბალანსო ღირებულება**	
	2017	**2016**
ფიქსირებული განაკვეთის ინსტრუმენტები		
ფინანსური აქტივები	47,295	25,266
ფინანსური ვალდებულებები	(282,470)	(252,715)
	235,175	**(227,449)**
ცვალებადი განაკვეთის ინსტრუმენტები		
ფინანსური ვალდებულებები	(771,812)	(688,882)
	(771,812)	**(688,882)**

სამართლიანი ღირებულების მგრძნობელობის ანალიზი ფიქსირებული განაკვეთის ინსტრუმენტებთან დაკავშირებით

ჯგუფი არ აგებს პასუხს ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით სამართლიანი ღირებულების სახით მოგების ან ზარალის მეშვეობით ან გასაყიდად ხელმისაწვდომობის სახით. შესაბამისად საპროცენტო განაკვეთებში განხორციელებულ ცვლილებას ანგარიშგების დღისთვის არ ექნებოდა რაიმე გავლენა მოგებაზე ან ზარალზე კაპიტალში.

ფულადი სახსრების ნაკადების მგრძნობელობის ანალიზი ცვალებადი განაკვეთის ინსტრუმენტებზე

ანგარიშგების დღისთვის საპროცენტო განაკვეთებში 100 საბაზო პუნქტის ცვლილებამ გაზარდა (შეამცირა) კაპიტალი და გადასახადების შემოსავლის ან გასავლის წმინდა ღირებულება ქვემოთ ნაჩვენები თანხის ოდენობით. აღნიშნული ანალიზის

საფუძველზე მტკიცდება, რომ ყველა სხვა ცვლილებები, კერძოდ, უცხოური ვალუტის გაცვლის განაკვეთები, რჩება უცვლელად. 2016 წლის ანალიზი ტარდება იგივე საფუძვლებზე..

	მოგება ან (ზარალი)	
'000 ლარი	**100 საბაზისო პუნქტით ზრდა**	**100 საბაზისო პუნქტით შემცირება**
2017		
ცვლადი განაკვეთის ინსტრუმენტები	(7,718)	7,718
ფულადი სახსრების ნაკადების მგრძნობელობა (წმინდა სიდიდე)	**(7,718)**	**7,718**
2016		
ცვლადი განაკვეთის ინსტრუმენტები	(6,889)	6,889
ფულადი სახსრების ნაკადების მგრძნობელობა (წმინდა სიდიდე)	**(6,889)**	**6,889**

17. კაპიტალთან დაკავშირებული ვალდებულებები

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს ნაკისრი აქვს გრძელვადიანი სახელშეკრულებო ვალდებულება 165,295ათასი ლარის ოდენობით (2016 წელს: 100,150 ათასი ლარი) ელექტროენერგიის გადამცემი ხაზების მშენებლობისა და რეაბილიტაციისთვის აღჭურვილობის შესყიდვასთან დაკავშირებით.

კაპიტალთან დაკავშირებული ვალდებულებები ეხება პროექტთან დაკავშირებულ სხვადასხვა სამშენებლო სამუშაოებს და დაფინანსდება საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისგან გაუცემელი სესხებით

18. გაუთვალისწინებელი გარემოებები

(a) დაზღვევა

საქართველოს სადაზღვევო ინდუსტრია განვითარების ეტაპზე იმყოფება და დაზღვევის მრავალი ფორმა, რომლებიც მიღებულია მსოფლიოს სხვა ქვეყნებში, ამჟამად არ არის ხელმისაწვდომი. ჯგუფი სრულად ვერ აზღვევს დანადგარებს, ბიზნესის გამართულ მუშაობას, მესამე მხარის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებს ჯგუფის ქონებაზე უბედური შემთხვევებისა თუ ჯგუფის მიერ განხორციელებულ ოპერაციების შედეგად წარმოშობილი, ასევე ბუნებრივი მოვლენებით გამოწვეული ზიანის შემთხვევაში. სანამ მოხდება ჯგუფის სათანადოდ დაზღვევა, არსებობს რისკი იმისა, რომ ზარალი ან აქტივების დაზიანება მატერიალურ ზარალს მიაყენებს ჯგუფის საოპერაციო და ფინანსურ მდგომარეობას.

(b) სასამართლო დავები

საქმიანობის ნორმალური მიმდინარეობის პროცესში ჯგუფი წარმოადგენს სამართალწარმოების, სასამართლო პროცესებისა და დავების მხარეს. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ აღნიშნული სამართალწარმოებიდან ან სარჩელებიდან წარმოშობილი საბოლოო ვალდებულება, ასეთის არსებობის შემთხვევაში, არ იქონიებს მატერიალურად არახელსაყრელ ეფექტს ფინანსურ მდგომარეობასა თუ სამომავლო

ოპერაციების შედეგებზე..

(c) დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მისთვის დამახასიათებელია სასამართლო გადაწყვეტილებებისა და დებულებების ხშირი ცვლილება. საგადასახადო ნორმები ხშირად ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივია და სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ სხვადასხვაგვარად განიმარტება. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია კომპანიას დააკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან სამი წელია გასული..

ზემოთხსენებული საგადასახადო გარემო ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც საქართველოში უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობის აზრით, იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, ხელმძღვანელობს რა საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების ოფიციალური აქტებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად. თუმცა, შესაბამისი საგადასახადო ორგანოების კომპანიისაგან განსხვავებულმა პოზიციამ შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე, თუ აღნიშნული ორგანოები წარმატებით განახორციელებენ მათ ინტერპრეტაციებს.

19. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

(a) მაკონტროლებელ ორგანოებთან ურთიერთობა

კომპანიის უშუალო და ძირითად მშობელ კომპანიას წარმოადგენს სს „საპარტნიორო ფონდი“, ხოლო ძირითად მაკონტროლებელ ორგანოს წარმოადგენს საქართველოს მთავრობა. სს „საპარტნიორო ფონდი“ წარადგენს საჯაროდ ხელმისაწვდომ ფინანსურ ანგარიშგებას კომპანიის ვებ-გვერდზე.

(b) ოპერაციები მმართველ რგოლთან

(i) ხელმძღვანელობის ანაზღაურება

ხელმძღვანელობის მმართველმა რგოლმა წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც ჩართულია სახელფასო ხარჯებში:

’000ლარი	2017	2016
ხელფასები და ბონუსები	**1,913**	**1,795**

ოპერაციები მთავრობასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებთან

რომლებიც წარმოდგენილია საქართველოს ხელისუფლების კონტროლის, ერთობლივი კონტროლის ან მნიშვნელოვანი გავლენის ქვეშ. ჯგუფმა აირჩია ბასს (IAS) 24-ის მიხედვით დასაშვები გამონაკლისი დაკავშირებული მხარის გამჟღავნებული ინფორმაციები , რაც იძლევა შესაბამისი მხარის მიერ ინფორმაციის გამჟღავნების შემცირებულ შესაძლებლობას სამთავრობო ორგანოებთან განხორციელებულ ტრანზაქციებთან დაკავშირებით.

ჯგუფის ყოველგვარი სესხი და კრედიტი, ასევე აღნიშნულ სესხებსა და კრედიტებზე განსაზღვრული საპროცენტო ხარჯი ექვემდებარება ანგარიშსწორებას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ. აქტივებთან დაკავშირებით ჯგუფის გრანტები

ძირითადად მიიღება იმ ტრანზაქციებიდან, სადაც საქართველოს ხელისუფლება მოქმედებს შუამავლის სახით. ჯგუფის რესტრუქტურიზებული ვალდებულებები ძირითადად შედგება საქართველოს ხელისუფლების ან ხელისუფლების ორგანოების მიმართ განსაზღვრული გადასახდელებისგან.

ჯგუფის შემოსავლის დაახლოებით 34% (2016 წელს: 27%) მიიღება სამი საწარმოდან, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილიც წარმოდგენილია ან კონტროლდება საქართველოს ხელისუფლების მიერ..

20. შვილობილი კომპანიები

შვილობილი კომპანია	დაფუძნების ქვეყანა	2017 საკუთრება / ხმის მიცემის უფლება	2016 საკუთრება / ხმის მიცემის უფლება
შპს „ენერგოტრანსი“	საქართველო	100%	100%
სს „Karcal Energy“	თურქეთი	100%	100%

21. შეფასების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით..

22. ხელახლა ფორმულირება - შეცდომების გამოსწორება

2017, 2016 და 2015 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფმა და კომპანიამ დაარღვია ფინანსური შეთანხმება, იხილეთ შენიშვნა 12(ბ) (ჯგუფმა უნდა შეინარჩუნოს არანაკლებ 1 მიმდინარე ატქივების თანაფარდობა მიმდინარე ვალდებულებებთან), რომელიც წარმოდგენილია შემდგომ სასესხო ხელშეკრულებაში EBRD-თან. ხელმძღვანელობამ არ მოიპოვა უარი შეთანხმების დარღვევაზე 2015 წლის 31 დეკემბრით, 2016 წლის 31 დეკემბრით და 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ბოლომდე. ეს წარმოადგენს ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევას, რაც EBRD-ს ანიჭებს უპირობო უფლებას მოითხოვოს სესხის დაუყოვნებლივ დაფარვა.შეთანხმების დარღვევის ეფექტი არ აისახა ფინანსურ ანგარიშგებებში 2016 წლის 31 დეკემბრით და 2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის. შეცდომა გამსოწორდა თითოეული ზემოქმედებული ფინანსური ანგარიშგების პუნქტის ხელახლა ფორმულირებითწინა პერიოდებისთვის.
ქვემოთ ცხრილში შეჯამებულია ზემოქმედება ჰფუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

	31 დეკემბერი 2016		
	მანამდე წარმოდგენილი	**კორექტირებები**	**ხელახლა ფორმულირებული**
სესხები და კრედიტები	867,520	(76,793)	790,727
სულ არამიმდინარე ვალდებულებები	**867,520**	**(76,793)**	**790,727**
სესხები და კრედიტები	74,077	76,793	150,870
სულ მიმდინარე ვალდებულებები	**74,077**	**76,793**	**150,870**

	31 დეკემბერი 2015		
	მანამდე წარმოდგენილი	**კორექტირებები**	**ხელახლა ფორმულირებული**
სესხები და კრედიტები	688,549	(18,449)	670,100
სულ არამიმდინარე ვალდებულებები	**688,549**	**(18,449)**	**670,100**
სესხები და კრედიტები	81,217	18,449	99,666
სულ მიმდინარე ვალდებულებები	**81,217**	**18,449**	**99,666**

23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ წარმოდგენილი სააღრიცხვო პოლიტიკა გამოიყენება თანმიმდევრულად წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი პერიოდის განმავლობაში და უწყვეტად ხორციელდება ჯგუფში შემავალი საწარმოების მიერ.

(a) კონსოლიდაციის საფუძველი

შვილობილი კომპანიები

შვილობილი კომპანიები წარმოადგენენ ჯგუფის მიერ კონტროლირებად საწარმოებს. ჯგუფი აკონტროლებს საწარმოს, როდესაც ის დაკავშირებულია, უფლებამოსილია ცვალებად ამონაგებზე საწარმოსთან ჩართულობით და შესწევთ უნარი იმოქმედონ ხსენებულ შემოსავლებზე, საწარმოზე მათი უფლებების გამოყენებით. შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგებები გათვალისწინებულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში კონტროლის დაწყების თარიღიდან მისი შეწყვეტის თარიღამდე. შვილობილი კომპანიების სააღრიცხვო პოლიტიკა შეიცვალა საჭიროების შესაბამისად, ჯგუფის მიერ მიღებული პოლიტიკის გათვალისწინებით.

(i) კონტროლის დაკარგვა

კონტროლის დაკარგვისას, ჯგუფი აღარ აღიარებს შვილობილი კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებს, არაკონტროლირებად წილებსა და შვილობილ კომპანიასთან დაკავშირებული კაპიტალის სხვა კომპონენტებს. კონტროლის დაკარგვისას წარმოშობილი ნებისმიერი ნამატი ან დეფიციტი ჩაითვლება მოგებაში ან ზარალში. იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფი შეინარჩუნებს რაიმე წილს წინა შვილობილ კომპანიაში, მაშინ აღნიშნული წილი გამოითვლება იმ დღისთვის არსებული რეალური ღირებულების მიხედვით, როდესაც ადგილი ჰქონდა კონტროლის დაკარგვას. შედეგად ის აღირიცხება, როგორც კაპიტალში ჩათვლილი ინვესტიციების მიმღებად, ან გასაყიდად წარმოდგენილ ფინანსურ აქტივად, რომელიც დამოკიდებულია მიღებული გავლენის დონეზე.

(ii) კონსოლიდაციისას გაუქმებული ოპერაციები

შიდა ჯგუფური ბალანსები და ტრანზაქციები, ასევე ნებისმიერი არარეალიზებული შემოსავალი და ხარჯი, რომელიც წარმოიქმნება შიდა ჯგუფური ტრანზაქციებიდან, გაუქმდება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას.

(b) შემოსავალი

(i) მომსახურებები

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმ მოცულობით, რომლითაც ჯგუფი უზრუნველყოფს მომსახურებების გაწევას ხელშეკრულების თანახმად. შემოსავლის ოდენობა შესაძლებელია განისაზღვროს საიმედოდ და სავარაუდოდ მოხდება ოპერაციასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოდინება ჯგუფში. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული შეგებებული დაკმაყოფილების სამართლიანი ღირებულების თანახმად, სარეალიზაციო გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოკლებით.
ჯგუფი შემოსავლებს ღებულობს ძირითადად საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ელექტროენერგიის გადაცემისა და დისპეჩერიზაციის საფუძველზე. შემოსავლების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ადგილი აქვს მომსახურების ფაქტიურად გაწევას ანგარიშგების თარიღისთვის გადაცემული და დისპეჩერიზებული ელექტროენერგიის მოცულობის საფუძველზე.

(ii) სახელმწიფო გრანტები

სახელმწიფო გრანტების პირველადი აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულების მქონე გადავადებული შემოსავლის სახით, როდესაც არსებობს სათანადო საფუძველი ვარაუდისა, რომ ასეთი გრანტი იქნება მიღებული და ჯგუფი დააკმაყოფილებს გრანტთან დაკავშირებით არსებულ პირობებს და შემდგომ აღიარებული იქნება შემოსავალში ან ზარალში სხვა შემოსავლის სახით სისტემატიურად, აქტივის სრული საექსპლუატაციო ვადის განმავლობაში. გრანტები, რომლებიც ახდენენ ჯგუფის მიმართ გაწეული ხარჯების ანაზღაურებას, აღიარებული იქნება შემოსავალში ან ზარალში სხვა შემოსავლის სახით სისტემატიურად იმავე პერიოდით, რომელშიც ადგილი ჰქონდა ხარჯების აღიარებას..

(c) ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

ჯგუფის ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯი მოიცავს:

- ინვესტირებული ფულადი სახსრების საპროცენტო შემოსავალს;
- გაუფასურების ღირებულებით გამოთვლილ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებულ საპროცენტო ხარჯს;
- უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებულ სარგებელს ან ზარალს ფინანსურ აქტივებთან და ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებით.

საპროცენტო შემოსავლის ან ხარჯის აღიარება ხდება მის მოგებაზე ან ზარალზე დარიცხვისთანავე, ეფექტური პროცენტის გამოთვლის მეთოდის გამოყენებით. სასესხო ხარჯი, რომელიც პირდაპირ არ უკავშირდება კვალიფიციური აქტივების შესყიდვას, მშენებლობას ან წარმოებას, აღიარებული იქნება ეფექტური პროცენტის გამოთვლის მეთოდთან გამოყენებულ მოგებასა თუ ზარალში. უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული სარგებელი ან ზარალი წარმოდგენილია წმინდა საფუძველზე როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი, რაც დამოკიდებულია იმ

ფაქტზე, წარმოდგენილია თუ არა უცხოური ვალუტის მოძრაობა წმინდა მოგების ან წმინდა ზარალის მდგომარეობაში.

(d) უცხოური ვალუტა

(i) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ტრანზაქციები კონვერტირდება ჯგუფის საწარმოების შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს დადგენილი ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი ერთეულები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. ფულად ერთეულებზე უცხოური ვალუტის მოგება ან ზარალი წარმოადგენს სხვაობას პერიოდის დასაწყისისთვის ფუნქციონალურ ვალუტაში წარმოდგენილ ამორტიზირებულ ხარჯს, რომელიც მორგებულია არსებულ პროცენტზე და პერიოდის განმავლობაში განხორციელებულ ანგარიშსწორებებზე, და უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილ ამორტიზირებულ ხარჯს შორის, რომელიც კონვერტირდება ანგარიშგების პერიოდის დასასრულს არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით.

უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი ერთეულები, რომლებიც დაანგარიშდება ისტორიული ღირებულებით, კონვერტირდება ტრანზაქციის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით.

ვალუტის გადაფასებით გამოწვეული საკურსო სხვაობა აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში..

(ii) უცხოური ოპერაციები

უცხოური ოპერაციებით გათვალისწინებული აქტივები და ვალდებულებები კონვერტირდება ქართულ ლარში ანგარიშგების თარიღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. უცხოური ოპერაციების შემოსავალი და ხარჯები კონვერტირდება ქართულ ლარში ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებული სხვაობები აღიარებულია სხვა საერთო შემოსავალში და წარმოდგენილია კაპიტალში უცხოური ვალუტის გადაფასების რეზერვში. იმ შემთხვევაში, თუ უცხოურ ოპერაციაზე შეწყდება ამგვარი კონტროლი, აღარ იქნება წარმოდგენილი მნიშვნელოვანი გავლენა ან ერთობლივი კონტროლი, აღნიშნულ უცხოურ ოპერაციასთან დაკავშირებულ გადაფასების რეზერვში წარმოდგენილი საერთო თანხა ხელახლა კლასიფიცირდება მოგებად ან ზარალად, გასხვისებაზე დარიცხული მოგების ან ზარალის ნაწილის სახით..

(e) თანამშრომელთა მოკლევადიანი სარგებელი

თანამშრომლის მოკლევადიანი სარგებლის ვალდებულებები აღირიცხება დისკონტირებულ საფუძველზე და გაიწერება ხარჯებში შესაბამისი მომსახურებების გაწევისთანავე. ვალდებულების აღიარება ხდება იმ თანხასთან დაკავშირებით, რომლის ანგარიშსწორებაც უნდა მოხდეს მოკლევადიანი ფულადი ბონუსით ან სარგებლის გაზიარების გეგმებით იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფს გააჩნია აღნიშნული თანხის ანგარიშსწორების მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული

ვალდებულება თანამშრომლის მიერ წარსულში განხორციელებული მომსახურების შედეგად და ვალდებულება შესაძლებელია შეფასდეს საიმედოდ.

(f) რეზერვები

რეზერვის აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, თუ წარსულში მომხდარი შემთხვევის გამო, ჯგუფს გააჩნია სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება, რაც შესაძლებელია შეფასდეს საიმედოდ და სავარაუდოდ საჭირო გახდება ეკონომიკური სარგებლის გადინება ვალდებულებების ანგარიშსწორების მიზნით. რეზერვი განისაზღვრება ფულადი სახსრების მომავალი მოსალოდნელი ნაკადების დისკონტირებით, დაბეგვრამდე არსებული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ვალდებულებების დამახასიათებელი ფულის დროებითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებსა და რისკებს. დისკონტის ამორტიზაცია აღიარებულია ფინანსურ ხარჯში.

(g) მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადს. მიმდინარე და გადავადებული გადასახადი აღიარებულია შემოსავალში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის დაკავშირებულია კაპიტალში ან სხვა სრულ შემოსავალში უშუალოდ აღირებულ ობიექტებთან.

(i) მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადი არის მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება ან მოთხოვნა შესაბამისი წლის დასაბეგრ შემოსავალზე ან ზარალზე, დადგენილ ან არსებითად დადგენილ საგადასახადო განაკვეთზე ანგარიშგების თარიღისთვის, ასევე საგადასახადო ვალდებულების ყველა შესწორება დაკავშირებული წინა წლებთან. მიმდინარე გადასახადი აგრეთვე მოიცავს ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებას, რომლებიც წარმოიშვება დივიდენდებიდან..

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. აღნიშნული კანონი ძალაში შევიდა 2016 წელს და ამოქმედდა 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული საგადასახადო პერიოდისთვის ყველა საწარმოს მიმართ, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორიცაა ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომელთა მიმართაც კანონი ძალაში შევა 2023 წლის 1 იანვრიდან..

კორპორატიული მოგების დაბეგვრის ახალი სისტემა ითვალისწინებს არა კორპორატიული მოგების გადასახადისგან გათავისუფლებას, არამედ კორპორატიული მოგების გადასახადის დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე, ანუ ძირითად საგადასახადო ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას, როგორც აქციონერების / პარტნიორების მიმართ დივიდენდების სახით განაწილებულ მოგებას. თუმცა ზოგიერთი სხვა ოპერაცია აგრეთვე ჩაითვლება განაწილებულ მოგებად, მაგალითად, კონკურენტული ტრანსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადებისგან გათავისუფლებულ პირთან აგრეთვე განიხილება განაწილებული მოგებად

კორპორატიული მოგების გადასახადის მიზნებისთვის. გარდა ამისა, საგადასახადო ობიექტი ითვალისწინებს ხარჯსა და სხვა გადასახდელს, რაც არ იქნება დაკავშირებული საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობასთან, უფასო მიწოდებასთან და ლიმიტზე გადაჭარბებულ წარმომადგენლობით ხარჯთან..

გადასახადის ანაზღაურება ხელმისაწვდომია 2008-2016 წლებში გაუნაწილებელ მოგებასთან დაკავშირებით გადახდილ მიმდინარე გადასახადთან მიმართებით იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული მოგება განაწილდება 2017 ან მომდევნო წლებში.

დივიდენდების ანგარიშსწორებიდან კორპორატიული მოგების გადასახადი დაანგარიშდება იმ პერიოდის ხარჯთან დაკავშირებით, როდესაც მოხდა დივიდენდების განცხადება, მიხედავად ანგარიშსწორების ფაქტიური თარიღისა ან პერიოდისა, რომელთან დაკავშირებითაც ადგილი ჰქონდა დივიდენდების ანგარიშსწორებას.

(ii) გადავადებული გადასახადი

ზემოთ აღწერილი ახალი საგადასახადო სისტემის არსიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ გააჩნიათ სხვაობა აქტივების საგადასახადო ბაზასა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის და აღნიშნულიდან გამომდინარე, არ წამოიშობა გადავადებული მოგების გადასახადის აქტივები და პასივები.

წინა პერიოდში დარიცხული საგადასახადო ზარალის გამოყენება შეუძლებელია სამომავლო დაბეგვრად მოგებაში..

(h) მარაგები

მარაგები წარმოდგენილია მის ღირებულებასა და მის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით და ითვალისწინებს მარაგების შეძენასთან, წარმოებასა და კონვერსიასთან, აგრეთვე მათ არსებულ ადგილზე და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულებად მიჩნეულია ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას გასაყიდ ფასს გამოკლებული შეფასებული დასრულების ღირებულება და გასაყიდი დანახარჯები.

(i) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები აღირიცხება აკუმულირებულ ცვეთასა და აკუმულირებულ გაუფასურებაზე ნაკლები ღირებულებით.

ღირებულება მოიცავს აქტივების შეძენასთან უშუალოდ დაკავშირებულ ხარჯებს. საკუთარი სახსრებით შექმნილი აქტივების ღირებულება მოიცავს მასალების ღირებულებასა და პირდაპირ შრომით დანახარჯებს, ნებისმიერ სხვა ხარჯს, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული აქტივის მუშა მდგომარეობაში მოყვანასთან, მისი დანიშნულებისამებრ გამოყენების მიზნით, ასევე ობიექტის დემონტაჟთან, გატანასა და

სამუშაოების წარმოების ადგილის აღდგენასთან დაკავშირებულ ხარჯებს და კაპიტალიზებული სესხის ხარჯებს. შეძენილი კომპიუტერული პროგრამების, რომლებიც შესაბამისი მოწყობილობის ფუნქციონირების განუყოფელი ნაწილია, კაპიტალიზაცია ხორციელდება ამ მოწყობილობის შემადგენელი ნაწილის სახით.

როდესაც ძირითადი საშუალებების ობიექტის შემადგენელი ნაწილები შეიცავს სხვადასხვა საექსპლუატაციო ვადის მქონე კომპონენტებს, მათი აღრიცხვა ხორციელდება ძირითადი საშუალებების ცალკეული ობიექტების (ძირითადი კომპონენტების) სახით.

ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული მოგება ან ზარალი განისაზღვრება სხვაობით გაყიდვიდან მიღებულ სარგებელსა და ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარებული იქნება წმინდა ღირებულებად სხვა შემოსავლის/სხვა გასავლის ფარგლებში მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში.

(ii) შემდგომი ხარჯები

ძირითადი საშუალების ობიექტის კომპონენტების შეცვლასთან დაკავშირებული ხარჯების აღრიცხვა წარმოებს კომპონენტის საბალანსო ღირებულებაში იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია კომპონენტის ფარგლებში გათვალისწინებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის გადაცემა ჯგუფის მიმართ და მისი ღირებულების საიმედოდ აღრიცხვა. ჩანაცვლებული კომპონენტის საბალანსო ღირებულება იქნება უარყოფილი. ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მომსახურების ღირებულება აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, გაღებული ხარჯების სახით.

(iii) ცვეთა

ძირითადი საშუალებების კომპონენტების ცვეთის დარიცხვა ხდება მათი დამონტაჟებისა და საექსპლუატაციო მზადყოფნის დღიდან, ხოლო შიდა კონსტრუირებული აქტივების შემთხვევაში, აღნიშნული აქტივების დასრულებისა და გამოსაყენებლად მზადყოფნის დღიდან. ცვეთა განისაზღვრება აქტივის ღირებულებას გამოკლებული მისი ნარჩენი ღირებულება.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, ძირითადი საშუალებების კომპონენტების ყოველი ნაწილის საექსპლუატაციო ვარგისიანობის ვადის შეფასების საფუძველზე, ვინაიდან აღნიშნული ყველაზე უკეთ ასახავს აქტივით გათვალისწინებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის ხარჯვის მოსალოდნელ ნიმუშს. მიწა არ ექვემდებარება ცვეთას.

ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი კომპონენტების საექსპლუატაციო ვარგისიანობის ვადის შეფასება მიმდინარე და შედარებითი პერიოდების განმავლობაში შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

- შენობა-ნაგებობები 15-25 წელი;
- ელექტროგადამცემი ხაზები 20-35 წელი;
- მოწყობილობები 10-25 წელი;
- მანქანა-დანადგარები და სხვ. 5 – 7 წელი.

ხელმძღვანელობა იყენებს მნიშვნელოვან მსჯელობას ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსასაზღვრად, რომლებიც გამოყენებულია პერიოდის განმავლობაში.

ცვეთის მეთოდები, საექსპლუატაციო ვარგისიანობის ვადა და ნარჩენი ღირებულება განიხილება ყოველი ფინანსური წელიწადის ბოლოს და შესწორდება შესაბამისად.

(j) იჯარით აღებული აქტივები

იჯარა, რომლის პირობებშიც ჯგუფი იღებს არსებით ვალდებულებას მის მფლობელობასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელთან დაკავშირებით, კლასიფიცირდება ფინანსური იჯარების სახით. პირველადი აღიარებისთანავე იჯარით აღებული აქტივები აღირიცხება, როგორც მის რეალურ ღირებულებასა და მინიმალური იჯარის გადახდების მიმდინარე ღირებულებაზე ნაკლები თანხა. პირველადი აღიარების შემდგომ, აქტივი აღირიცხება აღნიშნულ აქტივთან დაკავშირებით მოქმედი სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად.

ყველა სხვა იჯარა წარმოადგენს საოპერაციო იჯარას და იჯარით აღებული აქტივების აღიარება არ მოხდება ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში..

(k) ფინანსური ინსტრუმენტები

ჯგუფი ახდენს არაწარმოებული ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას სესხებისა და მოთხოვნების კატეგორიაში და არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციას სხვა ფინანსური ვალდებულებების კატეგორიაში.

(i) არაწარმოებული ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები - აღიარება და აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი პირველადად აღიარებს სესხებსა და კრედიტებს, ასევე დეპოზიტებს მათი წარმოშობის დღისთვის. ყოველი სხვა ფინანსური ვალდებულების აღიარება ხდება პირველადად მათი ვაჭრობის დღისთვის, როდესაც ჯგუფი გახდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულებების მხარე.
ჯგუფი არ აღიარებს ფინანსურ აქტივებს მას შემდეგ, რაც ამოიწურება სახელშეკრულებო უფლებები ფულად ნაკადებზე აქტივებიდან, ან იგი გადასცემს ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებით ამა თუ იმ გარიგებაში, რომელშიც ადგილი აქვს ფინანსური აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული ყოველგვარი რისკისა და ანაზღაურების გადაცემას. ყოველგვარი წილი გადაცემულ ფინანსურ აქტივებში, რომელიც იქმნება ან იწარმოება ჯგუფის მიერ, აღიარებულია ცალკე აქტივად ან პასივად..

ჯგუფი არ აღიარებს ფინანსურ ვალდებულებას იმ შემთხვევაში, თუ მისი სახელშეკრულებო ვალდებულებები გაუქმდება, დაკარგავს ძალას ან ამოიწურება. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ექვემდებარება ანაზღაურებას და წარმოადგენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მითითებულ სუფთა თანხას მხოლოდ მაშინ, როდესაც ჯგუფს გააჩნია თანხების ანაზღაურების სამართლებრივი უფლება და სურს მოახდინოს ანგარიშსწორება სუფთა სახით ან უზრუნველყოს აქტივების რეალიზება და ვალდებულებების ანგარიშსწორება

ერთდროულად.

სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები წარმოადგენს ფიქსირებული ან განსაზღვრული ანგარიშსწორების მქონე ფინანსური აქტივების კატეგორიას, რომლებიც არ არის წარმოდგენილი აქტიურ ბაზარზე. აღნიშნული აქტივების პირველადი აღიარება ხდება მისი რეალური ღირებულებით პლუს ნებისმიერი უშუალოდ მიწერილი ტრანზაქციის ღირებულებით. შემდგომში პირველადად აღიარებული სესხები და მოთხოვნები განისაზღვრება ამორტიზირებული ღირებულების მიხედვით მოქმედი საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, აღნიშნულს გამოკლებული გაუფასურების შედეგად წარმოშობილი დანაკარგი.

სესხებისა და მოთხოვნების კატეგორიაში წარმოდგენილია ფინანსური აქტივების შემდეგი კლასები: სავაჭრო და სხვა მოთხოვნები წარმოდგენილია მე-8 შენიშვნაში, ხოლო ფული და ფულის ექვივალენტები მე-9 შენიშვნაში.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება საბანკო ბალანსებისგან, რომელთა ანგარიშსწორების ვადაც შეადგენს სამ თვეს ან ნაკლებს მათი მიღების დღიდან, რაც ექვემდებარება მათ რეალურ ღირებულებაში ცვლილებების განხორციელების მნიშვნელოვან რისკს..

(ii) არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები - შეფასება

სხვა ფინანსური ვალდებულებები პირველადად აღიარებულია მათი რეალური ღირებულებით პლუს ნებისმიერი უშუალოდ მიწერილი ტრანზაქციის ღირებულებით. პირველადად აღიარების შემდგომ აღნიშნული ფინანსური ვალდებულებები განისაზღვრება ამორტიზირებული ღირებულების მიხედვით მოქმედი საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებსა და კრედიტებს, რაც წარმოდგენილია მე-12 შენიშვნაში, რესტრუქტურიზებული ვალდებულებები წარმოდგენილია მე-13 შენიშვნაში, ხოლო სავაჭრო და სხვა მოთხოვნები წარმოდგენილია მე-15 შენიშვნაში..

(l) სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციების კლასიფიკაცია ხდება კაპიტალის სახით. ჩვეულებრივი აქციებისა და სააქციო ოფციონის გამოშვების შედეგად უშუალოდ წარმოშობილი დამატებითი ხარჯების აღიარება ხდება კაპიტალიდან ნებისმიერი საგადასახადო ეფექტის წმინდა ღირებულებიდან დაქვითვის სახით.

(m) გაუფასურება

(i) არაწარმოებული ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივი, რომელიც არ აღირიცხება რეალური ღირებულებით მოგების ან ზარალის საშუალებით, შეფასდება ყოველ ანგარიშგების დღეს იმ მიზნით, რომ

განისაზღვროს არსებობს თუ არა მისი გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. ფინანსური აქტივი ჩაითვლება გაუფასურებულად იმ შემთხვევაში, თუ ობიექტური მტკიცებულებით ნაჩვენებია აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდგომ ზარალის შემთხვევა, რაც შესაძლებელია უარყოფითად აისახოს აღნიშნული აქტივის სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებაში, რაც ფასდება საიმედოდ..

ფინანსური აქტივების გაუფასურების დამადასტურებელი ობიექტური მტკიცებულებები შესაძლებელია ითვალისწინებდეს შემდეგს:

- დებიტორის გაკოტრება ან გადაუხდელობა;
- ჯგუფის მიმართ გადასახდელი თანხის რესტრუქტურიზება იმ პირობებით, რომლის სხვაგვარად განხილვა ჯგუფს არ შეუძლია;
- მინიშნება, რომ დებიტორი გამოცხადდება გაკოტრებულად;
- გაკოტრებასთან დაკავშირებული ეკონომიკური პირობები.

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები

მტკიცებულებას როგორც კონკრეტული აქტივის, ასევე აქტივების ერთობლიობის დონეზე. ყოველი ინდივიდუალური მნიშვნელოვანი სესხები და მოთხოვნები შეფასდება კონკრეტულ გაუფასურებასთან დაკავშირებით. ყველა ინდივიდუალური სესხი და მოთხოვნა, რომლებიც არ ჩაითვლება კონკრეტულად გაუფასურებულად, შეფასდება ერთობლივად ნებისმიერი სახის გაუფასურებასთან დაკავშირებით, რაც წარმოიშვა, მაგრამ არ არის ჯერ დადგენილი. ის სესხები და მოთხოვნები, რომელთაც არ გააჩნიათ მნიშვნელობა ინდივიდუალურად, შეფასდება ერთობლივად გაუფასურებასთან დაკავშირებით მოთხოვნების მსგავსი რისკის მახასიათებლებთან დაჯგუფების გზით.

ერთობლივი გაუფასურების შეფასებისას ჯგუფი იყენებს დეფოლტის ალბათობის, ხარვეზების აღმოფხვრის დროისა და გაწეული ზარალის ისტორიულ ტენდენციებს, რაც მორგებულია ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებებზე იმასთან დაკავშირებით, არის თუ არა მიმდინარე ეკონომიკური და საკრედიტო პირობები იმ სახის, რომ ფაქტიური ზარალი აღემატებოდეს ან ნაკლები იყოს წარმოდგენილ ისტორიულ ტენდენციებზე.

ამორტიზირებული ღირებულებით განსაზღვრული ფინანსური აქტივებისთვის გაუფასურებით გამოწვეული ზარალი წარმოადგენს აქტივის საბალანსო ღირებულებასა და აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის სხვაობას. ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში და აისახება მოთხოვნებთან დაკავშირებული შეღავათების ანგარიშში. გაუფასურებულ აქტივზე დარიცხული პროცენტი კვლავ იქნება აღიარებული დისკონტის ამორტიზაციით. როდესაც შემდგომი შემთხვევა გამოიწვევს გაუფასურებით გამოწვეული ზარალის თანხის შემცირებას, გაუფასურებით გამოწვეული ზარალის შემცირება შეიცვლება მოგების ან ზარალის საშუალებით.

(ii) არაფინანსური აქტივები

ჯგუფის არაფინანსური აქტივების, გარდა მარაგებისა და გადავადებული საგადასახადო აქტივებისა, საბალანსო ღირებულების გადასინჯვას ახორციელებს

თითოეულ საანგარიშო დღეს გაუფასურების ნებისმიერი ნიშნის არსებობის დადგენის მიზნით. ასეთი ნიშნის არსებობის შემთხვევაში, ხორციელდება აქტივის ჩანაცვლების ღირებულების შეფასება. გაუფასურების შედეგად მიყენებული ზარალის აღიარება ხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივის საბალანსო ან მასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მაგენერირებელი ერთეულის (CGU) ღირებულება აღემატება მის შეფასებულ ჩანაცვლების ღირებულებას.

აქტივების ან ფულადი სახსრების მაგენერირებელი ერთეულის (CGU) ჩანაცვლების ღირებულება წარმოადგენს მისი რეალური ღირებულებებიდან უდიდესს, სარეალიზაციო ხარჯებისა და სამომხმარებლო ღირებულების გამოკლებით. სამომხმარებლო ღირებულების შეფასებისას ხორციელდება ფულადი სახსრების მომავალი მოსალოდნელი ნაკადების დისკონტირება მათ მიმდინარე ღირებულებამდე, დაბეგვრამდე არსებული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს მოცემული აქტივისათვის ან ფულადი სახსრების მაგენერირებელი ერთეულისთვის (CGU) დამახასიათებელი ფულის დროებითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებსა და რისკებს. გაუფასურების ტესტირების მიზნით, ის აქტივები, რომელთა ინდივიდუალური ტესტირება შეუძლებელია, ჯგუფდება ერთად აქტივების უმცირეს ჯგუფებად, რომელიც ახდენს ფულადი სახსრების მოდინების გენერირებას უწყვეტი გამოყენებისგან, რაც არ არის დამოკიდებული სხვა აქტივების ან ფულადი სახსრების მაგენერირებელი ერთეულის (CGU) ფულადი სახსრების მოდინებაზე. ჯგუფის კორპორატიული აქტივები არ ახდენს ფულადი სახსრების ცალკე მოდინების გენერირებას და გამოყენებულია ერთზე მეტი CGU-ს მიერ. კორპორატიული აქტივები გამოიყოფა CGU-ს მიმართ დასაბუთებულ საფუძველზე და გაივლის ტესტირებას გაუფასურებაზე CGU-ს ტესტირების ნაწილის სახით, რომლის მიმართაც მოხდა CGU-ს გაცემა..

გაუფასურებით მიყენებული ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში. ფულადი სახსრების მაგენერირებელ ერთეულებთან დაკავშირებით აღიარებული გაუფასურების შედეგად მიყენებული ზარალი ნაწილდება ერთეულში (ფულადი სახსრების მაგენერირებელი ერთეულის ჯგუფში) არსებული აქტივების საბალანსო ღირებულებაში პროპორციულად.

წინა პერიოდში აღიარებული გაუფასურების შედეგად მიყენებული ზარალის შეფასება ხორციელდება თითოეული საანგარიშო თარიღისათვის, რაიმე ნიშნის არსებობის გამოვლენის მიზნით, რომ ზარალი შემცირდა ან აღარ არსებობს. გაუფასურების შედეგად მიყენებული ზარალის რევერსირება ხდება იმ შეფასებებში ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში, რომლებიც გამოიყენება ჩანაცვლების ღირებულების დასადგენად. გაუფასურების შედეგად მიყენებული ზარალის რევერსირება ხორციელდება იმ მოცულობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც დადგენილი იქნებოდა ცვეთის ან ამორტიზაციის გამოკლებით იმ პირობით, რომ გაუფასურების შედეგად მიყენებული ზარალი ადრე არ იყო აღიარებული.

24. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის მიღებული

არსებობს ახალი სტანდარტები, შესწორებები სტანდარტებში და ინტერპრეტაციები, რომლებიც 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯერ არ იყო შესული ძალაში და არ გამოყენებულა ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. ქვემოთ მოცემულია ის ცვლილებები, რომლებიც სავარაუდოდ გავლენას მოახდენს ჯგუფის საოპერაციო საქმიანობაზე. ჯგუფი გეგმავს ქვემოთ მოცემული სტანდარტების ათვისებას მათი ძალაში შესვლისთანავე..

(a) ფასს 15 შემოსავლები კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

ადგენს ერთიან ჩარჩოს იმის განსაზღვრელად თუ რა ოდენობის შემოსავალი იყო აღიარებული და როდის ჰქონდა აღნიშნულს ადგილი. აღნიშნული სტანდარტი ცვლის არსებულ მეთოდურ მითითებებს შემოსავლების აღიარების თაობაზე, მათ შორის, ბასს (IAS) 18 - *შემოსავალი,* ბასს (IAS) 11 - *სამშენებლო ხელშეკრულებები* და ფაისკ (IFRIC) 13 - *კლიენტების ლოიალურობის პროგრამები.*

ჯგუფი ვალდებულია მიიღოს ფასს 15 - *შემოსავლები კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან* - 2018 წლის 1 იანვრიდან. ჯგუფმა შეაფასა და განსაზღვრა ფასს 15-ის თავდაპირველი გამოყენება გავლენას არ მოახდენს მის ფინანსურ ანგარიშგებებზე. ამ სტანდარტის მიღების შეფასებული გავლენა ჯგუფის კაპიტალზე 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ეფუძნება მოცემულ თარიღამდე განხორციელებულ წინასწარ შეფასებებს.

(i) მომსახურებები

ჯგუფი ახორციელებს ელექტროენერგიის გადაცემის, საექსპორტო და სატრანზიტო მომსახურებებს. შემოსავალი აღიარებულია მომსახურების დასრულების შემდეგ. ფასს 15-ის შესაბამისად, მომსახურების სრული ანაზღაურება განაწილდება ყველა საკონტრაქტო ვალდებულებაზე მათი დამოუკიდებელი გასაყიდი ფასების საფუძველზე.დამოუკიდებელი გასაყიდი ფასები განისაზღვრება იმ ფასების საფუძველზე, რომელზეც ჯგუფი ყიდის თავის მომსახურებებს ცალკე გარიგებებში. ჯგუფის შეფასების შესაბამისად, მომსახურებების დამოუკიდებელი გასაყიდი ფასები მკაფიოდ იდენტიფიცირებადია და საწარმო რეგულირდება სახელმწიფოს მიერ, აქედან გამომდინარე სამართლიანი ღირებულება და დამოუკიდებელი გასაყიდი ფასები არ ექვემდებარება ერთმანეთთან შედარებას. ყველა ფაქტის და გარემოების გათვალისწინებით, ჯგუფი არ ელოდება, რომ ფასს 15-ის გამოყენება გამოიწვევს მნიშვნელოვან ცვლილებებს აღნიშნულ მომსახურებებთან დაკავშირებით შემოსავლის აღიარების ვადებში.

(ii) გადასვლა

ჯგუფი გეგმავს ფასს 15-ის მიღებას კუმულაციური ეფექტის მეთოდის გამოყენებით, აღნიშნული სტანდარტის თავდაპირველი გამოყენება აღიარებულია კაპიტალში 2018 წლის 1 იანვრიდან. შედეგად ჯგუფი არ გამოიყენებს ფასს 15-ის აღნიშნულ მოთხოვნას შედარებით პერიოდებში. შესწორების შემთხვევაში, ეს სრულად უნდა იქნას წარმოდგენილი ფინანსურ ანგარიშგებებში, რომელიც მომზადდება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის.

(b) ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები

ფასს 9 *ფინანსური ინსტრუმენტები* განსაზღვრავს ფინანსური აქტივების, ფინანსური ვალდებულებების და კონტრაქტების აღიარების და შეფასების მოთხოვნებს, არაფინანსური ერთეულების ნასყიდობასთან დაკავშირებით .ეს სტანდარტი ცვლის ბასს 39-ს - *ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება.*

ჯგუფს უნდა მიეღო ფასს 9 *ფინანსური ინსტრუმენტები* 2018 წლის 1 იანვრიდან. ჯგუფმა შეაფასა და განსაზღვრა, რომ ფასს 9-ის თავდაპირველი მიღება არსებით გავლენას არ მოახდენს ფინანსურ ანგარიშგებებზე. აღნიშნული სტანდარტის მიღების შეფასებული გავლენა ჯგუფის კაპიტალზე 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ეფუძნება მოცემულ თარიღამდე განხორციელებულ წინასწარ შეფასებებს. .

(i) კლასიფიკაცია - ფინანსური აქტივები

ფასს 9 მოიცავს ფინანსური აქტივების ახალ კლასიფიკაციას და შეფასების მიდგომას, რომელიც ასახავს ბიზნეს მოდელს, სადაც ხდება აქტივების მართვა და მათი ფულადი სახსრების მოძრაობის დახასიათება.

ფასს 9 მოიცავს ფინანსური აქტივების კლასიფიცირებას სამ ძირითად კატეგორიად: ფინანსური აქტივები, რომლებიც შემდგომ შეფასებულ უნდა იქნან ამორტიზირებული ღირებულებით, და ფინანსური აქტივები, რომლებიც შემდგომ შეფასებულ უნდა იქნან რეალური ღირებულებით სხვა ერთობლივ შემოსავალში (FVOCI) და ფინანსური აქტივები რომლებიც შეფასებულ უნდა იქნან სამართლიანი ღირებულებით მოგებასა ან ზარალში (FVPL). აღნიშნული სტანდარტი აღმოფხვრის ბასს 39-ის შემდეგ კატეგორიებს: „დაფარვის ვადამდე ფლობილი“, „სესხები და მოთხოვნები“ და „გასაყიდად ხელმისაწვდომი“. ფასს 9-ის ფარგლებში, ხელშეკრულებაში შემავალი წარმოებული ინსტრუმენტები, რომელშიც მასპინძელი არის ფინანსური აქტივი სტანდარტის ფარგლებში არასოდეს გაორდება. ამის ნაცვლად, ჰიბრიდული ფინანსური ინსტრუმენტი მთლიანობაში ფასდება კლასიფიკაციის მიზნებისთვის. აღნიშნული შეფასების საფუძველზე, კომპანია თვლის, რომ ახალი კლასიფიკაციის მოთხოვნები არსებით გავლენას არ მოახდენს აღრიცხვაზე ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებით.

(ii) გაუფასურება - ფინანსური აქტივები და საკონტრაქტო აქტივები

ფასს 9 ცვლის „გაწეული ზარალის“ მოდელს ბასს 39–ში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის’ (ECL) მოდელით. ეს მოითხოვს სათანადო შეფასებას მასზედ თუ რა გავლენას მოახდენს ცვლილებები ეკონომიკურ ფაქტორში ECL–ზე, რომელიც განისაზღვრება ალბათობაზე შეწონილ საფუძველზე.
ახალი გაუფასურების მოდელი გამოიყენება ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსური აქტივებთან დაკავშირებით ან FVOCI–თან დაკავშირებით, კაპიტალში განხორციელებული ინვესტიციების გარდა და საკონტარქტო აქტივებთან მიმართებით.

ფასს 9–ის შესაბამისად, ზარალის რეზერვი შეფასდება ქვემოთ მოცემულ საფუძველზე:

- *12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (ECLs).* აღნიშნული ECLs წარმოიშობა შესაძლო ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევიდან ანგარიშგების თარიღიდან 12 თვის განმავლობაში; და

- *სასიცოცხლო მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (ECLs).* აღნიშნული ECLs წარმოიშობა ყველა შესაძლო ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევიდან , ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის განმავლობაში.

სასიცოცხლო მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასება გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ ანგარიშგების თარიღისთვის ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თავდაპირველი აღიარებიდან, ხოლო 12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასება გამოიყენება თუ არ გაიზარდა. ჯგუფს შეუძლია განსაზღვროს, რომ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაიზარდა იმ შემთხვევაში, თუ აქტივს აქვს დაბალი საკრედიტო რისკი ანგარიშგების თარიღისთვის. თუმცა სასიცოცხლო მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასება ყოველთვის გამოიყენება სავაჭრო მოთხოვნებთან და საკონტრაქტო აქტივებთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანი დაფინანსების კომპონენტის გარეშე; ჯგუფს შეუძლია გამოიყენოს ეს პოლიტიკა ასევე სავაჭრო მოთხოვნებთან და საკონტრაქტო აქტივებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი დაფინანსების კომპონენტის გარეშე.

ჯგუფი თვლის, რომ გაუფასურების ზარალი სავარაუდოდ გაიზრდება და გახდება უფრო ცვლადი აქტივებთან დაკავშირებით ფასს 9–ის გაუფასურების მოდელის ფარგლებში. ზემოთ აღწერილი გაუფასურების მეთოდოლოგიის საფუძველზე, ჯგუფმა შეაფასა, რომ ფასს 9 გაუფასურების მოთხოვნების გამოყენება 2018 წლის 1 იანვრისთვის არ გამოიწვევს დამატებით მნიშვნელოვან გაუფასურების ზარალს.

(iii) კლასიფიკაცია - ფინანსური ვალდებულებები

ფასს 9 ინარჩუნებს ბასს 39-ის არსებული მოთხოვნების უმრავლესობას ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირებისთვის.

ამასთან, ბასს 39-ის ფარგლებში, სამართლიანი ღირებულების ფუნქციის ფარგლებში ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების ყველა ცვლილება აღიარებულია მოგებაში ან ზარალში. ფასს 9-ის ფარგლებში ცვლილება სამართლიანი ღირებულებაში ზოგადად წარმოდგენილია შემდეგი სახით:

- სამართლიან ღირებულებაში ცვლილების თანხა, რომელიც ეხება ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებას, წარმოდგენილია სხვა სრულ შემოსავალში; და
- სამართლიან ღირებულებაში ცვლილების დარჩენილი თანხა წარმოდგენილია მოგებაში ან ზარალში.

ჯგუფი არ განსაზღვრავს ფინანსურ ვალდებულებებს FVTPL ფარგლებში და არ გეგმავს ასეთ ქმედებას. ჯგუფის შეფასება არ მიუთითებს არსებით გავლენას ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციის შესახებ 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

(iv) მონაცემები

ფასს 9 მოითხოვს ახალ მონაცემებს კერძოდ საკრედიტო რისკის და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესახებ. ჯგუფის წინასწარ შეფასება მოიცავდა ანალიზს გამოტოვებული მონაცემების დადგენის მიზნით მიმდინარე პროცესში და ჯგუფი გეგმავს აღნიშნული სისტემის განხორციელებას და აკონტროლებს ცვლილებებს, რომელიც მისი მოსაზრებით საჭიროა მოთხოვნილი მონაცემების შესაგროვებლად.

(v) გადასვლა

ჯგუფი გამოიყენებს მოდიფიცირებულ რესტროსპექტულ მიდგომას გადასვლასთან დაკავშირებით და არ წარმოადგენს ხელახლა ფორმულირებულ შედარებით ინფორმაციას წინა პერიოდებისთვის. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში შესწორებები, რომელიც წარმოიშობა ფასს 9–ის მიღების შედეგად, აღიარებული იქნება გაუნაწილებელ მოგებაში და რეზერვებში 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. .

(c) ფასს 16 *იჯარები*

ფასს 16 ცვლის არსებული იჯარების დირექტივას, მათ შორის ბასს 17-ს - იჯარები, ფაისკ 4-ს, *როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას,* იმკ (SIC) 15-ს - *საოპერაციო იჯარა - სტიმულირება* და იმკ (SIC) 27-ს - *გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას*..

ეს სტანდარტი ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს. მისი ვადაზე ადრე მიღება დასაშვებია იმ საწამროებისთვის, რომლებიც იყენებენ ფასს 15-ს, ფასს 16-ის თავდაპირველი გამოყენების დღეს ან ან თარიღამდე.

ფასს 16 წარმოადგენს ერთ საბალანსო უწყისზე აღრიცხვის მოდელს მოიჯარეებისთვის. მოიჯარე აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას, რაც წარმოადგენს მის უფლებას ისარგებლოს შესაბამისი აქტივით და საიჯარო ვალდებულებით, რაც გულისხმობს მის მიერ იჯარის ანგარიშსწორების ვალდებულებას. არსებობს პირობითი გამონაკლისები - მოკლევადიანი იჯარები და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარა. მეიჯარის ანგარიშგება რჩება მიმდინარე სტანდარტის მსგავსი - ანუ მოიჯარეები განაგრძობენ იჯარის კლასიფიკაციას საფინანსო ან საოპერაციო იჯარების სახით.

ჯგუფი აფასებს პოტენციურ გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებებზე, რაც გამოწვეული იქნება ფასს 16-ის გამოყენებით. ფასს 16-ის გამოყენების გავლენა ფინანსურ ანგარიშგებებზე თავდაპირველი გამოყენების პერიოდში დამოკიდებულია მომავალ ეკონომიკურ პირობებზე, მათ შორის ჯგუფის სასესხო განაკვეთზე 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ჯგუფის პორტფელის შემადგენლობაზე აღნიშნული თარიღისთვის, ჯგუფის ბოლო შეფასებაზე მასზედ, გამოიყენებს თუ არა იჯარის განახლების ოფციონს და იმ ფარგლების შესახებ, რომელშიც ჯგუფი გამოიყენებს პრაქტიკულ საშუალებებს და აღიარების გამონაკლისებს.


საქართველოს ელექტროსისტემის მიმოხილვა



ელექტროენერგიის ბაზრის სტრუქტურა

საქართველოს ელექტროენერგეტიკის სექტორში ბოლო ათწლეულის განმავლობაში გატარებული მნიშვნელოვანი რეფორმების შედეგად, ელექტროენერგიის ბაზრის სტრუქტურამ მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა. ამჟამად, სექტორი დერეგულირებულია და ერთმანეთისგან გამიჯნულია საქმიანობის სამი ძირითადი სფერო - გენერაცია, გადაცემა და დისტრიბუცია. ბაზრის ახალი სტრუქტურა მკაფიოდ განსაზღვრავს ბაზრის ყველა ძირითადი მონაწილის ფუნქციებს. მათ შორის არიან:

- **საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო,** რომელიც, სხვა ძირითად სექტორებთან ერთად, განსაზღვრავს ელექტროენერგიის ბაზრისა და ზოგადად, ენერგეტიკის სექტორის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკას;
- **საქართველოს ენერგეტიკისა და წყლის მარეგულირებელი ეროვნული კომისია** (სემეკი), რომელიც წარმოადგენს დამოუკიდებელ მარეგულირებელ ორგანოს, გასცემს ელექტროენერგიის გენერაციის, გადაცემის, დისპეტჩერიზაციისა და დისტრიბუციის ლიცენზიებს და ადგენს შესაბამის ტარიფებს;
- სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ - გადაცემადისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტი;
- ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი (ესკო).



შენიშვნები:

1 – ასაშენებელი ჰესები (BOOs) – კომპანიები სადგურის მშენებლობის, საკუთრებისა და ოპერირების უფლებით;

2 – „ენგურჰესი“ და „ვარდნილჰესი“ – სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი გენერაციის ობიექტები, მარეგულირებელი სადგურები – ტარიფი რეგულირდება და ფიქსირებულია;

3 – საშუალო და დიდი ზომის გენერაციის ობიექტები – კერძო საკუთრებაში მყოფი ელექტროსადგურები, რომელთა ნაწილი იმყოფება სადისტრიბუციო კომპანიებისა და პირდაპირი მომხმარებლების ან/და შვილობილი კომპანიების საკუთრებაში; ტარიფის ზედა ზღვარი რეგულირდება;

4 – მცირე ზომის სადგურები – (13მგვტ-ზე ნაკლები სიმძლავრის) – მცირე ზომის კერძო სადგურები, რომელთა ნაწილი იმყოფება სადისტრიბუციო კომპანიებისა და პირდაპირი მომხმარებლების ან/და შვილობილი კომპანიების საკუთრებაში; ტარიფი დერეგულირებულია;

5 – ესკო – სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი კომპანია, რომელიც ვაჭრობს საბალანსო ელექტროენერგიით, ახორციელებს ელექტროენერგიის ექსპორტს და იმპორტს, ყიდულობს გარანტირებულ სიმძლავრეს მთავრობის მიერ განსაზღვრული სადგურებიდან და ყიდის სადისტრიბუციო კომპანიებზე, პირდაპირ მომხმარებლებსა და ექსპორტიორებზე; შეისყიდის ელექტროენერგიას BOOs-გან.

6 – დისტრიბუტორები – „ენერგო-პრო ჯორჯია“, „თელასი“, „კახეთის ენერგოდისტრიბუცია“;


7 – პირდაპირი მომხმარებლები – წელიწადში 7 მილიონ კვტსთ-ზე მეტი მომხმარების მქონე მყიდველები; პირდაპირი მომხმარებლის სტატუსი ნებაყოფლობითია;

8 – საცალო მომხმარებლები – სადისტრიბუციო კომპანიის მომხმარებლები, მცირე ზომის სადგური უფლებამოსილია, მიყიდოს ელექტროენერგია საცალო მომხმარებლებს.


PSOU
220 kV Sukhumi
TSENTRALNAIA
RUSSIA
500 kV - Georgian
ABKHAZIA
SOKHUMI
BZIPI
Gudaut'a
Tkvarcheli
Ochamchire
Kodori
Khudoni HPP
NENSKRA
Nenskra HPP
IPARI
Svaneti HPPs
Khelchula-3 HPP
Mukhra HPP
Lentekhi HPP
Tsageri HPPs
Lajanuri HPPs
LAJANURI
Racha HPP
Rioneuli HPP
Namakhvani-Jonet'i HPP
Tvishi HPP
Ambrolauri
Shaori HPP
Gumati TE HPP
Dzevruli HPP
Chiat'ura
Egrisi
JVARI
Enguri HPP
ZUGDIDI
Vardnili 1 HPP
Vardnili 2,3,4 HPPs
Imereti
MENJI
TSKALTUBO
KHORGA
K'UT'AISI
D. KUTAISI
Abasha
POTI
Varshani's HPPs
D. ZESTAPONI
Baghdadi
Kharagauli
Guria's HPPs
OZURGETI
Zoti
Guria's HPPs
Zekari
Kintrishi HPP
K'obuleti
BESHUMI
AKHALTSIKHE
Koromkheti HPP
Shuakhevi HPP
BAT'UMI
Khelvachauri HPP
SHUAKHEVI
Atsesi HPP
Skhalta HPP
Khertvisi HPP
Akhareta HPP
Khimshi HPP
Hopa
Arhavi
220 kV - Artvin
KHOPA
MURATLI
BORCHKA
TORTUM
BLACK SEA
TURKEY

საქართველოს ელექტროგადამცემი ქსელის რუკა

საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა 2018-2028





სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა

საერთაშორისო პროექტებისა და ანგარიშგების დეპარტამენტი

საქართველო, თბილისი, ბარათაშვილის ქ.#2
ტელ.: (+995 32) 2 510 263
ფაქსი: (+995 32) 2 983 704

E.mail: info@gse.com.ge

www.gse.com.ge

შპს „KPMG Georgia“
ჯი ემ თი პლაზა, მე-5 სართული
თავისუფლების მოედანი №4
თბილისი, 0105
საქართველო
ტელეფონი: +995 322 93 5713
ინტერნეტი: www.kpmg.ge

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“

ჩვენი საცნობარო ნომერი: ge/l098/18

28 დეკემბერი 2018 წელი

მმართველობითი ანგარიშგების უწყისი

ძვირფასო ბატონებო,

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს 2018 წლის სექტემბერში გამოცემულ „მმართველობით ანგარიშგებაზე“. ჩვენ გამოვეცით ეს უწყისი, რადგან მმართველობითი ანგარიშგება დათარიღებული 2018 წლის სექტემბრით გამოცემულია კომპანიის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღის შემდეგ. ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების შესახებ, რომელიც გამოთქმულია ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში 2018 წლის 1 აგვისტოს არ ეხება მმართველობით ანგარიშგებას.

აუდიტორთა დასკვნა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს იმ მოვლენების ეფექტს, რომელიც წარმოიშვა 2018 წლის 1 აგვისტოს შემდეგ. მმართველობით ანგარიშგებაში აღწერილი მოვლენათა ეფექტი, რომელიც ფინანსური აუდიტის დასკვნის თარიღის შემდეგ განხორციელდა, არ შემოწმებულა ჩვენს მიერ.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს მმართველობითი ანგარიშგების გაცნობას მას შემდეგ, რაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება და განსაზღვრავს, შეესაბამება თუ არა მმართველობითი ანგარიშგება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მიღებულ ცოდნას ყველა არსებით ასპექტში, ან რაიმე სახით არის თუ არა ხსენებული დოკუმენტი არსებითად დამახინჯებული.

ჩვენ არ გამოვცემთ რაიმე სახის რწმუნებას მმართველობითი ანგარიშგების შესახებ. ჩვენ წავიკითხეთ მმართველობის ანგარიში და ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე დავასკვენით, რომ ხელმძღვანელობის ანგარიში:

- შეესაბამება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ის არ მოიცავს არსებით უზუსტობებს;
- მოიცავს ინფორმაციას, რომელსაც მოითხოვს და რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

პატივისცემით,

ენდრიუ კოქსშელიშპს „KPMG Georgia“

შპს „KPMG Georgia“, რეგისტრირებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, „KPMG“-ის ქსელის დამოუკიდებელი ფირმების წევრი, რომელიც ერთიანდება შვეიცარიულ ორგანიზაციაში „KPMG International Cooprative („KPMG International“).